

1793

ძველი აღთქმის

# საღმრთო ისტორია

შედგენილი

მღვდ. დიმიტრი ჯანაშვილისაგან

იმ გვარს პროგრამმით, როგორითაც იმას ასწავლიან
ოთხ კლასიან სასწავლებლებში.

გამოცემა პირველი

ფასი ათი შაური

სსსრ მეცნიერებათა აკადემიის
აკად. ი. გრიშაშვილის
სახელობის
ბიბლიოთეკა-მუზეუმი
Библиотека-Музей
имени
Акад. И. Гришашвили
Академия наук ГССР

თბილისი
ექვთიმე ხელაძის სტამბა
1876

*Дозволено цензурою. Тифлисъ, 27 Декабря 1876 года.*

# სარჩევი

## ძველი აღთქმის საღმრთო ისტორიისა

### შექმნა ქვეყნისა და ცხოვრება კაცთა წინაპარებისა სამოთხეში


გვერდი.

1. შემეცნება სამ პიროვან ღმერთისა . . . 1.
2. ანგელოზების შექმნა . . . . . . . 3.
3. ხილული ქვეყნის შექმნა . . . . . . 4.
4. კაცის შექმნა . . . . . . . . . 7.
5. სამოთხე და ადამის და ევის ნეტარი ცხოვრება . 9.
6. ადამისა და ევის ცოდვაში შთავარდნა . 11.
7. სასჯელი ცოდვისათვის და გამოხსნის აღთქმა . 12.
8. ადამისა და ევის სამოთხიდგან განდევნა . . 15.

კაცობრიობის შთამომავლობა წარღვნამდე

9. ადამისა და ევის შვილნი: კაინი და აბელი . 16.
10 კაინის გაწბილებული შთამომავლობა . . . 18.
11. სეითის კეთილ-მოქმედი შთამომავლობა . . 19.
12. წარღვნა . . . . . . . . . . 21.
13. წარღვნის შეწყვეტა . . . . . . . 22.

წარღვნის შემდეგ კაცთა ნათესაობა და თემების წარმოდგომა.

14. განახლება ქვეყნისა და სარწმუნოებისა . . 24.
15. ნოეს წინასწარმეტყველობა თავის შვილების მომავალს ბედზე . . . . . . . 25.
16. ბაბილონის გოდოლის აშენება და სხვა და სხვა ხალხების წარმოდგომა . . . . . 26.

17. ენების წარმოება და ხალხების გაბნევა . . . 28.

18. ნოეს შთამამავლობაში კერპთ-მსახურების გამრავლება . . . . . . . . . . —


რჩეული ხალხების წარმოდგომა და მისი მამათ-მთავრები


19. აბრაამის ქანაანის ქვეყანაში გადასახლება . . 30.

20. აბრამის ლოთისაგან გაყრა . . . . . . 31.

21. ლოთის ტყვეობიდგან დახსნა და მელქისედექი . 32.

22. აგარი და იზმაილი . . . . . . . . 34.

23. უფლის აღთქმა აბრაამისათვის . . . . . . 35.

24. ღმერთის აბრაამისთვის გამოცხადება სამს მოგზაურის სახით დ სოდომისა დ გომორის დაღუპვა 36.

25. ისაკის შობა, ისმაილის განდევნა და ისაკის სხვერპლად შეწირვა . . . . . . . 40.

26. ისაკი და იმისი შვილები . . . . . . 42.

27. იაკობი . . . . . . . . . . . 44.

28. იაკობის სამშობლოში დაბრუნება . . . 46.

29. იაკობის ოჯახობა . . . . . . . . 47.

30. იოსების ძმებისაგან გაყიდვა . . . . . 49.

31. იოსების ცხოვრება ეგვიპტეში . . . . 50.

32. იოსების დიდება ეგვიპტის მეფის სასახლეში . 53.

33. იოსების პირველი ნახვა ძმებისაგან . . . 55.

34. იოსების მეორედ ნახვა ძმებისაგან . . . 57.

35. მრავალ ვნებული იობი . . . . . . 59.


ებრაელები ეგვიპტეში


39. იაკობის ეგვიპტეში გადასახლება . . . . 63.

40. იაკობისა და იოსების სიკვდილი . . . . 64.
41. იაკობისა და იოსების სიკვდილის შემდეგ ებრაელების მდგომარეობა . . . . . . . . 65.

დრონი ებრაელთა წინამძღვართა

42. დაბადება და აღზრდა მოსესი და ეგვიპტიდგან მისი გაქცევა . . . . . . . . 68.
43. მოწოდება მოსესი . . . . . . 71.
44. ებრაელთა გამოხსნა ეგვიპტელების მონებითგან 73.
45. ებრაელების ეგვიპტიდგან გამოსვლა . . 75.
46. ებრაელების მგზავრობა სინაის მთამდე და სასწაულები, ვიდრე ქანაანის ქვეყანამდე . . 77.
47. სინაის ჰსჯულდება . . . . . . 78.
48. კარავი წამებისა და მისი მოწყობილება, სასულიერო წოდება და ებრაელების დღესასწაულნი . 81.
49. მგზავრობა ებრაელებისა, სინაის მთიდგან ქანაანის ქვეყნამდე, არაბისტანის უდაბნოში 84.
50. ქორესი, დათანისა და აბირონის შეცილება აარონისათვის მღვდელ-მთავრობის თანამდებობაში. 86.
51. მოსე და აარონი და სპილენძის გველი. . . 88.
52. მოსესი და აარონის სიკვდილი . . . . 90.
53. ებრაელების ქანაანის ქვეყანაში შესვლა. . . 92.
54. იესო ნავენის განკარგულება და მისი სიკვდილი. 84.

მსაჯულების დრო

55. ებრაელების ყოფა-ქცევა და მათი მდგომარეობა მსაჯულების დროს . . . . . . . 96.

56. მსაჯულების წინა დრო და მათი რიცხვი . 98.
57. გედეონი, მისი მოქმედება და მისი ცხოვრება . 99.
58. ხვედრი გედეონის ოჯახისა . . . . . 101.
59. იეფთაე და მისი ასული . . . . . . . 104.
60 სამსონი, მისი ძალა, გამოცანაები და სიკვდილი 105.
61. ილი, სამოელი და მათი შვილები . . . 109.
62. პირველი, ღმერთისაგან აღრჩეული, მეფე ებრაე-
ლებისა: საული . . . . . . . . . 110.
63. დავითის სიძეობა საულთან . . . . . 113.
64. რისხვა ღვთისა საულზე . . . . . . 115.
65. საულის მტერობა დავითისადმი და დავითის
სულგრძელობა . . . . . . . . . 116.
66. საულის სიკვდილი და დავითის გამეფება . 120.
67. მეფობა დავითისა და მისი უბედურობა . 122.
68. სამღრთო წიგნნი ებრაელთა ხალხისა, სოლო-
მონის გამეფებამდე დაწერილნი . . . . 126.

დავითის შთამამავლობის მეფენი

69. სოლომონის მეფობა, მისი სიბრძნე, ტაძრის
აღშენება, დიდება და შეცოდება . . . 130.
70. სოლომონის უბედურება . . . . . . 135.
71. სოლომონის სამეფოს ორად გაყოფა . . 136.

ისტორია ისრაილების სამეფოსი

72. მეფობა იერობაამისა და მისი მოადგილეთა . 137.
73. წინასწარმეტყველი ელია და მეფე აქაბი . . 141.

74. წინასწარმეტყველი ელისე და მეფე იორამი . 145.
75. წინასწარმეტყველი იონა და იმის თავს გადასავალი . . . . . . . . . 148.
76. დამხობა ისრაილთა სამეფოსი . . . . 151.
77. ტობი და მისი შვილი ტობია . . . . 152.
78. იუდითი და მისი ღვაწლი . . . . 157.

ისტორია იუდასტანის სამეფოსი

79. ბედი იუდიელების სამეფოსი . . . . . 164.
80. მეფე ასა და მისი შვილი იასაფატი . . . —.
81. მიქია წინასწარმეტყველი . . . . . 168.
82. ესაია წინასწარმეტყველი . . . . . 169.
83. მეფენი აქაზი, ეზეკია და მანასე . . . . 172.
84. წინასწარმეტყველი იერემია . . . . . 175.
85. ურიების დატყვევება ნაბუქოდონოსორისაგან. 178.
86. იუდიანელების მდგომარეობა ბაბილონის ტყვეობაში და წინასწარმეტყველნი დანიელი და ეზეკიელი . . . . . . . . . 180.

დრონი სპარსეთის მფლობელობისა

87. იუდიანელების განთავისუფლება ბაბილონის ტყვეობიდგან . . . . . . . . 185.
88. მღვდელი ეზდრა და მეღვინეთხუცესი ნეემია და მათ მიერ სამოქალაქო და საეკლესიო წესის აღდგენა . . . . . . . . . 188.
89: წინასწარმეტყველები მათი განზრახვა და მოძღვრება . . . . . . . . . 194.

90. ესთერი და მარდაქე . . . . . . . . . 196.
91. ალექსანდრე მაკედონელი . . . . . . 198.
92. ებრაელები ეგვიპტის უფლებას ქვეშ . . 200.

ებრაელები სირიის მეფეების ხელ-ქვეშ

93. დიდი მწუხარება გამოიარეს ებრაელებმა ანტი-
ოქიის ბერძნების ხელში . . . . . 203.
94. ღვაწლი მატათე მღვდლის შვილებისა მაკაბელთა 208.
95 რომაელთა უფლების დრონი და მეფე იროდე . 210.
96. მოლოდინი მაცხოვრის მოსვლაზე . 212.

## ძველი აღთქმის

# საღმრთო ისტორია

### 1. შემეცნება სამ-პიროვან ღმერთისა

სახლი, რომელშიაც ჩვენ ვცხოვრებთ, აშენებულია. მაშ სჩანს, დედა-მიწაც, სადაც კაცი სცხოვრებს, გაკეთებულია, ანუ შექმნილია; ის შექმნა ღმერთმა, აქედგან სჩანს, რომ ღმერთი ქვეყნის შექმნაზედ წინ ყოფილა. იყო ისეთი დრო, რომ დედა-მიწა არ იყო, მაგრამ ისეთი დრო არ იყო, რომ ღმერთი არ ყოფილიყოს. იმას არ აქვს დასაბამი და ამისთვის ამბობენ, რომ ის დაუსაბამოა. რასაც დასაბამი არა აქვს, იმას არც დასასრული აქვს. მაშ ღმერთი უ ს რ უ ლ ი ყოფილა. ხოლო რასაც დასასრული არა აქვს, იმას უ კ უ ნ ი თ ს ვეძახით.

რასაც კი ჩვენ ქვეყანაზე ვხედავთ, ყველაფერი ღმერთისაგან არის შექმნილი. ამათი გაკეთება არავის შეეძლო, ღვთის გარდა; ამისათვის ვამბობთ, რომ ღმერთი ყ ო ვ ლ ა დ შ ე მ ძ ლ ე ბ ე ლ ი ა.

ყველაფერი, რასაც კი ქვეყანაზე ვხედავთ, მეტის-მეტად კარგად არის გარიგებული და გაკეთებული. კაცი ვერაოდეს ვერ შეიძლებს, ასრე კარგად გააკეთოს და ყვე-

ლაფერი გაარიგოს. მაშ სჩანს, კაცებს უფრო ნაკლები ჭკუა გვქონია, ვიდრე ღმერთსა. რადგან ღმერთმა ყვე-ლაფერი კარგად გააკეთა და მშვენიერად გაარიგა, ამისათვის კაცნი ვამბობთ, რომ იგი ყოვლად-ბრძენია. მაშ, თუ ღმერთი ყოვლად-ბრძენია, შეუძლებელია, რომ ქვეყანაზე იმისთანა რამ იყოს, რომ იმან არ იცოდეს; იმან ყვე-ლაფერი იცის, იცის რაც წარსულ დროში ყოფილა და იცის რაც იქნება. ამისათვის ის არის ყოვლად-მეცნიერი.

რომელი კაციც ჩვენ სიკეთეს გვიშვრება, იმას კეთილს და კაი კაცს ვეძახით. მაგრამ იმოდენა სიკეთე ჩვენთვის არავის უქმნია და გვიშვრება, რაოდენსაც ღმერთი. ის გვაძლევს: პურს, წყალს, ხილს და ყოველივეს, რაც ჩვენს გამოსაზრდელად საჭიროა. ამისათვის ღმერთს სახიერს ვეძახით.

აგრეთვე ღვთის სიძლიერეს ჩვენ ყოველს მის მიერ დაბადებულ არსებაში ვხედავთ. ამისათვის ვამბობთ, რომ ღმერთი ყოველგან-მყოფია.

ამ გვარად, რომ ვშინჯავთ უფლის ქმნილებას, და მშვენიერად ყოველივეს ქვეყანაზე გარიგებას, ჩვენ ვცნობთ, როგორი არის ღმერთი. ღმერთი არის უკუნითი, ყოვლად შემძლებელი, ყოვლად-ბრძენი, ყოვლად-მეცნიერი, ყოვლად-სახიერი, ყოვლად-წმინდა და ყოველგან-მყოფი. მაგრამ რა არის თვითონ ღმერთი, ამის შეტყობა ჩვენ არ შეგვიძლიან. ღმერთი ისეთი უმაღლესი არსება არის, რომ

ის ჩვენთვის მიუწვდომელია. მაგრამ ჩვენთვის მისი ცნობა მაინც და მაინც საჭიროა. ამისათვის მოწყალე და სახიერმა ღმერთმა მოგვცა განცხადება. ამ განცხადებაში სწერია, რომ ღმერთი სული არისო, და სხეული არა აქვსო, დედა-მიწისაგან ცალკე სცხოვრობსო და არის ერთიო; მაგრამ სამ-პიროვანიაო: მამა ღმერთი, ძე მღვთისა და სული წმინდა, მაგრამ ეს სამი პირი სამი ღმერთი არ არის, არამედ ერთია.

აი ამ სამ-პიროვან ღმერთმა შექმნა ყოველივე, რასაც ვხედავთ დედა-მიწაზე და ჩვენ გარემო—შექმნა მთელი სამყარო.

## 2. ანგელოზების შექმნა

იყო ისეთი დრო, რომ ღმერთის მეტი არავინ იყო. არ იყო არც ცა, არც დედამიწა, არც წყალი, არც ვარსკვლავნი და არცა რა სხვა რამე; მაშინ ღმერთმა შექმნა ანგელოზები. ანგელოზნი ისეთი არსებანი არიან, რომ ამათი სხეული ისეთი სპეტაკია, თხელი და ნაზი არის, რომ კაცი თვალით ვერ იხილავს. ისინი თავის ჭკუით და გონებით კაცზე მეტნი არიან; ამისათვის ისინი უფრო დაახლოვებულნი არიან ღმერთთან, ვიდრე კაცები; იმათ უფრო დიდი პატივი ეკუთვნით, ვიდრე კაცებსა. მაგრამ ეს ანგელოზნი ყველანი თანასწორნი არ არიან; ამისათვის ზოგნი ღმერთთან ახლოს სდგანან, ზოგნი უფრო მოშორებით. ამასგამო იმათაც ჰქვიანთ სხვა

და სხვა სახელები: ზოგსა ჰქვიანთ ქერაბიმნი, ზოგს სერაბიმნი. ზოგს მთავარ-ანგელოზნი, ზოგს ანგელოზნი და სხვ. სიტყვა ანგელოზი ნიშნავს მაუწყებელს. ამისათვის ესენი ანგელოზად წოდებულნი არიან, რომ ესენი ატყობინებენ კაცებს უფლის ნებას. რადგან ანგელოზებს თვალით ვერა ვხედავთ, ამისათვის იმათ საზოგადოთ უ ხ ი ლ ა ვ ს ქ ვ ე ყ ა ნ ა ს ვეძახით.

ანგელოზები ყველანი წმინდათ იყვნენ დაბადებულნი; მაგრამ ერთი უფროსთაგანი ისრე გაამპარტავნდა თავის დიდებით, რომ ღმერთთან თანასწორობა მოინდომა; აღარ იკადრა ღვთისთვის თაყვანის ცემა და ამისთვის დაჰშორდა თავის გამჩენს. ჯერ წმინდა სული იყო, მერმე კი ურჩებისა გამო ბოროტად გახდა. რადგან ღვთის წინააღმდეგი გახდა, ამისთვის იმას „ს ა ტ ა ნ ა“ უწოდეს. იგი არის ბოროტის მოქმედი და ცილის-მწამებელი. მრავალმა სხვა უმცროს ანგელოზებმაც უფროსისთვის მიხედვით დასტოვეს ღმერთი და შეუდგნენ ბოროტი ანგელოზების მოქმედებას. ასე ანგელოზნი გაიყვნენ ორ ნაწილად. ახლა ზოგნი იწოდებიან კეთილად და ემსახურებიან გამჩენს, ზოგნი ბოროტად და ემსახურებიან ბოროტს და ტყუილს, რადგან იმათი მთავარიც მტყუანი არის.

## 3. ხილული ქვეყნის შექმნა

ანგელოზების გაჩენის შემდეგ ღმერთმა მხოლოდ მიწა შეჰქმნა. ამ მიწაში იყო მასალები ყველაფრისა.

რომლებისაგანაც მერმე ღმერთმა შეადგინა დედა-მიწა, წყალი, ქვა, ჰაერი, ცეცხლი, მცენარეები და ცხოველები; ამ დრომდე კი ეს მასალები ერთმანერთში იყვნენ არეულნი: არ ერჩეოდა არც წყალი, არც მიწა, არც ცეცხლი და არც სხვა რამე. ამ მასალებს ღმერთმა ისეთი ძალა მისცა, რომ ისინი ისრე გარიგდნენ და გაკეთდნენ, როგორც ღმერთს უნდოდა. ეს ყველაფერი გაკეთდა და გარიგდა ექვს დღის განმავლობაში. გაურიგებელი მიწა წყვდიადით იყო დაფარული; მასზე სინათლე არ იყო; და სთქვა უფალმან: *შეიქმნეს ნათელი*, და იქმნა ნათელი. ეს მოხდა ქვეყნის შექმნის პირველ დღეს, დადგა მეორე დღე; ამ დღეს უფალმა გააჩინა ჰაერი, რომელიც დედა-მიწას გარს შემოეხვევა და დაიბადა ის ლაჟვარდი ცა, რომელსაც ეხლა ჩვენ ვხედავთ. ამასა ჰქვიან სამყარო. დადგა მესამე დღე: წყალი მიწაში იყო არეული. ამ დღეს უფლის ბრძანებით წყალი გაცალკდა მიწისაგან და ამ სახით დაიბადნენ მდინარენი, ზღვანი და კუნძულნი; მიწა გაშრა და გახდა *ნიადაგი*, რომელზედაც ახლა შეიძლებოდა, რომ ამოსულიყვნენ ბალახები და ხეები; ამისათვის უფლის ბრძანებით აღმოსცენდნენ *მცენარენი*. ამით გათავდა მესამე დღე, და დაიწყო მეოთხე დღე. მეოთხე დღეს ცაში გამოჩნდნენ *მნათობნი*: მზე, მთვარე და ვარსკვლავნი. მეხუთე დღეს უფლის ბრძანებით გაჩნდნენ და დაიწყეს ჰაერში ფრენა *ფრინველებმა* და წყალში *თევზებმა* — ცურვა. მეექვსე დღეს უფალმა შექმნა ცხო-

ველები და ამათ შემდეგ, სულ ბოლოს, შექმნა კაცი და ამითი დააგვირგვინა თავისი ქმნილება. ღმერთმა კაცი თავის ქვეყნიერს ქმნილებებს, როგორც გვირგვინი, ისე თავს დაადგა.

ყველა ესენი ღმერთმან არარაისაგან შექმნა, ამისათვის რომ, როცა იმან დაიწყო შექმნა, მაშინ, იმის მეტი, არაფერი არ იყო. ყოველი არსება: მცენარე და სულდგმული ღმერთმან ერთის თავის სიტყვით შექმნა, სთქვა: ყ ძ ბ ე ი ქ მ ნ ე ს ო, და ყოველიფერი გაჩნდა ისრე, როგორც თვითონ იმას უნდოდა. როგორ შექმნა ღმერთმან ყოველაფერი არარაისაგან ერთის თავის სიტყვით და თქმით, ამისი მიხვედრა ჩვენ არ შეგვიძლიან, ამისათვის რომ ჩვენი ჭკუა და გონება ამას ვერ მისწვდება. მაგრამ რაც კაცს არ შეუძლიან, ის ღმერთისათვის შესაძლოა. დიახ! ღმერთი არის შემოქმედი ც ი ს ა და ქ ვ ე ყ ნ ი ს ა, ხ ი ლ უ ლ ი ს ა და უ ხ ი ლ ა ვ ი ს ა, ღმერთი არის სახიერი და სახიერების გამო შექმნა ქვეყნიერებაცა. ის არაფერში არ საჭიროებდა; მაგრამ, რადგან კეთილი და მადლიანი იყო, ამისათვის ადამიანსაც გაუნაწილა ეს თავისი მადლი და კეთილი. უნდოდა, რომ კაცს მშვიდი, კეთილი და ნეტარი ცხოვრება ექონოდა ქვეყანაზე. ის არის მთელი ქვეყნიერობის პატრონი; იმას უჭირავს ხელში და უვლის ყველა არსებას და აძლევს რაც საჭიროა იმათ გამოსაკვებათ. ამისათვის ღმერთს არამც თუ შ ე მ ო ქ მ ე დ ა დ და მ პ ყ რ ო ბ ე ლ ა დ ვე-

წოდებთ, არამედ იგივე არის ჩვენი გ ა ნ მ გ ე ბ ი ც ა. მეშვიდე დღეს ყოვლადმან განისვენა, ამისათვის ამ დღეს ჩვენ ვეძახით შ ა ბ ა თ ს, რომელიც ნიშნავს განსვენებას.

## 4. კაცის შექმნა

ყოველს კაცს სულიცა აქვს და სხეულიცა. კაცი ღმერთმა შექმნა; მაშ ჩანს იმას მიუცია კაცისთვის სულიც და ხორციც. კაცის სხეული იმან ჯერ თიხა-მიწისაგან შექმნა; მერმე შთაბერა ამ სხეულში სული და ამით კაცი გაარჩია სხვა ცხოველებისაგან. ეს სული იმან შექმნა ხ ა ტ ე ბ ი ს ა და მ ს გ ა ვ ს ე ბ ი ს ა-მ ე ბ რ თ ვ ი ს ი ს ა. მაგრამ რას ნიშნავს კაცის სულის მსგავსებისა მებრ შექმნა? ავხსნათ მაგალითით: მზიან დღეს წყალში რომ ჩავიხედოთ, დავინახავთ, რა მშვენიერად მზე წყალში ბრწყინავს. ამ დროს კაცი წყალში არამც თუ მარტო მზის სხივებსა ხედავს, არამედ თვითონ მზესაცა, ასე რომ ერთს წყალში ხედავს, მეორეს ცაში. წყალში მყოფი არის სახე ცის კამარაზე მყოფი მზისა. წყალში მყოფი მზე ცოტაოდენად მიემსგავსება მართალს მზეს: ის ისეთივე მრგვალია და ბრწყინვარე, როგორათაც ცაში მყოფი; მაგრამ წყალში გამოსახულის სხივები უფრო სუსტნი არიან, ვიდრე ცაში მყოფი ნამდვილი მზისა. ამისათვის წყალში გამოსახულს ჩვენ თვალს ადვილად გაუმართავთ, ცაში მყოფს კი სრულიად სწორედ ვერ

შეჰხედავთ, ამისთვის რომ თვალებსა სჩხვლეტს. აი ამ სახით არის კაცის სული უფლის ხატების მსგავსი. რადგან კაცის სული უფლის სახე არის, ამისათვის იმას ყველა ის თვისებები აქვს, რაც თვითონ ღმერთსა; მაგრამ ეს თვისებები უფრო სუსტნი და მცირენი არიან, ვიდრე უფლისა. ღმერთი უხილავი სული არის, კაცის სულიც უხილავია. ღმერთი უ კ უ ნ ი თ ი ა, კაცის სულსაც არა აქვს დასასრული—უ კ ვ დ ა ვ ი ა. ღმერთი ყ ო ვ ლ ა დ ბ რ ძ ე ნ ი ა, კაცის სულსაცა აქვს ჭკუა, რომლითაც ის სცნობს, რა არის კარგი და რა არის ცუდი;—კაცის სული გ ო ნ ი ე რ ი ა. ღმერთი ყველაფერს თავის ნებით აკეთებს, კაცის სულიც თავის ნებაზე იქცევა. რაც უნდა იმას აკეთებს, რაც არა—უარსა ჰყოფს—ერიდება,—იგი თ ა ვ ი ს უ ფ ა ლ ი ა. უკვდავება, გონიერება, და თავისუფლება კაცის სულის ისრეთი თვისებებია, რომელნიც ამტკიცებენ, რომ კაცს ღ ვ თ ი ს ხ ა ტ ე ბ ა აქვს. რამდენიც კაცი თავის ჭკუა-გონებას ავარჯიშებს და ხსნის იმდენად ის უფრო და უფრო პოულობს ჭეშმარიტებას, სიმართლეს და უახლოვდება გამჩენ ღმერთს. კაცი, ხატებისა-მებრ უფლისა შექმნილი, მაშინ შეიქმნება იმისი მსგავსი, როცა გაიხსნის ჭკუა გონებას და შეიძენს სიმართლეს და ჭეშმარიტებას. რადგან კაცი უფლის ხატებით არის შექმნილი, ამისათვის ყოველიფერი, რაც კაცსა აქვს უფლისა, იმას ესიამოვნება; კაცისათვის ბედნიერება და ნეტარება. ის არის, რომ იმან თავის სახეში მსგავსება უფლისა დაიცვას. ასრე ამ სახით უფალმა კაცი

შეჰქმნა ბედნიერებისათვის და მიანიჭა ისრეთი სული, რომლითაც იმას შეუძლიან ბედნიერება მოიპოვოს.

პირველი კაცის სახელი იყო ადამი, დედაკაცისა ევა. ადამი წინ იყო შექმნილი, ევა მერმე. დედაკაცი ღმერთმა ადამის გვერდისაგან შეჰქმნა. ვიდრე ღმერთი ევას შეჰქმნიდა, ადამი მარტოდ იყო. როგორათაც მარტო ცხოვრება ყველა კაცს მოსწყინდება, ასრე ადამიც დანაღვლდა. ამისათვის, როცა იმას ღრმათ დაეძინა, უფალმა გამოუღო გვერდი და შეჰქმნა დედაკაცი. იმან მოიყვანა ევა ადამთან, აკურთხა ისინი—კაცი და დედაკაცი, და უთხრა: „გამრავლდით და აღავსეთ დედა-მიწა, პატრონებდეთ მას და უფლებდეთ ყველა პირ-უტყვთა ზედა.“

## 5. სამოთხე და ადამის და ევის ნეტარი ცხოვრება

ადამი და ევა სცხოვრებდნენ სამოთხეში. სამოთხე იყო დიდი და ვრცელი წალკოტი. ის იყო მოშენებული იმ ადგილას, სადაც ეხლა ტიგრი და ევფრატი მიმდინარეობენ. რადგან კაცი მაშინ არის ბედნიერი, როცა ის ყველაფრით კმაყოფილია და არაფერი აკლია; ამისათვის ღმერთმა კაცს მისცა ყველაფერი, რაც საჭირო და სასიამოვნო იყო იმის სულისა და სხეულისათვის. კაცის სხეულისათვის ჯერ საჭირო იყო სადგომი.

უფალმა მისცა სადგურად სამოთხე. ეს სამოთხე იყო მშვენიერი წალკოტი. ამაში იყვნენ ყველა ნაირი ხეხილები, რაც კი სულსა და გულს ესურვებოდა.

ამ მშვენიერს და მდიდარს ბაღში ცხოვრებდნენ აგრეთვე ყველა ცხოველებიცა. რადგან ადამი გონიერი და ჭკუიანი არსება იყო, ამისათვის ღმერთმა მთელი ეს ბაღი იმას ჩააბარა. ის იყო პატრონი ამ ბაღისა, და ამისათვის ცხოველებს და ხეხილებს ის უვლიდა. როცა ღმერთმა ადამი წალკოტში შეიყვანა, უბრძანა — ცხოველებისთვის სახელები დაერქვა. ადამმა ყველას შესაფერი სახელი უწოდა. აგრეთვე ღმერთმა ადამს უბრძანა, რომ წალკოტს მოუარე და შეამუშავე. მაშ სჩანს, ღმერთმა იმას უქმად ჯდომის ნება არ მისცა. საჭმელად იმას მისცა ბალახების მარცვლები და ხეხილების ნაყოფი; ცხოველებს კი მისცა საკვებად ბალახეულობა.

მაგრამ გარდა ჩვეულებრივი ხეხილებისა სამოთხეში იდგა ორი ხე: ერთს ერქვა: ხ ე ც ხ ო ვ რ ე ბ ი ს ა, მეორეს — ხ ე კ ე თ ი ლ ი ს ა დ ა ბ ო რ ო ტ ი ს ც ნ ო ბ ი ს ა. პირველის ნაყოფი ადამ და ევას იფარავდა ავადმყოფობისა და სიკვდილისაგან; მეორისას თუ სჭამდნენ, — მაშინვე მოკვდებოდნენ. ღმერთმა ადამი სამოთხეში რომ შეიყვანა, უთხრა: „არა სჭამო ხისაგან კეთილისა და ბოროტის ცნობისა, ამისათვის რომ, რა დღესაც სჭამ იმის ნაყოფსა, მაშინვე მოჰკვდები.“ ადამმა ეს მცნება თავის ცოლსაც — ევასაც შეატყობინა.

ასრე მშვენიერს და მდიდარს წალკოტში ადამი და ევა ნეტარად ცხოვრებდნენ. იმათი სხეული არ სნეულდებოდა, და არც იმათმა სულმა იცოდა ტყუილის თქმა და მტერობა: ისინი უმანკონი იყვნენ.

სამოთხეში ცხოვრების დროს ისინი სწავლობდნენ უფლის ქმნილებას, ცნობულობდნენ გამჩენს და ადიდებდნენ მას. ამისათვის ღმერთი მოდიოდა სამოთხეში და მუსაიფობდა იმათთან, უყვარდა როგორც შვილები და ასწავლიდა ყველაფერს, რაც იმათთვის საჭირო იყო.

## 6. ადამისა და ევის ცოდვაში შთავარდნა.

ადამი და ევა დიდხანს ვერ დარჩნენ სამოთხეში. ერთხელ ევა სამოთხეში დადიოდა და გაჩერდა იმ ხის წინ, რომელიც ღმერთმა აღუკრძალა, — იმას ისრე მშვენიერად ეჩვენა ეს ხე, რომ ეჭვი შეიტანა;—ღმერთი რათ აღგვიკრძალავდა ამ ხის ნაყოფსაო. ამ დროს ბოროტი სული—ეშმაკი—გველს, რომელიც ყველა პირუტყვზე უფრო ცბიერია, შეუძვრა მუცელში და უთხრა დედა კაცს: მართლა ღმერთმა აღგიკრძალათ ბაღში ხეხილების ნაყოფის ჭამა? ევამ მიუგო, რომ ჩვენ ბაღში ყველა ხეხილების ნაყოფსა ვჭამთო; მაგრამ აი ამ ხის ნაყოფს, რომელიც სამოთხის შუაშია, ბრძანა ღმერთმა, რომ ნუ სჭამთ და ნუ შეეხებით ამათო; თუ სჭამთ, მაშინვე მოკვდებითო. მაცდურმა ეშმაკმა ევას ლაპარა-

კიდევან კარგათ შეიტყო, რომ იმას მხოლოდ სიკვდილისა ეშინიან და არა უფლის ბრძანების გარდასვლისა და ამისათვის იმის დასამშვიდებლად უთხრა: „სრულებითაც არ მოკვდებით; გ ა რ ე მ მ ო მ . ღმერთმა იცის, რომ თქვენ სჭამთ თუ არა ამის ნაყოფსა, მაშინვე აგეხილებათ თვალები, და, როგორც ღმერთმა იცის, ისრე თქვენ გეცოდინებათ, რა არის კეთილი და ბოროტი.“

ამის შემდეგ ევამ იფიქრა, რომ ეს მშვენიერი ხე, თუ მართლაც ცოდნას შემძენს, რათ უნდა დავერიდო იმის მშვენიერსა ნაყოფის ჭამასო. ევამ აიღო ნაყოფი და შეჭამა, მოიტანა—თავის ქმარსაც მისცა და იმანაც შეჭამა. მაშინ იმათ ორივეს მართლაც თვალები აეხილათ; მაგრამ ისინი ღმერთებათ არ შეირაცხნენ; მხოლოდ ნახეს, რომ ისინი ტიტვლები არიან: სვინიდისმა იმათ შეწუხება დაუწყო, რომელსაც უმანკოებაში ისინი ვერა გრძნობდნენ. იმათ ახლა ერთმანერთისა რცხვენოდათ და ამისათვის მიშველს ტანზე ლეღვის ფოთლებს იფარებდნენ.

## 7. სასჯელი ცოდვისათვის და გამოხსნის აღთქმა

საღამოს—მწუხრის დროს—ადამმა და ევამ შეიტყეს, რომ უფალი ღმერთი ბაღში დადის. ისინი უწინდელს უმანკოებაში რომ ყოფილიყვნენ, მაშინვე წინ მი-

ჰგვებოდნენ; მაგრამ ახლა შიშმა და სინიდისმა ისრე შეაშფოთა ისინი, რომ ემალებოდნენ ღმერთს. ჭკუა-გონება და გაგება ისრე დაეხშოთ, რომ დაავიწყდათ—თუ ღმერთი ყოვლად-მეცნიერია: ღმერთს შეებრალა ისინი, და ამისათვის, რომ უფრო არ შეაძრწუნოს, დაუძახა ადამს: ადამ, ადამ, „სადა ხარ?“ ადამმა უპასუხა: „მე შევიტყე, რომ შენ სამოთხეში დადიხარ, და შემეშინდა; ამასთანავე მე ტიტველი ვარ, ამისათვის დავემალე.“ ღმერთს უნდოდა, რომ ადამი თავის ცოდვაში გამტყდარიყო და მოენანია ცოდვა, ამისათვის, ვითომც არ იცის, ადამს რა დამართნია, ასრე ჰკითხა: „შენ ვინ გითხრა, რომ ტიტველი ხარ? იმ ხის ნაყოფი, რომელიც მე შენ აღგიკრძალე, ხომ არ შეგიჭამნია?—ნაცვლად იმისა, რომ გატყდეს თავის ცოდვაში და შეიხვეწოს ღმერთი, ადამმა თავის მართლება დაიწყო და ერთის მხრით თვითონ ღმერთსვე აბრალებდა თავის ცოდვას. „დედა-კაცი, რომელიც შენ მე მომეცი,“ მიუგო ადამმა,—იმან მომიტანა მე ხის ნაყოფი, და მე ვჭამე.“ უბედურს ის კი დაავიწყდა, რომ ღმერთმა ევა მაშინ გააჩინა, როცა ის მარტოობით შეწუხდა და ეძებდა თავისთვის თანაშემწეს. მაშინ ღმერთმა ევას უთხრა:—„ეს რა გიქმნია?“—იმანაც სხვაზე მიათითა: „მაცდინა გველმა, და მე შევჭამე.“

ამის შემდეგ უფალი წარმოსთქვამს თავის მსჯავრსა მაცდურის გველზე, კაცზე და დედა-კაცზე.

იმან უთხრა გველსა:—იმისათვის, რომ შენ ეს ჰქმენი, წყეულიმც იყავ შენ წინაშე ყოვლისა პირუტყვისა

და ველის მხეცებისასა! დაცურავდე მუცლითა შენითა და სჭამდე მიწასა მთელს შენს სიცოცხლეში. მ ტ ე რ ო ბ ა დ ა ვ ს დ ვ ა შ ო რ ი ს შ ე ნ ს ა დ ა შ ო რ ი ს დ ე დ ა კ ა ც ი ს ა დ ა შ ო რ ი ს თ ე ს ლ ი ს ა მ ი ს ი ს ა: ი გ ი უ მ ზ ი რ დ ე ს თ ა ვ ს ა შ ე ნ ს ა დ ა შ ე ნ უ მ-ზ ი რ დ ე მ ი ს ს ა ბ რ ჭ ყ ა ლ ს ა. *)

დედა-კაცს ღმერთმა უთხრა: —„მწარითა ტკივნეულე-ბითა და კაეშნითა შობამდე შვილთა; და ქმარი გეუფლე-ბოდეს შენ.“

ბოლოს ადამს უთხრა: —რადგან შენ გაუგონე სიტყვასა ცოლისა შენისასა და სჭამე ხისაგან, რომლისაგან ჭამა მე შენ აღგიკრძალე, წყეულიმც იყოს დედა-მიწა შენის გამოისობით! მწუხარებითა ი კ ვ ე ბ ე ბ ო დ ე ი მ ი ს გ ა ნ მ თ ე ლ ს შენს სიცოცხლეში. ეკალსა და კუროსთავს აღმოაცენდეს იგი შენთვის; და (ნაკლებობაში) იძულებული იყო სჭამო ველის ბალახეულობა. ოფლითა

---

*) ეს სიტყვები ეშმაკს უწესებდა სასჯელს და დამარცხებას, კაცს კი აძლევდა ცხოვრების იმედს. ეშმაკს ეგონა, რომ კაცნი მუდამ იმის ხელში დარჩებოდნენ; მაგრამ ღმერთმა უთხრა ეშმაკს, რომ იმას კაცი დაამარც-ხებს; დედაკაცისაგან იშვება იმისთანა კაცი, რომელიც, ქუსლში დაშხამული და გამწარებული გაუჭეჭყს იმას თავს და გააუქმებს კაცზე იმის უფლებას. ადამისათვის ამ გვარი მოწყალების აღთქმა, ეშმაკისათვის შეადგენდა საშინელს ტანჯვა-ვაებას.

პირისა შენისათა სჭამდე პურსა, შენსა, ვიდრე მიწად მიიქცეოდე, რომლისაგან აღებული ხარ, რამეთუ მიწა ხარ და მიწადვე მიიქცე."

საშრომოდ და სასიკვდილოდ განსჯის შემდეგ ადამს ერთიღა ნუგეში რჩებოდა, რომ მოლოდინი ჰქონნოდა დედაკაცის ნ ო რ ჩ ი ს ა, რომელსაც კაცისთვის უნდა დაებრუნებინა დაკარგული ნეტარება. ამ ფიქრით იმან თავის ცოლს სახელად დაარქვა: ევა — სიცოცხლე, — რადგან კაცის შთამამავლობის მ ს ხ ნ ე ლ ი დედა-კაცის თესლისაგან უნდა შობილიყო.

## 8. ადამისა და ევის სამოთხიდგან განდევნა

ადამისა და ევის განსჯის შემდეგ ამათი სამოთხეში დატოვება აღარ შეიძლებოდა; ამისათვის რომ ისინი შესჭამდნენ ცხოვრების ხის ნაყოფს, და მაშინ საუკუნოდ ცოცხალნი დარჩებოდნენ. რადგან საუკუნოდ ცხოვრება, ამღვრეული და შეძრწუნებული სინიდისით, კაეშნით და ვნებებით, რომელნიც დასწიწკნიდნენ იმის გულს და არაოდეს არ დაკმაყოფილდებოდნენ — იქნებოდა საშინელი და მოუთმენელი საუკუნო ტანჯვა, ამისათვის ღმერთმა ადამი ედემის წალკოტიდგან განდევნა, რომ იმას ემუშავნა და მოეპოვებინა საზრდო მიწიდგან, რომლისაგანაც ის იყო შექმნილი; და რომ განდევნილმა

ვეღარ შეიძლოს ედემში დაბრუნება და ცხოვრების ხის ნაყოფის ჭამა, ღმერთმა ედემში დააყენა სერაბიმი: ამას ხელში ეჭირა ცეცხლის მათრახი და შეკრული ჰქონდა სამოთხეში შესავალი გზა.

## ᲙᲐᲪᲝᲑᲠᲘᲝᲑᲘᲡ ᲨᲗᲐᲛᲐᲛᲐᲕᲚᲝᲑᲐ ᲬᲐᲠᲦᲕᲜᲐᲛᲓᲔ

### 9. ადამისა და ევს შვილნი: კაინი და აბელი.

ადამ და ევას გაუჩნდათ პირველი შვილი. რადგან ევა თავის შვილისაგან მოელოდა ხსნას, როგორც ღმერთმა უთხრა, ამისთვის პირველ შვილს სახელად უწოდა: კ ა ი ნ, ესე იგი: მ ო პ ო ე ბ ა. მაგრამ ეს შვილი, რამდენიც იზრდებოდა, უფრო და უფრო ცუდს და ავს ზნეს აჩენდა, და დედ-მამას ამწარებდა. ამისათვის მეორე შვილს ევამ დაარქვა აბელი, ესე იგი: ამაოება, რომელიც ამას ნიშნავდა, რომ ის ამოდ ელის შვილისაგან გამოხსნასა.

კაინი მიწას მუშაობდა, აბელი კი იყო ცხვრის მწყემსი. დედ-მამამ ამათ ორივეს ასწავლეს სარწმუნოების წესი და რიგი. ამისათვის როცა ამათ ორივეს თავისი ქონება ჰქონდათ, ღვთისათვის მსხვერპლის შეწირვა მოინდომეს. კაინმა შესწირა თავისი ნაშრომით ხორბალი, აბელმა თავისი ცხვარი. მაგრამ აბელმა სასოებით უძღვნა ღმერთს მსხვერპლი, კაინმა კი დანანებით და უსასოოდ, ამისათვის ღმერთმა აბელის მსხვერპლი შეიწირა

და ციდგან მოვლენილი ცეცხლით დასწვა; კაინის სხვერპლი კი არ მიიღო და არც ცეცხლით დასწვა. კაინს ძლიერ ეწყინა, რომ ღმერთმა აბელის სხვერპლი მიიღო, იმისი კი არა; ამისათვის კაინს გულში ჩაუვარდა აბელის შური და მტრობდა, მუდამ თავ დახრილი და ნაღვლიანი დადიოდა. გულთა-მხილავმა ღმერთმა გაიგო მიზეზი კაინის დაღონებისა და უთხრა კაინს: „რა გეწყინა? და რაისათვის თავ ჩაღუნული ხარ? როცა შენ კარგ საქმესა შვრები, მაშინ პირდაპირ იყურები და თავი სწორე გიჭირავს; მაგრამ როცა ცოდვასა შვრები, მაშინ ცოდვა გდარაჯობს. ის თავისკენ გიწვევს; შენ ეცადე შენს გულის თქმას არ დაემორჩილო და კიდევაც აჯობო“.

მაგრამ კაინმა არ გაიგონა უფლის დარიგება. ერთხელ იმან გაისეირნა მინდორში აბელთან და იქ უეცრად თავს დაეცა ძმას და მოჰკლა. იმას ეგონა, რომ ვერავინ ვერ მნახა მე ძმის კვლელობის დროსო, და დამშვიდებული შინ მიდიოდა. მაგრამ ღმერთმა იხილა ეს საზარელი საქმე და ჰკითხა კაინს: „სად არის შენი ძმა აბელი?“ — კაინმა მიუგო: „არ ვიცი! მე ჩემი ძმის ყარაული ხომ არა ვარო?“ მაშინ უფალმა ~~უთხრა: —~~ „ეს რა გიქმნია შენ? შენი ძმის სისხლის ხმა დედამიწიდგან ღაღადებით ამოდის ჩემამდე; წყეული იყავ შენ დედამიწისაგან; იმან შენის ხელით მიიღო შენის ძმის სისხლი და ახლა ის შენ უარსა გეყოფს! როცა შენ იმას დაუწყებ ხვნას, ის შენ აღარ მოგცემს თავის ნაყოფს; შენ იქნები განდევნილი და იტანტალებ დედა-მიწაზე“. — ამაზე

კაინმა სთხოვა: „ჩემი სასჯელი ისეთი დიდი არის, რომ იმის ატანა მე არ შემიძლიანო, შენ მე მდევნი იმ მიწა-წყლიდგან, საცა დავიბადე, და იქ აღარ ვიქნები, საცა განგება შენი ხალხს უვლის; მე ვიქნები განდევნილი და ვიტანტალებ ქვეყანაზე: ამის შემდეგ, ვინც მე მნახავს, მაშინვე მომკლავს“. მაგრამ ღმერთმა უთხრა: „ვინც შენ მოგკლავს, იმას შვიდ ჯერ მოეკითხება“.—ღმერთმა კაინს დასდვა ისეთი ნ ი შ ა ნ ი, რომ ვინც იმას იხილავდა, მოერიდებოდა იმის მომკვლელს. კაინი განშორდა იმ ადგილს, საცა ღმერთი მოდიოდა და ემუსაიფებოდა კაცებს, და დასახლდა თავის დედ-მამაზე შორს.

## 10. კაინის გაწბილებული შთამამავლობა.

კაინი ცალკე შთამამავლობის მამათ მთავრად გახდა. იმან გადასცა თავის შთამამავლობას თავისი წყევლა და ბოროტება. კაინმა აღაშენა ქალაქი და უწოდა იმას თავის შვილის სახელი ენოქი, ენოქის შთამამავალმა პირველად შეირთო ორი ცოლი და შემოიღო მრავალ ცოლობის ჩვეულება. აქედამა სჩანს, რომ ლამექს ცოდვისა არ ეშინოდა და ზრუნავდა მხოლოდ ქვეყნიერს ცხოვრებაზე. როგორც ეს ლამექი, აგრეთვე სხვა კაინის შთამამავლობის კაცნი სულიერ საქმეს არ მისდევდნენ. კაინის შთამამავლობას ჰსურდა, რომ ჰქონოდა მხოლოდ

კეთილი ცხოვრება და გემრიელი სასმელ-საჭმელი, მშვე-
ნიერი სახლები და კარგი ტანსაცმელი. ქვეყანაზე პირ-
ველად კაინის შთამამავლობამ მოიპოვა მადნეულობის
შემუშავების ხელობა. მაგალითად იობალმა გამოიგონა
მუსიკი, ებანი და წინწილი; თობელმა—მჭედელმა—გა-
მოიგონა რკინისა და თუჯის ხმარების ხელობა. მაგრამ
ეს იყო კაინის შთამამავლობაში ცუდი და გასაკიცხავი,
რომ ყველანი მხოლოდ თავის-თავზედ ზრუნავდნენ და
მოყვასის უბედურებას არაფრად მიაჩნდათ. გამოჩნდნენ
იმისთანა გოლიათი კაცნი, რომ უღონოებს და ღარი-
ბებს მუდამ ჰსჩაგრავდნენ. ამისათვის კაინის თემს გა-
რად ეწოდება: „ძ ე ნ ი  კ ა ც ი ს ა ნ ი“ ანუ გულის-თქმი-
სანი და ნდომისანი, ამათ არა სწამდათ ერთი ღმერთი.

## 11. სეთის კეთილ-მოქმედი შთამამავლობა

კაინისა და სეთის შთამამავლობა ღმერთმა ადამის
სიცოცხლეშივე გააცალკევა და ორივე ეს შთამამავლობა
თავის თემის თავ კაცს უწოდებდნენ მ ა მ ა თ მ თ ა ვ ა რ ს.
უფალს უნდოდა, რომ იმის გაჩენილს ქვეყანაზე მრა-
ვალს ტომებს და თემებს ეცხოვრნათ და სხვა ენებზე
ედიდებინათ იმისი სახიერება და შემძლებელობა. ამ მი-
ზეზისა გამო უფლის განგებით დაიწყო ქვეყანაზე სხვა
და სხვა ხალხობა. ამ ორივე შთამამავლობას ძალიან
განსხვავებული მიმართულება ჰქონდათ. სეთის თემი

ღვთისა და კეთილის მოყვარე იყო. ამას რწამდა ერთი ღმერთი და დიდის სასოებით მოელოდა მაცხოვარს, ჰქონდა გულში კაცთა-მოყვარება, ღარიბისა და ობლის შებრალება. სეითის შთამამავლობის კაცები იწოდებოდნენ: „ძე ღ ვ თ ი ს ა დ“.

რადგან ამ სეითის შთამამავლობის კაცებს უყვარდათ ღმერთი, სიმართლე, პატიოსნური და ზომიერათ ცხოვრება, ამისათვის ხანგრძლივ ცოცხლებდნენ. ამ თემში მამათ მთავარნი შემდეგნი კაცნი იყვნენ: ენოქი, კაინანი, მალელეილი, იარედი, ენოსი, მათუსალი და ლამექი. მათ ყველას 600 წელზე ნაკლები არ უცხოვრნიათ; მაგრამ ერთმა — მათუსალამ — 969 წელიწადი იცოცხლა.

ღმერთს უნდოდა, რომ ამ სეითის შთამამავლობის კაცებს ცალკე ეცხოვრნათ და კაინის შთამამავლობაში არ ჩარეულიყვნენ. მაგრამ, როდესაც ქვეყანაზე ხალხი გამრავლდა, მაშინ კაინისა და სეითის თემებმა დაიწყეს ერთმანერთთან დაახლოვება. კაინის თემის მხიარული და უზრუნველი ცხოვრება სეითის თემს მოეწონა და დაიწყეს ერთმანერთში მისვლა-მოსვლა, მოყვრობა და ჩვეულების მიღება. ამ სახით დროს განმავლობაში სეითის თემში ისრე გავრცელდა კაინანთი ცუდი ზნე და ჩვეულებები, რომ აღარ იცნობებოდა, ვინ რომელ შთამამავლობას ეკუთნოდა, ასე რომ კაინისა და სეითის თემები სრულიად გაერთდნენ. ამ შეერთებამ ღმერთი ისრე განარისხა, რომ განაჩინა, ნოეს ოჯახის გარდა, ორივე შთამამავლობ..ს ამოეწყვიტა.

## 12. წარღვნა

ღმერთს უნდოდა კაინისა და სეითის გარყვნილი თემების დარიგებით მოქცევა. იმათ მოსაქცევად იმან გაგზავნა მამათ მთავარი ნოე და ამ საქმისათვის 120 წელიწადი დაუდო. ნოემ უქადაგა ცოდვის მონანებას და მოქცევა, მაგრამ იმას არ გაუგონეს; ამის შემდეგ ღმერთმა ნოეს უბრძანა წყლის გემის გაკეთება. ნოემ გააკეთა და სახელად უწოდა „კ ი დ ო ბ ა ნ ი“. ამ კიდობანს სიგრძე 65 საჟენი, ერთი არშინი და 14 გოჯი ჰქონდა, სიგანე 12 საჟენი, 2 არშინი და 13 გოჯი, სიმაღლე 6 საჟენი, 1 არშინი და 2 გოჯი. როცა ნოე ამ კიდობნის გაკეთებას მორჩა და ფისით გადაგლისა, ღმერთმა უთხრა, რომ შენის სახლობით შიგ შედიო. ნოე შევიდა და შიგ შეიყვანა შვიდ-შვიდი წყვილი წმინდა ცხოველებისა, ესე იგი, ცხვრისა, ძროხისა, თხისა, მტრედისა და გვრიტისა. უწმინდური ცხოველებისა კი შეიყვანა თითო წყვილი. წმინდა ცხოველები ისინი არიან, რომელნიც სამღვთოდ შეიწირვიან; უწმინდური ისინი, რომელნიც საღმთოდ შესაწირველად აღკრძალულნი არიან. ამის შემდეგ ნოეს გამოუცხადა, რომ შვიდ დღის შემდეგ დაიწყება წვიმები და ორმოც დღესა და ორმოც ღამეს გასტანსო.

ნოემ აღასრულა უფლის ბრძანება. რიცხვი კიდობანში შესული კაცებისა იყო რვა: ნოე და ამისი ცოლი,

და სამი იმისი შვილი: სემი, ქამი და იაფეტი და მათი ცოლები. ხალხის წარღვნის შემდეგ ღმერთს უნდოდა ნოეს სამი შვილისაგან სამი ძლიერი ხალხი წარმოეშობა, ნოე რომ შევიდა კიდობანში ღმერთმა დახურა კარები.

ნოემბრის თვის დამლევს წამოვიდა მხაპუნა წვიმა და ორმოც დღესა და ორმოც ღამეს გასტანა. მდინარეები ადიდდა, გადმოვიდა თავის ნაპირებიდგან და 150 დღის განმავლობაში წყალი უფრო და უფრო დიდდებოდა, და დაჰფარა მთელი დედა-მიწა. ამ დროს ნოეს კიდობანი დაცურავდა წყლის პირად. წარღვნამ დაახრჩო ყოველი სულდგმული; გადარჩნენ მხოლოდ კიდობანში მყოფნი. ეს წარღვნა, რომელმაც დაჰფარა მთელი დედა-მიწის ზურგი, იწოდება „საყოველთაო წარღვნად“.

## 13. წარღვნის შეწყვეტა

ექვს თვის შემდეგ, აპრილის ბოლოს, დაიწყო ქროლა ძლიერმა ქარმა, გაფანტა ღრუბლები და წყალი ჩაიგროვა ისევ ზღვებისა და მდინარეების ფსკერში. მაშინ ნოეს კიდობანი გაჩერდა სომხეთში არარატის მთაზე. ამის შემდეგ ნოემ ორმოცი დღე კიდევ შეიცადა და მერმე კიდობნიდგან გამოუშვა ყვავი; ყვავი მალე დაბრუნდა; მაგრამ კიდობანში არ შევიდა, არამედ იმის

ზანზე დაჯდა. შვიდ დღის შემდეგ მტრედი გამოუშვა; მტრედს უყვარს ხმელი ადგილი და სოფელთან მახლობლივ ყოფნა, ამისათვის იმან რომ ვერ იპოვა ფეხის დასადგმელი ხმელი ნიადაგი, უკანვე კიდობანში შემობრუნდა. ნოემ კიდევ შეიცადა შვიდი დღე და ღამე, მერმე მტრედი ხელ მეორედ აუშვა. ამ ხელად იმან ნოეს ნისკარტით ზეთის ხილის ფოთოლი მოუტანა. ნოეს ძლიერ გაუხარდა და სიხარულით შეუშვა კიდობანში, რადგან ის ღვთის წყალობის მახარობელი იყო. შვიდ დღის შემდეგ ის კიდევ გამოუშვეს; მაგრამ ის აღარ დაბრუნებულა. ამის შემდეგ ნოემ კიდევ რამდენიმე დღე შეიცადა და როცა შეატყო, რომ დედა-მიწა ახლა გაშრა და მცენარეებით შეიმოსა, ღვთის ნება დართვით, გამოვიდა კიდობნიდგან და ხელმეორედ იხილა გამშვენებული ქვეყანა წარღვნამ წყალში დამარხა ქვეყნიერობის წიკვლი და უკეთურება და მით მოასწავა ქრისტიანობრივი ნათლის ღება, რომელიც ემბაზში სპობს კაცის ცოდვას.

ეს წარღვნა იყო 2262 წელს ქვეყნის დაბადების შემდეგ, და ქრისტეს დაბადებაზე 3247 წლით უწინარეს.

# წარღვნის შემდეგ კაცთა ნათესაობა და თემების წარმოდგომა

## 14. განახლება ქვეყნისა და სარწმუნოებისა

წარღვნა რომ გათავდა და დედა-მიწა შეშრა, მაშინ ღმერთმა უთხრა ნოეს:—„გამოდი კიდობნიდგან და გამოიყვანე შენი ცოლი, შენი შვილები იმათი ცოლებითურთ და ყველა პირუტყვები: დაე ახლა გამრავლდნენ დედამიწის პირზე, ნაყოფი გამოიღონ და გამრავლდნენ“.—

ნოე გამოვიდა კიდობნიდგან, დადგა სამსხვერპლო და ღმერთს ყველა უმანკო პირუტყვთაგან და ფრინველთაგან შესწირა სამადლობელად სხვერპლი. ღმერთს ძლიერ ესიამოვნა და ნოეს უთხრა, რომ ამის შემდეგ წყლით წარღვნა აღარ იქმნებაო. აგრეთვე, როგორც პირველში ადამი და ევა, ისრე აკურთხა ნოე, დაუმორჩილა ყველა პირუტყვი და ფრინველები და ნება მისცა, რომ წვანილის გარდა, საჭმლად პირუტყვისა და ფრინველის ხორციც იხმარეო; მაგრამ იმათი სისხლი კი არა სჭამოო, და დასწყევლა ის პირუტყვი და კაცი, რომელიც დაანთხევს ღვთის სახით შექმნილ კაცის სისხლსა.

ბოლოს ღმერთმა ნოეს და იმის შვილებს უთხრა:—„ახლა მე დავსდებ ჩემს აღთქმას თქვენთან და მომავალ შთამამავლობასთან, რომ დედამიწის ასაოხრებლად წყლით

წარღვნას უკვე აღარ მოვავლენო. ამ აღთქმის ნიშნად მე ღრუბელში ვსდებ ცისარტყელასა. როცა მე დედა-მიწას მოვფენ ღრუბლებით, მაშინ ღრუბელში გამოჩნდება ცისარტყელა. მე რომ იმას ვიხილავ, მაშინ გავიხსენებ ჩემს საუკუნო აღთქმას თქვენთან. ამის შემდეგ წყლები აღარ მოასხდენენ წარღვნას იმის ამოსაწყვეტად, რაც დედა-მიწაზე არსებობს“.—

## 15. ნოეს წინასწარმეტყველობა თავის შვილების მომავალს ბედზე.

ნოე რომ გამოვიდა და დასახლდა სომხეთში, არარატის მთის მახლობლივ, დაიწყო მუშაკობა და გააშენა ვენახი. ერთხელ იმან იმდენი ღვინო დალია, რომ დაითვრო და თავის კარავში შიშველი დაწვა და დაიძინა. ქამს არ უყვარდა თავისი მამა და ამისათვის რომ ნახა ნოე გაშიშვლებულად მწოლარე, გაუხარდა და უთხრა თავის ძმებს, სემს და იაფეტს, რომ მამა ჩვენი, რომელიც გვიშლის აგზნებას, დღეს თვითონ დამთვრალა და შიშველს ჰძინავსო. სემმა და იაფეტმა გაიგეს თუ არა მამის უკადრისობა, მივიდნენ და ტანისამოსი გადააფარეს; მაგრამ იმ სახით, რომ მამის შიშველი ტანის ხილვას თვალი აარიდეს.

ნოეს რომ გამოეღვიძა და შეიტყო უმცროსი შვილისაგან მამის შეურაცხყოფა, ამპარტავნობა და უკადრო-

სობა, ძალიან ეწყინა და ასრე სთქვა: „წყეულიმც იყოს ქანაანი! თავის ძმების ხელში ის მონა მონათა იქმნებაო“. სემი და იაფეტი კი აკურთხა: სემს იმან უწინასწარმეტყველა, რომ იმისი შთამომავლობა ღვთის მოყვარე იქმნება და იესო ქრისტეც იმის გვარში დაიბადება. იაფეტს უთხრა, რომ იმისგან წარმოიშობიან მრავალი ხალხები და სემის შთამომავლობის ლოცვა-კურთხევაში მონაწილე იქმნებიო.

ამის შემდეგ ნოეს ამ სამ შვილთაგან წარმოიშვნენ მრავალი ხალხები.

## 16. ბაბილონის გოდოლის აშენება და სხვა და სხვა ხალხების წარმოდგომა

უხვიერმა უფლის მადლმა მოიწადინა ქვეყანაზე მრავალ გვარისა და შთამომავლობის ხალხების წარმოშობა. ამისათვის დროს და დროს განმავლობაში ღმერთი ამრავალტომებდა კაცთა ნათესავს.

მაგრამ კაცობრიობა ეწინააღმდეგებოდა ღვთის განგებას. მას ჰსურდა ერთ ხალხად ყოფნა. ნოეს სამი შვილისაგან კაცობრიობა ძალიან განმრავალნათესავდა; ამისათვის ზნე, ჩვეულება და ხელსაქმეც ამ ხალხებისა ერთმანერთისაგან განსხვავდნენ; მაგრამ ჯერ ყველანი ერთ ენაზე ლაპარაკობდნენ და ერთს უდიდესს გვარს

შეადგენდნენ; სომხეთიდგან დაიწყეს დაშენება აღმოსავლეთისკენ, ჩრდილოეთისკენ და დასავლეთისკენ. ქამის შთამომავლობა კი ქალდეას ქვეყანაში დაეშენა. რადგან ამ შთამომავლობის კაცებმა იცოდნენ ნოეს წინასწარმეტყველებიდგან, რომ უნდა გაბნეულიყვნენ დედა-მიწის პირზე და სემისა და იაფეტის შთამომავლობის გვარების მონები უნდა გამხდარიყვნენ, ამისათვის ღვთის განგების წინააღმდეგობა მოინდომეს. ამ განზრახვით მიიმხრო სემისა და იაფეტის შთამომავლობის ზოგიერთი თემები და სენაარის ხეობაში დაიწყო იმისთანა ქალაქის დაშენება, რომელშიაც კი შესძლებოდათ დატევა და ცხოვრება ყველა თემებს და არ გაბნეულიყვნენ. მაგრამ რადგან კარგად იცოდნენ, რომ ეს განზრახვა ღვთის განგების წინააღმდეგი იყო, ამისათვის შიშობდნენ, რომ ღმერთმა კიდევ წარღვნით არ მოგვასპოსო. ამ შიშისაგამო, რომ წარღვნის დროს თავი შეაფარონ და გადარჩნენ ამოწყვეტას, განიზრახეს ამ ქალაქში იმისთანა გოდოლის აღშენება, რომლის სიმაღლეც კი ცამდე ასწვდეს. ამ განზრახვით ქამის შთამომავლობამ ასრე უთხრა სემისა და იაფეტის შთამომავლობის თემებს: „აღვიშენოთ ქალაქი და იმისთანა გოდოლი, რომ სიმაღლით ცას შესწვდებოდეს“. დაიწყეს აღშენება და რადგან სენაარის ველზე ქვა არ იშოვებოდა, დაიწყეს აგურის და კირის დაწვა, და კირის მაგიერად გოდოლის აშენებაზე მიწა ნარევი კუპრი იხმარეს.

## 17. ენების წარმოება და ხალხების გაბნევა

ღმერთმა რომ ნახა ამათი კადნიერი და ამაო შრომა, სთქვა: „აგერ ერთი ხალხია და ყველასა ერთი ენა აქვს: იმათ კიდევაც დაიწყეს მუშაობა და იმათ აღარ ექმნებათ დაბრკოლება იმაში, რის გაკეთებაც განიზრახეს. წარვიდეთ უკვე იქ და აღურიოთ იმათ ენა, ასე რომ ერთს არ ესმოდეს, მეორე რას ამბობს“.—ამის შემდეგ უფალმა აწარმოვა სხვა და სხვა ენები და იმათ რომ აღარ ესმოდათ ერთმანერთის ლაპარაკი სხვა და სხვა ენებზე, განიბნივნენ სხვა და სხვა ქვეყნის მხარეს. მას აქეთ ამ ქალაქს სახელად დაერქვა ბ ა ბ ი ლ ო ნ ი, რომელიც ენის აღრევას ნიშნავს.

აი ამ სახით წარმოსდგნენ ქვეყანაზე სხვა და სხვა ხალხები და ენები, და მას აქეთ ხალხები და ენები, ღვთის ნებით, უფრო და უფრო მრავლდებიან.

## 18. ნოეს შთამამავლობაში კერპთ-მსახურე-ბის განმრავლება

ვიდრე მამათ მთავარი არფაქსათი, სალა, ებერა, სერუქი, ნაქორი და ენოქი ცოცხალნი იყვნენ, ხალხს ასწავლიდნენ ღვთის მსახურებას და ამ სახით იცავდნენ ჭეშმარიტს სარწმუნოებას; მაგრამ ესენი რომ დაიხოცნენ

და ხალხი გაირყვნა, ქვეყანაზე იმისთანა კაცი აღარ მოი-პოვებოდა, რომ ღვთის გამოცხადების და მისათვის ღირსი ყოფილიყო. ამისგამო ხალხს დაავიწყდა ჭეშმა-რიტი სარწმუნოება, მიჰყვა ცრუ მორწმუნოებას, გულის თქმის გემოვნებას და ნელა-ნელა შეჰყვა კერპთ-თაყვანის მცემლობას.

კაცი ჯერ ცხოვრებაში ხედვიდა მრავალს გასაკვირ მოვლენას, მაგრამ რომ არ ესმოდა ამეების მიზეზები, შიშით აითახთახებდა და ღმობიერებით უყურებდა. როცა ხედავდა აღელვებულს ზღვას, ესმოდა საშინელი ქუხი-ლი და შემაძრწუნებელი მიწის ძვრა, ქარიშხალის დროს მთების გრუხუნი, ხედავდა საზარელს გველს და ვეშაპს, იმას უკრთოდა გული, მეცადინეობდა გაგებას, მაგრამ რომ არ ესმოდა, ამისთვის ფიქრობდა, რომ ყველა ესე-ნი კაცის შემომქმედი ღმერთები არიანო, და თავის შე-საბრალებლად სარწმუნოებრივის მოწიწებით და ღმობი-ერებით ლაღადებდა ამ ბუნების მოვლენაების წინ. მაგრამ თავის შესაბრალებლად და იმათთან უფრო დასაახლოებლად კაცები ქვებისა და რკინისაგან გამოაქანდაკებდნენ იმისთანა კერპებს, რა სახითაც რომელსამე ღმერთს კაცი წარმოიდ-გენდა თავის გონებაში. ამ სახით ნაცვლად ერთი ჭეშმარიტი უხილავი ღმერთისა იმათ გაუხდათ მრავალი ღმერთები: იუპიტერი, იუნონა, ცერერა, ნეპტუნი, მინერვა და სხვ.

აი ასრე წარმოსდგა ქვეყანაზე კერპთ-თაყვანის-მცემლობა და კაცთა შვილებისა და დატყვევებული კაცე-ბის კერპთათვის სხვერპლად შეწირვა.

# რჩეული ხალხების წარმოდგომა და მისი მამათ-მთავრები

## 19. აბრამის ქანაანის ქვეყანაში გადასახლება

როცა კაცებმა ყველამ დაივიწყეს ღმერთი და გაირყვნენ, ქვეყანაზე იყო მხოლოდ ერთი კაცი, სახელად აბრამი, და ამას ახსოვდა ჭეშმარიტი ღმერთი და იმას ავედრებდა თავის სულს. ის ცხოვრებდა ამ დროს ქალდეის ქვეყანაში.

ქვეყანაზე ჭეშმარიტი სარწმუნოების დასაცველად ღმერთმა ეს აბრამი გამოიყვანა მამის სახლიდგან და გადაასახლა ქანაანის ქვეყანაში. ამის მამას სახელად ერქვა თარა და აბრამი იყო უნცროსი შვილი. როცა ეს 75 წლისა იყო, ღმერთი გამოეცხადა და უთხრა:—„გამოდი შენის მამის სახლიდგან და წადი იმ ქვეყანაში, რომელსაც მე შენ გიჩვენებ. იქ მე შენ დაგიწყებ წყალობას და შენგან წარმოვშობავ ისეთს მრავალს ხალხს, რომ სახელი შენი წარჩინებული იყოს; ხოლო შენ იქმნები მრავალი ხალხების კურთხევის ნიმუში და მიზეზი. რომელნი ხალხებიც ირწმუნებენ, რომ მე შენ გწყალობ, ისინი ამ კურთხევაში მონაწილენი იქმნებიან; ხოლო რომელნიც ბოროტად მოგიხსენებენ შენ, მე იმათ შევამთხვევ ყოველს გვარს ბოროტებას. და შენის გამოისობით

ყველა ტომნი ქვეყნისანი მიიღებენ კურთხევასა ღვთისასა“.—როცა აბრამმა თავის მამას უამბო უფლის გამოცხადება და თავის განმორების უსაჭიროესობა, მაშინ ფარამაც განიზრახა თავის შვილისთვის გაყოლვა. აბრამმა აიყვანა თავისი ცოლი სარა, ძმის წული ლოთი, თავისი მხვედრი და ლოთის წილი სიმდიდრე და ქალდეას ქვეყნიდგან ჩრდილოეთისკენ წავიდა. ღმერთს არ სურდა, რომ ფარა, რომელიც კერპთაყვანის მცემელი იყო, დარჩენილიყო ამ სახლობაში; ამისათვის გზაზე ავათ გახდა და მოკვდა. ამ აბრამმა განაგრძელა თავისი მგზავრობა, გავიდა ევფრატის მდინარეს და მიბრუნდა ჩრდილოეთ-დასავლეთისკენ ქანაანის ქვეყანაში.

ქანაანში ამ დროს სცხოვრებდნენ ქანანეველნი. როცა აბრამი მოვიდა ქანაანში მორეს მუხროვანთან, გამოეცხადა ღმერთი და აღუთქვა, რომ ამ მიწა-წყალს შენს შთამომავლობას მივცემო. უფლის გამოცხადების სამახსოვროდ აქ აბრამმა სხვერპლი შესწირა და მერმე დასახლდა.

## 20. აბრამის ლოთისაგან გაყრა

აბრამს ძალიან უყვარდა თავისი ძმისწული ლოთი; მაგრამ ერთსაც და მეორესაც დიდი პირუტყვის ჯოგები ჰყვანდათ და ამათი მწყემსები საბალახო ადგილებისათვის მუდამ ჩხუბობდნენ. ჩხუბი აბრამს ძლიერ სწყინდა და

ამისათვის მოუწოდა ლოთს და ასრე უთხრა: „რათ ვაძლევთ ნებას, რომ ჩვენ შორის ჩხუბი მოხდეს? ჩვენ ნათესავები ვართ. ეს ამოდენა ქვეყანა ჩვენ წინ გვიძევს. თუ გსურს—გამეყარე. თუ შენ მარცხნივ წახვალ, მე მარჯვნივ, და თუ შენ მარჯვნივ წახვალ, მე მარცხნივ გავბრუნდები". ლოთმა არჩევანი არ მისცა; თვითონ გადაავლო თვალი არე-მარეს და იორდანე მდინარის ხეობა ძლიერ მოეწონა და ის აირჩია თავის საცხოვ-რებლად; მაგრამ ის კი სრულიად არ გამოიკვლია, რომ აქ მცხოვრები ხალხი უღთო და გარყვნილი იყო. ამ ნაირად გაიყარნენ აბრამი და ლოთი. ამის შემდეგ ღმერთმა უთხრა აბრამს: „მაგ ადგილიდგან, სადაც ეხლა შენ სდგეხარ, შეიხედე ჩრდილოეთისკენ, სამხრე-თისკენ, აღმოსავლეთისკენ და დასავლეთისკენ; მთელ მიწა-წყალს, რომელსაც შენ ჰხედავ, საშვილის-შვილოდ შენ და შენს შთამომავლობას მივცემ, და იმას ისრე გა-ვამრავლებ, როგორც ზღვაში ქვიშაა მრავალი და ცაში ვარსკვლავები. აბრამმა დაიჯერა უფლის აღთქმა და ნუგე-ში მიეცა უცხო ქვეყანაში, სადაც ის დარდობდა.

## 21. ლოთის ტყვეობიდგან დახსნა და მელქისედექი

იორდანე მდინარის ველზე იყო დიდი ქალაქი სოდომი და ამაში სცხოვრობდა ლოთი. ამ ქალაქის

ვარდა აქ იყო ვიდრე ოთხი ქალაქი: გომორა, ადამა, სებოიმი და ბელა. ამ ხუთივე ქალაქს თავთავისი მეფეები ჰყვანდათ; მაგრამ ყველა ელამეთის მეფეს ემორჩილე-ბოდნენ. ამათ მოინდომეს ელამეთის მეფის ხელიდგან თავის დახსნა; მაგრამ ელამეთის მეფემ შეიტყო თუ არა, მაშინვე იმათ თავს დაესხა და აიღო იმათი ქალაქები და მრავალი ხალხი დაატყვევა. დატყვევებულებში ერია აბრამის ძმისწული ლოთიცა. აბრამმა რომ შეიტყო ლო-თის უბედურება, მაშინვე შეჰყარა თავისი ბიჭები 318 კაცი, გამოუდგა ელამეთის მეფეს, დაეწია, დაამარცხა და გამოიხსნა ლოთიც და სხვანიცა. რაც დავლა ჰქონდათ ელამეთელებს, სულ უკანვე წაართვა. როცა უკან დაბრუნდა და შინ მოდიოდა, მაშინ წინ მიეგება სალიმის მეფე მელქისედეკი და მიართვა პური და ღვინო. მელქისე-დეკი იყო მღვდელ-მთავარი უფლისა: ამისათვის აკურთხა აბრამი და ასრე უთხრა; „კურთხეულ არს აბრამი უზე-ნაესი ღვთისაგან, რომელსაც ცა და ქვეყანა უპყრია; და კურთხეულ არს ღმერთი უზენაესი, რომელმაც მოგცნა ხელსა შინა შენსა მტერნი შენნი". ამის შემდეგ აბრამმა თავის დავლის მეათე ნაწილი მელქისედეკს მიართო. ამავე დროს აბრამს მიეგება სოდომის მეფე და სთხოვა, რომ ტყვეობიდგან გამოხსნილი ჩემი კაცები დამიბრუნე და რაც დავლა გიშოვია, ისკი შენთვის დაინარჩუნე. მაგ-რამ აბრამმა ასრე უთხრა: „ვფიცავ უზენაესსა ღმერთსა, რომ რაც შენ გეკუთვნის იმისგან მე თითქმის ერთს ძაფსა და წაღის ჩასხსაკლავსაც არ ავიღებ, რომ შენ

არა სთქვა:—მე გავამდიდრე აბრამიო;—მაგრამ ის კი უნდა ავიღო, რაც მე იმის დროს ჩემს მონებზე დამეხარჯაო“.

## 22. აგარი და იზმაილი

მას აქეთ, რაც აბრამი დასახლდა ქანაანის ქვეყანაში, ღმერთმა სამჯერ გაუმეორა თავისი აღთქმა, რომ იმისაგან წარმოშობავს უთვალავს ხალხს; მაგრამ ცოლი მისი ბერდებოდა და შვილი კი არ უჩნდებოდა. სარას ეგონა, რომ უშვილობის მიზეზი მე ვარო და ამისათვის ქმარს - აბრამს ნება მისცა, რომ იმას თავისი მოახლე, ეგვიპტელი აგარი, ხასად დაესვა იმ პირობით, რომ იმისგან ნაშობი შვილები სარას შვილებათ შერაცხილი ყოფილიყვნენ. აბრამმა მიიღო სარას რჩევა. მაგრამ აგარი რომ გახდა აბრამის ცოლადაც, დაუწყო სარას ამაყად მოპყრობა. სარამ ამისთვის იჩივლა აგარზე აბრამთან, და აბრამმა უთხრა სარას, რომ მოახლე შენი არისო და როგორც გსურდეს, ისრე მოექეციო. მაშინ სარამ დაუწყო ჩაგვრა და ამისათვის აგარი გაექცა აბრამს. როცა აგარი მიდიოდა ეგვიპტეში, მაშინ გამოეცხადა იმას ანგელოზი და ჰკითხა: „აგარო, მხევალო სარასაო! აქ საიდგან მოსულხარ? და საით მიხვალ“? შეშინებულმა აგარმა სიმართლით უთხრა: „მე მივეხეხრწები ჩემ ქალბატონს სარასაო“; ანგელოზმა კვლავ ამაზე უთხრა: „დაბ-

რუნდი შენს ქალბატონთან და იმასთან იცხოვრე; შენ შობავ შვილს და იმას სახელად უწოდებ ი ს მ ა ი ლ ს; ღმერთმა შეისმინა შენი ტანჯვა. შენი შვილი ხალხთა შორის ისრეთი იქნება, როგორც გაუხედნელი კვიცი; ის ყველას მუშტით დაემუქრება და ყველა იმას; მაგრამ მაინც და მაინც თავის შთამომავლობის ხალხებში თემების მახლობლად იცხოვრებს". ამის შემდეგ აგარი დაბრუნდა სახლში და უშვა აბრამს შვილი ი ს მ ა ი ლ ი.

## 23. უფლის აღთქმა აბრამისათვის

როცა აბრამი 99 წლისა გახდა და სარა 90-სა, გამოეცხადა იმას ღმერთი და უთხრა: „იყავ უმანკო და მე დავსდებ შენთან საუკუნოდ აღთქმას; შენ შეიქმნები უმრავლესი ხალხების მამად და ამის შემდეგ შენ აღარ გერქმევა აბრამი (მამა წარჩინებული); არამედ სახელი შენი იყოს აბრაამი; ამისათვის რომ მე შენ გაგხდი მ ა მ ა თ მ რ ა ვ ა ლ ი ხ ა ლ ხ ე ბ ი ს ა. შენგან წარმოსდგებიან ხალხებიც და მეფეებიც და მე საუკუნოდ დავსდებ ჩემს აღთქმას შენთან და შენს შთამომავლობასთან, რომ მე თქვენი ღმერთი ვიქნები, და თქვენ მოგცემ მთელს ქანაანის ქვეყანას საშვილი-შვილოდ. ჩემის აღთქმის ნიშნად ჩვენ შორის იქმნება წ ი ნ ა დ ა ც ვ ე თ ა. დაბადების მერვე დღეს ყველა მამრობითი ნათესავმა წ ი ნ ა დ ა ც ვ ე თ ა უნდა მიიღოს, ვინც წინადაცვეთას

არ მიიღებს, იმ ჩემი მცნების დამარღვეველი იქმნება და ჩემთან არა აქვს ჩემს ხალხთან ცხოვრებისა. შენს ცოლს სარას ამის შემდეგ ს ა რ ა დ (ქალბატონად) ნულარ უწოდებ; იმისი სახელი ახლა ს ა რ რ ა იყოს, რომელიც ნიშნავს: მ რ ა ვ ა ლ თ ა ქ ა ლ ბ ა ტ ო ნ ს. მე ვაკურთხებ იმას და იმისგან იშვებიან ხ ა ლ ხ ე ბ ი და მ ე ფ ე ნ ი“.

აბრაამმა დიდის მოწიწებით მოისმინა უფლის აღთქმა და ამასთანავე ჩაიცინა და უთხრა: ნუ თუ ასი წლის მოხუცისაგან კიდევ ყმანი იშობებიან? და ნუ თუ ოთხმოცდა ათი წლის სარრა კიდევ ჰშობავს? დიაღ, ცოლი შენი, სახელდობრ სარრა, გიშობს შენ შვილს და იმას სახელად უწოდებ ისააკ, რომელიც ნიშნავს: ს ი ც ი ლ ს.

ამის შემდეგ აბრაამმა თვითონაც მიიღო წინადაცვეთა და თავის 13-ს წლის შვილს იზმაილსაც მიაღებინა, და ყველა თავის სახლში მყოფ მონებსაცა.

## **24.** ღმერთის აბრაამისთვის გამოცხადება სამს მოგზაურის სახით და სოდომისა და გომორის დაღუპვა

რამდენიმე დრო რომ გავიდა, უფალი კიდევ გამოეცხადა აბრაამს. ერთხელ ის იჯდა მამრე მუხროვანთან თავის კარვის წინ და იხილა იმისკენ მიმავალი სამი მგზავრი. აბრაამი ადგა ფეხზე, მიეგება წინ და უთხრა:

„მეუფეო ჩემო! თუ გიყვარვარ, ნუ მიმოივლი შენის მონის სახლსა, ნება მიბოძეთ წყალი მოგართვათ და დაგბანოთ ფეხები. მერმე თქვენ აი ამ ხეს ქვეშ მოისვენეთ; მე კი წავალ და პურს მოგიტანთ, რომ მგზავრობისათვის ცოტა ღონე მიიცეთ". მგზავრნი თანახმა გახდნენ და აბრაამი მივიდა შინ და უთხრა სარრას, რომ იმას წმინდა ფქვილისაგან პური გამოეცხო; თვითონ კი მიირბინა და უბრძანა მონებს, რომ მოეყვანათ ერთი მსუქანი ზვარაკი და სტუმრებისათვის საჭმელი მოემზადებინათ. როცა ყველაფერი მოართვეს სტუმრებს, აბრაამი იმათ თავს ადგათ და ემსახურებოდათ. ამ დროს ერთმა მოგზაურთაგანმა უთხრა აბრაამს: „სად არის ცოლი შენი სარრა?"—იმან უპასუხა, რომ შინ არისო. ამის შემდეგ ერთმა მგზავრთაგანმა, რომელიც თვით უფალი იყო, უთხრა:—„უთუოდ წლეულსვე მე კიდევ გეწვევი შენ; მაშინ სარრას, შენს ცოლს, შვილი ეყოლება".—სარრა ამ დროს სახლში იყო და ეს ლაპარაკი რომ შეიტყო, გაეცინა. გულთამხილავმა ღმერთმა და ჰკითხა აბრაამს:—„რათ იცინის სარრა და იჭვნეულობს? განა ღვთისათვის არის რამე შეუძლებელი"?—

ამის შემდეგ აბრაამის სტუმრები ადგნენ და გაემართნენ ქალაქს სოდომს. სტუმართმოყვარე აბრაამმა ისინი გააცილა. როცა მიდიოდნენ, მაშინ მგზავრების უფროსმა სთქვა, რომ მე აბრაამისაგან არას დავუფარავო და მერმე უთხრა, რომ მე სოდომის და გომორის ქალაქები უნდა გავაოხროვო, რადგან იქ მცხოვრებლებში დიდი გარყვნი-

ლება და ცოდვა ტრიალებსო. აბრაამი მაშინდა მიხვდა, რომ იმასთან უფალი ღმერთი ლაპარაკობდა და გულ-ტკივნეულად უთხრა: „უფალო! განა მართალსაც ცოდვი-ლებთან ერთად დაღუპავ? იქნება ამ ქალაქში ორმოცდა-ათი მართალი იყოს"? უფალმა მიუგო, რომ თუ ქა-ლაქში ორმოცდაათი მართალი იქნება, შევიბრალებო". აბრაამმა ბოლოში მოითხოვა უფალთან გაკადნიერებული ლაპარაკისათვის და კიდევ უთხრა: „იქნება ორმოცდა-ათს მართალს ხუთი აკლდეს; ნუ თუ შენ ხუთის ნაკლუ-ლობისათვის მთელს ამ ქალაქებს დაღუპავ"? უფალმა კიდევ უთხრა: „არ ამოვსწყვეტავ, უკეთუ მე იქ ორმოც და ხუთს ვიპოვი. აბრაამმა კიდევ უთხრა: „იქნება ორ-მოცი იპოვებოდეს? შევიბრალებ ორმოცისათვის, უთხრა კიდევ უფალმა; მაგრამ აბრაამმა კიდევ სთქვა: „იმედი მაქვს მეუფევ არ გამირისხდები, რომ მე მსურს კიდევ ვსთქვა: იქნება იქ ოცდა ათი იპოვებოდეს. უფალმა უთხრა, რომ არც ოცდა ათისა და არც ოცისათვის ამოვსწყვეტავ ქალაქსო. მერმე აბრაამმა უკანასკნელად უთხრა: იქნება ათი იპოვებოდესო? უფალი დაჰპირდა, რომ არც ათისათვის დაღუპავს ქალაქსო.

ამის შემდეგ აბრაამი შინ დაბრუნდა, ისინი თავის გზაზე წავიდნენ. გზიდგან ორმა ანგელოზმა გადუხვია სოდომისა და გომორის ქალაქისკენ. შიგ ქალაქში თა-ვის სახლის წინ ლოთი შემოეყარათ და სთხოვა, რომ ამაღამ ჩემს სახლში მობრუნდით და ღამე გაათევეთო, ანგელოზებმა უარი უთხრეს, მაგრამ სულ ეხვეწა მოყვარე

ლოთი არ მოეშვათ და როგორც იყო, დიდის ხვეწნით, ისინი სახლში მიიწვია. ამ დროს ისინი დაინახეს სოდომელებმაც, მოსცვივდნენ ლოთის სახლს და დაუწყეს კარებს რახუნი და თქმა, რომ თქვენსას ვიღაცა ყმაწვილები შემოვიდნენ და ეხლავე მოგვეცით. ლოთი ძლიერ დიდ უარზე შედგა; მაგრამ იმათაც მოინდომეს კარების შემტვრევა და სტუმრების ძალად გამოყვანა. ამ დროს ანგელოზები ადგნენ, მივიდნენ კარებთან და გარყვნილთ სოდომელებს დაუბრმავეს თვალები. იმათ ამის შემდეგ ველარ დაინახეს რა და დაბრუნდნენ,—დილით ადრიანა ანგელოზებმა ლოთი გამოიყვანეს სახლიდგან და უთხრეს: „წადი ამ ქალაქიდგან აი იმ მთაზე და უკან აღარ მოიხედო, რომ შენც არ დაიღუპო“. მივიდა თუ არა ლოთი თავის ორის ქალის შვილით ქალაქს სიგორს, მაშინვე მოუვიდა გოგირდ-ნარევი ცეცხლის წვიმა და გადაწვა ყველა ქალაქები. მთელი სიდიმის ხეობა ჩავარდა და იმათ ადგილას ამოდუღდა კუპრის ტბა, რომელსაც სიგრძე 77 ვერსი აქვს, სიგანე 24-ხი. ამ ტბას ახლა უწოდებენ: „მომაკვდინებელ ზღვად“, ამისათვის რომ იორდანე მდინარიდგან შემოსული თევზები მაშინვე იხოცებიან და კაციც ვერა სჭამს.

ლოთი დასახლდა სიგორის ქალაქში თავის ორის ასულით; იმისი ცოლი კი, თუმცა ანგელოზმა უბრძანა უკან არ მოიხედოვო, მაგრამ როცა მიიხვერწებოდა სოდომიდგან, ცნობის მოყვარეობისაგამო მოიხედა და მაშინვე გაქვავდა.

## 25. ისააკის შობა, ისმაილის განდევნა და ისააკის სხვერპლად შეწირვა

ღვთისაგან დაპირებული შვილი სარრამ უშვა აბრაამს მაშინ, როცა ის ასი წლისა იყო და დაარქვეს ი ს ა ა კ ი. (სიცილი). მერვე დღეს აბრაამმა ისააკს წინა დაუცვეთა. ყრმა გაიზარდა და როცა ძუძუს მოაშორეს, მაშინ აბრაამმა გადაუხადა დიდი ნადიმი. ნადიმზე ისმაილი დასცინოდა ისააკს. როცა სარრამ შენიშნა ეს დაცინვა, სთხოვა აბრაამს, რომ აგარი თავის შვილითურთ გაეგდო სახლიდგან. აბრაამს ძლიერ ეწყინა, ამისათვის რომ იმას უყვარდა თავისი შვილი ისმაილიც. მაგრამ ღმერთი გამოეცხადა და უთხრა, რომ ნუ სწუხარ ყრმაზე და მხევალზედაო, და გაუგონე სარრასაო. აბრაამმა დილით ადრიანად მისცა პური და ერთი ტიკჭორა წყალი და გაისტუმრა აგარი თავის სახლიდგან.

აგარი ბეერშებში მიდიოდა; მაგრამ უდაბნოში გზა აერია; და როცა პური და წყალი გაუთავდა, მაშინ თავისი შვილი დასტოვა ერთ ბუჩქის ჩრდილში. თვითონ განშორდა ერთ ტყვიის მანძილზე, რომ შვილის სიკვდილს არ ეხილა, და დაიწყო მწარე ცრემლით ტირილი. ტიროდა აგრეთვე ისმაილიც. ამ დროს ანგელოზი გამოეცხადა მას და უთხრა: „აგარ! რა ამბავი გაქვს? ნუ შიშობ, ღმერთმა შეისმინა ჭაბუკის ტირილი, [illegible] მოჰკიდე შენს შვილს და წყალი დაალევ-

ვინე“.—აგარი ადგა და ისილა წყარო და დაალევინა თავის შვილს წყალი. ამის შემდეგ ღმერთი მფარველობდა ისმაილს, ის გაიზარდა. აგარმა შერთო იმას ცოლად ეგვიპტელი ქალი და საცხოვრებელად დასახლდა ფარანის უდაბნოში.

უფალმა აბრაამს არ აკმარა ისმაილის მოშორების მწუხარება. ისააკი 17 წლისა რომ შეიქმნა, ღმერთმა უთხრა: „აბრაამ, აიღე დედის ერთა შვილი შენი ისააკი, რომელიც შენ გიყვარს, და წადი მორიაში და იქ ერთს მთაზე, რომელსაც მე შენ გიჩვენებ, შემომწირე სხვერპლად“. თუმცა ძალიან გულსაკლავი იყო აბრაამისთვის ამ ბრძანების აღსრულება, მაგრამ რაღას იზამდა. დილა ადრიანა შეკაზმა ვირი, თან წაიყოლია თავისი ორი მონა და ისააკი, წაიღო შეშა სხვერპლის დასაწველად და გასწია მორიას მთაზე. სამი დღე იარეს, მაგრამ ღმერთი არ ეცხადებოდა იმას და არ უჩვენებდა სამსხვერპლო ადგილს. საშინელი გულის წუხილი ეხვეოდა აბრაამს გულზე. სამ დღის განმავლობაში ისააკი იმის გულში მკვდარი იყო; ბოლოს აბრაამმა იხილა მორიას მთა, რომელზედაც სხვერპლად უნდა შეეწირა. მთის ძირში აბრაამმა დასტოვა ვირი და თავისი მონები, მისცა ისააკს ხელში შეშა, თვითონ აიღო ცეცხლი და დანა და ორნივე წავიდნენ მთაზე. გზაზე ისააკმა ჰკითხა მამას: „მამა ჩემო, ცეცხლი და შეშა მზად არის, სამსხვერპლო კრავი სადღაა?“—ღმერთი თვითონ მოიმზადებს შვილო, თავისთვის კრავსაო“, უპასუხა მამამ. ამის

შემდეგ, როცა მოვიდნენ დანიშნულს ადგილს, აბრაამმა ამართა სამსხვერპლო, მიაწყო შეშა, შეკრა ისაკი და წამოაქცია სამსხვერპლოზედ; და როცა აიღო ხელი, რომ გამოსჭრას დედის ერთა შვილს ყელი, მაშინ შემოესმა ციით ძახილი: „აბრაამ! ნუ შეახებ ხელსა შენსა ყრმასა მაგას; ახლა კი მე ვიცი, რომ შენ ღვთისა გეშინიან და არ იშურებ ჩემთვის მხოლოდ შობილსა შვილსა შენსა". აბრაამი შეუდგა და შეკრული ისაკი აუშვა. მერმე მიიხედ-მოიხედა და ნახა ჯაგში რქებით გაბმული კრავი. აბრაამმა შვილის ნაცვლად ეს კრავი შესწირა ღმერთს. ამის შემდეგ აბრაამს ხელ-ახლავ შემოესმა ხმა: „რადგან შენ ჩემთვის არ დაიშურე მხოლოდ შობილი შენი, მე შენ გაკურთხებ და ისრე გავამრავლებ შენ შთამომავლობას, ვითარცა ვარსკვლავებს ცაში მრავალი და ზღვაში ქვიშა; ხოლო (უდიდესი) შ თ ა მ ო მ ა ვ ა ლ ი შ ე ნ ი შ ე ი ქ ნ ე ბ ა მ ა კ უ რ თ ხ ე ვ ე ლ ა დ ყ ო ვ ე ლ თ ა ხ ა ლ ხ თ ა ქ ვ ე ყ ა ნ ი ს ა თ ა".

## 26. ისაკი და იმისი შვილები

აბრაამმა თავის სიცოცხლეშივე შერთო ისაკს თავის ცოლის ნათესავის ბათუელის ასული რებეკა და მერმე 175 წლისა მოკვდა. მამის სიკვდილის შემდეგ ისაკს კაი მამის მოგებული სახლი და დიდი სიმდიდრე დარჩა, და უფლისაგანაც მიიღო აღთქმა, რომ იმის

შთამომავლობაში იშვება მ ა ც ხ ო ვ ა რ ი, რომელიც მთელს კაცობრიობას კურთხევას მოუტანს. აბრაამსავით ისააკიც ღვთის მორჩილი იყო, ამისათვის აბრაამის ღმერთი იყო ღმერთი ისააკისაც. მაგრამ აბრაამმაც და ისააკმაც თავის სიცოცხლეში ბევრი მწუხარება ნახეს. ოცი წელიწადი გავიდა მას აქეთ, რაც ისააკმა ცოლი შეირთო, მაგრამ შვილი კი არა ჰყავდა. სწამდა კი, რომ ღვთის აღთქმა უეჭველად აღსრულდებოდა. ამისა-თვის სულგრძელებით ითმენდა უშვილობის ნაღველს. სიტყვა უფლისა ბოლოს აღსრულდა. იმას გაუჩნდა ტყუპად ორი შვილი: ისავი და იაკობი. ისავი რომ გაიზარდა, მონადირობა დაიწყო, იაკობი კი მუდამ შინ დედასთან იყო, მას შველოდა და ჰქონდა მშვიდი ხა-სიათი. ისააკს პირმშო შვილი ისავი უფრო უყვარდა; დედისთვის კი იაკობი იყო საყვარელი შვილი. დედას ისავი ამისთვის არ უყვარდა, რომ იმან წარმართის ქალი ცოლად შეირთო და ის ძალიან აჯავრებდა დე-დამთილს.

ამ დროს პირმშო შვილს ოჯახში დიდი უფლებე-ბი ჰქონდა. თავის სიცოცხლეშივე მამა თავის უფროსს შვილს გარდასცემდა ხოლმე თავის სახლის უფროსობას, თავის ქონების მომეტებულს ნაწილს და უფლის აღთქმას. ამ უფლების გარდაცემას პ ი რ მ შ ო ს კ უ რ თ ხ ე ვ ა ს ეძახდნენ. ამ უფლების მიღება ისააკს შეეძლო, მაგრამ იმან თავის უგუნურებით თავისი უფლება თავის ძმას იაკობს ოსპის საჭმელზე მიჰყიდა. მაგრამ როცა ისააკმა

აკურთხა იაკობი და გადასცა პირმშოობის უფლებები, მაშინ ისავს ძლიერ ეწყინა და ბიჭებთან დაიქადნა, რომ „მამა ჩემი მოკვდება თუ არა, მე ჩემს ძმას მოვკლავო“. რებეკამ რომ შეიტყო ეს ამბავი, უთხრა იაკობს, რომ შენს ძმას ისავს შენი მოკვლა სურსო, და მე გირჩევ განშორდე მაგას და დროებით მესოპოტამიაში ჩემს ძმა ლავანთან იცხოვრეო. როცა შენი ძმა დაწყნარდება, მაშინ მე კაცს გამოგიგზავნი და ისევ მოგიყვანო“. იაკობმა გაუგონა დედას და რომ მიემგზავრებოდა, ისაკმა იმას ანდერძი მისცა, რომ იმას ცოლად ლავანის ასულთაგანი შეერთო და ამასთანავე ასრე დალოცა: უფალმა მოგცეს კურთხევა აბრაამისა, რომ შენ შემკვიდრედ გახდე იმისთვის აღთქმულის ქვეყნისა“.

## 27. იაკობი

იაკობი რომ მიდიოდა, გზაზე იმან სიზმარში ნახა კიბე, რომელიც დედა-მიწიდგან ცამდე იყო ამართული და ანგელოზნი იმაზე ადიოდნენ და ჩამოდიოდნენ. ამ დროს უფალი ღმერთი კიბის თავზე იჯდა და ასრე ამბობდა: „მე ვარ ღმერთი აბრაამისა და ღმერთი ისაკისა. იმ მიწას, რომელზედაც შენა სწევხარ, მე მოგცემ შენ და შენს შთამომავლობას“. იაკობს რომ გამოეღვიძა, ძალიან გაუკვირდა და ასრე სთქვა: საშიშარია ეს ადგილი! აქ სახლია უფლისა; აქ ბჭენი ცისანი

არიან. ამ ხილვისაგამო ამ ალაგს იაკობმა დაარქვა: მი-თ ე ზ დ ა, ესე იგი ბ ა ნ ა კ ი ღ ვ თ ი ს ა.

აქედგან იაკობი მივიდა ქალაქს ქარანში. აქ მინდორში ის ჩადგა ერთ ჭის პირზე. ამ დროს მოვიდა ლაბანის ასული რაქილი. იმას იაკობი გამოეცნაურა; რაქილი მივიდა შინ და შეატყობინა მამას იაკობის მოსვლა. ლაბანი მიეგება და წაიყვანა იაკობი. ერთ თვეს იმასთან დარჩა და ამ დროის განმავლობაში ემსახურებოდა ლაბანს. მერმე ლაბანმა უთხრა, რომ რადგან შენ ჩემი ნათესავი ხარ, ასე იმისათვის მუდამ უფასოდ მუშაობა ხომ არ იქნება? მითხარი, რა მოგცე, რომ მე მემსახურო. იაკობმა უთხრა, რომ მე შვიდ წელს უფასოდ გემსახურები, თუ რომ შენ უმცროს ასულს რაქილს ცოლად მომცემ. ლაბანს სხვა ასულიც ჰყვანდა — ლია; მაგრამ ამ ასულს თვალები სტკიოდა და ისეთი ლამაზი ვერ იყო, როგორც რაქილი. ლაბანი თანახმა გახდა და იაკობმა შვიდ წელს უმსახურა იმას; მაგრამ ქორწილის დროს ლაბანმა რაქილის მაგივრად ლია მიათხოვა. იაკობმა ეშმაკობა ვერ გაიგო იმისთვის, რომ ამ დროს პატარძლისთვის პირბადის ჩამოფარება იცოდნენ და იაკობი ამა რას გაიგებდა ლია იყო, თუ რაქილი. იაკობს მოტყუება ძლიერ ეწყინა: მაგრამ რაღას იზამდა. რადგან რაქილი ძლიერ უყვარდა, ამისთვის შვიდ წელს კიდევ ემსახურა ლაბანს და ცოლად შეირთო ისიც. მერმე შინ დაბრუნება უნდოდა, მაგრამ ლაბანმა უთხრა, რომ ნუ წახვალ, მე მემსახურე და რაც

ჭრელი თხები და შავი ცხვრები დაიბადებიან სულ შენი იყოსო, სხვა ფერი კი ჩემიო. ამის შემდეგ თხებმა სულ ჭრელი თიკნები მოიგეს და ცხვრებმა შავი ბატკნები. ლავანმა ეს რომ იხილა, პირობა შეშალა და ახლა სხვა ფერი ცხვრები და თხები დაუნიშნა, მაგრამ რა ფერიც უნდა დაენიშნა იაკობისთვის, ყოველთვის იმ ფერები იბადებოდნენ. ამისათვის ექვს წლის განმავლობაში იაკობი ძლიერ გამდიდრდა და ლავანმა დაუწყო მტრობა. ამისთვის იმან ახლა კი მოინდომა თავის მამასთან დაბრუნება. აიყვანა ერთ დღეს თავისი ცოლშვილი, აილო თავისი სიმდიდრე, გამოირეკა თავისი წილი ცხვარი და აქლემები და წამოვიდა ქანაანის ქვეყანაში. ამ დროს იმას ჰყვანდა თერთმეტი შვილი და ერთი ასული, სახელად დინა.

## 23. იაკობის სამშობლოში დაბრუნება

იაკობი ლავანს რომ გამოშორდა, ახლა თავის ძმაზე დაიწყო ფიქრი. იმას კიდევ ეშინოდა თავის ძმისა, რომ რამე ცუდი არ შემამთხვიოსო. მაგრამ ღმერთმა ის გაამხნევა; იმან იხილა გუნდი ანგელოზებისა, რომელნიც იმის გარშემო საომრად ემზადებოდნენ. მაგრამ მაინც და მაინც ძალიან შეშინდა, როცა შეიტყო, რომ ისავი იმის წინ მოდის. ამისათვის თავისი საქონელი რამდენიმე ნაწილად გაყო და სხვა და სხვა გზით გაგზა-

ნა, ასე რომ თუ ისაავი ერთს დაეცემა და წაიყვანს, სხვა მაინც არის გადარჩენა. მაგრამ ბიჭებს დააბარა, რომ თუ ისაავი წინ შემოეგებებოთ, უთხარით, რომ შენი მონა იაკობი ამ ცხვარს, ძროხას და აქლემებს შენ საჩუქრად გიგზავნის თქო. თუმცა ასეთი სიფთხილე მიიღო, მაგრამ იაკობი მაინც და მაინც ძალიან შეშინდა, როცა შეიტყო, რომ ისაავი 400 კაცით წინ მოდისო. იმისი სული შეძრწუნდა, დაღონდა, მწუხარებამ დაამხო იმისი გული და არ იცოდა, როგორ მოეშორებინა თავიდგან მომავალი უბედურება. ამ გვარს შეძრწუნებულს მდგომარეობაში იმას ღამის წყვდიადში გამოეცხადა ვიღაც მოხუცი და შეება. დილსანს იჭიდავეს იაკობმა და ამ უცნაურმა მოხუცმა და ვერც ერთმა ვერ დასცა, ბოლოს მოხუცმა იაკობს თეძო ატკინა და უნდოდა განშორება, მაგრამ იაკობმა ის მაგრა ჩაბღაუჭა და უთხრა, რომ ვიდრე არ მაკურთხებ, არ გაგიშვებო. მაშინ მოხუცმა იაკობს ჰკითხა სახელი, იაკობმა უთხრა და მოხუცმაც ასე აკურთხა. ამის შემდეგ შენ სახელად იაკობი აღარ გერქმევა, არამედ გერქმევა ისრაილი (ესე იგი ღმერთთან მოჭიდავე).

## 29. იაკობის ოჯახობა

ქანაანეველნი იაკობს ისეთს პატივსა სცემდნენ, როგორც იმის მამას ისააკს. ღმერთსაც ისრე უყვარდა,

როგორც აბრაამი და ისააკი იმას ჰყვანდა ორი ცოლი ლია და რაქიელი, და თორმეტი შვილი. თავის შვილებში რაქიელის ნაშობი შვილები: იოსები და ბენიამინ უფრო უყვარდა, ვიდრე ლიას ნაშობები. მაგრამ ყველაზე უფრო მომეტებულად იოსები უყვარდა იმის მშვიდობიანი ხასიათისა და კეთილი გულის გამოისობით, კარგად აცმევდა და უვლიდა. ასრეთი გარჩეულობა იოსების ძმებს ძალიან შურდათ. ისინი შიშობდნენ, რომ მამამ სახლის უფროსობა იოსებს არ გარდასცესო. ეს ძმების შური სიძულვილად გადიქცა, როცა იოსებმა მამას და ერთ დილას იმათ თავისი სიზმრები უამბო. „გამიგონეთ, სთქვა ერთხელ იოსებმა, აი რა ვნახე სიზმარში: ჩვენ ყველანი ერთად მინდვრის შუაზე ყანას ვმკიდით. აქ ჩემი ძნები თავის-თავად ათეულებად დაიდგნენ და თქვენი ათეულები ჩემი ათეულების იმრგვლივ დადგნენ და თაყვანსა სცემდნენ“. ძმებმა იფიქრეს, რომ იოსები ისრე ჰფიქრობს სახლის უფროსობაზე, რომ სიზმარშიაც კი იმას ხედავსო და ამისათვის უთხრეს: „განა შენ უნდა გახდე ჩვენი ბატონი“? იმათი სიძულვილი უფრო გაცხოველდა, როცა რამდენიმე დღის შემდეგ იოსებმა იმათ ახლა სხვა სიზმარი უამბო. „მე ვნახე, სთქვა იმან, რომ მზე, მთოვარე და თერთმეტი ვარსკვლავი მე თაყვანსა მცემდნენო“.

## 30. იოსების ძმებისაგან გაყიდვა

იოსებმა თავისი სიზმრები რომ ულაპარაკა დედმამას და ძმებს, მაშინ იმათ განიზრახეს იმისი დაღუპვა და ეძიებდნენ მარჯვე დროს. ერთხელ ისინი რომ წავიდნენ ცხვარში და ძალიან დაიგვიანეს, იოსები შინ იყო და იაკობმა უთხრა: „წადი შვილო, დახედე შენს ძმებს და შეიტყე, როგორ არიან და როგორა ჰყავთ ცხვარი და საქონელი". იოსები წავიდა. როცა ის ძმებმა შორსვალი დაინახეს, უთხრეს ერთმანერთს: „აგერ მობრძანდება მესიზმრე: მოდით ის მოვკლათ და მერმე მამას უთხრათ, რომ ის ნადირმა შეჭამა; მაშინ ვნახავთ, რაც გამოვა იმის სიზმრებისაგან". მაგრამ უფროსი ძმა რუბიმი თანახმა არ გახდა და სთქვა, რომ ხელი აიღეთ მესისხლეობაზეო; ისევ ისა სჯობია, რომ ამ უდაბნოს ხაროში ჩავაგდოთო. რუბიმს უნდოდა ღამით, ძმებისგან მალვით, იმის ამოყვანა ორმოიდგან და მამასთან გაგზავნა. ძმები დაეთანხმნენ. ამისათვის, როცა იოსები მივიდა, ძმებმა დაიჭირეს, გაძრეს ტანისამოსი და ჩააგდეს ხაროში და დასხდნენ პურის ჭამაზე. ამ დროს იმათ იხილეს ბეზირგნების ქარავანი და იუდამ უთხრა ძმებს: „რა სარგებლობა იქმნება, რომ ჩვენი ძმა მოვკლათ და დავმალოთ იმისი სისხლი? მოდი ის მივყიდოთ აი ამ ისმაილებს, რომ ძმის მკვლელობით ხელები სისხლში არ გავისვაროთ". იუდას რჩევა მიიღეს. როცა ვაჭრე-

ბი მივიდნენ იმათთან, იოსები ამოიყვანეს და მიჰყიდეს იმათ 20 ვერცხლად (ანუ 17 მან.).

ამ დროს უფროსი ძმა რუბიმი, რომელსაც იოსების განთავისუფლება უნდოდა, აქ არ იყო. როცა რუბიმი მივიდა და იოსები ვეღარ იპოვა ხაროში, ძლიერ ეწყინა. „ჭაბუკი აღარ არის, ამბობდა ის, და მე ახლა საით უნდა წავიდე—საით“? ძმებს რუბიმის დამშვიდება უნდოდათ, ამისათვის მოილაპარაკეს ერთმანერთში, მერმე დაკლეს თხა, მოისვარეს იოსების ჭრელი ტანისამოსი იმის სისხლში და გაუგზავნეს მამას ამ სიტყვების დაბარებით, რომ იმათ ეს ტანისამოსი იპოვეს და ფიქრობენ, რომ ის იოსებისა არის. იაკობმა მაშინვე იცნა იოსების ტანისამოსი და ასე სთქვა: „ეს ჩემი შვილის ტანისამოსია; ის ნადირს შეუჭამნია; იოსები უთუოთ ნადირმა გაფატრაო“ უნუგეშოდ სწუხდა და ტიროდა იაკობი თავის საყვარელ შვილზე. შეიყარნენ ყველა იმისი შვილები და ქალები იმისთვის ნუგეშის საცემლად; მაგრამ იაკობმა ნუგეშინის ცემა უარიყო მათ და დაიწყო ამ სიტყვების მოთქმით ტირილი: „მწუხარებით წავალ მე საიქიოს ჩემს შვილთანაო“.

## 31. იოსების ცხოვრება ეგვიპტეში

ბეზირგნებმა იოსები ეგვიპტეში წაიყვანეს და იქ მეფის ამალის უფროსს, ფოთიფარს მიჰყიდეს. იმან ის-ჯერ მოსამსახურედ დაიყენა, მერმე ჭკუა და ერთგულე-

ბა რომ შეატყო, თავის ქონების მოურავად გახადა. იოსების საუბედუროდ ფოტიფარს ცუდი ცოლი ჰყავდა. იმან იოსებთან ქმრისათვის ღალატი მოინდომა; მაგრამ იოსები თანახმა არ გაუხდა და უთხრა, რომ ქალბატონისათვის დიდად საპირცხვილოა თავის მოსამსახურესთან მეგობრობის დაჭერა და გარყვნილებაც დიდი ცოდვა არისო. მაგრამ გარყვნილმა დიაცმა არ გაიგონა იოსების გონიერი დარიგება. ერთხელ, როცა იოსები იმასთან შევიდა, უთხრა, რომ ჩემთან დარჩიო, მაგრამ იოსებმა რომ არ ინება და უნდოდა გარეთ გამოსვლა, მაშინ დიაცმა სტაცა ხელი, წართვა წამოსასხამი და გაკაპასებულმა დაიწყო წივილ-კივილი. თუმცა წამოსასხამი ამტკიცებდა იოსების უმანკოებას, მაგრამ დიაცმა ის იოსების გასამტყუნებლად იხმარა და როცა ქმარი მოვიდა, დაასმინა, რომ ებრაელმა მე შეურაცხყოფა მომაყენაო. ეს ამბავი ფოტიფარს ძლიერ ეწყინა, აღარ გამოიძია საქმე და უმანკო იოსების, ცოლის მიერ ცილის წამებისა გამო, ხაროში დაამწყვდივა.

მაგრამ ღმერთი იოსებს საპყრობილეშიაც სწყალობდა, რადგან ის უმანკო და კეთილ-გონიერი კაცი იყო. საპყრობილის უფროსმა პატიოსნებისათვის ის შეიყვარა და ყველაფერში ენდობოდა. რაც საპყრობილეში იმასთან პატიმრები იყვნენ, ყველა იმას ჩააბარა. ერთხელ ისეთი საქმე მოხდა, რომ მეფე გაუწყრა თავის მეპურეს და მეღვინეს და ორივე იოსებთან დაამწყვდივა. იოსები ემსახურებოდა ამ ფარაონის მოხელეებსა,

ერთხელ ის შევიდა იმათთან და ნახა, რომ ისინი ძა-
ლიან დაღონებულები ისხდნენ. ჰკითხა მიზეზი და იმათ
უთხრეს, რომ ჩვენ სიზმრები ვნახეთო და კაცი არ
არის, რომ ისინი აგვიხსნასო. იოსებმა უთხრა, რომ
სიზმრების განმარტება მხოლოდ ღვთის შეწევნით
შეიძლებაო და სთხოვა იმას მბობა. ამის შემდეგ მეღვი-
ნემ დაიწყო: „მე ვნახე სიზმარში, ვითომც ჩემს წინ
იდგა ერთი ვაზი. ზედ ება სამი რქა. იმან გამოიღო
ყვავილი, მოისხა მტევნები და დამწიფდა. ამ დროს მე
ხელში მეჭირა ფარაონის აზარფეშა. მე მოვწყვიტე ის
მტევნები, გამოვწურე აზარფეშაში და მივართვი ფარა-
ონსაო". იოსებმა უთხრა, რომ სამი მტევანი ნიშნავს
სამს დღეს და სამ დღეს უკან იმას გაანთავისუფლებენ
და ისევ მისცემენ მერიქიფეობასო. იოსები ისე დარწმუ-
ნებული იყო თავის სიტყვების სიმართლეში, რომ სთხო-
ვა მეღვინეს—როცა შენ განგათავისუფლებენ, მეც მო-
მიგონე და გამათავისუფლე ამ საპყრობილიდგანო. მე
მოპარული ვარ ებრაელების მიწა-წყლიდგან და აქაც არა
დამიშავებია რა, რომ საპყრობილეში ყოფნის ღირსი
ვიყო, უთხრა იმან. მერმე მეორემ—მეპურემ უთხრა: „მე
მესიზმრა, ვითომც თავზე სამი კალათა მედგა, რომე-
ლიც სულ ზევით იყო, იმაში ფარაონისთვის ყოველ
ნაირი პურები ეწყო; მაგრამ ფრინველები კალათაში იმ
პურებს ჩემ თავზე კენკავდნენო". იოსებმა აუხსნა, რომ
სამი კალათა ნიშნავს სამს დღეს. სამს დღეს უკან ფა-
რაონი შენ მოგჭრის თავს და ჩამოგკიდებს ხეზე, და

ფრინველები დაიწყებენ შენს სხეულის კენკასა. მართლაც, ყველა ისრე აღსრულდა, როგორც იოსებმა სთქვა. მაგრამ მეღვინემ თავისი უწინდებური თანამდებობის ადგილი რომ მიიღო, იოსები აღარ მოაგონდა. ამისათვის იოსები საპყრობილეში სამი წელიწადი დარჩა.

## 32. იოსების დიდება ეგვიპტის მეფის სასახლეში

ერთხელ ფარაონმა ნახა სიზმარში, ვითომ ის ნილის მდინარის პირზე იდგა. ამ დროს წყლიდგან ამოვიდა შვიდი ძროხა და დაიწყეს წყლის პირას ბალახის ძოვნა. მერმე კიდევ გამოვიდა შვიდი ისრე გამხდარი ძროხა, რომ იმათი მსგავსი იმას თავის დღეში არ ენახა და ჭლექებმა სუქნები შესჭამეს; მაგრამ იმათ მაინც სიმსუქნე არ მოემატათ. ამის შემდეგ ფარაონს გაეღვიძა; მაგრამ მერმე ისევ დაეძინა და კიდევ ნახა სიზმარი: ვითომც ერთმა პურის მარცვლის ღერმა შვიდი თავთავი გამოიღო, ამის შემდეგ კიდევ შვიდი გამხმარი და უმარცვლო თავთავი გამოჩნდა და უმარცვლო თავთავებმა მარცვლიანნი თავთავები შესჭამეს. ფარაონი მიხვდა, რომ ეს სიზმრები რაღაცას მოასწავებდნენ, მაგრამ როცა მეცნიერებმა იმათი მნიშვნელობა იმას ვერ აუხსნეს, მაშინ მეღვინეთ-ხუცესმა მოიგონა იოსები და უამბო ფარაონს იოსების მეცნიერება და გონების გამჭრიახობა.

ფარაონმა მოაყვანინა იოსები და უთხრა, რომ „მე გნახე სიზმარი და კაცი არ არის, რომ ის მე ამიხსნას, და ეხლა მე შევიტყე, რომ შენ იცი სიზმრების განმარტებაო“. იოსებმა უპასუხა, რომ „მე ჩემის ცოდნით არ ავხსნი სიზმრებს, არამედ ხალხის საკეთილ-დღეოდ ღმერთი განუმარტავს ფარაონსაო“. ამის შემდეგ ფარაონმა უამბო იმას თავის სიზმრები: „თქვენ სიზმრებს ორივეს ერთი მნიშვნელობა აქვსო, უპასუხა იოსებმა იმას. შვიდი მსუქანი ძროხა და შვიდი მარცვლოვანი თავთავები ნიშვნენ შვიდ წელიწადს; აგრეთვე შვიდი გამხდარი ძროხა და შვიდი უმარცვლო თავთავები ნიშვნენ შვიდ წელიწადს. შვიდ წლის განმავლობაში ეგვიპტეში ძალიან დიდი და უხვიერი მოსავლები იქნება. ამას შემდეგ მოჰყვება შვიდი უმოსავლო წელიწადები და ისრე გაადარიბებს და დაამშევს ქვეყანას, რომ წინანდელი უხვიერება ხალხს სრულიად დაავიწყდებაო“.

სიზმრების განმარტების შემდეგ იოსებმა ფარაონს ურჩია, რომ იმას მოსავლიან წელიწადებში ამოერჩია გონიერი კაცი, რომ ამ კაცმა იმდენი პური იყიდოს და ამბრებში შეკრიბოს, რომ უმოსავლო წელიწადებში დამშეულ ხალხს ეყოს. ეს რჩევა მეფესაც მოეწონა და იმის კარის კაცებსაც. ამისათვის ფარაონმა უთხრა თავის კარის კაცებს, — რომ ამისთანა ღვთის სულის მქონე კაცს სხვას ვერავის ვიპოვით სამეფოში, და უბრძანა იოსებს თვითონვე შეეკრიბა მოსავლიან წლებში პური. მერმე ფარაონმა თავის წყალობის ნიშნად მისცა ბეჭედი, მოფუ-

რი ტანისამოსი, ერთი ეტლი და ყელზე ოქროს ძეწკვი ჩამოჰკიდა. გარდა ამისა იმან იოსებს უწოდა ახალი სახელი „ცაფნათ ფანეაქი", რომელიც ეგვიპტურად ც ხ ა დ-მ ყ ო ფ ე ლ ს ნიშნავს. ამის შემდეგ იოსებმა შეირთო ცოლად ელიოპოლის ქურუმის ასული ასანეთი.

## 33. იოსების პირველი ნახვა ძმებისაგან

რაც იოსებმა სთქვა, ყველაფერი აღსრულდა. დაიწყო იშვიათი მოსავლიანი წელიწადები და იოსებმა დიდი პურის მაღაზიები გახსნა და მრავალი პური შეაგროვა. ამის შემდეგ დაიწყო შიმშილობა. იმან ახლა გახსნა თავისი პურის მაღაზიები და დაიწყო პურის გაყიდვა. ამ დროს ქანაანის ქვეყანაშიაც დიდი შიმშილობა გაჩნდა. იაკობმა რომ შეიტყო პურის უხვორება ეგვიპტეში, გაგზავნა იქ თავისი შვილები პურის სასყიდლად, მაგრამ ბენიამინი შინ დაიჭირა, რადგან ეშინოდა, რომ იოსებსავით იმასაც არა დაემართოს რა. ყველა უცხო კაცი, ვინც მიდიოდა ეგვიპტეში პურის სასყიდლად, იოსებს უნდა გამოსცხადებოდა. ამისათვის იაკობის შვილები რომ მივიდნენ ეგვიპტეში, ისინი იოსებთან მიიყვანეს. იოსებმა მაშინვე იცნა ისინი და ძალიან გაუხარდა, რომ მამის ამბავს შეიტყობდა. მაგრამ ძმებმა ის ვერ იცნეს. იოსებმა შეამჩნია იმათ, რომ ის ვერ იცნეს, ამისათვის მოინდომა იმათი გამოცდა — მოიქცნენ ძმები, თუ ისევ უსამართლოების გზაზე დაიარე-

ზიანო. იმან როგორც უცხო კაცებს, ისრე ჰკითხა: „ვინა ხართ და საიდამ მოსულხართ?“ იმათ უპასუხეს: „ქანაანის ქვეყნელნი ვართ, ბატონო, მოვედით პურის სასყიდლათო“. —არა, თქვენ როგორც გეტყობათ, მზვერავად მოსულხართ, რომ შეიტყოთ ამ ქვეყნის მარჯვე გზა-კვალი“, უთხრა იოსებმა. „არა, ბატონო, უპასუხეს: პურის სასყიდლად მოვედით: ჩვენ ყველანი ერთი კაცის შვილები ვართ: ჩვენ პატიოსანი ხალხნი ვართ. ჩვენ არაოდეს არ ვყოფილვართ ჯაშუშებათო“. მაშინ იოსებმა დაუწყო იმათ გამოკითხვა მშობელზე და ჰკითხავდა: „ცოცხალი გყავთ კიდევ მამა, თუ არაო“? ძმებმა ყოველივე დაწვრილებით უამბეს; მაგრამ იოსები მაინც სასტიკად მოეპყრა. რადგან ის მოენით ელაპარაკებოდა, ამისთვის იმის ძმებმა ივიქრეს, რომ იმან არ იცის იმათებური ენა და დაიწყეს ერთმანერთში ლაპარაკი: „უეჭველია, რომ ჩვენ ვისჯებით ჩვენის ძმის ცოდვისა გამო; ჩვენ ვხედავდით, ის როგორ სწუხდა და გვეხვეწებოდა, მაგრამ ჩვენ არ გაუგონეთ: ამისათვის ახლა ჩვენ გვეწია ეს ცოდვის კითხვაო“. რუბიმმა ამაზე უპასუხა: „მე არ გეუბნებოდით, რომ იმ ჭაბუკის ცოდვაში ნუ ჩავდგებითო? მაგრამ თქვენ მე არ გამიგონეთ და ახლა გაუძლეით, როცა მისი ცოდვა გვეკითხებაო“. იოსები იმათ კიდევ სცდიდა, რადგან სურდა შეეტყო, მტკიცეა იმათი სინანული თუ არაო. ამისათვის სიმონი იმან თავისთან დაიჭირა, სხვა ძმებს კი პურო გაატანა და გაგზავნა შინ. ამასთანავე მოსამსახურეებს უბრძანა, რომ იმათ საცალოებშივე ჩაეწყოთ ის ფულები,

რომელიც იმათ პურში მისცეს. შინ რომ მოვიდნენ, იოსების ძმებმა ყველაფერი უამბეს მამას, რაც იმათ შეემთხვათ, უამბეს ისიც, რომ ეგვიპტის უმფროსი ბძანებს ბენიამინისიც იმასთან მიგვრას. იაკობს შეეშინდა, როდესაც ნახა, რომ ყველას საცალოებში გამოკრული ფულები ეწყო, და მწუხარებით სთქვა: „თქვენ დამილუპეთ მე შვილები: იოსები არ არის, აღარც სიმონია; და ახლა ბენიამინიც გსურთ წაიყვანოთ“! ამაზე რუბიმმა უთხრა: „მოჰკალი ჩემი ორი შვილი, თუ მე არ მოგგვარო ბენიამინი; ოღონდ კი ჩამაბარეთ ხელში და მერმე მე ვიცი“. მაგრამ იაკობმა უთხრა: „ჩემი შვილი თქვენთან ვერ წამოვა, ამისათვის რომ მისი ძმა მოკვდა და ის დედის ერთა არისო“.

## 31. იოსების მეორედ ნახვა ძმებისაგან

გავიდა წელიწადი; შიმშილობა არ კლებულობდა, და ეგვიპტით მოტანილი პურიც გაუთავდათ. ისევ ეგვიპტეში წასვლა დასჭირდათ პურის სასყიდლად; მაგრამ იაკობის შვილებს უბენიამინოთ იქ წასვლა არ სწადოდათ. ამისათვის იაკობს ახლა კიდევ მწუხარება მოელოდა: ის უნდა გაჰყროდა თავის საყვარელ შვილს. ის ჯერ დიდ ხნობამდე თანახმა არ ხდებოდა, მაგრამ როცა იუდამ უთხრა „ეგ ჭაბუკი მე ჩამაბარე; მე ვიქნები პასუხის-გებაში: ის მე მომთხოვეთ; უეჭველად უკანვე მოგგვრით; უკეთუ არ მოგგვაროთ, მე ვიყო დამნაშავე

თქვენს წინაშეო“, მაშინ იაკობი თანახმა გაუხდა. ტომ-რებში ჩაყოლებული ფულიც უკან გაატანა და თანაც დააბარა: „თქვენის ხელითვე დაუბრუნეთ ეს ფული ეგვიპ-ტის უფროსს, რომელიც იმათ თქვენს ტომრებში დარ-ჩათ და მასაც წაიყვანეთ; ყოვლად შემძლებელმა ღმერთმა იმ უფროსს ჩააგონოს თქვენდამი შებრალება; და თუ განგებას უნდა, რომ მე უშვილოდ დავრჩე, ასრულდეს ნებაი უფლისაო“.—ისინი ახლა წავიდნენ ეგვიპტეში. იოსები აღერსით მიეგება თავის ძმებს, და მაშინვე მოიკითხა, როგორ მშვიდობით იმყოფება იმათი მამა იაკობი. ძმებმა უპასუხეს, რომ მამა მშვიდობით იმყოფებაო და მიართვეს საჩუქარი და ის ფულიცა, რომელიც იმათ საცალოებში გაეყოლებინათ; მაგრამ იოსებმა უთხრა, რომ არხეინად იყავით: მე თქვენგან ფული მიღებული მაქვსო. ამ დროს ძმებს სიმონიც მოჰგვარეს. ამის შემდეგ იოსებმა ძმები თავის სახლში შეიყვანა და სადი-ლად დაიპატიჟა; მაგრამ ყველაზე უფრო დიდის სიყვა-რულით მოეპყრო თავის დედით ძმას—ბენიამინს. ძმებს სრულიად არ ესმოდათ, თუ რას ნიშნავდა ეგვიპ-ტის პურის მადაზიების უფროსის ასეთი აღერსიანი იმათთვის მოპყრობა. იოსები იმათ ახლაც არ გამოეცნაუ-რა და დარწმუნდა, რომ იმისი ძმები ახლა მოქცეულან და ჭკუ-აზე მოსულან. ამის შემდეგ ის გამოეცნაურა ძმებს, და ძმე-ბმა რომ შეიტყვეს, ეს კაცი იოსები არისო, ისე შეშინდნენ, რომ ხმის ამოღება აღარ შეეძლოთ. იოსებმა დაამშვიდა და უთხრა: „იმაზე ნუ სწუხართ, რომ თქვენ მე გამყი-

ღვთი: მე აქ ღმერთმა გამომგზავნა თქვენის სიცოცხლის დასაცველად. მამა ჩემს უამბეთ ჩემი ბედნიერება ეგვიპტე-ში და ისიც აქ მოიყვანეთ; ჯერ ხუთ წელიწადს შიმში-ლობისა გამო ვიდრე ხვნა-თესვა არ იქმნება". ამის შემ-დეგ იოსებმა მდუღარე ცრემლებით დაკოცნა ბენიამინი და ყველა თავის ძმებს გადაეხვია და ეამბორა.

იოსების ძმების ეგვიპტეში მოსვლა რომ შეიტყო ფარაონმა, ძლიერ ესიამოვნა ამასაც და იმის წარჩინე-ბულებსაც, ამისათვის რომ ის ყველას უყვარდა. ფა-რაონმა უბრძანა იმას, რომ მამა შენი და შენი ძმები ეგვიპტეში გადმოასახლეო. მეფის ბრძანებით იოსებმა თავის ძმებს გაატანა მამისათვის საჩუქრები, სამგზავრო ეტლები და საგზალი და გამგზავრების დროს ყველა ძმები დაარიგა, რომ იმათ გზაზე არ ეჩხუბნათ და სიფრთხილე ჰქონოდათ.

## ლე. მრავალ-ვნებული იობი

იმ დროს, როცა ეგვიპტეში ებრაელები წვალობ-დნენ, არაბეთში იყო ერთი ღვთის მსახური კაცი, რო-მელსაც ერქვა იობი. ამ კაცს სწამდა ჭეშმარიტი ღმერთი და მთელს არაბეთში განთქმული იყო იმისი სიმდიდრე, სიმართლე და ქველობა; ის ყველას შველოდა და სულს უმართავდა, ვინც კი რასმეში საჭიროებდა. თავის ჯა-ლაბობაშიაც იობი ბედნიერი იყო. იმას ჰყავდა შვიდი

შვილი და სამი ასული. ამათ ყველას ერთმანერთი ისრე უყვარდათ, რომ ყოველ დღეს რიგ-რიგობით სტუმრობა ჰქონდათ. როცა ესენი ამ გვარ ნადიმების რიგობას მორჩებოდნენ, იობი შეკრებდა ხოლმე იმათ და ყველასთვის ცალკ-ცალკე ღმერთს სხვერპლსა სწირავდა, და ევედრებოდა იმათთვის ცოდვების შენდობას.

მაგრამ ღმერთმა ისურვა ამ კაცის გამოცდა. ერთხელ, როცა იმისი შვილები უფროსი ძმის სახლში ისხდნენ და ლხინობდნენ, მოვიდა ერთი მოამბე და უთხრა: „ხარები მინდორში უღლით წყვილ-წყვილად დადიოდნენ, და ვირებიც მახლობლად ძოვდნენ; უეცრად საველები დაეცნენ და გაირეკეს, ბიჭები კი დახოცეს; მხოლოდ მე გადავრჩი და მოვირბინე შენთვის შესატყობინებლად“. ვიდრე ეს ამას იტყოდა, მოირბინა ახლა სხვა მოამბემ და უთხრა, რომ ციდგან მეხი ჩამოვარდა და დაწვა მთლად ცხვარი და მწყემსებიო. ჯერ ამას არ ჰქონდა თავისი ამბავი გათავებული, მოირბინა მესამე მოამბემ და უთხრა, რომ ქალდეველნი, სამს თარეშად განიყოფნენ, შემოესხვივნენ აქლემებს და გაირეკეს, მოსამსახურეები კი დახოცესო. მესამე მოამბეს უკან მოირბინა მეოთხე კაცმა და უთხრა, რომ უდაბნოში ამტყდა საშინელი ქარიშხალი და შემოუქროლა ოთხივ კუთხივ იმ სახლს, რომელშიაც შენი შვილები იმყოფებოდნენ, და დაანგრია: ყველანი დაიხოცნენ, გადავრჩი მხოლოდ მე და მოველი შენთვის შესატყობინებლათო, ამ სახით მდიდარი იობი ახლა დაგლახაკდა, და ბედნიერი ცოდ-

შვილით—სხლა დარჩა მარტოდ. მაგრამ იმის პირიდგან არ ამოსულა არც ერთი უფლის საგმობი სიტყვა. იმან რომ ესოდენი თავისი უბედურება შეიტყო, მაშინვე დაიჩოქა და სთქვა: „მე შიშველი დავიბადე, და შიშველივე მივიქცევი დედისა ჩემისა—დედა-მიწისადმი. ღმერთმა მომცა და ღმერთმავე აიღო! კურთხეულ იყოს სახელი უფლისა“!

ყველა ეს უბედურება ღვთის ნება რთვით იობს ეშმაკმა შეამთხვია და ეგონა, რომ ის იობს ღმერთზე რასმე ყვედრებას ათქმევინებდა. მაგრამ იობმა ყველანი მოითმინა. ამისათვის ეშმაკი ძლიერ დაღონდა და როცა ანგელოზნი წარდგნენ უფლის წინაშე, ეშმაკიც მივიდა. უფალმა ეშმაკს რომ ჰკითხა:—საიდგან მოსულხარო? იმან უთხრა იობზე: „სხვათა ტყავში ტანჯვა შეიძლებაო, თორემ კი თავისი გადაარჩინოსო; ამასთანავე ყოველისფერს, რაც კი კაცსა აქვს, გასწირავს, თორემ კი კაცმა თავისი სიცოცხლე დაიცვას. სწორედ ასრე არის იობის საქმეცა. იმას რა ენაღვლება, თუნდა რომ მთელი ქვეყანა ამოწყდეს; თორემ კი იმას თვითონ ხორციელად ნურა ევნება რაო“. ამაზე უფალმა უთხრა ეშმაკს: „თორემ კი ნუ მოჰკლაო, და ნება მომიცია, რაც გინდა უყავი იმის სხეულსაო“. ეშმაკი გამობრუნდა და ისეთი საშინელი სნეულება გაუჩინა იობს პირის სახეზე, თავზე და მთელს ტანზე, რომ ის ცოცხლივ ლპებოდა და ისრწნებოდა. ის ისეთი საშიშარი გახდა, რომ ნათესავებმა სახლში ველარ შეინახეს და გარედ სანეხვეზე დააწვინეს. იობს ეჭირა ხელში ნა-

ფოლტი და ჩირქისა ფსხვდა თავის ტანზე. ის არამც თუ ნაცნობებმა და მეზობლებმა ღვთის ამარად დასტოვეს, არამედ იმის ცოლსაც კი ის აღარ ებრალებოდა. იმის პირიდგან საზარელი მყრალი სუნი ამოდიოდა. ერთხელ ცოლმა უთხრა იმას: „შენ კიდევ არ იშლი შენს სიქველეს? უარი ჰყავ ღმერთი და ის შენ მოგრისხავს და მოგკლავ-სო". მაგრამ იობმა უთხრა: „შენ, როგორც უგუნური, ისრე ლაპარაკობ. უკეთუ ჩვენ გვიხაროდა სიკეთის მიღება უფლის ხელიდგან, რატომ აღარ უნდა ვიღებ-დეთ ბოროტსაცა"? ამ სახით იობმა არც ახლა შესცო-და ღმერთსა.

მაგრამ ამის შემდეგ იობს უფრო დიდი მწუხარება შეემთხვა. იმასთან მოვიდნენ სამნი მისნი მეგობარნი და ის რომ ნახეს, ძალიან შეძრწუნდნენ. შვიდი დღე და ღამე ისინი იობთან ისხდნენ და ვერას ეუბნებოდნენ. ბოლოს იობმა სთქვა, რომ თუ კი ასრეთი ტანჯვა მო-მელოდა, რათ გამაჩინა ღმერთმაო. ახლა მეგობრებმაც დაიწყეს ლაპარაკი, მაგრამ უფრო აწყენინეს, ვიდრე ნუ-გეში სცეს. ალბათ რამე დაფარული ცოდვა გაქვს და ამისთვის ღმერთი გტანჯავსო. მოინანიე ცოდვა და მორ-ჩები. იობი თავს იმართლებდა, მაგრამ იმას არ უჯე-რებდნენ. ამისათვის იმათი ეჭვი იმას გულს უკლავდა და სთხოვდა ღმერთს, რომ ის გაემართლებინა. ღმერთი მართლაც გამოცხადდა და შეამოწმა იობის სიმართლე და იმის მეგობრებს უთხრა, რომ, თუ იობი არ ითხოვს თქვენთვის ცოდვების შენდობას, დაგსჯითო.

ამის შემდეგ იობი მორჩა. ღმერთმა ტანჯვის მოთმენისათვის ის ისევ დაასაჩუქრა. იმას უწინდელზე ორჯერ მომეტებული საქონელი მისცა. იმას გაუჩნდა აგრეთვე შვიდი შვილი და სამი ასული. იობმა ამის შემდეგ კიდევ იცოცხლა 140 წელიწადი და დაგვიტოვა მაგალითი მოთმენისა.

## ებრაელები ეგვიპტეში.

### 39. იაკობის ეგვიპტეში გადასახლება.

ღვთის განგებამ გარემოებები ისე მოაწყო, რომ იაკობის ერთი შვილი, იოსები ეგვიპტეში ჰსცხოვრებდა. იმას ეგონა, რომ იოსები მკვდარი იყო. მაგრამ პურის სასყიდლად ეგვიპტეში წასული შვილები რომ მოვიდნენ ქანაანის ქვეყანაში მამასთან, უამბეს იმას, რომ იოსები ცოცხალი არის და მამის ნაცვას ნდომობსო, იაკობმა ჯერ არ დაიჯერა ეს ამბავი; მაგრამ ფარაონისაგან საჩუქრად გაგზავნილი ეტლები რომ ნახა, იმისი გული სიხარულით აივსო და სთქვა: „ჩემი შვილი იოსები თურმე კიდევ ცოცხალია; და ვიდრე ცოცხალი ვარ, წავალ და კიდევ ვნახავ“.

მაგრამ იმას უნდა შაეტყო, მისცემდა ღმერთი ეგვიპტეში წასვლის ნებას, თუ არა. ამისათვის იმან ღმერთს მსხვერპლი შესწირა და ამ დროს ღმერთმაც უთხრა:

„ნუ შიშობ ეგვიპტეში წასვლას; მე შენ იქ არ დიგტოვებ და ქანაანის ქვეყანას არ დაგიკარგავ; იქ შენგან დიდს ხალხს წარმოვშობავ და მერმე უკანვე გამოგიყვან იქიდგან“. ამის შემდეგ იაკობი თავისის ოჯახობით და ქონებით წავიდა ეგვიპტეში. იოსები ჯერ მიეგება მამას და მერმე მამისა და თავის ძმების მისვლა ფარაონს შეატყობინა. შემდეგ ამისა ისინი დასახლდნენ ეგვიპტის ნაყოფით და ბალახით საუკეთესო მიწაში, რომელსაც გესემი ერქვა. იოსები აძლევდა მთელს იაკობის სახლობას საზრდოს, ვიდრე შიმშილობა გათავდებოდა.

## 40 იაკობისა და იოსების სიკვდილი

იაკობმა ეგვიპტეში ჩვიდმეტი წელიწადი კიდევ იცხოვრა. როდესაც მან თავის თავს სიკვდილის მოახლოვება შეატყო, დაუძახა ყველა თავის შვილებს და თვითეულად აკურთხა და უწინასწარმეტყველა მომავალი ბედი იმათი შთამომავლობისა. სახლის უფროსობა იმან მეოთხე შვილს იუდას გადასცა. იაკობმა უწინასწარმეტყველა იუდას, რომ იმის შთამომავლობისგან ებრაელებს ეყოლებათ თავისი მეფენი და წინამძღომელნი, ვიდრე ქვეყნად მოვიდოდეს—მესია—მაცხოვარი. ამის შემდეგ იმან დასდვა ანდერძი, რომ მე აბრაამთან და ისაკთან ქანაანის ქვეყანაში დამასაფლავეთო და კიდეც მოკვდა. იოსებმა აღასრულა მამის ანდერძი. ეგვიპტის ჩვეულებისა

მერე შეჰმურა იაკობის სხეული და მერმე გადაიტანეს ქანა-ნის ქვეყანაში და დაასაფლავა. მამათ-მთავარს იაკობს ესრე უყვარდა თავისი სამშობლო, რომ თავს უბედურად რაცხდა, უკეთუ, სიკვდილის შემდეგ, მისი გვამი თავის სამშობლო ქვეყანაში—ქანაანში, აბრაამის მახლობლივ, არ დაიმარხებოდა.

საზოგადოთ ყველა ებრაელებს ისრე უყვარდათ თავისი სამშობლო, როგორც ღვიძლი შვილი. შემდეგ იაკობის სიკვდილისა იოსებმა 60 წელიწადი კიდევ იცოცხლა; და, სიკვდილის ჟამს, იმანაც უანდერძა ყველა ებრაელებს, რომ, როდესაც ღმერთი თქვენ გაგიყვანთ ეგვიპტიდგან, მაშინ ჩემს ძვლებსაც ნუ დასტოვებთ აქ სამარეში და გადიტანეთ ეგვიპტითგან ჩემს სამშობლოშიო. ებრაელე-ბმა აღასრულეს ანდერძი იოსებისა: გამოსვლის დროს ამოიღეს სამარიდგან იმისი ძვლები, შემურვეს, წაიღეს და დაასაფლავეს სამშობლო მიწა-წყალში.

## 41. იაკობისა და იოსების სიკვდილის შემდეგ ებრაელების მდგომარეობა

იოსების სიკვდილის შემდეგ ებრაელები ძალიან გამრავლ-დნენ. ისინი მწყესობით სცხოვრობდნენ. იმათ ქონდათ თავისი ჩვეულობები, თავისი დღესასწაულები და თავისი სარწმუნოება. იმათ უყვარდათ თავისი მწყემსური ცხოვ-რება, უყვარდათ თავიანთ მამაპაპის ცხოვრებაზე ლაპარაკი,

მშობლისავით უყვარდათ, თავისი სამშობლო ენა, რომლესაც არა გარკვევდნენ, რაც გინდა უბედურება შემთხვეოდათ. ეგვიპტელებს ძალიან სურდათ, რომ ებრაელებს დაეკარგათ თავისი ხალხოსნობა და ენა და იმათ გაერთებოდნენ; მაგრამ ებრაელები ამისი ძალიან წინააღმდეგნი იყვნენ, რადგანაც ეგვიპტის ის ნაწილი, რომელშიაც ებრაელები სცხოვრებდნენ, ძალიან ნაყოფიერი ქვეყანა იყო. ამისთვის ებრაელნი ძალიან გამრავლდნენ და ცხოვრებდნენ ბედნიერად. იაკობის თორმეტი შვილისაგან წარმოსდგა თორმეტი თემი და გვარად ეწოდებოდათ ისრაილი, რადგანაც იმათ მამათ მთავარს იაკობს ღმერთმა ისრაილა უწოდა. იმათ ეძახდნენ ებრაელებსაც, რადგან იმათს ერთს მამათმთავარს ებერი ერქვა. ყველა თემს ანუ გვარეულობას თავისთვის ცალ-ცალკე სცხოვრებდა და ჰყავნდა თავისი მამასახლისი.

ებრაელნი თავდაპირველად სრულიად არ ეკარებოდნენ ეგვიპტელებს. მაგრამ შემდეგში ისინი ზნეობითად დაეცნენ. ეგვიპტის ფარაონები სცდილობდნენ, რომ იმათ დაევიწყნათ თავისი ენა, მიეღოთ იმათებური სარწმუნოება და გამხდარიყვნენ ეგვიპტელებად. ამგვარმა მათმა ცდილობამ მართლაც ძალიან შეარყია ებრაელების ენა, ხალხოსნობა და სარწმუნოება. მრავალმა იმათგანმა დაივიწყეს თავისი სარწმუნოება და ენა; შეემხრნენ იმათ, დაიწყეს ეგვიპტურად ლაპარაკი და ეგვიპტური სარწმუნოების აღსრულება. ეგვიპტელები ხარს, კატას, გველ ვეშაპს, მთვარეს და მზეს თაყვანსა სცემდნენ, და რაც

სარწმუნოება იყო, ისეთიც ზნეობითი სწავლა ჰქონდათ. ამ გვარი სარწმუნოების ზნეობითი სწავლისა და ფარაონების ცდილობით ებრაელებს შორის ჩამოვარდა უთანხმოება და უსიამოვნობა; ეგვიპტელების სიამოვნებისათვის ისინი ერთმანეთს აბეზღებდნენ და ღუპავდნენ. ფარაონებიც, რადგან სურდათ ებრაელების სახსოვნობის და ენის დაღუპვა, უფრო და უფრო აქეზებდნენ იმათ და აძლევდნენ ხალხს ერთმანეთის წასაძლევად. უეჭველია, რომ, რომელ ხალხშიაც არ არის თანხმობა და სიყვარული, იმ ხალხში არასოდეს საქმეც კეთილად არ წავა, მეტადრე, თუ სხვანიც უქისქისებენ ერთმანეთს. ამგვარს ცხოვრებას ხალხისთვის ის შედეგი ჰქონდა, რომ ყველა ებრაელი მხოლოდ თავის სარგებლობას ეძიებდა.

მაგრამ ნათქვამია: „სადაც ბოროტია, იქ კეთილიც იმყოფება." მათ შორის იყვნენ ისეთი კაცნიც, რომელთაც ძლიერ უყვარდათ თავისი სარწმუნოება, თავის მამა-პაპის ჩვეულებანი და ენა, უყვარდათ თავის ტომის ერი ისე, ვითარცა საკუთარი თავი. ასეთი იყვნენ მაგალითად მოსე, აარონი, ისო ნავენი, ქალებ და სხვა. ეს კაცნი თავ-გადადებულნი იყვნენ თავის ერისათვის. ისინი არასა ზოგავდნენ ებრაელების ბედნიერებისათვის. გული უკვდებოდათ, რომ ხედავდნენ ეგვიპტელებისაგან ებრაელების დაჩაგვრასა. რამოდენათაც ეგვიპტელები სდევნიდნენ ებრაელებს, მათს ენას, ჩვეულებაებს და სარწმუნოებას, იმოდენათვე უფრო და უფრო ებრაელებს ერთმანეთი უყვარდებოდათ, ეღვიძებოდათ ურთიერთის შო-

რის თანხმობა და თავის გვარტომობისათვის წარმატების სურვილი. საზოგადო უბედურებამ, მწუხარებამ და დევნამ ხალხის შეერთება იცის. ამისათვის ებრაელებიც ახლა საერთო უბედურობისაგამო ერთმანეთის ეკითხებოდნენ, შემწეობას აძლევდნენ და ესარჩლებოდნენ; ცდილობდნენ და ევედრებოდნენ ღმერთს, რომ მას მიეცა მათთვის შემწეობა ეგვიპტელების მძლავრი ხელიდგან გამოხსნისა ამ გვარ ცხოვრების მწუხარე ზარემოებაებში; დაიბადა მათთვის თავგადადებული მოსე; რადგან მოსეს ძალიან უყვარდა ღმერთი და ებრაელები, ამისათვის ღმერთმა მისცა მას წინასწარმეტყველება და წინამძღომლობა.

---

## დრონი ებრაელთა წინამძღვართა.

### 42 დაბადება და აღზრდა მოსესი და ეგვიპტიდგან მისი გაქცევა

მოსე ამრამის შვილი იყო. რადგან ებრაელები ამ დროს ძალიან მრავლდებოდნენ და რადგან ეგვიპტის ფარაოზებს ეშინოდათ, რომ ისინი ბოლოს ისრე გამრავლდებიანო, რომ მოინდომებენ ჩვენს უფლებიდგან გამოსვლას, ამისათვის მოინდომეს მათი შემცირება. დაუწყეს ებრაელებს მუშაკება სხვა და სხვა სახელმწიფო შენობაების კეთებაზე. მაგრამ ღვთის განგებით ისინი

უფრო და უფრო ვრცელდებოდნენ. ეგვიპტელებმა რომ დაატყვეს, რომ ისინი ებრაელებს წვალებით და დევნით ვერას სდებიან, მეფე-ფარაონმა, ს ე ფ ო ს ტ რ ი ს მ ა, ახლა გამოსცა ბრძანება, რომ ბოვშები მამრობითი სქესისა, ყველანი დაეხოცნათ. მ ა შ ი ნ ბ ე ბ ი ე ბ მ ა ხ ე ლ ი მ ი ჰ ყ ვ ე ს ვ ა ჟ ი შ ვ ი ლ ე ბ ი ს ხ ო ც ვ ა ს დაბადების დროს, ხოლო ქალების კი დატოვება. აი ამ საზოგადო გოდების დროს დაიბადა მოსე. იმის დედამ სამი თვე მალა და აწოვა ძუძუ. მერმე რომ აღარ შეიძლებოდა მისი დამალვა, კალათა გადალესა ფისითა და ნილოსის მდინარის პირზე ლერწმოვან ჭაობში ჩაადგო, რადგან იცოდა რომ აქ ფარაონის ასული მოდიოდა და ბანაობდა და აქ ის იპოვის ბოვშს. მოსეს და, მარიამმა, ძალიან ებრალებოდა თავისი უსუსური ძმა, გოდრით წყალში ჩაგდებული, და ამისთვის შორი-ახლოს დაიმალა და თვალ-ყურს ადევნებდა მას, თუ რა დაემართებოდა მოსეს. ბედზე ამ დროს წყალზე მოვიდა საბანაოდ ფარაონის ასული და, რომ დაინახა წყალში ფისით შეგლესილი გოდორი, მაშინვე უბძანა მოახლეს იმის გამოტანა. გამოტანის უმალვე ის რომ გახსნეს, შიგ იხილეს მშვენიერი უსუსური ბავშვი. მეფის ქალს ძალიან შეებრალა და მაშინვე მიხვდა, რომ ის ებრაელის ბოვში იყო. მიმალულმა მოსეს დამ, მარიამმა, შეატყო პირის სახეზე შებრალება და ალერსი, გამოვიდა და უთხრა: „თუ გსურს, მე ვიშოვნი მაგ ყმაწვილს ძიძასო". ასული მეფისა დაეთანხმა. მარიამმა მიირბინა დედას-

თან, უამბო ყოველი ტყეში, მოიყვანა და მას ჩააბარებს ბავში. ამ სახით მოსესთვის მუძუს მაწოვარად და გამზრდელად ისევ მისივე საკუთარი დედა გახდა. მუძუს მოშორების შემდეგ ის წარუდგენს თავის დედობილს ფარაონის ასულს. იმას დაარქმევს სახელად მოსე, რომელიც ნიშნავს წყლიდგან ამოყვანილს.

ფარაონის ასულმა ამის შემდეგ მიიღო ზრუნველობა მოსეს განათლებისათვის. ფარაონის სასახლეში მოსეს ასწავლეს ეგვიპტის სრული სიბრძნე, რაც სარგებლობდა მეფის სიმდიდრით და წარჩინებულების პატივით. მაგრამ ის არ ივიწყებდა, რომ ებრაელი მოსი მამები არიან. იმას მუდამ ჰქონდა ებრაელების შეწუხება და დევნა. როდესაც შეუსრულდა 40 წელიწადი, ნახა რომ ებრაელების მოთმინება მოსწყდა მეფის მკაცრ მძიმე დღე ... ის ... დამოკიდებული იყო. ამ ხანებში იმან ნახა, რომ ერთი ეგვიპტელი უწყალოდ სცემს ებრაელს, რომელიც ისე იყო დაღლილი და მოქანცულებული შრომისაგან, რომ მუშაობის ღონე აღარა ჰქონდა. მოსეს თავში სისხლი აუვარდა, აენთო, ვეღარ მოითმინა უსამართლობა, წაესარჩლა თავის ძმობას და მოჰკლა მძლავრი ეგვიპტელი, და გვამი მისი სამარხად ქვიშაში ჩამარხა. ფარაონმა შეიტყო მოსეს მიერ ეგვიპტელის მოკვლა და უბრძანა მოსის სასიკვდილოდ დასჯა. მაშინ მოსე გაიქცა ეგვიპტიდან მადიამის ქვეყანაში საცხოვრებლად მღვდელთან და გაიზრდება ... მომღვრად გამოხსნისამდის ... რომელმაც მას ხელი მოუმართა.

## 43. მოწოდება მოსესი.

ეგვიპტიდგან გაქცეული მოსე ა რ ა ბ ი ე თ ში ი ა ს ტ ო-ა თ ა რ მღვდელთან სცხოვრებდა. იმასთან მწყემსად იყო და აქ იმან იმისი ასული სეფორა ცოლად შეირთო. მაგრამ ამ დროს მოსეს არაოდეს არ ავიწყდებოდა ებრაელების ტანჯვა ეგვიპტეში. იმას ძლიერად უწუხდა გული, რომ ვერას აკეთებდა მათ გამოსახსნელად უცხო ტომის მძლავრობისაგან. იმას მუდამ თავის ტომის გამოხსნის აზრი უტრიალებდა თავში, და ეძებდა რაიმე შემთხვევას. ამ ფიქრებით აღტაცებული მოსე ერთხელ გარეკა ცხვარი ხორების მთის მახლობლივ, და უეცრად მთაზე იხილა საოცარი ჩვენება: მაყვლოვანი მთლად ცეცხლის ალში იყო მოხვეული, მაგრამ არ კი იწვოდა. განცვიფრებული მოსე მიუახლოვდა, შესატყობად თუ რა მოვლენაა, რომ მაყვლოვანი არ იწვის, თუმცა კი ის მოხვეულია ცეცხლის ალში. მაშინ შემოესმა იმას ხმა მაყვლოვანიდგან: გაიძრე ფეხთაგან შენი ხამლები: რადგანაც ადგილი, რომელზედა ზედა შენ სდგეხარ, არის წმინდა. მოსემ გაიძრო ფეხსაცმელი და მოწიწებით გაჩერდა მაყვლოვანის წინაშე. ხმა მაყვლოვანიდგან ეუბნებოდა: „მე ვარ ღმერთი მამისა შენისა, ღმერთი აბრაამისა, ისაკისა და იაკობისა. მე ვიხილე ეგვიპტეში ტანჯვა ერისა ჩემისა და მსურს იმის გამოხსნა ეგვიპტელების მძლავრობიდგანა და ქა-

ლავე შენ მიდი ფარაონთან და გამოიყვანე ეგვიპტიდ-გან ერი ჩემი“. მოსემ ამაზე უპასუხა: „უფალო, მე ვინა ვარ, რომ წავიდე ფარაონთან და გამოვიყვანო ეგვიპტით ძენი ისრაილისანი.“ „მე ვიქნები თქვენთან, უთხრა უფალმა, და როდესაც გამოიხსნი ერსა ჩემსა, მაშინ თაყვანი ეცით ღმერთსა ამ მთაზედ. უკეთუ გკითხეს: ვინ გამოგზავნა შენ, უთხარი, რომ „ა რ ს მ ა“ გამომგზავნა თქო“. მაგრამ მოსე მაინც და მაინც შიშობდა ეგვიპტეში წასვლას და იგონებდა მიზეზებს. „მე არა ვარ კაცი მჭევრმეტყველი; მე ძალიან მძიმედ ვლაპარაკობ, ენა ბლუნგი ვარ“, ეუბნებოდა ის უფალს. მაშინ უფალმა უთხრა მოსეს: „განა ენის მიმცემი კაცისთვის მე არა ვარო? ყოველივეს, რაც შენ უნდა სთქვა იქ, მე შთაგაგონებ შენ; შენი ძმა აარონიც შენი თანაშემწე და მოენე იქნება; მე იმისთვის მითქვამს და ის შენ წინ შემოგეგებება; აგრეთვე ეგ შენი კვერთხი თან წაიღე: მაგით შენ ეგვიპტელებს სასწაულს მოქმედებას უჩვენებ“. ამის შემდეგ მოსე მიხვდა, რომ ვითარცა მაყლოვანს თუმცა ეკიდებოდა, მაგრამ არ იწოდა, აგრეთვე თუმცა ეგვიპტელნი სდევნიან ებრაელთა, მაგრამ ვერას დააკლებენ იმათ. ახლა ღვთისაგან დამედებული მოსე შეუდგა ებრაელების გამოხსნას ეგვიპტითგან.

## 44. ებრაელთა გამოხსნა ეგვიპტელების მონებითგან.

უფლის ხილვის შემდეგ მოსე წავიდა ეგვიპტეში. გზაზე მას მიეგება თავისი ძმა არონი. ეგვიპტეში მისვლის უმალვე იმათ შეჰყარეს ებრაელების მამასახლისები და უამბეს ყოველივე, რაც უთხრა ღმერთმა მოსეს. ხალხს ძალიან მოეწონა უფლის მოწყალება და გამოაცხადეს თვითონაც სურვილი ეგვიპტითგან გასვლისა. მაშინ მოსე და არონი მივიდნენ ფარაონთან და უფლის სახელით სთხოვეს, რომ იმათ ნება მიეცათ ებრაელებისთვის, რომ ისინი წასულიყვნენ სინაის მთაზედა ღვთისთვის მსხვერპლი შეეწირათ. ამაზე ფარაონმა უპასუხათ, რომ მე ვერ ვიცნობ ვინ არის უფალი, იეგოვა, და ამისთვის ისრაილს არ მივცემ წასვლის ნებასო, და უბრძანა თავის მოხელეებს, რომ ებრაელები უფრო მომეტებულად შეევიწროებინათ. ამის შემდეგ ებრაელებს უფრო უარესი ჭირი და მწუხარება დაადგათ. მაშინ მოსე და არონი ხელახლავ წარსდგნენ ფარაონის წინ თავის უფლისაგან მინდობილების დასამტკიცებლად. მოსემ თავისი კვერთხი ჯერ გველად აქცივა და მერმე უვნებელი ხელი უბეში ჩაიყო და მთლად კეთროვანებით დაწყლულებული გამოიღო. ესვე სასწაული ჰქმნეს ეგვიპტის ბრძენთაცა მაგრამ მოსეს სასწაული მით იყო მომეტებული, რომ მისმა გველმა იმათი გველები შეჭამა. ფარაონმა ამ სას-

წაუღებს მაინც და მაინც ყური არ უგდო. მაშინ უფალმა დაიწყო ეგვიპტელების სასტიკად დასჯა: ცხრა ნაირმა სასტიკმა სასჯელმა ფარაონს მაინც ვერა შეასმინარა.

მაშინ უფალმა უთხრა მოსეს, რომ მე კიდევ დავსჯი ეგვიპტელებს და მერმე ფარაონი ერსა ჩემსა გასვლის დასტურს დასცემს და უბრძანა, რომ ათის მარტს ყოველმა ებრაელთა ოჯახმა თითო უნაკლულო კრავი — ამოირჩიოს. — თოთხმეტ მარტს საღამოს დაკლან, სისხლით თავიანთ სახლების კარის ჩარჩოები მოსვარონ და კრავის ხორცი მოუხარშავი, შეწვან ცეცხლზე და მწარე მწვანილებით და უმარილოდ შეჭამონ; უსათუოდ კრავის ძვლები კი არ დაამტვრიოთ, და რაც გადარჩება — ცეცხლში დაიწვასო; ამასთანავე საგზალით გამზადებულებმა და ჩაცმულ — დახურულებმა, ფეხსაცმელ-ჩაცმულებმა შეექამათო.

ებრაელებმა აასრულეს, როგორც უბრძანა უფალმა მოსეს პირით. მარტის მეთოთხმეტე დღის ღამეს უფალმა ამოსწყვიტა ყოველი პირმშო შვილი ეგვიპტელებისა; ამისთვის შეიქნა გოდება მთელს ეგვიპტეში. ფარაონი შეშინდა, მოუწოდა მოსეს და აარონს და უთხრა: წადით ჩემს სახლიდგან და წადით, შესწირეთ თქვენს ღმერთს მსხვერპლიო. — ამ ამბის შემდეგ ეგვიპტელებმა მალე დააჩქარეს ებრაელები, რომ ამათ საგზალი პურის გამოცხობაც ვეღარ მოასწრეს და ამისთვის გზაზე ხმიადს აცხობდნენ. მოსემ ამასთანავე არ დაივიწყა იოსეფის ანდერძი, ამოთხარა იმისი ძვლები და გადიტანა ქანაანის ქვეყანაში, რომელიც იმას ძლიან უყვარდა,

ამისთვის, რომ თავისი სამშობლო იყო და იქ ცხოვრობდა, სადა-ც ემარხა მამა-პაპა. სახსოვრად ამ გამოხსნისა მოსემ დაა-დგინა შვიდი დღიური ქეიფი — პასექა და უბრძანა ყველა ებრაელს, რომ წელიწადში შვიდი ამ გამოხსნის სახსოვ-რად დღეობისთვის შეეწირა.

## 45 ებრაელების ეგვიპტიდგან გამოსვლა.

რიცხვი ეგვიპტიდგან გამოსულ ებრაელებისა, რო-მელთაც შეეძლოთ იარაღის ხმარება, იყო 600,000 კა-ცი; გზაზე ღმერთი ისინი ყოველს გაჭირვებაში ეშვე-ლოდა. იმათ წინ [illegible] [illegible] [illegible] [illegible]-რომელშიაც [illegible] [illegible], რომ სიცხე არა აწვალებდათ; იმათ [illegible] [illegible] [illegible] გა-მოჩნდა ღრუბლის სვეტი, [illegible] სვეტი [illegible] [illegible] [illegible] ებრაელებს [illegible] — [illegible], ასეთ [illegible] და გზას [illegible]. ებრაელები მიუახლოვდნენ ამას, მისი წინამძღოლობით [illegible] მეწამულს ზღვა-ზედ [illegible] [illegible] [illegible] ეგვიპტიდგან.

ეგვიპტელებმა, რომ დაამარცხეს თავიანთი [illegible] — [illegible]-[illegible] [illegible] ებრაელების გაშვება, ამისთვის, რომ ისინი, [illegible] იქ იყვნენ, იმათ [illegible] [illegible]-[illegible], [illegible] [illegible] [illegible], [illegible] 600 [illegible] და [illegible] [illegible] მეწამულს ზღვაზე, [illegible] მხარეს, დაეწივნენ ებრაელებს, [illegible]. [illegible]

ფარაონი დაეწია მათ. ებრაელები შეშინდნენ, მდევარი რომ დაინახეს, დაუწყეს მოსეს წყევლა და ყვედრება, რადგან ეშინოდათ, რომ ფარაონი იმათ უკანვე დააბრუნებდათ და უწინდელ უარეს ტანჯვას მიაყენებდათ. მოსე ამშვიდებდა იმათ: „ნუ გეშინიათ, ეუბნებოდა ის ხალხს, ახლა ნახავთ თქვენ, როგორ დაგვიხსნის ჩვენ ღმერთი: ამ ეგვიპტელებს თქვენ ვეღარ იხილავთ უკუნითი უკუნისამდე“. ამის შემდეგ მოსემ, ღვთის ბრძანებით დაჰკრა კვერთხი ზღვას, გაიპო ორად: მერმე დაიწყო ძლიერი აღმოსავლეთის ქარი, შეაყენა წყალი და გააშრო ზღვის ძირი. შეშინებული ებრაელები შევიდნენ გამშრალ ზღვის ფსკერში, წყალი ორად გაყოფილი იქით-აქეთ კედლებსავით გაჩერებული იყო, და ისინი კი გზას მიეშურებოდნენ. ამ დროს ეგვიპტელებიც შევიდნენ და იმავე გზით მისდევდნენ იმათ. ეგვიპტელების თვალების ასახვევად ღმერთმა მაშინ ჩააყენა ებრაელებსა და ეგვიპტელებს შუა ღრუბლის სვეტი; ამან ეგვიპტელებს გზა დაუბნელა და ამისთვის ვერ გაიგეს თავისი ზღვაში ყოფნა: გაცხარებული შესდევდნენ იმათს უკან, და ისინი შუაზე რომ მივიდნენ, მაშინ ებრაელები კიდევაც გავიდნენ ზღვის მეორე ნაპირს. ამ დროს მოსემ დაჰკრა ზღვას ხელი მეორედ კვერთხი და შემდგარი ზღვა ისევ შეერთდა და დაახრჩო ფარაონიცა და მისი ჯარიცა, ერთიც ვერ დარჩენილა ცოცხალი; ასე ადიდა ღმერთმა თავისი თავი და შეამთხვია ეგვიპტელებს ძვირი, იმისათვის რომ იმათ ებრაელების ხალხოსნობის გაქრობა უნდოდათ.

## 46. ებრაელების მგზავრობა სინაის მთამდე და სასწაულები, ვიდრე ქანაანის ქვეყანამდე.

ებრაელები მიდიოდნენ ქანაანის ქვეყანაში არაბის-ტანის უდაბნოს გზით. ეს გზა ძალიან ცუდი გზა იყო. ამ გზაზე ებრაელებმა დიდი ჯაფა და მწუხარება გამოიარეს. ისინი გზაზე ბევრჯელ უწყლობამ შეაწუხა; ბევრი შიმშილი მოითმინეს, ბევრი აყალ-მაყალი და შფოთი მოუვიდათ. ორმოცი წელიწადი გზაზე იარეს და მუდამ უსიამოვნებაში იყვნენ. ბევრჯელ აყვედრეს მოსეს, რომ შენ იმისათვის გამოგვიყვანე ეგვიპტიდან, რომ გსურდა ჩვენი ამოწყვეტაო.

მაგრამ ამ გვარ სამწუხარო მდგომარეობაში იმათ ღმერთი შველოდათ. იმათ უდაბნოში პური აკლდათ და ღმერთმა მისცა მანანა, რომელსაც ყოველ დღე აგროვებდნენ, შაბათის გარდა, რადგან წინა დღეს მოგროვილს მეორეს დღეს მატლი ესხმოდა. შაბათისათვის კი წინა დღითვე აგროვებდნენ, რადგან ამ დღეს მანანა აღარ ეძლეოდათ. იმათ წყალი აკლდათ და მოსემ, ღვთის ბრძანებით, დაჰკრა კლდეს კვერთხი და გამოადინა წყალი. იმათ ხორცი აკლდათ და ღმერთმა მოუვლინა იმდენი მწყერი, რომ იმათ ერთი თვის განმავლობაში იმისი ხორცი ჭამეს. მაგრამ ბოლოს მომეტებულმა სიხარბემ სტომაქში აწყინათ და ამისათვის ბევრი ამოწყდა. ამათ

სასაფლაოს „გაუმაძღრობის სამარხოვანი“ უწოდეს. მწყრე-
ბი ძალიან დაბლა მოფრინავდნენ და ისინი იჭერდენ და
სჭამდნენ.

ასრე ჰკვებავდა და ზრდიდა ღმერთი უდაბნოში
ებრაელებს, უწვევნებდა გზას და ასრე ეუბნებოდა: გახ-
სოვდეს მთელი გზა, რომელზედაც შენ გატარა უფალ-
მან, რომ დაგამშვიდოს შენ, რომ გამოგცადოს და შეიტყ-
ოს, ასრულებ მის მცნებას თუ არა, იმან დაგამშვიდა
შენ, დაგამშია და გამოგზარდა მანანათი, რომ გიჩვენოს
შენ, რამეთუ არა მარტო პურითა კაცი ცოცხალ იქმნე-
ბის, არამედ ყოველითა სიტყვითა, რომელიც გამოვალს
პირისა უფლისაგან.

## 47 სინაის ჰსჯულდება.

მესამე თვეს დამდეგში ებრაელები მოვიდნენ სი-
ნაის მთასთან და დასდგნენ კარვები იმის პირის-პირ. აქ
ღმერთმა გამოუცხადა ხალხს: „თქვენ სომ ნახეთ, სთქვა
იმან, რა უყავი მე ეგვიპტელებს და რა სახით მე თქვენ
გატარებდით, ვითარცა არწივის ფრთათა ზედა და მო-
გიყვანეთ აქ ჩემთან. და ახლა, უკეთუ თქვენ გამიგო-
ნებთ მე, თქვენ იქნებით ჩემთვის ყველა ხალხებ შორის
საყვარელი ხალხი; იქმნებით წმინდა ხალხად და საღმთო
სამეფოდ“. ეგვიპტით გამოსვლიდგან მეორმოც-და-ათ
დღეს უკან სინაის მთაზე ჩამოწვა ძლიერი ღრუბლები,

იხილეს საშიშარი ელვარება და გაიგონეს ქუხილი და ხმა საყვირისა. მოსე და აარონი ავიდნენ მთაზე და დასდგნენ ხალხის პირის-პირ. ხალხი დიდის კრძალვით იდგა მთის ძირში და შეჰსცქეროდა მაღალს მთას. აი ამ დროს ღმერთმა მისცა ებრაელებს ათი მცნება. უფალმან ხმა მაღლა უთხრა ხალხს:

I. მე ვარ უფალი ღმერთი შენი, და არა იყვნენ შენდა ღმერთნი უცხონი ჩემსა გარეშე.

II. არა ჰქმნე თავისა შენისა კერპი, არცა ყოვლადვე მსგავსი, რაოდენი არს ცათა შინა ზე, და რაოდენი არს ქვეყანასა ზედა ქვე, და რაოდენი არს წყალთა შინა და ქვეშე ქვეყანისა: არა თაყვანი-სცე მათ და არცა მსახურებდე მათ.

III. არა მოიღო სახელი უფლისა ღვთისა შენისა ამაოსა ზედა.

IV. მოიხსენე დღე იგი შაბათი და წმიდა ჰყავ იგი: ექვს დღე იქმოდე, და ჰქმნე მათ შინა ყოველივე საქმე შენი; ხოლო დღე იგი მეშვიდე შაბათი არს უფლისა ღვთისა შენისა.

V. პატივეც მამასა შენსა და დედასა შენსა, რათა კეთილი გეყოს შენ და დღე გრძელ იყო ქვეყანასა ზედა.

VI. არა კაც-ჰკლა.

VII. არა იმრუშო.

VIII. არა იპარო.

IX. არა ცილი-ჰსწამო მოყვასსა შენსა წამებითა ცრუთათა.

X. არა გული გითქმიდეს ცოლისათვის მოყვსისა შენისა, არა გული გითქმიდეს სახლისათვის მოყვსისა შენისა, არცა ყანისა მისისა, არცა მონისა მისისა, არცა მხევლისა მისისა, არცა კარაულისა მისისა, არცა ყოველისა საცხოვარისა მისისა, არცა ყოვლისა მისთვის, რაიცა იყოს მოყვსისა შენისა.

ებრაელებმა კრძალვით მოისმინეს უფლის მცნებანი. უფალსაც მოეწონა ხალხის ღმობიერება და მოსეს პირით უპასუხა: მე დავბადებ მაგათ ძმათა შორის იმისთანა წინასწარმეტყველს, როგორიც შენა ხარ; ვინც არ გაიგონებს, მაშინ ჩემს სიტყვას, რომელსაც ის იტყვის ჩემის პირით, მე მას დავსჯი. ახლა უბძანე იმათ წავიდნენ თავიანთ კარვებში, და შენ კი აქ ჩემთან დარჩი: მე შენ გეტყვი ყველა მცნებას, წესდებას და კანონს, რომლისამებრ ისინი უნდა იქცეოდნენ იმ მიწა-წყალზე, რომელიც მე უნდა მივცე იმათ სამკვიდროდ". როდესაც მოსე დაბრუნდა მთიდგან და უამბო ყოველი-ფერი, ხალხმა პირობა დასდო, რომ ყოველივეს, რაც უბრძანებია უფალს, აღვასრულებთ და ვიქნებით მორჩილნიო". მეორე დღეს მოსემ შესწირა ღმერთს საღმრთო და სისხლით ასხურა ხალხი.

## 48. კარავი წამებისა და მისი მოწყობილება, სასულიერო წოდება და ებრაელების დღესასწაულნი.

სინაის მთასთან ებრაელები ერთი წელიწადი დარჩნენ. ამ დროს მოსემ ღვთის ბრძანებით მოაწყო კარავი კრებისა. კრეტსამბელით ის განიყოფებოდა ორ ნაწილად: პირველს ეწოდებოდა საწმინდე. ამ ნაწილში მარჯვნივ იდგა ტრაპეზი, ოქროში ჩასმული და ზედ ორ რიგად ეწყო თორმეტი პური, რომელნიც იწოდებოდნენ მღვნისა პურებად. ამ პურებს ყოველ შაბათობით სცვლიდნენ. მარცხნივ იყო ოქროს შანდალი შვიდის ლამპრითა და გაუწყვეტლივ შიგ ენთო ზეთი; კრეტსაბმელის პირ-და-პირ შუაზე კი იყო სასაკმეველე ტრაპეზი, აგრეთვე ოქროთი შემოსილი, რომელზედაც მღვდელნი აკმევდნენ საკმეველს. მეორე ნაწილი წმინდას წმინდათა. ამაში იყო ოთხ კუთხიანი ზანდუკი, ოქროთი შემოსილი და შიგ იდვა ის ათი მცნება, რომელიც მოსემ დასწერა ორს ფიქალის ქვაზე, და შიგ იყო აგრეთვე ოქროს ტაკუკით მანანა. ამისთვის ეს იწოდებოდა განცხადების კიდობნად. კარავში სხვა არა ვითარი ხატი არ იყო, გარდა ორისა მოქარგული კრეტსაბმელზე (გამოხატული) ქერობიმისა და ორისა ოქროთი ჩამოსხმული ქერუბიმთა, რომელნიც იყვნენ კიდობანზე გამოსახულნი და ფრთებ გამ-

ლილნი დასცქეროდნენ რჯულის კიდობნის კარებს, რომელთაც „სალხინობელი“ ერქვა. კარავის გარეშემო იყო ეზო. აქ იდგა სამსხვერპლო, სპილენძში ჩასმული, და ამაზე იყო გამოულეველად უქრობელი ცეცხლი. აქ სწირავდნენ მღვდლები ღმერთს საღრმთოს და ამაზე სწვავდნენ იმის ხორცს, სისხლს კი სამსხვერპლოს გარშემო უსხამდნენ. აქვე იყო გაკეთებული აგრეთვე ხელ-პირსაბანიცა. მღვდლები აქ ჯერ ხელ-ფეხს იბანდნენ და მერმე შედიოდნენ საწმინდეში სალოცავად.—წამების კარავს შესავალი კარები აღმოსავლეთიდგან ჰქონდა.

წამების კარვის მოსამსახურენი იყვნენ სასულიერო პირნი.—არონი, მოსეს ძმა, იყო მღვდელ-მთავარი და მისი გვარის კაცები იყვნენ მღვდლებად. გარდა ამისა, წამების კარავში სამსახურისთვის იყო გამორჩეული მთელი გვარეულობა ლევიტელთა, რომელსაც ეკუთვნოდა აგრეთვე არონიცა. ამათ ეჭირათ მოსამსახურეთა თანამდებობა და იწოდებოდნენ ლევიტელებად. ამათი სამსახური ის იყო, რომ ლოცვისა და წირვის დროს მღვდლებს შველოდნენ და მგზავრობის დროს სჯულის კიდობანს ატარებდნენ. ს ა მ წ მ ი ნ დ ე ში შედიოდნენ მხოლოდ მღვდლები, ხოლო კრეტსაბმელს იქით წ მ ი ნ დ ა ა წ მ ი ნ დ ა თ ა შ ი შესვლა აღკრძალული ჰქონდათ. აქ შედიოდა წელიწადში ერთხელ მხოლოდ მღვდელ-მთავარი მთელი ხალხისთვის შესანდობარი ლოცვის და მსხვერპლის შესაწირველად. სამღთო იყო უსისხლო და სისხლისა. უსისხლო იყო: ფქვილი, ნელსაცხებელი, საკმეველი, ღვი-

ნო და ახალი ხილი, სისხლოვანნი შეადგენდნენ: თხა, ცხვარი, ხბო, მტრედი და გვრიტი; მღვდელ-მთავარი წილისყრით აღირჩევდა სამღთოდ ორთაგან ერთს თხას, რომელსაც ხალხისთვის ცოდვის შესანდობლად იღებდა რახმეში, შედიოდა წმინდაა წმინდათაში და რჯულის კიდობნის ოქროს კარებს ასხურებდა ამ სისხლით და წარსთქვამდა შესანდობარს ლოცვასა; ამისთვის კიდობნის ხასხურავი კარი სალხინობელად იწოდებოდა. ამის შემდეგ ხორცი სხვერპლისა გაჰქონდათ ეზოს გარეთ და იქ სრულად ცეცხლში სწვავდნენ. მეორე თხაზე კი მღვდელ-მთავარი ამბობდა ხალხის ცოდვის აღსარებას და მერმე ხალხი იმის ბძანებით თხას უდაბნოში აგდებდა. ლოცვის დროს გალობდნენ და ხმარობდნენ აგრეთვე არღანსა და წინწილასა.

მღვდლებს და ლევიტელებს სამსახურში ქლეოდათ ამ მსხვერპლიდგან მხოლოდ ტყავი და სამღრთოს მარჯვენა ბეჭი.

ებრაელებს უქმი დღეებიც ჰქონდათ, მაგალითებრ შაბათი; გარდა ამისა ჰქონდათ დღესასწაულები: პასექისა, მეერგასესი, ახალი წელიწადისა, ახალი თვისა, საშაბათოდა იუბილეისა. საშაბათო დღესასწაული მოდიოდა შვიდ წელიწადში ერთხელ. ამ წელიწადს ებრაელები არა ხნავდნენ და არც სთესავდნენ, და რაც თავის თავად ნაგვრალევი მოვიდოდა, ისიც ღარიბებს უნდა შეეკრიფათ. ამ დღესასწაულში ამთავისუფლებდნენ ნასყიდ ყმასაც და მოვალეს ვალს აპატიებდნენ.

## 49. მგზავრობა ებრაელებისა, სინაის მთიდგან ქანაანის ქვეყანამდე, არაბის-ტანის უდაბნოში.

შემდეგ სჯულდებისა სინაის მთაზე, ებრაელები მოვიდნენ ფარანის უდაბნოში. აქ მოსემ უთხრა, რომ ქანაანის ქვეყანა, რომელიც უფალმა მისცა მათ საშვილი-შვილოდ, ახლა იმათ წინა მდებარეობს და უშიშრად შე-უძლიანთ ის დაიჭირონ. მაგრამ იმათ არჩიეს ჯერ მზვე-რავების გაგზავნა ქვეყნის გასაშინჯავათ და მერე მისი დაპყრობა. ამოირჩიეს თორმეტი კაცი, ყველა შთამამა-ვლობიდგან თითო, და გაგზავნეს იმის გასაშინჯავად. იმათში ერია ქალები, იუდას გვარის კაცი, და ისუ ნავე-ნი ეფრემის შთამამავლობიდგან. მზვერავებმა მთელ ქვეყანას აუარ-ჩამოუარეს, გასინჯეს და ნაყოფიერებით ძლიერ მოეწონათ. ორმოც დღეს უკან ისინი დაბრუნდ-ნენ და მოიტანეს ამბავი.—ისინი ყველანი აქებდნენ ქა-ნაანის ნაყოფიერებას, მაგრამ ათი ამათგანი ამბობდა, რომ იქაური ხალხი ისეთი ვაჟ-კაცია, მოსული და ძლი-ერია, რომ ჩვენ იმათი ძლევა არ შეგვიძლიან; მათი ქა-ლაქები ძალიან დიდრონი და ძლიერ გამაგრებულნი არია-ნო. ამ ამბავმა შეაშინა ხალხი და აალელვა. ქალები და ისუ ნავენი ამშვიდებდნენ და ამბობდნენ, რომ ქანაანის ქვეყნის დაპყრობა არ გაგვიჭირდებაო; მაგრამ ხალხი მაინც ამბობდა: „სად მივდივართ ჩვენა? დავბრუნდეთ

ისევ ეგვიპტეში“. ებრაელებმა მოილაპარაკეს ერთმანეთში და გადასწყვიტეს ამორჩევა ერთი მოთავე კაცისა და დაბრუნება უკანვე ეგვიპტეში; ხოლო მოსესი, აარონისა, ქალებისა და იესო ნავენის ჩაქვავება. მაშინ უფლის დიდება ღრუბლის მსგავსად მოეფინა წამების კარავს და მოსეს გაიგონა ხმა უფლისა: „რომდიმდე არ მირწმუნებს მე ეგ ხალხი? განა არ დაარწმუნეს ამდენმა სასწაულებმა? უთხარი იმათ ჩემს მაგივრად, რომ თქვენთაგანი ვერც ერთი ვერ შევა იმ ქვეყანაში, რომლის მოცემაც მე თქვენ ფიცით დაგპირდით, გარდა ქალებისა და იესო ნავენისა, თქვენ შვილებს, რომლებზედაც თქვენ ამბობდით, რომ დავლად დარჩებათ მტრებსო, მე შევიყვან იქ; თქვენი ლეშიკი ამ უდაბნოში ამოირდება. რადგან ორმოცი დღის განმავლობაში შინჯავდით ქანაანის ქვეყანას, ამისათვის ორმოცი წელიწადი უნდა ატაროთ სასჯელი დამნაშაობისათვის, რომ თქვენ შეიტყოთ, რას ნიშნავს ჩემი თქვენზე ხელის აღება. ათი მზვერავი, რომელთაც არიეს და ააშფოთეს ხალხი, მაშინ დაიხოცნენ მაფრის სიკვდილით.

ებრაელებმა რომ შეიტყვეს უფლის განჩინება, მაშინ მისცვივდნენ ქანაანის ქვეყანას და უნდოდათ იქ შესულიყვნენ, მოსე ურჩევდა უფლის წინააღმდეგ საქმეზე ხელის აღებას, მაგრამ იმათ არ დაიშალეს. შეებნენ ქანანეველებს; მაგრამ ვერა გააწყვეს რა. ამისთვის ისინი დაბრუნდნენ ისევ არაბისტანის უდაბნოში და ორმოცი წელიწადი მგზავრობდნენ და იზრდებოდნენ მანანათი.

## 50. ქორესი, დათანისა და აბირონის შეცილება აარონისათვის მღვდელ-მთავრობის თანამდებობაში.

ცოტა ხნის შემდეგ ებრაელებს ახლა სხვა უბედურება გადახდათ. ლევიტელთა შთამავლობამ ასტეხა შფოთი, რომ მღვდლობა და მღვდელ-მთავრობა მარტო აარონის შთამომავლობას არ უნდა ეჭიროსო. იმათ მიემხრნენ 250 ერისთავნიცა. ისინი ყველანი ეუბნებოდნენ მოსეს და აარონს: მთელი საზოგადოება წმინდაა და მასთანაა ღმერთი; და რა არის მიზეზი, რომ თქვენ თქვენ თავს ყველაზე უდიდესად რაცხთ და უფლებთ ებრაელებზე; მღვდლობის და მღვდელ-მთავრობის თანამდებობა ჩვენც უნდა გვემღვდლოდესო. ამის მსმენელმა მოსემ, რომ დაუმტკიცოს იმათ მღვდელ-მთავრობა და მღვდლობა იმან მძლავრობით არ მიითვისა, უბძანა ყველა შთამომავლობას თავ-თავის კვერთხის მოტანა. როცა ყველა შთამომავლობის კაცმა მოიტანა თავისი კვერთხი, მაშინ ღმერთმა უბძანა მოსეს: „დააწყე ყველა ეს კვერთხები წამების კარავში წმინდაა წმინდათა შინა წინაშე რჯულისა კიდობნისა და ზედ თავ-თავისი სახელები დააწერეო“. აარონის სახელი ლევიტელთა კვერთხზე დააწერეს. „ვისაც მე ავირჩევ, იმისი კვერთხი განედლდებაო“ სთქვა უფალმა. მოსემ აასრულა ისე, როგორც უბრძანა ღმერთმა. მეორე დღეს ნახეს, რომ აარონის კვერთხი განედლებულიყო

და გამოელო წუშის ნაყოფი. იმან გამოიტანა ის და აჩვენა ხალხს. ამის შემდეგ ყველას თავ-თავისი კვერთხები დაუბრუნა და აარონის კვერთხი კი, როგორც უბძანა ღმერთმა, შეიტანა წმინდა წმინდათაში და დასდო წინაშე აღთქმის კიდობნისა, რომ შემდეგ თაობას ეს ჰქონოდა იმის მოწმედ, რომ ლევიტელთა მთავარობა უფალმა აღირჩია თავის მოსამსახურედ.

ამ სასწაულის შემდეგ მაინც არ დასცხრა ქორეა,— რომელსაც უნდოდა მღვდელ-მთავრობა. ამან, დათანმა, აბირონმა და 250 ერის მოთავე კაცებმა გამოაცხადეს თავისი ურჩობა და მოსეზე უკმაყოფილება. მოსეს უნდოდა ისინი დაემშვიდებინა და ამისათვის სთხოვა ყველას, რომ ჩემთან მოდითო; მაგრამ დათანმა და აბირონმა უპასუხეს: „არ მოვალთო! კმარა ისიცა, რომ იმან წამოგვიყვანა იმისთანა ნაყოფიერი ქვეყნიდგან მხოლოდ მისთვის, რომ ჩვენ აქ უდაბნოში ამოგვწყვიტოსო. იმას ჯერ არ მოუცია ჩვენთვის არც მინდვრები და არც ვენახები, და ბატონობა კი უნდა ჩვენზედ არა, არ მოვალთ!“ მოსეს მეტად ეწყინა ეს ამბავი და ამისთვის სთქვა: „უფალო! ეს რა ცოდვის კითხვაა ჩემ თავზე, რომ მე მომანდე ეს ხალხი და ის მე უნდა კალთით ვატარო, როგორც ბავშვი; ამას ისევ სიკვდილი ჰსჯობს; მე არავისთვის ქრთამი არ გამომირთმევია და არცარა ბოროტი მიქნია“.— მეორე დღეს ყველანი უკმაყოფილონი შეიყარნენ, მოიტანეს თავ-თავიანთი საცეცხლურები და უკმიეს წამებით კარავს. ღმერთმა იწყო-

ნა ეს უმართებული მათი ქცევა, დაადგა წამების კარავს ნათელი, გასკდა დედა-მიწა, ამოარდა ცეცხლი, ჩაცვივდნენ აჯანყებულნი მიწის უფსკრულში და დაიწვნენ ცეცხლში. ამ დროს წამების კარვიდგანაც გამოვარდა ცეცხლი და დახოცა მრავალი ხალხი. მოსემ რომ ნახა ეს ღვთის რისხვა, ჩააყენა მღვდელ-მთავარი აარონი წამების კარვისა და ხალხს შუა: იმან დაიწყო ვედრება და მუდარა; ღმერთმა მოჰხედა მის ლოცვას და შეჰსწყვიტა ცეცხლი ხალხის მხოცველი.

## 51. მოსე და აარონი და სპილენძის გველი

წინასწარმეტყველი მოსე მეტის მეტად მშვიდობიანი, ძვირ უხსენებელი, ტკბილი, კაცთ-მოყვარე, კეთილთათვის კეთილის მყოფელი და ყოვლითა კეთილითა შემკული კაცი იყო. ერთხელ შინაურს ლაპარაკში მოსეს ცოლმა თავის მულს მარიამს უთხრა, რომ მოსე ძალიან საყვარელი კაცია უფლისათვისო; ის იმას ყოველთვის პირ და პირ ელაპარაკებაო. ეს ქება ძალიან ეწყინა მარიამს და ამისთვის სთქვა, რომ მოსე ჩვენზე უფროსი და კარგი წინაშე ღვთისა არაფრით არ არისო. მოსეს განკითხვა და დამცირება ღმერთს ეწყინა, ამისთვის მარიამს შეამთხვია ზაფრის სნეულება. მაგრამ მოსეს მხურვალე თხოვნით ღმერთმა განკურნა მარიამი.

თუმცა ღმერთი ყოველთვის ესარჩლებოდა მოსეს, მაგრამ მაინც და მაინც ებრაელნი უსიამოვნებას, ყველ-

რებას და კიცხვას არ აკლებდნენ. ერთხელ შეიყარნენ ებრაელები და უთხრეს: „შენ განა იმისთვის არ გამოგვიყვანე ეგვიპტიდგან, რომ ჩვენ უდაბნოში შიმშილით ამოგვწყვიტო? ჩვენ არა გვაქვს არც პური და არც წყალი; და ამ უარგისმა მანანამაც თავი შეგვაბეზრა“. ეს უმადურება ღმერთს ეწყინა და ამისთვის დასაჯა ისინი. მოავლინა უმრავლესი შხამიანი გველები, რომლების კბენისგანაც კაცი სივდებოდა და კვდებოდა. ამისგან მალიან ბევრი ხალხი ამოსწყდა, ასე რომ იმან იგრძნო თავისი დამნაშაობა და სინანულით სთხოვდა ღმერთს მოტევებას. მაშინ ღმერთმა უბძანა მოსეს შველა. ღვთის ბძანებით იმან გააკეთა გველი სპილენძისა და ჩამოჰკიდა ძელზე. გველის დაშხამულ კაცთაგან ვინც სასოებით და ლოცვით მიჰკერძავდა ამ გველს, ის მაშინვე განიკურნებოდა. ამით მოსემ მრავალი კაცი სიკვდილს გადაარჩინა.

ესეთი კურნება კაცისა გველის შხამისაგან მოასწავებდა იესო ქრისტეს ჯვარის მიერ კაცის კურნებას ჩვენი მამათ მთავრის ადამის ცოდვისაგან. უდაბნოში ყოველს ნაბიჯზე გველის ნაშობი ცოდვა კაცსა ჰკბენს,— ახჩეულებს და ჯოხზე ამაღლებული მოსეს გველი კი კურნავს. ეს ცოდვა შემდეგში კაცთა მხსნელმა მიაჭედა და მილურსმა ჯვარსა ზედა. ეს ამტკიცებს, რომ მხოლოდ ერთი და ერთი სახსარი კაცის ცოდვისგან გამოხსნისა ის არის, რომ იმან სასოებით შეხედოს ჯვარცმულს მაცხოვარს, აღასრულოს მისი კაცთ-მოყვარების მცნებას და განიკურნოს ცოდვისაგან.

## 52 მოსესი და აარონის სიკვდილი

ღვთისაგან ისრე იყო გადაწყვეტილი, რომ მოსე გზაზე უნდა მომკვდარიყო. 32 წელიწადი რომ გავიდა და ებრაელების ქანაანის ქვეყანაში შესვლის დრომ მოაწია, იმან მართლაც იგრძნო თავისი სიკვდილის მოახლოვება. ამ დროს მისი ძმა აარონი მკვდარი იყო. იმან დაიწყო თხოვნა, რომ ღმერთს ის არ მოეკლა და აღთქმულ ქვეყანაში შესვლის ნება მიეცა. ღმერთმა დასტური დასცა მხოლოდ გასულიყო იორდანე მდინარეს იქით და შეეხედნა მშვენიერს აღთქმულ ქვეყანისათვის; მაგრამ სიცოცხლის მინიჭებაზე კი უარი უთხრა, ამისთვის რომ კლდიდგან წყლის გამოდინების დროს იმან არ ადიდა უფლის ძლიერება. მაშინ მოსემ ჰკითხა ღმერთს: ჩემს მოადგილედ ვინ დავაყენოო.—ღმერთმა უბძანა თავის მაგიერად ისუ ნავეს დაეყენება ერის მთავრად და წინამძღვარად, რადგან მას ჰქონდა სული ჭეშმარიტებისა, ხოლო აარონის ბადლად აარონისავე შვილის ელეაზარის აღრჩევა.

ამის შემდეგ მოსემ მოიწვია ყველა ებრაელები და ღვთის ბძანებით უთხრა: რადგან ეს ქანაანის ქვეყანა სთქვა იმან, ზეგარდამო შთაგონებით, ღმერთმა ჩვენ აღუთქვა, რომ ებრაელებს მივცემ საშვილიშვილოდო, ამისთვის, როცა შეხვალთ ამ ქვეყანაში, მაშინ ყველა იქ მცხოვრებნი უცხო ტომის ხალხი დასთოცეთო. რომ ისინი აღარ იყვნენ ცოცხალნიო. აგრეთვე მოაგონა ხელ-

მეორედ უფლის მცნებები, დაარიგა ისინი, რომ გულს მოდგინედ და სასოებით აღასრულებდნენ რჯულს და უყვარდეთ ერთმანეთი ისრე, ვითარცა თავი თვისი“. მერმე უბრძანა ხალხს ასულიყო გევალის მთაზე, აღეშე-ნებინა იქ მთელი ქვებით სამსხვერპლო და იმაზე დაე-წერა ათი მცნება და ებრაელების შესაშინებლად წარმო-ეთქვათ წყევლა იმათზე, ვინც არ აღასრულებდა სჯულს, ხოლო მეორე მთიდგან, რომელსაც გარიზინი ერქვა, წარმოეთქვათ ლოცვა-კურთხევა იმათზე, ვინც გულს მოდგინედ აღასრულებდა უფლის მცნებებს და რჯულს. ამ ორი მთის შუა იყო დიდი ველი. ექვსი შთამამავლობა ერთ მთაზე ავიდა, და ექვსი მეორეზე. გევალის მთაზე მყოფებმა დასწყევლეს რჯულის დამარ-ღვეველნი, გარიზინის მთაზე მყოფებმა კი დალოცეს აღმასრულებელნი.

ამ განკარგულების მოხდენის შემდეგ მოსე ავი-და ნაბაბის მთაზე, გადაავლო თვალი ქანაანის ქვეყანას და მოკვდა 120 წლისა. მიხეილ მთავარ-ანგელოზმა ის დამარხა იმისთანა ადგილას, რომ ებრაელებმა ვერ იპოვე-ნეს იმისი სამარე. უფალმა იმისთვის დამალა იმისი სა-მარე, რომ ებრაელებს ის ძლიერ სწამდათ და სათვიქ-რებელი იყო, რომ ისინი იმის სამარეს ღვთიურს პატივს ცემას დაუწყებდნენ. ებრაელებმა მოსესთვის 30 დღე იგლოვეს.

## 53 ებრაელების ქანაანის ქვეყანაში შესვლა

მოსეს სიკვდილის შემდეგ ებრაელების მოსამართლედ და წინამძღოლად იესო ნავეანი გახდა. ეს კაცი მოსეს მოსამსახურედ იყო. ის მიუძღვა ებრაელებს წინ და შევიდნენ აღთქმულს ქვეყანაში. დაიპყრეს სრულად აღმოსავლეთის ნაწილი და გაიყვეს. აარონის შთამომავლობას წილი არ მისცეს, ამის მაგიერად იმას დაჰპირდნენ თავიანთ ხარჯით შენახვას, რადგან ეს ლევიტელთა გვარი სასულიერო წოდებას შეადგენდა. ეს წოდება იკვებებოდა შესაწირავით. მაგრამ ლევიტელთა შთამომავლობის მაგიერად მიიღეს მეთორმეტე ძმათ იოსების ორივე შვილები—ეფრემი და მანასე.

როდესაც ებრაელებმა გაათავეს მოსეს გლოვა, მაშინ იესო ნავეანმა უბძანათ სამგზავროდ შემზადება. ისინი მოვიდნენ იორდანე მდინარის კიდეზე და აქ სამი დღე იდგნენ; ის ადიდებულიყო და ვერ გადიოდნენ შიგ. მაშინ, ღვთის ბრძანებით, მღვდლებმა შეიტანეს აღთქმის კიდობანი წყალში და გაჩერდნენ. იორდანე ორად გაიყო და ხალხი გავიდა შიგ ფეხ უსველებელი. მდინარეში გასვლას რომ მორჩნენ, მაშინ იესო ნავეანმა უბძანათ თორმეტივე შთამომავლობიდგან თითო კაცს იორდანის ძირში თითო ქვა აეღოთ და იმათგან შეედგინათ მეგლი. ეს მეგლი ერთი იქ იდგა, სადაც მღვდლები იორდანეში იდგნენ აღთქმულ კიდობნითა, ვიდრე ხალხი წყალში

გავიდოდა, მერმე იქ, საცა ებრაელები დაბანაკდნენ, გასვლის შემდეგ ქანაანის ქვეყანას იორდანე ორად ჰყოფდა. ერთ ნაწილს ერქვა აღმოსავლეთის ნაწილი, მეორეს დასავლეთისა. ამ ჟამად ისინი დასავლეთის ნაწილში იყვნენ. ამის შერმე ებრაელები იესო ნავენის წინამძღოლობით უშიშრად შეესივნენ ქანაანის ქვეყანაში მცხოვრებ წარმართ ხალხს, დაიჭირეს იერიქონის ქალაქი, სრულიად დახოცეს იქ მყოფი მცხოვრები ხალხი, ერთი დედა-კაცის გარდა, რომელმაც ებრაელების ორი მზვერავი დამალა იერიქონის მეფისაგან, ის რომ მებნიდა იმათ მოსაკლავად; ამის შემდეგ გაბაონის მეფე მალიან ექადოდა იესო ნავენს. იმათ შეკრიბეს ორივემ ჯარები და შეუტიეს ერთმანეთს. გაიმართა ძლიერი ომი: იესო ნავენი სძლევდა, მაგრამ ღამდებოდა, და ამისთვის ის შიშობდა, რომ ვაითუ სრულიად დამარცხებას ვერ გასწრო მწუხრის გამო. რომ შეატყო ღამდებაო, იმან, მტკიცე სარწმუნოების მქონებელმა, შეჰმახა მზეს: „დადექ მზეო და მთვარეო“! მართლაც გაჩერდნენ ეს მნათობნი და ებრაელებმა დაამარცხეს მტერნი და ყველას ყათლამი აუჩინეს. ხუთი მეფე ხეზე ჩამოახრჩვეს.

როცა გაათავეს დაპყრობა ქანაანის ქვეყანისა, მაშინ შეიყარნენ ერთად და წილი ყრით გაიყვეს ეს ნაწილიცა. ყველა თავთავის ნაწილში დასახლდა და სცხოვრებდა ღვთის ფარველობისა და იესო ნავენის მართველობის ქვეშ.

## 54. იესო ნავინის განკარგულება და მისი სიკვდილი

იესო ნავინი კაი კაც-კაცი და მამულის მოყვარე კაცი იყო. იმას ძალიან უყვარდა ყველა ებრაელები განურჩევლად და თავისი სიცოცხლე იმან იმათთვის დასდო. იმასა სურდა, რომ ებრაელებს არავინ არ აწუხებდეს, რადგან ღმერთსა სურდა, რომ ებრაელებს ცალკე ეცხოვრნათ, არ აღრეულიყვნენ სხვა ხალხებთან, ჰქონოდათ თავისი ჩვეულება და სჯული; ღმერთს უნდოდა, რომ ეს ხალხი მაგალითად ყოფილიყო ყველა ხალხებისთვის კეთილ ცხოვრებაში და თავის ხალხობის შენახვაში, რადგან იმათ სხვა ხალხებთან შეერთებით, ჯგუფათ ცხოვრებით მიეთვისებოდათ უკეთური ზნე, ჩვეულება და ცხოვრება. რომელი ებრაელიც არ გაიგონებს უფლის ბძანებას, და დაჰკარგავს ებრაელობას, ის კაცი, ამბობდა იესო ნავინი, უბედური და შეჩვენებული იქნება. იქონიეთ უფალზე გულითადი და ჭეშმარიტი სარწმუნოება, და თუ არა გსურსთ მისთვის სამსახური, მითხარით ახლავე, ვისთვის გინდათ თაყვანის ცემაო; თუ თქვენ ამორეველების კერპებს თაყვანის ცემას დაუწყებთ, იცნობთ სხვა უცხო ღმერთებსა და ღმერთსა მამათა ჩვენთასა უარსა ჰყოფთ, მე და ჩემი სახლობა მაინც და მაინც თაყვანსა ვსცემთ ადონაის. იგი არის ყოვლად წმინდა ღმერთი; იგი არის სიმართლის მძიებელი. ის არ მოით-

მენს სჯულის გარდასვლობას და ჩვენის ხალხობის და-
კარგვას, და ნაცვლად იმისა უცხო ენის და ხალხობის მიღებას, რადგან ჩვენ ებრაელები, ყველა ხალხებთ შორის ვართ მის წილად გამორჩეულნი და შევადგენთ მის საღმთო სამეფოს. მაშინ ხალხმა ერთ ხმათ უთხრეს იმას: „არაოდეს არ შეიძლება, რომ ჩვენ დავტოვოთ ჩვენი ღმერთი და ვემსახუროთ უცხო ღმერთსაო".

ამის შემდეგ იესო ნავენმა ხალხის აღთქმა დასწერა წიგნში, მიუმატა ეს წიგნი მოსეს სჯულის წიგნს და დასდო „სამწმინდეში". მერმე აიღო ერთი დიდი ლოდი და დასდო ერთ დიდ მუხას ქვეშ და უთხრა ხალხს: „აი ეს ლოდი იქმნება ჩვენ შორის მოწამედ, ამისთვის რომ ამან გაიგონა უფლის ბძანება და თქვენი აღთქმა; ეს იქნება თქვენი ორგულობის და უარყოფის მოწამედ, უკეთუ თქვენ უღალატებთ თქვენს ღმერთსა". ამის შემდეგ იესო ნავენმა დაითხოვა ხალხი და თვით განუტევა სული. ეს იყო 110 წლისა, რომ მოკვდა. ის დაასაფლავეს ერთ მაღალ მთაზე და ორმოცი დღის განმავლობაში მწარისა ცრემლით იგლოვეს, ვითარცა მამა და პატრონი.

# მსაჯულების დრო

## 55. ებრაელების ყოფა-ქცევა და მათი მდგომარეობა მსაჯულების დროს

გარიზინისა და გებალის მთებზე ებრაელებმა ლოცვა კურთხევა რომ წარმოსთქვეს რჯულის აღმასრულებლებ-ზე, შეჩვენება და წყევლა დამარღვევლებზე. ამის შემ-დეგ ღმერთმა უბრძანა მოსეს და იესო ნავეს ძეს წამების კარვის კარებთან მისვლოდნენ. აქ ჰსთქვა ღმერთმა, რომ თუმცა ებრაელები მრავალს სიკეთეს და ჩემს მოწყალებას ნახვენ თავიანთ სიცოცხლეში, მაგრამ მაინც და მაინც არ იქმნებიან ერთგულნი მორწმუნენი, დაუწყებენ უცხო ღმერთებს თაყვანის ცემას და ამისთვის მძიმე სასჯელ-საც გადიხდიან, თუმცა კი ეს სასჯელიც ზოგჯერ იქნე-ბა ჩემგან შემსუბუქებული მათთვის, ხოლო სასტიკი იმათი მტერთათვის, რომელნიც დაუწყებენ ამათ დევნას და წვალებას. ეს მუსაიფი ღმერთმა მოსეს ჩააწერინა ერთ მამხილებელ გალობაში და უბრძანა, რომ ეს ცოდ-ნოდათ ყველა ებრაელებს. აი რაგვარივ იწყება ეს შესანი-შნავი გალობა; „ისმინე ცაო! მე მსურს გელაპარაკო; ისმინე მიწავ! რას უბნობენ ბაგენი ჩემნი...... ისრაილი არის საუფლის წილო ხვედრი უფლისა. იმან ჰპოვა ეს ხალხი უდაბნოში, მიუროვებულ ადგილში, სადაც ისმოდა

მხოლოდ მხეცთა ღმუილი; ის წინ უძღოდა, იცავდა და უვლიდა, ვითარცა თავის თვალის გუგასა. ვითარცა არწივი აკეთებს თავისთვის ბუდეს, დასტრიალებს თავის ბღარტებსა, გარდაშლის თავის ფრთებს მათზე; რყვანს იმათ და ატარებს თავის ფრთებზე; აგრეთვე ღმერთის მხოლოდ თავის წინამძღოლობით მიჰყავდა ის, და მასთან არ იყო სხვა უცხო ღმერთი.... მაგრამ გასუქდა ისრაილი..... და დაივიწყა თავისი გამჩენი-ღმერთი... შევკრებ მათ თავზე უბედურებასა, და მოვფენ მათზე ყოველს ჩემს რისხვასა. მე მზათ ვიქნებოდი წიწილებსავით ისინი გამექსაქსა, აღმომეფხვრნა ხალხთა შორის მათი ხსენება, რომ არ ვშიშობდე იმას, რომ მტერნი მათნი იტყვიან:—ჩვენი მკლავი ზორბაა; ეს ყველაფერი ჩვენ მოვახდინეთო და არა უფალმაო.—..... ხედავთ, ხედავთ, რომ ეს მე ვარ, და არა არს ღმერთი ჩემს გარეშე: მე მოვკლავ და გავაცოცხლებ, დავკოდავ და განვკურნავ; და ვერავინ ვერ განირინებს ჩემს ხელიდგან“.

უფლის ქადებამ და წყალობამ მაინც და მაინც ებრაელები ვერ შეიკავა ჭეშმარიტს გზაზე. თავდაპირველად ისინი კარგად სცხოვრებდნენ და ამისთვის 26 წლის განმავლობაში ქანაანის ქვეყანაში ისინი უპირველესი მძლავრი ხალხნი იყვნენ და ღმერთი სწყალობდა მათ. ისინი არ ეკარებოდნენ სხვა უცხო ხალხებს. მისდევდნენ თავიანთ სჯულს, ჩვეულებას და ზნეს; არ მოყრობდნენ უცხო ხალხებთან, არ აღირეოდნენ, ახსოვდათ თავიანთი ხალხობა, მაგრამ შემდეგში ისინი დაუახლოვდნენ ფინი-

მელებს და დაუწყეს ნაცვლად ღვთისა, კერპებს, ბაალს და ასტარტას, თაყვანის ცემა. ღმერთი გასწყრა იმათზე და დაუმონავა ისინი უცხო ტომის ხალხს—ქანანეველებს, ეს უცხო თესლის ხალხი ხოცავდა, აოხრებდა და იკლებდა იმათ ქონებას და სოფლებს; იმონავებდნენ იმათ და რაც კი შეიძლებოდა, აწვალებდნენ, როგორც საძაგელს ხალხს. მაგრამ როცა ებრაელები სასოებით და გულწრფელად შესთხოვდნენ ღმერთს შეწყალებას, მაშინ ღმერთი აღირჩევდა მათშორის სულით ძლიერსა და მკლავით ზორბა ვაჟ-კაცსა, მტკიცე სარწმუნოების და სასოების მქონებელსა, და ესენი იხსნიდნენ უცხო თესლის ხალხის ხელიდგან. ამათ ერქვათ „მსაჯულები“ და ესენი იყვნენ ხალხის მოსამართლენი. მართველობა იყო უფლისა ნებითა და მისი სახელითა, ამისთვის ეს მართველობა იწოდება ღვთიური მართველობათ (თეოკრატიად).

## 56. მსაჯულების წინა დრო და მათი რიცხვი.

მსაჯულებზე წინ ებრაელების მართებლობას შეადგენდნენ მამასახლისები და მღვდელ-მთავარი. ყველა შთამამავალობას ჰყავნდა თავ-თავისი მამასახლისი. ესენი არჩევდნენ ხალხის საჩივარს და იცავდნენ საზოგადო ცხოვრების წესს. თუ საჩივარი შეეხებოდა ორ სოფელს, მაშინ შეიყრებოდნენ ამ სოფლების მამასახლისები, მოიწ-

ვევდნენ აქ სხვებსაც და საზოგადო ხმით ურჩევდნენ საჩივარს. თუ რომ მამასახლისები ვერ მოასრულებდნენ საჩივრის გადაწყვეტას, მაშინ მივიდოდნენ მღვდელ-მთავართან, რომელიც იჯდა სილოამში, სადაც იყო წამების კარავი, და იქ მღვდელ-მთავარი არჩევდა საქმეს და სწყვეტდა. მაგრამ როცა მხედართ-მთავრებად გახდნენ მსაჯულები, მაშინ ამათ თვითონ მიიღეს სამართლის უფლება და მოსპეს მამასახლისობა. მსაჯულები კარგნი მხედარნი და მეომარნი კაცნი იყვნენ; ჰქონდათ ღმერთზე მტკიცე სარწმუნოება და სასოება. ესენი იყვნენ მამულის მოყვარე კაცნი და რიცხვით სუთმეტნი. მაგრამ მათში უფრო შესანიშნავნი არიან: გედეონი, იაირი, იეფთაი, სამსონი, ილია და სამოელი. ეს ორნი უკანასკნელნი მღვდელ-მთავარნი იყვნენ.

## 57. გედეონი, მისი მოქმედება და მისი ცხოვრება.

გედეონი ღვთისა და ებრაელების მოყვარე კაცი იყო; ამასთანავე უშიში და შეუშფოთებელი. ვიდრე ეს მსაჯულად გახდებოდა, მადიამელები ესხმოდნენ ებრაელებს და სტაცებდნენ ავლა-დიდებას. ეს მწუხარე მდგომარეობა გედეონს ძალიან სწყინდა. ერთხელ ის კალოს ლეწავდა და ამ დროს მოვიდა ამბავი, რომ მადიამელები არბევენ და აოხრებენ ებრაელების სოფლებსო. გე-

დეონს გული მწუხარებით აევსო, რომ შეიტყო ეს ამბავი და თვითონაც აპირებდა გაქცევას; მაგრამ ამ დროს გამოეცხადა იმას ერთი უცნობი კაცი და ასე მიესალმა: „შენთანა არს უფალი, კაცო ძლიერო"! ამაზე გედეონმა უპასუხა: „ჩემო ბატონო! უკეთუ უფალი ჩვენთანა არს, მაშ რისაგან არის ჩვენს თავს ეს ამდენი უბედურებაა"? მაშინ უცნობმა, რომ აგრძნობინოს თავისი ვინაობა, ჭოქმით უთხრა: „შენ იმდენი ღონე გაქვს, რომ შეგიძლია გამოიხსნა ისრაილი მადიამელების ხელიდგან". — „უფალო! მე როგორ შემიძლია ისრაილის გამოხსნა? ჩვენი მანასეს გვარი მცირე არის და მეც მამის უმცროსი შვილი ვარ". მაგრამ მოამბემ დააიმედა ძლევაზე და უთხრა: — „მე შენთან ვიქნები და შენ ჰძლევ მადიამელებს ისრე, როგორც ერთს კაცსა". — მაშინ გედეონმა უპასუხა: „უკეთუ მართლა შენ ხარ ჩემი მწყალობელი, გთხოვ მიჩვენო ისეთი სასწაული, რომ მე დავრწმუნდე, რომ შენ უფალი მელაპარაკები. ნუ სადმე წახვალ აქედგან, ვიდრე მე არ მოვიდე და ძღვენი არ მოგართვა". ელჩმა მოუცადა კალოს პირში; გედეონი წავიდა შინ, დაჰკლა თხა, გააკეთა წვენი, ჩაასხა ქოთანში და მოუტანა კალოზე. უფლის ელჩმა უთხრა მას: „ამოაწყვე ქოთნიდგან ხორცი და დააწყე იგი ამ ქვაზე და ხმიადები, და დაასხი წვენი ზედ". როდესაც გედეონმა აღასრულა ეს ბძანება, მაშინ უცნობი შეეხო ქვას თავის კვერთხით: ქვიდგან გამოვარდა ცეცხლი და დასწვა ხორცი, ხმიადი და თვითონ უეცრად გაჰქრა იმის

თვალიდგან. ამის მხილველი გედეონი, დაემხო პირქვე და თაყვანისცა უცნობსა და აღშფოთებულმა ასრე წამოიძახა: „დავიღუპე, უფალო ჩემო! მე ვიხილე პირისპირ ანგელოზი!“ მაგრამ უფალმა მაშინათვე მისცა ხმა ნუგეშის ცემისა: „მშვიდობა შენდა! ნუ გეშინიან, არ მოკვდები.“

ამის შემდეგ გედეონმა შეჰყარა სამასი კაცი და გავიდა მადიამელებთან საომრად. იმან თავისი ჯარი სამად გაჰყო და სამის მხრით დაეცა თავს. ბნელს ღამეში ისენი ძალიან მიუახლოვდნენ მადიამელებს და ამბობდნენ: „ხმალი უფლისა და გედეონისა“! როდესაც ყველანი თავ-თავის ადგილს დადგნენ, მაშინ ყველამ ერთად დაუკრეს თავისი ბუკი და საყვირები და აუტეხეს ბრძოლა. რადგან ბნელი ღამე იყო, ამისთვის ყველა იმათგანს ხელში ეჭირა ანთებული ჩირაღი. მადიამელები ამ საზარელისაგან ძალიან შეშინდნენ და იფიქრეს, რომ ყველა ანთებულ ჩირაღთან ბევრი ებრაელი უნდა იყოსო, დაუწყეს ერთმანეთის ხოცვა, რადგან ღამის სიბნელის გამო ვერ არჩევდნენ ერთმანეთს. ამ სახით დაამარცხა ისინი გედეონმა და ძლევა-შემოსილი დაბრუნდა ომიდგან.

## 58. ხვედრი გედეონის ოჯახისა.

თუმცა გედეონი ხალხის მოყვარე კაცი იყო; უყვარდა სიმართლე და იცოდა კაცის შებრალება; მაგრამ იმის შვილებს არ ჰქონდათ მამის ხასიათი თავის სიკვ-

ღილის შემდეგ იმას დარჩა 70 შვილი. გარდა ამათი კიდევ ჰყვანდა ერთი შვილი მოახლისაგან ნაშობი, ამას ერქვა აბიმელექი. ეს კაცი ძალიან მძვინვარე ხასიათისა და უფლების მოყვარე კაცი იყო. იმას თავის მეტი არავინ არ უნდოდა, რომ გედეონს შვილი ჰყოლოდა. ამ ხასიათისა გამო, გედეონი რომ მოკვდა, იმან მოიმხრო თავის დედის ნათესავები და სიქემის ქალაქის მცხოვრებნი, დაიჭირა თავისი 69 ძმანი და თავის მამის სახლშივე შეუბრალებლად ერთ ქვაზე ერთმანეთის დააკლა; მაგრამ მათი უმცროსი ძმა იოათამი გაექცა. ამ მესისხლეობის შემდეგ იმისი მომხრე სიქემელები შეიყარნენ ერთად და დასვეს აბიმელექი მეფედ. მის მეფედ არჩევის დროს, გარიზინის მთაზე, რომელიც იქვე მახლობლად იყო, გამოდგა იოათამი და ძახილით უთხრა: „როდესღაც ხეებმა მოინდომეს თავისთვის მეფის არჩევა და უთხრეს ზეთის ხილს:—„იყავ ჩვენზე მეფეთ.“—ზეთის ხილის ხემ უპასუხათ: „მე ჩემს პატივს, რომელიცა მე მაქვს წინაშე ღვთისა და კაცთა, არ გავცვლი ხეთა ზედა მეფობაზე მხოლოდ იმისთვის, რომ მერმე ვირხეოდე ხეებზე“.—მაშინ ხეებმა სთხოვეს ლეღვის ხეს:—„მოდი შენ იყავ ჩვენზე მთავარი“.—ლეღვმა ჰკითხათ: „მე ჩემ სიტკბოებას და მშვენიერს ნაყოფს მოვშორდე, და ხეებზე რხევა დავიწყო“?—ხეებმა ახლა ვაზსა სთხოვეს:—„მოდი შენ და იმეფე ჩვენზედო.“—ვაზმაც უპასუხათ: „მე დავუტეო ღვინო ჩემი, და სიხარული ღვთისა და კაცთა, მოვიდე და ვმთავრობდე ხეთა?“—

ბოლოს ყველა ხეებმა სთხოვეს ძეძვსა: — „მოვედ და იყავ ჩვენზე მეფეთა“. — ძეძვმა უთხრათ: „უკეთუ თქვენ გულ წრფელად მყოფთ მე თქვენზე ცხებულ მეფეთ, მაშ მოდით და შემოეფარენით ჩემს ჩრდილსა.“ (ამა რა ჩრდილი აქვს ძეძვსა!) „უკეთუ არა აქვს ჩრდილი, მაშ ერიდეთ, რომ ძეძვისაგან ცეცხლი არ გაჩნდეს, რადგან იმას „ხშირათ სწვენ და არ დასწვას ნაძვნი ლიბანისანი.“ — ახლა თვითონ თქვენ იფიქრეთ, რა სიკეთე უყავით გედეონსა იმისთვის, რომ იმან თქვენ მტრისაგან გამოგიხსნათ. თქვენი გულისათვის მამა ჩემმა თავისი სიცოცხლე შეურვეველ ჰყოფაში, გააბა და თავი გაჩალჯმა არ მოიკლა; და ახლა თქვენ ამ სიკეთისათვის იმას შვილები ამოუწყვიტეთ, და მისი მხევლის შვილი აბიმელექი მეფედ დაიყენეთ. ისე გაგაწყაროთ ღმერთმა აბიმელექზე, რა სიმართლითაც გედეონს ამოუწყვიტეთ შვილები, თქვენით ისარგოს აბიმელექმაცა; მაგრამ თუ უსამართლოთ მოიქეცით, ვსთხოვ ღმერთს აბიმელექისაგან გაჩნდეს ცეცხლი და დასწვას სიქემის მცხოვრებლები და აგრეთვე გამოვიდეს ცეცხლი სიქემის მცხოვრებლებისაგან და შესწვას თვითონ აბიმელექიცა.“ ამის შემდეგ იოათამი განშორდა. მისი წყევლა აღსრულდა. აბიმელექმა სიქემის მცხოვრებლები ღალატობისათვის ერთ კოშკში — ცეცხლით ამოსწვა და თვითონაც შემდეგში, ერთ სხვა ქალაქის კოშკში შეხიზნულ აჯანყებულ ხალხის დასწვის დროს, ერთმა დედაკაცმა დასცხო თავში წისქვილის ქვის ნამტვრევი და გაუხეთქა თავი. ამ დაჭ-

რილობით ის რომ კვდებოდა, რადგან არა ჰსურდა მომკვდარიყო დედაკაცის ხელით, სთხოვა სიკვდილი თავის მეიარაღეს და მან მოჰკლა მახვილითა. ასრე აღსრულდა წყევლა იოათამისა.

## 59. იეფთაე და მისი ასული

იეფთაე ყველა მსაჯულებზე უფრო გონიერი კაცი იყო. როდესაც ეს მსაჯულად გახდა, მაშინა ამონელებმა გამოუცხადეს ებრაელებს ომი და დაიწყეს სოფლების აკლება და აოხრება. ამან ამონელების მეფეს სიგორს მიუგზავნა ელჩები და დაიბარა: სოფლების აკლებაზე ხელი აიღეო, მაგრამ იმან უპასუხა, რომ თუ ზოგიერთ მიწებს დამითმობ, არ გეომებიო. იეფთაემ ამაზე უარი უთხრა და მოემზადა საომრად.—საომრად რომ მიდიოდა, იმან ღმერთს აღთქმა მისცა, რომ თუ ამონელები დავსძლიე, მაშინ მე მსხვერპლად შამოგწირავ იმას, რაც ომიდგან დაბრუნებულს მე პირველად წინ მომეგებებაო. იეფთაემ ომში გაიმარჯვა და ძლევა შემოსილი სიხარულით შინ რომ მოდიოდა, მაშინ იმისი ერთად ერთი ასული რავდენსამე ახალგაზდა ქალს საკრავებით წინ მოუძღოდა მამისთვინ მისაგებებლად. იხილა თუ არა იეფთაემ ქალი, მწუხარებით წარმოსთქვა: ახ ასულო ჩემო! რა ლახვარი გაატარე ჩემს გულშიო. მე შენ აღვითქვი უფალსა, და ახლა აღარ შემიძლიან გადავსთქვა

ჩემი სიტყვაო? თავის სამშობლოს მოყვარე ქალმა უპასუხა მამას: „რადგან შენ დაამარცხე ჩვენი მამულის მტერნი, ამისთვის მამავ აღასრულე ჩემზე ის პირობა, რაც უფლისათვის მიგიცია, მაგრამ ერთი ორი თვის ნება მომეცი, რომ ჩემი მეგობარი ქალებით წავიდე მთაზე, იქ ცხარე ცრემლით გამოვიტირო ჩემი სიყმაწვილე და ქალწულობა. მამამ ნება მისცა. აქედამ რომ დაბრუნდა, მამამ აღასრულა თავისი აღთქმა. ასეთი ძლიერი იყო ღვთის-განგებით მამა-შვილისათვის თავისი სამშობლოს სიყვარული, რომ თავსაც კი არ ზოგავდნენ იმის ბედნიერებისათვის და მტრის ხელიდგან გამოხსნისათვის!

## 60. სამსონი, მისი ძალა, გამოცანაები და სიკვდილი

სამსონი იყო დედ-მამის ერთა შვილი. რადგან ამის დედ-მამას დიდხნობამდე შვილი არა ჰყვანდა, ამისთვის ღმერთს აღთქმა მისცეს, რომ უკეთუ შვილი გვეყოლება, შენ ნაზარეველად შემოგწირავთო. ნაზარეველნი იყვნენ ისეთი ღვთის მოსამსახურეები, რომელნიც სიყმაწვილობიდგანვე დედ-მამისაგან ღვთისთვის იყვნენ შეწირულნი და არ სვამდნენ არც ღვინოს და არც თავზე თმას იპარსავდნენ.

როცა სამსონი გაიზარდა და გახდა ვაჟკაცად, ისეთი ღონე გამოიჩინა, რომ ძნელად წარმოსადგენია კაცი-

სათვის, თუ რომ ეს ღონე და სიმძლავრე არ მიაწერა ღვთის განგებას. ერთხელ ფილისტიმელებმა იმას დაუკეტეს ქალაქის ციხის კარები და უნდოდათ შიგ დაეჭირათ; მაგრამ შუაღამისას ის მივიდა კარებთან, მოგლიჯა ჩარჩოიანად კარები, შეიდო მხრებზე, აიტანა ერთს მაღალს მთის სერზე და იქ დააყუდა. მეორედ კიდევ ფილისტიმელების ქვეყანაში მიდიოდა, გზაზე შემოხვდა ახალგაზრდა ლომი; ღმუილით მივარდა ზედ და უნდოდა სამსონი გაეფათრა, მაგრამ სამსონმა სტაცა ხელი იმას ყბებში და შუაზე გაგლიჯა. ლომი მაშინვე მოკვდა. მეორე წელიწადს საფილისტიმოში ცოლის შესართავად რომ მიდიოდა ამ ალაგს გამოიარა და ნახა, რომ ლომის თავის საფქველში—ყბაში ფუტკარს დაებუდნა და თაფლი გაეკეთებინა. მესამედ იმან დაიჭირა სამასი მელა, გადააბა ისინი კუდი კუდზე ერთმანეთს, წაუკიდა ცეცხლი და, რადგან ფილისტიმელების ჯავრი სჭირდა, შეუშვა იმათ შემოსულს ყანებში და მთლად გადასწვა იმათი წლის მოსავალი პურისა.

ამ გვარი გასაოცარი ღონე სამსონს თმაში ჰქონდა, თვით სიყმაწვილიდგან იმას არაოდეს თავზე თმა არ მოუპარსა, რადგან ნაზარეველად იყო დანიშნული.

რადგან ამას თავისი ღონისა და ვაჟკაცობის იმედი ჰქონდა, ის უშიშრად დაიარებოდა ფილისტიმელებში, იკლებდა მცხოვრებლებს და ხოცდა ხალხს. ამას მეტის მეტად ეჯავრებოდა ისინი და უყვარდა ებრაელები. მაგრამ ამ სიარულში იმან დაღუპა თავისი თავიც. იმან

შეიყუარა ერთი ფილისტიმელი ქალი და ჯვარი დაიწერა. ქორწილში ფილისტიმელებს უთხრა: „მე თქვენ ერთს გამოცანას გეტყვით, თუ შვიდ დღის განმავლობაში თქვენ ის გამოიცანით, მე თქვენ მოგცემთ ოცდა ათი არდაგი და ოც-და-ათი ვართი შესამოსელი; და თუ ვერ გამოიცანით, თქვენ მე უნდა მამცეთ ისინი. თანახმა გახდნენ. სამსონმა უთხრა: „მჭამელისაგან გამოვიდა საჭმელი და ძლიერისაგან გამოხდა ტკბილი“. ეს ნიშნავდა თაფლს, რომელიც ფუტკარმა ლომის ყბაში გააკეთა. სამ დღეს ეწვალნენ ფილისტიმელები, მაგრამ ვერ გამოიცნეს. მეოთხე დღეს სამსონის ცოლს უთხრეს, რომ თუ არ შეგვიტყობ რას ნიშნავს შენი ქმრის გამოცანა, ჩვენ შენც მოგკლავთ და მამისშენის სახლსაც ავიკლებთო. ცოლმა ესე ამბავი არ უთხრა სამსონს და ჩააცივდა, რომ მითხარი რას ნიშნავს შენი გამოცანაო. ამისთვის შვიდთა მათ დღეთა სტიროდა ცოლი სამსონისა და არ ილხენდა. ბოლოს სამსონმა უთხრა და ცოლმა ეს შეატყობინა ფილისტიმელებს. მეშვიდე დღეს ამათ უთხრეს სამსონს: „რა იქნება უტკბილესი თაფლისა და უძლიერესი ლომისა“? ამაზე სამსონმა უპასუხა იმათ: „თქვენ რომ ჩემი დეკეულით არ მოგეხნათ, ვერ გამოიცნობდით ჩემს გამოცანასაო“. ამის შემდეგ იმან მოჰკლა ოცდა ათი ფილისტიმელი, გაძარცვა იმათ ტანისამოსი და მისცა პირობისა მებრ იმათ; მაგრამ ცოლს ღალატობისთვის თავი გაანება. მის მაგიერად იმან სხვა ფილისტიმელი

ქალი შეიყვარა; მაგრამ ამანაც უღალატა. ფილისტიმელების დარიგებით იმან ათქმევინა სამსონს, რომ იმისი ღონე თმაში მდგომარეობს. ამ დროებში ის ძალიან აწუხებდა ფილისტიმელებს, და ისინი ვერას აკლებდნენ მძლავრს სამსონს. ის მეტის მეტად ღონიერი იყო. იმან ერთი ვირის ყბის გასროლით ათასი კაცი მოჰკლა. მაგრამ საყვარელმა ის დაღუპა: ერთხელ, როდესაც იმას ეძინა თავის საყვარლის კალთაში, საყვარელმა გაუკრიჭა სამსონს თმა და მაშინ სამსონმა დაჰკარგა ღონე. მაშინ ის დაიჭირეს და დასთხარეს თვალები. მერმე სამსონს ცოტათი თმა რომ გაეზარდა, ძლიერ დასაჯა ფილისტიმელები. ერთხელ ისინი დღესასწაულობდნენ ერთ ტაძარში. აქ იყვნენ მოსულნი მათი თავადები და წარჩინებულები და მრავალი სხვა ხალხიცა. სულ იყო რამდენიმე ათასი. აქ სასაცილოდ მოიყვანეს სამსონიცა. ის შეიყვანეს ტაძარში და მიაყუდეს სვეტზე, რომელზედაც იყო დამყარებული ტაძრის თაღი. ამ დროს იმას მიანიჭა ძალა და ღონე სულმან ღვთისამან და, იმან თავს მობეზრებულმა, მოსწია სვეტს, მოგლიჯა და დაიქცა მთლად ტაძარი; აქ თვითონაც მოჰკვდა და რამოდენიმე ათასი ფილისტიმელიც ამოჟლიტა. ასე სამწუხაროდ დასრულდა ამ ღვთის კაცის და ხალხის გმირის სიცოცხლე!

## 61. ილი, სამოელი და მათი შვილები

ილი და სამოელი ორივენი მღვდელ-მთავრებათაც იყვნენ და მსაჯულებათაც; მაგრამ მალიან სუსტი ხასიათისანი იყვნენ. ამათ თითოს ორ-ორი შვილი ჰყვანდათ. ჯერ ილი მღვდელ-მთავრობდა და მსაჯულებდა, მერმე სამოელი. იმათი შვილები მღვდლები იყვნენ და მამებს ჰშველოდნენ სამართალში. მაგრამ ორივეს შვილები ქრთამის მოყვარე კაცები იყვნენ. ვინც მეტ ქრთამს მისცემდა, თუნდა რომ მტყუანი ყოფილიყო, სამართალი იმისი იყო. ამათ იცოდნენ თავიანთი შვილების ცუდი მიმართულება, ხასიათი, ქრთამის მოყვარეობა და უსამართლობა—თუმცა ღმერთი აფრთხილებდა მათ,—მაგრამ ისინი მაინც არას დასდევდნენ. ამისათვის ღმერთმა ესენიც დასაჯა და მათი შვილებიცა. ილის ორივე შვილები ომში ფილისტიმელებმა მოკლეს და ილიმ ეს ამბავი რომ შეიტყო, კუნძზე იჯდა; მწუხარებისაგან ჭკუა-გონება დაებნა, თავ-ბრუ დაესხა, ჩამოვარდა, და, რადგან ძლიერ მოხუცებული იყო, გაუტყდა ხერხემალი და მოკვდა.

ილის შვილებზე კარგები არ იყვნენ თავიანთ ყოფა-ქცევით სამოელის შვილებიცა: ამათაც მოქრთამობა უყვარდათ; უშლიდნენ, მაგრამ ისინი არ იშლიდნენ. ამასთანავე მღვდლობის წესსაც რიგიანად არ ასრულებდნენ. მათმა უსამართლოებამ ხალხს თავი შეაბეზრა და ერთხელ შე-

ყარნენ წარჩინებულები და სთხოვეს სამოელს, რომ იმის მგზავსად, როგორათაც სხვა ხალხებს ჰყავთ, ჩვენც მეფე დაგვიყენე ვინმე. სამოელს ეწყინა, მაგრამ რას გააწყობდა ხალხის სურვილის წინააღმდეგ. იმან ჰკითხა ღმერთს და ღმერთმაც უბრძანა: დაემორჩილე ხალხის ნებას და დაუ-ყენე იმათ მეფე; მაგრამ კარგ გამოუცხადე იმათ, თუ რა ვალებს უნდა ჰქონდეს იმათზე მეფეს. სამოელმა მიიღო უფლის ბძანება და დაჰპირდა ხალხს, რომ მალე დაგიყენებთ მეფესაო. ღმერთმა მისცა მეფობა საულს და სამოელმაც ის გამეფა ურიასტანში.—ასე დასაჯა უფალმა მღვდელ-მთავარი ილი და სამოელი დაუდევ-რობისათვის.

## 62. პირველი, ღმერთისაგან არჩეული, მეფე ებრაელებისა: საული.

### საულის გამეფება და მისი მოქმედება.

სამოელი რომ მოხუცდა, ებრაელების საქმეებს გა-ნაგებდნენ მისი შვილები; მაგრამ ისრე არა, როგორც მათი მამა. საქმის გარჩევის დროს ისინი კი არ უყურებ-დნენ ვინ იყო მართალი და ვინ მტყუანი: მათი სამართა-ლი ფულს მისდევდა, ვინც მეტ ქრთამს მისცემდა, თუნდ რომ მტყუანი ყოფილიყო, მაინც ამართლებდნენ და მარ-თალს ამტყუნებდნენ. ამ გვარმა მმართველობამ ებრაელები

ძალიან შეაწუხა და ამისათვის სამოელს სთხოვეს, რომ ჩვენც მეფე დაგვიყენეო, როგორც სხვა ხალხებსა ჰყავთო. ამ თხოვნაზე იმათ ღმერთიც თანახმა გაუხდათ, რადგან იაკობის პირით იმან უთხრა ხალხს, რომ მესიის მოსვლამდე იუდას მთამთავრობა იქნება ურიასტანშიო. მაგრამ ჯერ-ჯერობით ღვთის განგებით სამოელმა მეფედ აკურთხა საული, რომელიც ბენიამინის ტომიდგან იყო, და არა იუდას ტომიდგან.

რადგან ებრაელები სთხოვდნენ სამოელს მეფის დაყენებას, ამისათვის იმან შეჰყარა ხალხი და წილი უყარა ყველა ებრაელების ტომებს შესატყობად, თუ რომელის ტომიდგან უნდა იყოს მეფეო. უწინდელათ არჩევა სამიშო იყო, იმიტომ რომ ყველა თორმეტივე ტომი ებრაელების მთამთავრობისა სცდილობდა მეფობას. ამ გვარის ერთმანეთის შეცილების გადასაწყვეტად და მათის დასამშვიდებლად, იმან მიმართა წილის ყრას. წილი ყველას დაამშვიდებდა. რომელ ტომსაც ის ამოუვიდოდა, იმაზე ვერაფერს იტყოდნენ, ამისათვის რომ წილის ყრაში საქმე ღმერთზე იყო მინდობილი. ღმერთმა წილი ჯერ ჯერობით ბენიამინის ტომს არგუნა და არა იუდასთასას, ამისათვის რომ განგებას სურდა დაემტკიცებინა ყველა ებრაელების ტომებისთვის თავიანთი უვარგისობით, რომ მეფობა არც ერთს ტომს არ შეუძლიან, იუდას ტომის გარდა. გარდა ამისა ღმერთს სურდა ყველა ტომების დარწმუნება, რომ ეს მიდგომით არ მოქმედებს

ქვეყანაზე, არამედ ის უყურებს კაცის ნიჭს, აფასებს კაცში ღირსებას და ისე ანიჭებს უფლებას.

წილი რომ ხვდა ბენიამინის ტომს, სამოელმა მერმე ამ ტომის კაცებს უყარა წილი. კენჭი მეფობისა ამოუვიდა კისიას შვილს საულს. ეს იყო კაი ვაჟკაცი, ლამაზი, წამოსადეგი და ღვთისნიერი. მაგრამ ღმერთმა მაინც გააფრთხილა და უთხრა: „უკეთუ იქნები კეთილ მორწმუნე და აღმასრულებელი ჩემი ნებისა, მეფობა მუდამ შენს გვარს დარჩება; თუ არა, მაშინ ჩამოგერთმევა და მიეცემა ღირსეულს. საული გახდა ებრაელების ცხებული მეფე. იმან დიდი ნიჭი მეფობისა გამოიჩინა. თავის მეფობის მეორე წელს იმან განიზრახა ფილისტემელებთან ომი და ამისთვის შეადგინა მუდმისი ჯარი, რომელიც შესდგებოდა სამი ათასი კაცისაგან. ამ ჯარითა და სხვა ხალხის მილიცის ჯარითა იმან მრავალ-ჯერ დაამარცხა ფილისტიმელები. მაგრამ ბოლოს ბედნიერებამ და წარმატებამ ის გაამაყა და დაავიწყა თავდაბლობა. იმან ჩაიდინა ისეთი საქმეები, რაც მეფეს და საერო პირს არ შეშვენოდა. ღმერთმა უთხრა იმას ომის გამართვა ამალიკელებთან. იმან შეკრიბა ჯარი და გავიდა საომრად. ებრაელებს ჰქონდათ ჩვეულება ომის დაწყებამდე მსხვერპლის შეწირვა უფლისათვის. ამისთვის სამოელმა უთხრა საულს, რომ ვიდრე მე არ მოვიდე და მსხვერპლი არ შევსწირო უფალს, ომი არ დაიწყოვო; საულმა ექვს დღეს უცადა, მაგრამ სამოელი არ მოვიდა; და რადგანაც მტერი უახლოვდებოდა, ამისთვის იმან

თითონ აღასრულა მღვდელ-მთავრის თანამდებობა: ღმერთს სხვერპლი თითონ შესწირა. ეს ღმერთმა ძალიან იწყინა. გარდა ამისა ღმერთმა იმას უბრძანა ამალეკელები სრულიად ამოწყვიტეო; უთხრა, რომ დავლას ნუ აიღებთ და ნურას ისარგებლებთო; მაგრამ იმან არ აღასრულა ბრძანება. ამალეკელები დაამარცხა და არამც თუ ისარგებლა დავლითა, არამედ იმათი მეფე აგაგიც არ მოკლა. რაც რომ კარგი იყო, ძროხა, ცხვარი და სხვა ძვირფასი ნივთეულობა ყველაფერი დაინარჩუნა. ამისთვის ღმერთმა უთხრა: რადგან შენ არ გაიგონე ჩემი ბრძანება და არ აღასრულე ის, ამისთვის შენ მეფობა წაგერთმევა და მიეცემა იმას, ვინც ღირსი აღმოჩნდება. ამ გვარი უფლის განრისხება საულს მეხსავით დაეცა ჭკუა-გონებაზე და აღავსო მისი გული ჯავრითა და მწუხარებითა. დაიწყო ფიქრი და დარდი, დაჰკარგა ღმერთზე სასოება, აღარ მიენდო უფალსა და ამისათვის იმას ეშმაკები დაუპატრონდნენ. ის გაგიჟდა.

## 63. დავითის სიმეობა საულთან

ერთხელ საულ მეფეს ფილისტიმელებმა გამოუცხადეს ომი. იმან შეკრიბა ჯარები და გავიდა საომრად; მაგრამ ნაცვლად საზოგადო ომისა, ფილისტიმელების მხრით გამოვიდა ერთი უშველებელი ზორბა და ახოვანი კაცი, სახელად გოლიათი, და უთხრა ებრაელებს: ურა

საჭირო არის, რომ ყველამ ვიომოთ? მე ფილისტიმელი ვარ და თქვენ საულის მონანი. აღმოარჩიეთ ერთი ვინმე კაცი და გამოვიდეს ჩემთან საომრად. თუ რომ მე იმან მომკლა, ჩვენ ვიქმნებით თქვენი მონები, უკე-თუ მე ვაჯობე და მოვკალი ის, თქვენ გახდით ჩვენ მონებად და გვემსახურეთო". თუმცა საულმა თავისი მე-ფური მტკიცე სიტყვა დასდვა, რომ ვინც იმ კაცთან გამოვა საომრად და მოჰკლავს იმას, მე იმას მივ-სცემ ჩემს ასულს ცოლად და სახლსა მამისა მისისა ხარკ-ზეგარისაგან თავისუფალს გავხდიო; მაგრამ მაინც ვე-რავინ ბედავდა გოლიათთან ბრძოლას, ამისთვის რომ იმას ოთხი არშინი და ოთხი ვერშოკ ნახევარი სიმაღლე ჰქონდა. ამ დროს დავითი იყო ბეთლემში მამასთან და მამამ, იესემ, იმას შვილებისათვის ბური გაატანა ჯარში და უბრძანა ომიანობის ამბის შეტყობა. დავითის ორი ძმა ჯარში იყო. დავითი მოვიდა ჯარში, გაიგონა გო-ლიათის ტრაბახობა და გმობა უფლისა და განიზრახა მასთან ბუმბერაზობა. საული უშლიდა დავითს იმასთან ომს; მაგრამ იმან უთხრა: „როდესაც მე ცხვრის მწყემ-სობის დროს ლომი ან დათვი დამეცემოდა ხოლმე, ვსტაცებდი იმას ხელს და შუაზე ვგლეჯდიო. ღმერთმა თუ ამ ნადირთაგან ჩემი დაცვა შეიძლო, უეჭველია, ახ-ლაც დამიფარავს სიკვდილისაგანო. ღვთის შემწეობაზე მსასოებელმა, დავითმა მართლაც დაამარცხა გოლიათი. იმან სტყორცნა შურდულით ქვა და მოარტყა შიგ შუბ-ლში და შუაზე გაუხეთქა თავის სარქველი. გოლიათი

დაეცა დქდა მიწაზე. დავითმა მიირბინა და იმისავე მახვილით გამოსჭრა ყელი. ამის მხილველი ფილისტიმელები გაიქცნენ.

გამარჯვების შემდეგ საულმა მიათხოვა თავისი ასული დავითს და ის გახდა მის სიძეთ და ამისთვის ცხოვრებდა ხიმამრის სახლში. პირველში ის ძალიან უყვარდა, მაგრამ შემდეგში ის ძლიერ შეიძულა, რადგან ხალხი იმას უფრო დიდ პატივს სცემდა, ვიდრე თვით საულსა. ამისთვის განიზრახა მისი მოკვლა. დავითმა რომ შეატყო ეს განზრახვა, განშორდა იმასა და ამის შემდეგ საული უფრო და უფრო შეიშალა გონებაზე.

## 64. რისხვა ღვთისა საულზე

საულ მეფე რომ წაეფლო ცოდვებში, გაუდგა უფლის მცნებების აღსრულებას, მოუვიდა გვეთება და ემმაკმა ის სულით და ხორცით დაიპყრა. დარდი და მწუხარება ჭამჯნიდა იმის სულსა და გულსა. უიმედობა და ვაება იმას მძიმე კუნძივით გულზე აწვა, ბოროტი სული მუდამ აღელვებდა იმის სულსა და გულსა. ექიმები მოიღალნენ და ვერ მოარჩინეს. წამლის ურგებლობამ ყველა დაარწმუნა, რომ იმისი სული უკეთურების გამობოროტს სულს ეჭირა ხელში. ამისთვის მის მოსაშორჩებლად მას ურჩიეს, როგორც უებარი წამალი ემმაკის განდევნისა, გაერთო თავი საღმრთო წინწილითა და

სამღრთო ლოცვების ზედ გალობითა. დაუწყეს ძებნა სალამურის კარგა დაკვრის მცოდნე კაცს. მოხამსახურეთა ურჩიეს, რომ ბეთლემში იესეს ჰყავდა ერთი მეცხვარე შვილი დავითი, და იმან ძლიერ კარგათ იცის სალამურის დაკვრა და ზედაც მშვენიერად დამღერის საღმრთო გალობებსო. გაგზავნეს დავითისთვის კაცი და მოიყვანეს. დავითის სამღრთო გალობას და წინწილის დაკვრას ეშმაკზე ისეთი ძლიერი გავლენა ჰქონდა, რომ ეშმაკი თავს ანებებდა საულს, როცა ის გალობდა და უკრავდა; მაგრამ როცა გაჩერდებოდა, მაშინ ეშმაკი ხელახლავ უბრუნდებოდა. ეს სიკვდილამდე ამ გვარს მწუხარე მდგომარეობაში იყო.

## 65. საულის მტერობა დავითისადმი და დავითის სულგრძელობა.

მცირე წლოვანი დავითის ბრძოლამ და იმის მიერ გოლიათის მოკვლამ ძალიან გააკვირვა საული. ამის შემდეგ, როგორც ძლიერი ვაჟკაცი, იმან დავითი თავისთან შეინახა, თავის იარაღის მტარებლობის თანამდებობა მისცა და ყოველგან საჭირო საქმეებზე იმას გზავნიდა. დავითი იყო კაცი ცქვიტი და მარჯვედ ასრულებდა საულის ბრძანებას. ამისთვის ის ყველას უყვარდა. მაგრამ ყველაზე მომეტებულად ის უყვარდა საულის გულკეთილს, ჭკუიანს და ვაჟკაცს შვილს იანათანს, იმათ ისრე უყვარ-

დათ ერთმანეთი, რომ ერთმანეთში მეგობრობის პირობა ფიცით შეჰკრეს. ესენი ორივენი გულითადნი და მამულის მოყვარე ვაჟკაცნი იყვნენ.

მაგრამ საულ მეფეს მეტის-მეტად სძულდა დავითი იმისთვის, რომ იმას ხალხი ძალიან დიდ პატივსა სცემდა იმის ვაჟკაცობისა, კარგი ხასიათისა და სიტყვისათვის. შემდეგ გოლიათის დამარცხებისა ქალებმა შეადგინეს ლექსი და გალობდნენ: „საულმა მოკლა ათასი, ხოლო დავითმა ათიათასი". ამ გვარმა ქებამ საულს გონება შეუშალა, გაუღვიძა გულში სიცოფე, სიბრაზე და ზიზღით ის შეშინდა, რომ მეფობას არ წაართვასო, ამისთვის იმან განიზრახა დავითის მოკვლა. გოლიათის მოკვლის მეორე დღეს დავითმა ჩვეულებისამებრ დაიწყო ბობღნის დაკვრა და საულმაც ამ დროსა განგებ ვითომც უვარჯიშობით, დაიწყო შვილდოისრის სროლა და ორჯერ მიუმიზნა ისარი დავითს, მაგრამ ის მოერიდა. ამ შემთხვევამ საული დაარწმუნა, რომ დავითს ღმერთი იფარავდა და ამისათვის, რომ დამალოს მისგან თავისი განზრახვა, ათასის თავი გახადა.

ამ თანამდებობაში დავითმა უფრო დიდი სიყოჩაღე და ვაჟკაცობა გამოიჩინა. მისი წარმატება საულს უფრო და უფრო ამყარებდა იმ განზრახვაზე, რომ დავითი მოეკლა. ერთხელ უთხრა: შენ ჩემი კარგი საყვარელი სიძე იქნებიო, უკეთუ შენ, რაც შეიძლება, ჩემს მტრებს ფილისტიმელებს დახოცავო. იმას ეგონა ამ კერძო ბრძოლაში დავითი მოიკვლებაო, მაგრამ დავითმა

მოჰკლა ორასი ფილისტიმელი და წარმოუდგინა მათი თავები. ნაცვლად სიხარულისა იმას ძალიან ეწყინა დავითის გმირობა. ბოროტმა სულმა ის შეიპყრო. მის მწუხარების გასაქარვებლად დავითმა დაიწყო წინწილის დაკვრა. ამ დროს საულმა აიღო შვილდ-ისარი და ესროლა იმას. მაგრამ დავითი კიდევ მოერიდა. ამის შემდეგ დავითი დარწმუნდა, რომ საულს ნამდვილად განუზრახავს იმისი მოკვლა; იპოვა თავის ნათესავთაგან რამდენიმე კაცი და გავარდა მინდვრად. მაშინ საულმა გასცა ბრძანება, რომ დავითი მოკალითო. დავითი აღარ ეკარებოდა თავის სიმამრს; მაგრამ თავისი ცოლის ძმა იანათანი კი ძალიან უყვარდა და ჩქარ-ჩქარად ნახულობდნენ ერთმანერთს. ცოტას გადურჩა, ერთხელ დავითისთვის წასარჩლებისა გამო, საულმა არ მოკლა თავისი მამაცი შვილი იანათანი. იმას ესროლა შვილდ-ისარი, მაგრამ იმან საჩქაროდ განარიდა თავი მას და შეატყობინა დავითს, რომ მამა ჩემს მტკიცედ განუზრახავს შენი მოკვლა და ამისთვის გირჩევ დაემალოვო. ამისა გამო ის აღარ მიდიოდა შინ; სცხოვრებდა გარეგნად მინდორში, როგორც ერთი გავარდნილი კაცი. მაგრამ საული არც აქ ეხსნებოდა და ასვენებდა მას. საულმა დაიბარა თავისი ნათესავები და დიდის გულმტკივნეულობით უსაყვედურა ყველას, რომ თქვენ მე არ გიყვარვართო, არ მაძლევთ შემწეობას, რომ ის მოვკლათ, და არ ვიცი რა სიკეთეს მოელით იმისგანო. თქვენ ყველას იმასთან პირობა გაქვსთ. ჩემს შვილს იანათანსაც კი იმასთან დიდი

მეგობრობა ჰქონია და თქვენ ეს მე აქამდე არ შემატყობინეთო.

საული დაუცხრომლად სდევნის დავითს; მაგრამ დავითი ისეთი სულგრძელია, ისეთი კაცთ მოყვარე, ვაჟკაცი და ძვირ-უხსენებელია, რომ თუმცა თავს იმართლებს, რომ მე არაფერში ვარ დამნაშავე წინაშე საულისა; მაგრამ იმის მოკვლას კი არას ოდეს არ განიზრახავს. ორჯერ იმას ჰქონდა შემთხვევა ისეთი, რომ შეეძლო საულის მოკვლა, მაგრამ ის მოერიდა იმის სიკვდილს. ერთხელ ღამის გასათენებლად დავითი შევიდა თავის ამხანაგებით ერთ გამოქვაბულში; აქვე შევიდა უგრძნობელად საულიცა და ათენებდა ღამეს. დავითმა შეიტყო მისი შესვლა გამოქვაბულში; მაგრამ საულმა არ იცოდა, თუ დავითი აქ იყო. ამ დროს დავითს ეძებდა მოსაკლავად. თუმცა ერთი ამხანაგთაგანი ურჩევდა დავითს საულის მოკვლას; მაგრამ იმან ვარი ჰყო იმისი რჩევა: მიუახლოვდა და მოაჭრა მხოლოდ კალთა ტანისამოსისა; მერმე ავიდა ერთ მაღალ მთაზე და იქიდგან დაუძახა: „მეფეო! რათ იგონებ სხვათა სიტყვასა, რომ ვითომც მე შენთვის ბოროტი მსურდეს? აბა შემომხედე, ჩემო ბატონო, აი კალთა შენი ტანისამოსისა; ის მე მოვაჭერ; მაგრამ შენ კი არ მოგკალი. აქედგან სჩანს, რომ მე შენთან არა ვითარი მტრობა არა მაქვს. მე ვსთქვი: როგორ შევახებ ხელთა ჩემთა ჩემს უფალსა; ამისთვის რომ ის არის უფლის ცხებული“. მაგრამ საული მაინც არ დასცხრა: კიდევ დასდევდა იმას

მოსაკლავად. დავითმაც მტკიცედ განიზრახა თავისი მხრით იმისთვის ხელის არ ხლება. მერმედ იმისთვის დევნაში საულს კიდევ მოუხდა ღამით მინდორში დაბანაკება. დავითი შუაღამისას კიდევ მიეპარა იმას, მოჰპარა შუბი და წყლის სასმელი, ვერცხლის სურა და ერთ მაღლობიდგან დაუძახა: „საულის მხედარნო! თქვენ ღირსნი ხართ სიკვდილისა იმისთვის, რომ არ იცავთ ღვთის ცხებულს მეფეს“. საულს გაეღვიძა, იცნო დავითის ხმა, სთხოვა შემირიგდიო, რადგან იგრძნო თავისი დამნაშაობა, მაგრამ ის აღარ დაუნდო და სიკვდილამდე აღარ მიეკარა.

## 66. საულის სიკვდილი და დავითის გამეფება.

მეფე საული და მისი შვილი, ტახტის მემკვიდრე, იონათანი დაიხოცნენ ფილისტიმელებთან ომში. ერთმა ფილისტიმელმა საულს მოსჭრა თავი და მოართვა დავითსა: ეგონა დავითი დამასაჩუქრებსო; მაგრამ ის არამც თუ არ დაასაჩუქრეს; არამედ დავითმა ის მაშინვე მოაკვლევინა.

საულის სიკვდილის შემდეგ ბენიამინის მთამომავლობამ, რომელიც საულის საგვარეულო იყო, და იუდას გვარეულობამ, რომელსაც ეკუთვნოდა დავითიცა,—დავითი მეფეთ ამოირჩიეს. დანარჩენმა ათმა გვარეულობამ კი საულის უგუნური შვილი ებუსთეი გამოირჩიეს; მაგ-

რამ მეშვიდე წელიწადს ქ'ეც მოკვდა და დავითი გახდა მეფედ მთელი ისრაილისა.

როცა დავითი გამეფდა, ებრაელების თორმეტ შთამამავლობათაგან ყველანი იმას სცდილობდნენ, რომ ის იმათ მამულში დამდგარ იყო. მაგრამ იმას არა ჰსურდა რამე გარჩეულობა ესმარა და ამით ვისმესთვის ეწყენინებინა. ამისთვის განიზრახა იერუსალიმის ქალაქის დაჭერა. ამ დროს ეს ქალაქი იებუსთელების ხელში იყო. ეს ხალხი იყო კერპთ თაყვანის მცემელი და სცხოვრებდა ქანაანის ქვეყანაში. დავითმა ხმლით დაიჭირა ეს ქალაქი და გახადა თავის სატახტო ქალაქად. აქ იმან ააშენა დიდი, მეფისთვის საკმარისი სასახლე და დადგა შიგ. ამ გვარი გონივრული ქცევით იმან არც ერთს შთამამავლობას არ აწყენინა. შემოზღუდა აგრეთვე სიონის მთა და გაამაგრა ქალაქი იერუსალიმი. გულკეთილობისათვის ღმერთს ის უყვარდა და ყოველს საქმეში წარმატებას აძლევდა. ღვთის მოყვარე დავითს ძალიან სწყინდა და დარდობდა, რომ ის იდგა მშვენიერს სასახლეში, აღთქმის კიდობანი კი იმყოფებოდა შეუსაბამო ძველს კარავში; ამისათვის იმან გამართა იერუსალიმში კარავი და იქ გადიტანა მოსეს აღთქმის კიდობანი.

გადატანის დროს უბედურება მოხდა: დავითმა, რადგან არ იცოდა წესი, თუ რა სახით უნდა გადატანილიყო, შეაბმევინა ურემში ხარები, დაუდო ზედ აღთქმის კიდობანი და ერთი ყოფით და ამბავით მიჰქონდა. გზაზე ხარებმა ურემი შეაყენეს მაღლობს ადგილას და,

როცა კიდობანმა გადმოიწია გარდმოსავარდნათ, ვინმე ზაცმა, სახელად ოზამ, ხელი მიაშველა დასაჭერად და მაშინვე განუთხია სული. დავითი შეშინდა და დასტოვა აღთქმის კიდობანი გზაზე ერთ გლეხ კაცის სახლში, რომლის ოჯახსაც ამის გამოისობით ბარაქა მიეცა. რამდენიმე ხნის შემდეგ, როგორც რიგი იყო, კიდევ შეკრიბა მღვდლები და ლევიტელნი, რომელთაც დაიდგეს აღთქმის კიდობანი მხრებზე და მიასვენეს იერუსალიმს ახალს კარავში. ამ აღთქმის კიდობნის მისვენების დროს მეფე დავითი, თავ მოხდილი ცხენზე იჯდა, უკრავდა წინწილას და წინ მიუძღოდა. ამ ამბავით და ყოფით მიასვენეს კიდობანი იერუსალიმში.

## 67. მეფობა დავითისა და მისი უბედურობა.

მეფე დავითი იყო განთქმული გმირი. იმას ეკიდა გოლიათის ხმალი და გაცხარებული უშიშრად მტერს თავს ზარს სცემდა. ვისაც კი გაუმართა ომი, ყველანი დაამარცხა. ამისთვის იყო განთქმული გმირი და ჭქონდა მგლოვი—ქველური.

თავის გონივრული მმართველობით იმან აავსაკა ებრაელების ცხოვრება. და სახელ განთქმული იყო მეზობელთა ხალხთა შორის.

მაგრამ კაცის დიდს ბედნიერებას უბედურებაც თან მოჰყვება: ბედნიერებამ დავითი წააქეზა უსამართლოებაზე.

ერთხელ საღამოს დროს ის თავის სასახლის ბანზე და-
სეირობდა და ამ დროს აქედგან დაინახა მშვენიერი ქალი,
სახელად ბირსაბია, რომელიც ბანაობდა; მეტის მეტად
მოეწონა მისი მშვენიერება და დაუწყო გულის თქმამ
მას წვალება: ვერ მოითმინა სიყვარულის ტრფიალი და
მოინდომა მისი ცოლად შერთვა. მაგრამ მის საუბედუ-
როდ ამ ქალს ქმარი ყვანდა. დავითი ეძიებდა ამ კაცის
სიკვდილს. ბოლოს უებარი შემთხვევა იპოვა. ამ დროს
იმას ომი ჰქონდა ამონელებთან. იმის სიყვარულის ამშ-
ლელ ქალის ქმარს ური ერქვა. დავითმა დასწერა წერი-
ლი და გაუგზავნა ჯარის წინამძღოლს. იმაში ეწერა:
ამ წიგნის მომტანი ური დააყენე ჯარში ომის დროს
იმისთანა ადგილს, რომ ბრძოლაში ის მოჰკლან. უბე-
დური ური თავის უბედურების არა მგონებელი, მივიდა
ჯარში, გაიმართა ომი, მოხვდა ისარი და ჩაშხამდა წუ-
თი სოფელი; და დავითს მით აღუსრულდა თავისი გუ-
ლის წადილი. ამის შემდეგ იმან შეირთო ბირსაბია ცო-
ლად, მაგრამ უსასრთლოებმა იაფად არ დაუჯდა. ამის
გულისათვის იმას მრავალი უბედურება შეემთხვა, ღმერთ-
მა სასტიკად დასაჯა ის კაცის მკვლელობისათვის. ერთ-
ხელ მოუვლინა იმას წინასწარ-მეტყველი ნათანი და
უთხრა იგავი: ერთ ქალაქში ცხოვრებდა ორი კაცი:
ერთი მდიდარი, მეორე ღარიბი. მდიდარს ყვანდა მრა-
ვალი ცხვარი და ძროხა, ღარიბს კი ყვანდა მხოლოდ
ერთად ერთი ცხვარი, რომელიც იმან პატარა იყიდა
და თავის შვილებთან ზრდიდა. ის სვამდა, ჭამდა და

ეძინა იმასთან, და იყო იმასთან, როგორც საკუთარი ასული. მდიდარს ეწვია ვიღაცა მგზავრი; შეუდგა იმის მასპინძლობას, მაგრამ თავის საკუთარ ცხვართაგან სტუმრისათვის ერთის დაკვლა ვერ გაიმეტა: წაართვა ღარიბს ეს ერთი ცხვარი და დაუკლა თავის სტუმარს“. ეს იგავი რომ გაათავა, კითხა დავითს: — „მეფევ, რა სამართალი ერგება ამისთვის ამ უსამართლო კაცს?“ დავითი ვერ მიხვდა, რომ იგავი იმას შეეხებოდა, და განრისხებით სთქვა: „ღმერთი მოწამეა, რომ ღირსია ეს კაცი სიკვდილისა და ერთ ცხვარში ოთხი ცხვარით უნდა გადაუხადოს!“ მაშინ წინასწარ-მეტყველმა ნათანმა უთხრა; „ეს უსამართლო კაცი თვითონ შენ ხარ. რად მოჰკალი ური და რათ შეირთე მისი ცოლი? ამისათვის ღმერთი, ასე ამბობს: მე მოვახდენ შენს ოჯახში განხეთქილებას და მტრობას, მაგრამ ამისათვის შენ კი არ მოკვდები.“ — დავითმა იგრძნო თავისი დამნაშაობა და დასწერა მეორმოც-და-ათე ფსალმუნი სინანულისა. მთელ თავის სიცოცხლეში, როცა ჩაწვებოდა ქვეშაგებში, ამას კითხულობდა ცხარე ცრემლითა და ინანებდა თავის მძიმე ცოდვასა.

საუბედუროდ დავითისა მალე ასრულდა ქადილი უფლისა. იმისი შვილი აბესალომი წააკიდა თავის უფროს ძმას და მოჰკლა ჩხუბში. შემდეგ ამისა აბესალომმა მოინდომა მეფედ გახდომა; მოიმხრო ერი და ჯართა წინამძღოლები, შეკრიბა ჯარი და წამოვიდა ხეროვნის ქალაქიდგან დავითთან საომრად. დავითი ძალიან

შეშინდა; ეს ამბავი რომ შეიტყო. ის თავის ცოლ-შვი-
ლით გაიქცა იერუსალიმიდგან და რომ მიისვერწებოდა,
გზაზე საულ მეფის ნათესავებმა იმას დაუწყეს ლანძღვა;
თუმცა იმის მხლებლებმა უთხრეს, რომ მოჰკლავდთო;
მაგრამ დავითი ისეთი გონიერი კაცი იყო, რომ და-
უშალა თავის მომხრეებს მაგინებლის მოკვლა. ამ გვარი
გულკეთილობისათვის და ძვირ-უხსენებლობისათვის ის
ხალხს ძალიან უყვარდა. როცა მიისვერწებოდა, იერუსა-
ლიმის ხალხი მას აცილებდა და სტიროდა. მღვდელ-
მთავრის უნდოდა აღთქმის კიდობანიც იმისთვის გაეტა-
ნებინა და თვითონაც თან გაჰყოლოდა; მაგრამ დავითი
თანახმა არ გახდა. აბესალომი შევიდა იერუსალიმში და
დაჯდა მეფედ. ამის შემდეგ მაშინვე გასცა ბრძანება,
რომ დავითი ახლავე, სადაც არის, მოჰკლაითო. მაგრამ
ღმერთი იყო მფარველი იმისი. იმან შეკრიბა ჯარი
და შეება აბესალომს. ომში აბესალომი მოჰკლეს და
მისი მომხრეები ძლიერ დაამარცხეს. ამის შემდეგ ის
დაბრუნდა იერუსალიმში მეფედ. მაგრამ უბედურება იმას
სამარის კარამდე მიჰყვა. ის ცხარე ცრემლით სტირო-
და, თავის საყვარელ შვილის, აბესალომის სიკვდილს.
ახ! ჩემო აბესალომ, აბესალომ! ეს რა სიმწარე მომა-
ყენე, ამბობდა ის ტირილში.

ღმერთმა სთქვა, რომ მე ისე გავამრავლებ ებრა-
ელებსა როგორც ზღვის ქვიშაა მრავალიო; მაგრამ და-
ვითმა მოინდომა იმისი დათვლა. უშალეს, მაგრამ არ
დაიშალა. ეს ღმერთს ძლიერ ეწყინა და სამი სასჯელი

მისცა: ამათში რომელიც გსურდეს ის აირჩიეო: სამი წლის შიმშილი მთელს სამეფოში, სამი თვის განმავალობაში მტერთაგან დევნა, ანუ სამი დღის ჭირი. იმან ღვთის ხელში ჩავარდნა ირჩია: სამი დღის განმავალობაში ანგელოზმა სამოცდა ათი ათასი ებრაელი მოჰკლა; ამაზე დავითი შეძრწუნდა და გულს მოდგინეთ სთხოვა ღმერთს: „ღმერთო! მე მწყემსმა შევცოდე და არა ამ უბრალო ხალხმა,—ამათი რა ბრალია? დაე რისხვა შენი მე მეკითხოს და არა ხალხსა ჩემსა.“ ჭირი მაშინვე შესწყდა. დავითმა იყიდა ის ადგილი, სადაც იდგა ანგელოზი და აქ დასდგა სამსხვერპლო.

დავითმა თავის მოხუცებულებაში მოინდომა ტაძრის აშენება; მოამზადა მასალა და უნდა შესდგომოდა შენებას; მაგრამ ღმერთმა უთხრა, რომ შენ ბევრი სისხლი დაგიღვრია და ამისათვის შენ ნუ ააშენებ ტაძარსა, შენს მერმე შენი შვილი იქნება მეფედ და ის ამიშენებს მე ტაძარსო. დავითი ღრმად მოხუცებულებაში მოკვდა.

## 68. სამღრთო წიგნნი ებრაელთა ხალხისა, სოლომონის გამეფებამდე დაწერილნი.

წინასწარმეტყველის მოსეს გამოჩინებამდე საღმრთო წიგნნი არ იწერებოდნენ. ქვეყნის შექმნიდამ, ვიდრე მოსემდე სარწმუნოების ჭეშმარიტებანი და ღვთისნიერად ცხოვრების წესები, წმინდათა კეთილად ცხოვრების მა-

გალითუბე, უველა ქვეყნის ხალხმა იცოდა და ახსოვდა ზეპირ გადმოცემით: ღვთის მოყვარე მამათ მთავარნი, ადამი, ნოე, აბრაამი, ისააკი, იაკობი და სხვ. ყოვე-ლივეს, რაც კი ღმერთისაგან ჰქონდათ მიღებული, საშ-ვილის-შვილოდ გადასცემდნენ თავის შთამომავლობას. ეს ზეპირ-გადმონაცემობა ჯერ პირველად იცვებოდა ნოეს შვილის სემის და აბრაამის შთამომავლობაში. მაგრამ შემდეგში, როცა აბრაამის შთამომავლობა ღვთის განგებით ისრე გამრავლდა, რომ აღურაცხელი გახდა, დაიწყეს დავიწყება გადმონაცემისა, დაავიწყდათ მრავალი ჭეშმარიტებანი და რაც ახსოვდათ, ისიც ზღაპრებითი და წარმართი ხალხების ცრუ მორწმუნოებებით იყო შემკობილი. მაშინ ღვთის რჯულის და განცხადების წმინდათ დაცვისათვის, ღმერთმა უბრძანა მოსეს ყოველივე დაწერა სამღრთო წერილში. თვით ღმერთის შთაგონებით მოსემ დასწერა ხუთი წიგნი; ამ წიგნებს ჰქვიანთ ძველი აღთქმის განონდება ანუ რჯული მოსესი, რადგან ისინი მოსეს მიერ არიან დაწერილნი. ეს წიგნები შემდეგნი არიან: წიგნი შექმნათა, გამოსვლათა, ლევიტელთა, რიცხვთა და მეორე რჯულისა. შექმნა მოგვითხრობს, თუ როგორ გაჩნდნენ ქვეყანა და ცა, საიდამ წარმოსდგა ცოდვა და როგორ არის დაფუძნებული ჩვენი სარწმუნოება მაცხოვარზე; აგრეთვე შეიცავს ისტორიას მამათ მთავართა, ადამიდგან მოყოდებული, ვიდრე იოსების სიკვდილამდე ეგვიპტეში. გამოსვლა მოგვითხრობს ებრაელების ეგვიპტიდამ გა-

მოსვლას მოსეს წინამძღომლობით და იმ მცნებებზე და კანონებზე, რომლებიც ღმერთმა მისცა ხალხს სინაის მთაზე. ლ ე ვ ი ტ ე ლ თ ა წიგნი შეიცავს ღვთის მსახურების წესებს, რომელთა აღსრულება ლევიტელებზედ იყო მინდობილი. წიგნი რ ი ც ხ ვ თ ა იუწყობს ებრაელების არაბისტანის უდაბნოში მგზავრობას მოსეს წინამძღომლობით, შეიცავს აგრეთვე ხალხის აღრიცხვას, რომელიც მოსემ მოახდინა ღვთის ბძანებით. წიგნი მ ე ო რ ე რ ჯ უ ლ ი ს ა შ ი არის ხელმეორედ გამეორებული ყველაფერი, რაც ებრაელებს ღმერთმა მისცა მგზავრობის დროს არაბისტანის უდაბნოში და რაც იმათ თავს გადახდათ. ეს მოსეს წიგნები დასრულდებიან მოსეს სიკვდილის მოთხრობითა.

მოსეს გარდა კიდევ დასწერეს წიგნები: იესო ნავეს ძემ, წინასწარმეტყველთა: სამოელმა, გადომ, ნათანმა, მეფე დავითმა, წინასწარმეტყველებმა ასაფმა, ეთამმა და კორეს ძეთა. ამათში ყველაზე უფრო შესანიშნავნი არიან სამოელის და დავითის წერილნი. სამოელის წიგნთა ჰქვიან „წ ი გ ნ ი მ ს ა ჯ უ ლ თ ა“. ამ წიგნში ძალიან ცხადათ არის აწერილი, რომ ღმერთი ებრაელებს იფარავს მტერთაგან, ესარჩლება, უვლის, როგორც შვილებს და ამკვიდრებს მათ ხალხოსნობას. ამ წიგნიდამ სჩანს, რომ ებრაელების პატრონი ღმერთია, რომ იმას სურს იმათი ხალხოსნობა. ის ზრუნავს იმათ განწმენდას სხვა უცხოტომის ხალხებიდგან, უშლის იმათ სხვა ხალხებთან მოყვარეობით აღრევას, მოაგონებს თავის ხალხოს-

ნობის დაცვას და ამ განზრახვის აღსასრულებლად აძ-ლევდა საკუთარ რჯულს და აღუთქვამს მაცხოვრის მოვ-ლინებას. ამ აზრსავე ათქმევინებს ღმერთი დავით მე-ფესაცა, ის ყოვლის ღონისძიებით სცდილობს დაუმტ-კიცოს ებრაელებს, რომ ისინი არიან ღვთის საყვარელი ხალხი, ისინი არიან ხვედრნი უფლისანი და უკეთუ და-იცვენ თავიანთ ხალხოსნობას და სარწმუნოებას, ღმერ-თი იმათ მისცემს ისრეთ მეფეს, რომლის მეფობა იქ-ნება დაუსრულებელი და ებრაელების საკეთილ-დღეოდ, „შენ ხარ ძე ჩემი“, ამბობს დავითი მე-7 ფსალმუნში, მე შენ გშვე დღეს და მე მოგცემ შენ ხალხთა სამკ-ვიდრებელად კიდითი კიდემდე. თუმცა ბევრი მტრები გეყოლებათ, თუმცა ეცდებიან თქვენი ხალხოსნობის და სარწმუნოების დამხობას; მაგრამ ფიქრი ნუ გაქვთ, ვე-რაფერს გავნებენო, ვიდრე შენს მტერს არ მოვადრეკი-ნებ მუხლს შენს წინაშეო.

მეფე დავითი იყო აგრეთვე წინასწარ-მეტყველიცა. ამან დასწერა ფსალმუნები, რომელთაც ის გალობდა ცხრა სიმიან საკრავზე; მაგრამ ფსალმუნები სულ დავი-თის დაწერილნი არ არიან. დავითს ეკუთვნის 87-დი, ერთი მოსეს, თორმეტი ლევიტელთა, ოცი ასათი წი-ნასწარ-მეტყველს, ერთი ემანს და ერთი ეთამას. ეს უკანასკნელნი დავითის წინა მედროენი იყვნენ.

## დავითიან შთამომავლობის მეფენი.

### 69. სოლომონის მეფობა, მისი სიბრძნე, ტაძრის აღშენება, დიდება და შეცოდება.

მეფე სოლომონი, თუმცა ახალ-გაზდა უმაწვილი კაცი იყო, მაგრამ ძალიან სვე-ბედნიერი მეფე იყო. მამის სიკვდილის შემდეგ იმან ღმერთის შესწირა მსხვერპლი და სთხოვა, რომ მას მიეცა მისთვის იმგვარი ჭკუა-გონება, რომ იმას თავისი სამეფო რიგიანად და ხალხის საბედნიეროდ დამწყვსა შეჰსძლებოდა. ღმერთს ესიამოვნა ამ გვარი თხოვნა, გამოეცხადა და უთხრა: „რადგან შენ მე არა მთხოვე დღეგრძელობა, სიმდიდრე, მტერთა დამარცხება, არამედ მთხოვე გონიერება, იმისთვის რომ შეგეძლოს მსაჯულობა, ამისთვის მე შენ მოგცემ არამც თუ ბრძენთა ჭკუა-გონებას, არამედ მოგცემ აგრეთვე სიმდიდრესაც, რომ ქვეყანაზე ვერც ერთი მეფე ვერ შეგედრებოდეს შენ ვერც ჭკუა-გონებაში და ვერც სიმდიდრეში, და უკეთუ ისრე აღასრულებ ჩემს მცნებას, როგორც მამა შენი ასრულებდა, მაშინ მე შენ დღეგრძელსაც გყოფო“.

ეს ღვთისაგან მინიჭებული ჭკუა-გონება იმან ჩქარა გამოიჩინა. იმასთან მოვიდა საჩივარზე ორი დედაკაცი, ერთს იმათთაგანს გულზე მიჩქმული ჰყავანდა უმაწ-

ვიდრე და მეორემ სთქვა: ბატონო! მე და ეს დედა-კაცი ვდგევართ ერთ სახლში და სხვა ყველა ჩვენთან არავინ ყოფილა. ჩვენ ორივეს თვითო შვილი გვყავდა. წარსულ ღამეს ეგ ძილში დააწვა თავის შვილს და მოუკლავს; მაგრამ ამდგარა ღამე, როცა მე მძინებია, ჩემი შვილი თითონ აუყვანია, და თავისი მკვდარი ჩემს მკეშავებში ჩაუწვენია. დილით რომ ავდექი, მინდოდა შვილისთვის მამეხედნა; მკვდარი დამხვდა; კარგად რომ დავაკვირდი, ვსცან, რომ ეს ჩემი შვილი არ იყო. ამაზე მეორე დედაკაცმა უპასუხა, რომ სტყუვისო: „ეს ცოცხალი—ჩემი შვილია და მკვდარი მაგისიაო“! რადგან მოწამე არა ვინ იყო, საჩივრის გარჩევა და გადაწყვეტა ძალიან ძნელი იყო; მაგრამ სოლომონმა კარგი ხერხი იხმარა. უბრძანა ჩვილის შუაზე გაჭრა და ნახევარ ნახევრის მიცემა ამ დედაკაცთათვის, რომელიც ნამდვილი დედა იყო, იმას ძალიან ეწყინა ეს განჩინება მეფისა, აუკვნესდა დედობრივი გული და მწუხარებით უთხრა მეფეს: „მეფეო! ოღონდ ეგ ნუ მოაკვლევინებ ჩვილს და მაგასვე მიეციო“, მაგრამ მეორემ, რომელიც ტყუილად იჩემებდა ჩვილს, სიხარულით უთხრა: „ძალიან კარგი იქნება, გასჭერით შუაზე, დაე ნურც მე მერგება, ნურც მაგასაო“. მაშინ სოლომონი მიხვდა, რომ ის დედაკაცი, რომელიც გაჭრაზე თანახმა გახდა, დედა არ იყო ჩვილისა, და უბრძანა იმისთვის ჩამორთმევა და მიცემა ნამდვილი დედისათვის. სოლომონის სიბრძნემ ყველა განცვიფრებაში მოიყვანა.

მაგრამ სოლომონმა თვისი სიბრძნე მარტო ამით არ გამოიჩინა. იმისი სიბრძნე განითქვა მთელ დედა-მიწის პირზე. ქვეყანაზე ყველა იმის ჭკუა-გონიერების და ბედნიერების ქებაში იყო. არაბისტანში შეიტყო იმისი დიდება, ქება, სიბრძნე და ბედნიერება არაბისტანის დედოფალმა და მოვიდა იმის სანახავად. ამან შეკრიბა თავის ქვეყანაში გამოცანები და წამოვიდა სოლომონის სიბრძნის გამოსაცდელად. ეს ეწვია სოლომონს დიდის ამბვით და ყოფით საჩუქრად მოუტანა 355 ფუთი ოქრო და მრავალი თვალ-მარგალიტი და ლალი. ბევრი იბაასეს სოლომონმა და დედოფალმა. სოლომონმა ყოველი კითხვა და გამოცანა იმას მარჯვედ განუმარტა. მერმე დაატარა თავისი სასახლე და აჩვენა ყოველიფერი, რაცა ჰქონდა. ერთი სასახლე იმან აღაშენა ეგვიპტის მეფის ფარაონის ქალისათვის, რომელიც იმას ცოლად ჰყვანდა. ამ სასახლეში ოთხს მაღალს ფეხზე იდგა დიდი, მშვენიერი ხელობით, სპილოს ძვლებიდგან ნაკეთი სტოლი და იყო ოქროს სუფრით გადაფარებული ანუ მოჭედილი. ამის წინ იდგნენ ორ რიგზე თორმეტი საუცხოვოდ დახატული ლომები და ორი იდგა მეფის დასაჯდომ ტახტის მახლობლივ. მეფეს უნდა გაეარნა ამ ლომებს შუა და მისულიყო ტახტთან. მეორე სასახლეს ერქვა „სასახლე ლიბანის მურროვანისა“. ამ სასახლეში იყვნენ შეკრეფილნი სხვა და სხვა საუცხოვო ნივთები, აქ ეწყვნენ აგრეთვე 500 ოქროდამ ჩამოსხმული ფარები, რომელიც 207 ფუთს ოქროს იწონიდა. ამას-

თანავე ჭურჭელი ამ სახლისა მთლად ოქროსი იყო-სუფრის სამკაულიც ოქროსი ჰქონდა. ყველაფერი ესეები რომ იხილა დედოფალმა, განცვიფრებაში მოვიდა და უთხრა სოლომონს: „მე არ ვიჯერებდი, რასაც მიამბობდნენ შენზე, შენს სიმდიდრეზე და სიბრძნეზე, ვიდრე არ ვი-ნახე ჩემის თვალითა; მაგრამ ახლა დავრწმუნდი და ვიტყვი, რომ ჩემთვის ამის ნახევარიც არ უამბნიათ, რაც ვნახე. სიმდიდრე და სიბრძნე შენ უფრო იმაზე მომეტებული გაქვს, რაც მე შეტყობილი მქონდა. ნეტა-რია შენი ხალხი შენს ხელში. ეტყობა უფალს უყვარს ისრაელი, რომ შენ დაუყენებიხარ მეფედ სჯულისად სი-მართლისა“. ეს სტუმრობა დედოფლისა და მისივე სოლომონმა აღსწერა წიგნში და დაარქვა ამ წიგნს სა-ხელად: „გ ა გ თ ა წ ი გ ნ ი“.

მაგრამ სოლომონმა მარტო ამითი არ ისახელა თავი თვისი: მისი ქება და სახელი უფრო განითქვა ტაძრის აშენებით. მამის მიერ დამზადებული მასალას იმან თვითონაც მოუმატა და ისეთი ტაძარი ააშენა, რომ ძველს დროებაში ეს შენობა ქვეყანაზე ერთ შვიდთა საკ-ვირველთაგანად იყო მიღებული. იმის აშენებაზე მუშაობ-და 180000 კაცი და ზედამხედველად 3300 კაცი ჰყავან-და. თუმცა ასეთი მრავალი მუშა ედგა ტაძრის შენებას, მაგრამ მაინც შვიდ წელიწად ნახევარი მოუნდნენ იმის დასრულებას. ეს მთლად თლილი ფიქალი ქვისა იყო; სიგრძე ჰქონდა 39 არშინი და 6 გოჯი ანუ ვერშოკი და სიგანე 13 არშინი და 2 ვერშოკი. წმინდა წმინდათა

მთლად ოქროთი იყო მოჭედილი; ისრეე, როგორც მოსეს კარავში, აქაც აღთქმის კიდობანზე იყო ორი ჩამოსხმული ოქროს ქერუბიმი და ისეთი გრძელი ფრთები ჰქონდათ, რომ თითო ფრთით ისინი ერთმანერთს შეეხებოდნენ, და მეორეთი კი კედლებს გადასწვდებოდნენ და ასრე ამ სახით ეჭირათ მთელი სიგანე წმინდაა წმინდათასი. სამწმინდოში მარცხნივ და მარჯვნივ იდგა ხუთხუთი შანდალი და ხუთ ხუთი ტრაპეზი სამღრთო პურების დასაწყობად, აგრეთვე საკმევლის ტრაპეზი და ის იდგა ფარდის წინ ტაძრის შუაზე.

ტაძარი მთლად განიყოფებოდა სამ ნაწილად: წმინდაა წმინდათა, სამწმინდო და გარი-ბჭე; გარის-ბჭეში იდგა ტანსაბანელი. აქ ღვდლები ხელ-პირს იბანდნენ და მერმე შედიოდნენ სამწმინდოში სალოცავად.

როცა სოლომონი მორჩა აშენებას და ტაძარი შიგ მოაწყო, მაშინ ის მღვდლებმა აკურთხეს და შიგ გადიტანეს აღთქმის კიდობანი და ყოველივე რაც იყო მოსეს კარავში. როცა ღვდლები მორჩნენ კურთხევას, მაშინ სოლომონმა დაიჩოქა, შევედრა და სთხოვა ღმერთს, რომ ყოველი კაცის ლოცვა, ებრაელი იყოს თუნდა უცხო ტომისა, ვინც აქ მოვა და ილოცავს, შეიწირეო. ღვთისათვის სათნოდ შეიქნა ეს ლოცვა, დაადგა ნათელი შიგნით მთელს ტაძარს და დასწვა შეწირული მსხვერპლი: ღვდლებმა ამ დროს შესწყვიტეს წირვა ლოცვა, ხალხი შეშინდა, რადგან იფიქრა, რომ ღრუბელი და

ნ თელი, „უბედურების მომასწავებელი ნიშანია,“ მაგრამ სოლომონმა ნუგეში სცა და უთხრა: „თვით უფალმა სთქვა, რომ იგი სუფევს სავანესა შინა წყვდიადისასა“. ასე განითქვა სოლომონის სახელი.

## 70. სოლომონის უბედურება.

ბედნიერებამ სოლომონი დაუდევარი გახადა. ღმერთმა იმას უბრძანა, რომ უცხო ტომის ქალს ნუ შეირთავ ცოლადაო, არ არის რიგიო, რომ კაცმა თავისი ტომი დაივიწყოს და უცხო ტომის ხალხს შეუერთდესო; მაგრამ სოლომონმა ამ მცნებას არ უსმინა. იმან შეირთო მრავალი წარმართთა ქალები ცოლად; გაუკეთა იმათ საკერპოები და ისინი სალოცავად რომ მიდიოდნენ, ისიც თან მიჰყვებოდათ. იმათ შენახვა და ჭამა-სმა უნდოდათ და სოლომონმა დაიწყო თავის სიმდიდრის წარამარად ხარჯვა; ამისათვის სიმდიდრე შემოაკლდა და კიდევ ჩვეულებისამებრ მოინდომა ცხოვრება, და ხალხს დაადო მძიმე ხარკი. ღმერთს არ მოეწონა მისი ყოფაქცევა, ხალხი ძალიან შეწუხდა და ღმერთმა უთხრა სოლომონს: „რადგან შენ აღარ აასრულე ჩემი მცნება, ამისთვის შენ ჩამოგართმევ სამეფოს და მივსცემ შენს მონასო, მაგრამ მამი შენის კაი კაცობისთვის, მე ამას შენს სიცოცხლეში არ ვიზამ; არამედ შენს შვილს ჩამოვართმევ, მაგრამ ნაწილს იმასვე დაუტოვებ ამისთვის, რომ მე

იერუსალიმი გამოვირჩიე ქალაქთა შორის ჩემს სადიდებლად“. ამის შემდეგ სოლომონმა იგრძნო თავისი შეცოდება და დასწერა მოძღვრება „ე კ ლ ე ს ი ა ს ტ ე“. ამ წიგნში ამბობს, რომ ვისაც უნდა ქვეყანაზე ბედნიერი და კმაყოფილი იყოს თავის ცხოვრებისა, იმან ღვთის მოყვარე გული და წმინდა სინიდისი უნდა იქონიოს, ამისთვის რომ ამათ გარდა ქვეყანაზე ყოველივე ამაო ყოფილაო. იმან დასწერა კიდევ თხზულება „ქ ე ბ ა ქ ე ბ ა თ ა“. ამ წიგნში აღწერს ღვთის სიყვარულს კაცისადმი.

## 71. სოლომონის სამეფოს ორად გაყოფა.

სოლომონის სიკვდილის შემდეგ იმის შვილს რობოამს უნდოდა მეფობა; მაგრამ ხალხი შეიყარა და უთხრა: თუ იმ ხარკს შეგვიმსუბუქებ, რაც მამა შენმა დაგვადო, მეფედ გვინდიხარო, თუ არა და არაო. რობოამმა ამაზე სიამაყით უპასუხათ: არამც თუ არ შეგიმსუბუქებთ, არამედ კიდევაც მოგიმატებთო. ხალხი ამაზე აჯანყდა და ათმა შთამომავლობამ სხვა ვინმე იერობოამი ამოირჩიეს მეფედ, ორმა კი იუდასი და ბენიამინისამ,— სოლომონის შვილი რობოამი. იერობოამი სოლომონის სიცოცხლეშივე სცდილობდა მეფობას. მაგრამ სოლომონმა გაიგო განზრახვა, დაუპირა მოკვლა და შიშისა გამოისობით ეგვიპტეში გაიქცა. აი ეხლა, როცა სოლომონი

მოკვლა, ის მოვიდა ეგვიპტით და გამეფდა. ასე წარმოსდგა ებრაელთა შორის ორი სამეფო: სამეფო იუდიათა და ისრაელებისა და არაოდეს ისინი აღარ შეერთებულან.

---

## ისტორია ისრაილების სამეფოსი.

### 72. მეფობა იერობოამისა და მისი მოადგილეთა.

თუმცა ერთი სამეფო ებრაელებისა გაიყო ორად, და ებრაელებთა დაისვეს ორი მეფე წინააღმდეგნი ცალ-ცალკე, მაგრამ ხალხის გაშორი და ძმობრივი სიყვარული არ მოესპო. ამის მიზეზი ის იყო, რომ ისათ ჰქონდათ ერთი ენა, ერთგვარი ხალხოსნური ზნე, ჩვეულებანი, სარწმუნოება, დღესასწაულნი და საყოველთაო ტაძარი: ეს საზოგადო კუთვნილებანი აახსენებდა და ნერგავდა მათ შორის ზნეობითს ხალხოსნურს კავშირს.

ებრაელებს ჰქონდათ ერთად ერთი ტაძარი სოლომონისა და რჩეულისა მეზობ ყველა ებრაელს აქაში ჰქონდა დღესასწაულზე პასექი. ეს გარემოება მეფეების უნებლიეთ აკავშირებდა ორი სამეფოს ხალხს — ისრაელებს და იუდიანელებს. პასექის დღესასწაულს დღეს და მრავალს სხვა დღესასწაულებში ისრაილები მოდიოდნენ სადღესას-

წაულოთ იუდიანელების სამეფოში; ამისათვის რომ აქ იყო სოლომონის ტაძარი და აქ დღესასწაულობდნენ. ეს გარემოება ძალიან აშფოთებდა, აღონებდა ისრაელების მეფეს იერობოამს. ამისთვის ის ცდილობდა რამე ღონის მოპოებას, რომ ხალხი იუდიანელების სამეფოში არ წასულიყო სადღესასწაულოდ, და უკეთუ ივლის, ფიქრობდა ის, მაშინ ადვილად შეიძლება ხალხმა მე გადამაყენოს მეფობისაგან და აღმოირჩიოს ერთი მეფეო. ის ფიქრობდა, რომ ხალხს იერუსალიმში სიარულის დროს, უეჭველია, საჩივარი საქმეები გამოუჩნდება, სამართლისათვის მიმართავს იქაურ მეფეს, შეეჩვევა მის სამართალს, და მაშინ მე იმისთვის საჭირო-აღარ ვიქნები და ამოირჩევენ ერთ მეფესაო.

ამ გვარმა შიშმა იერობოამს აფიქრებინა მოსეს სარწმუნოების მოკვეთა და მის მაგიერად წარმართთა სარწმუნოების შემოღება. ის ფიქრობდა, რომ ხალხი იმისთვის დადის იუდიანელების სამეფოშიო, რომ ხალხს სარწმუნოება ერთი აქვს და იქ არის ტაძარი, რომელშიაც რჯულისამებრ უნდა იდღესასწაულონ თავიანთი დღეობებიო. რომ აღარ იაროს ხალხმა იერუსალიმში დღესასწაულ დღეებში, იმან შესცვალა მოსეს რჯული კერპობით და განუწესა ერს სხვა დღესასწაულები. იმან გადადნობილი ოქროთი ჩამოასხმევინა ორი ოქროს ხბოს კერპი, დაასვენა ერთი სოფელს ბეთილში, მეორე დანაში, ამათ წინ დაუდგა სამსხვერპლოები, შეკრიბა ხალხი, მოუყარა პირველად თვითონ მუხლი და უთხრა ხალხს:

ნუღარ წახვალთ იერუსალიმშიო: აი ესენი არიან თქვენი ღმერთები, რომელთაც გამოგიყვანესთ ეგვიპტიდგან და ამათ ეცით თაყვანიო. როცა ხალხმაც იერობოამი მეფის რჩევისამებრ, მოიღრიკა მუხლი და კერპს თაყვანსა სცემ-და, მაშინ ხალხიდგან ერთმა კაცმა დაიძახა: „უფალი ღმერთი ასე ამბობს: სამსხვერპლო ესე დაინგრევა და ავლი სხვერპლისა, რომელიც მასზეა, განიავდებაო“. იერობოამმა არ შეისმინა წინასწარმეტყველის სიტყვა.— მაშინ მეორე წინასწარმეტყველმა აქიამ უთხრა იმას ღვთის პირით: „მე შევამთხვევ სახლსა იერობოამისასა ვაის და გავგლახსა და ამოვსწყვეტ იმას; მერმე შევმუსრავ ისრაელს და ის, როგორც ჭალაში ამოსული ლერწამი, ისე რხევას დაიწყებს თავის სარწმუნოებითო; ამოვფხვრი იმას ამ ქვეყნიდგან და განვაბნევ მას ევფრატს იქითაო“.

გარდა ამისა იერობოამმა ჰქმნა კიდევ სხვა უწესო საქმე. მოსეს მიერ იყო განწესებული, რომ მღვდლები ლევის შთამომავლობიდამ უნდა ყოფილიყვნენ, მაგრამ ამან მოსპო ეს კანონი და დასდო კანონად და უთხრა ხალხს, რომ ყველას, ვისაც სურთ, შეგიძლიანთ მღვდლობა და მსხვერპლის შეწირვაო. ამისა გამო ყოველი კაცი მღვდლობდა და ღმერთს თავისი ხელით სხვერპლსა სწირავდა, რომლის ყოფასაც, მოსეს რჯული, მხოლოდ ლევის შთამომავლობის მღვდლებს ნებას აძლევდა, და აღუკრძალავდა სხვა შთამომავლობის კაცთა.

ეს ამგვარი უწესოება და ხალხში კერპობის გავრცელება, ნაცვლად ჭეშმარიტის სარწმუნოებისა, იმას და-

უსჯულოდ არ დარჩა. წინასწარმეტყველების ქადილი იერობოამზე აღსრულდა; იმისი გვარი მთლად ამოსწყდა.

შემდეგი მეფეები ისრაილებისა იერობოამზე კარგნი არ იყვნენ. იერობოამმა ცუდი მაგალითი დასტოვა. ყველა იმის გზა-კვალს მისდევდა და ზოგიერთნი იმაზე უარესადაც იქცეოდნენ. ოქროს ხბორებისა გარდა ბაალი თაყვანსა სცემდნენ კიდევ სხვა ხალხების კერპებსაცა. ვინც იმათ სამეფოში კერპებს თაყვანს სცემდა, იმას სწყალობდნენ და ვინც არა, ის ეჯავრებოდათ და კიდევაც ჰკლავდნენ: იგვიატებდნენ და იძულებდნენ ვინც ჭეშმარიტს ღმერთს ემსახურებოდა. ყველასთვის მეტად სამწუხარო დრო, ისრაილებმა დაივიწყეს ჭეშმარიტი ღმერთი. ყოველგან მაღალ ბორცვებზე მეფეებისაგან იყო აშენებული საკერპო სალოცავები. ხალხი, როგორც უმწყემსო ცხვარი, დაიარებოდა, მთებში აღშენებულ საკერპოებში, სალოცავად და სხვერპლის შესაწირავად. მარამ იყვნენ ისეთი კაცნიც, რომელნიც ღმერთის თაყვანსა სცემდნენ და ემასხრებოდნენ კერპთ თაყვანისმცემელ მღვდელებს. ამისგამო ჭეშმარიტ მორწმუნეთა და ურწმუნოთა შორის იყო განხეთქილება. მუდმივმა შფოთმა და განხეთქილებამ შეარყია სამეფო მაგრიანად. ღმერთმაც ხელი აიღო ისრაილებზე, მაშინ მოდიოდნენ უცხო ტომის მეფეები—სირიელები, არბევდნენ, აოხრებდნენ და იღებდნენ იმათ ქონებას, დედულ-მამულს და სახლ-კარს. ამასობაში, ხალხი იღუპებოდა.

ღმერთს არ ჰსურდა აღრჩეული ხალხის დაღუპვა. იმას უნდოდა მხოლოდ დასჯით მათი მოქცევა და სინაწულში შეყვანა. ამისათვის ღმერთი დროითი დროდ აღადგენდა მათ შორის წინასწარმეტყველებთა და ესენი დიდის მეცადინეობით არიგებდნენ ისრაილებს, რომ არ დაეკარგათ თავისი ხალხოსნური სარწმუნოება და ხალხობა, — და მოჰრიდებოდნენ უცხო ტომის ხალხებთან გაერთებას, რადგან ეს უფლის განგების წინააღმდეგია.

## 73. წინასწარმეტყველი ელია და მეფე აქაბი

როდესაც აქაბის მეფობის დროს უფრო და უფრო განძლიერდა ისრაილებში კერპ-თაყვანის მცემლობა, მაშინ ღმერთმა მოუვლინა ხალხს წინასწარმეტყველი ელია. ეს კაცი ძლიერ ესარჩლებოდა ისრაილებს და უყვარდა ისე, როგორც თავი თვისი. იმისი ბედნიერება თავის ბედნიერებად მიაჩნდა. უყვარდა ღმერთიცა, იმისთვის რომ ის ესარჩლებოდა ისრაილების ხალხოსნობას. ელია ღვთის ჩაგონებით არიგებდა ხალხს, რომ ნუ დაჰკარგავთ თქვენს სარწმუნოებას და ხალხოსნობასაო; და რადგან აქაბი მეფე ყოველივე ებრაული დღესასწაულების, ჩვეულების და სარწმუნოების მოკვეთას სცდილობდა, ამისთვის ძალიან დიდს წინააღმდეგობას უწევდა; არ ეშინოდა და არ ერიდებოდა იმის მძლავრობას: უშიშრად

უქადაგებდა ხალხს, რომ ის ამის განკარგულების ურჩი გამხდარი ყოფილიყო.

ამ წინააღმდეგობისთვის აქაბს თვალის დასანახავად ეჯავრებოდა ხალხის მოსარჩლე ელია წინასწარმეტყველი. რასაც იტყოდა ელია, ყველაფერი სრულდებოდა. ისრაელები ამ დროს ძალიან ცუდსა და სამწუხარო მდგომარეობაში იყვნენ. სამი წელიწადი და სამი თვე იმათ ქვეყანაში ერთი ცვარი წვიმა არ ჩამოვარდნილა. ამისათვის გაშრა მდინარეები და წყაროები, გახმა მთელი დედამიწა და ბალახ-მცენარე აღარ აღმოცენდებოდა, მოსავალი აღარ მოდიოდა და ჩამოვარდა ხალხში დიდი სიყმილი.

ამ უბედურებას აქაბი ელიას წყევლას აბრალებდა და ამისათვის ნახა ერთხელ და ასე უსაყვედურა: „აჰა! ეს შენა ხარ? ეს შენგან არის ისრაელებზე ამდენი უბედურება!“ ელიამ უპასუხა: „ჩემგან კი არ არის, შენ და შენი სახლობისაგან არის, ამისთვის რომ თქვენ დაგივიწყებიათ მცნება უფლისა და ემსახურებით ბაალს“. ამ ბაასში იმათ გადაწყვიტეს სარწმუნოების გამოცდა, თუ ვისი ცუდია და ვისი კარგი. ელიას რჩევით მაშინ აქაბმა შეჰყარა თავისი რჯულის ღვდლები და ხალხი კარმილეს მთაზე გამოსაცდელად, თუ ვინ არის ჭეშმარიტი ღმერთი: აქაბის ღმერთი ბაალი, თუ ღმერთი ილიასი ეგოვა. როცა ყველანი შეიყარნენ, ელიამ უთხრა ხალხს: „როდემდი უნდა ირყეოდეთ ორ მხარეს? უკეთუ იეგოვა არის ღმერთი, მას ირწმუნეთ; უკეთუ ბაალი, იმას

თაყვანს ქცით იეგოვას წინასწარმეტყველთაგან ახლა მხოლოდ მე ვარ დარჩენილი; ბაალს კი 450 კაცი წინასწარმეტყველი ჰყავს. მოგვეცი ჩვენ ორი ზვარაკი, ერთი ზვარაკი დაე მათ დაჰკლან და ხორცი დააწყონ შეშაზე, მაგრამ ცეცხლს ნუ შეუნთებენ, მეორეს მე მოვამზადებ და ცეცხლს არ შეუნთებ. ვისიც სხვერპლს ღმერთი შეიწირავს, გააჩენს ცეცხლს და დასწვავს შეწირულს, ის იყოს ღმერთი ჭეშმარიტიო". ხალხი თანახმა გახდა და სთქვა: „ძალიან კარგი იქნება, დაე ეგრე იყოსო". პირველად ქურუმებმა შესწირეს სხვერპლი თავის ღმერთს ბაალს; დაუჩოქეს და ევედრნენ მას, სთხოვეს მიღება სხვერპლისა; მომეტებულის ღმობიერობისგამო ტანიც კი დაისერეს დანებით და დაიჩხვლიტეს სადგისებით, მაგრამ ბაალმა ვერ შეიწირა სხვერპლი. მერმე ელიასი რიგი იყო და იმან შესწირა. იმან ჯერ დაკლა ზვარაკი, მერმე მოსთხარა ორმო, გარშემო შემოუწყო თორმეტი ქვა, თორმეტი შთამომავლობის ნიშნად, დააწყო ზედ ხორცი და გადაასხა წყალი, არავის ეფიქრნა რომ ელიას ცეცხლი ჰქონდა დამალული, და მერმე ასრე შევედრა ღმერთსა: „უფალო ღმერთო, აბრაამისა, ისაკისა და იაკობისო, დაუმტკიცე დღეს ამ ხალხს ცეცხლითა, რომ შენ ხარ ღმერთი ისრაილისა და მე ვარ მონა შენი; შეისმინე ლოცვა ჩემი და შეიწირე ესე სხვერპლიო". გაათავა თუ არა ვედრება, ჩამოვარდა ციდგან ცეცხლი, დასწვა სხვერპლი და შეშა, და წყალი, რომელიც ორმოში იყო, სრულიად გააშრო. ხალხმა რომ იხილა, ეს

სასწაული, დაიძახა: „მართლა ეგოა უფალი ჭეშმარიტი ღმერთიო“. ამის შემდეგ ელიამ დააჭერინა ხალხს ქურუმნი და ყველანი ერთმანეთს ზედი-ზედ დააკლა. ამ საღამოს მშვენიერი წვიმაც მოვიდა, რომელიც სამი წელიწადის და სამი თვის განმავლობაში არ იყო ჩამოვარდნილი. ქურუმების დახოცვა აქაბის ცოლს იეზაბელს ძალიან ეწყინა. იმან დაიფიცა, რომ ელიას მოუკლავს არ გაუშვებო. ამისთვის ელია დროებით დაემალა იმას. მაგრამ როცა შეიტყო, რომ აქაბს ნაბოთეისათვის ვენახი უთხოვნია, და რადგან იმას უარი უთქვამს, ის ჯავრით ავად გამხდარა და ამისათვის იმის ცოლს, იეზაბელს, ცილის შეწამებით მოუკვლევინებია და ბაღი წაურთმევიაო, ის მოვიდა იმ ბაღში, რომელიც ნაბოთემ არ დაუთმო იმის ქმარს, გამოეცხადა სეირნობის დროს აქაბს და ასე უთხრა: „ასე ამბობს უფალი: იმ ადგილას, სადაც ძაღლები ლოკდნენ ნაბოთეის სისხლსა, ძაღლები შეჭამენ შენს სისხლსაცაო; და მთლად ამოვწყვეტავ შენს ოჯახსაცაო; იეზაბელს დაფათრამენ ძაღლები, და შენი სახლის კაცებიდგან, ვინც ქალაქში მოკვდება, იმას შეჭამენ ძაღლები, ვინც მინდორში, იმას დაწიწკნიან ყორანნი“. ასეთი გულ შემატკივარი იყო ელია ისრაილის ტომის კაცისათვის და იმათ სიკეთისა და ბედნიერებისათვის არ ზოგავდა თავის თავსა.

ამის შემდეგ ელია დიდხანს აღარ დარჩენილა ქვეყანაზე. იმან ამოირჩია თავის მაგიერად ელისე წინასწარმეტყველი, ასწავლა და დაარიგა, თუ როგორ უნდა

მოქცეულ იყო, ელისემ სთხოვა მრჩობლი მადლი წინასწარმეტყველებისა. ის დაჰპირდა. მერმე გაიყოლია და იორდანეს კიდეზე, აქ მოევლინა ციდგან ცეცხლის ეტლი, ცეცხლის—ცხენებში შებმული; ელია ჩაჯდა შიგ და წავიდა ზეცაში. ელისე შეჰყურებდა მიმავალს ელიას და ამ დროს იმან გადმოუგდო ზევიდგან თავისი ხალენი (ფარაჯა) ამის ნიშნად, რომ ისიც ისეთივე წინასწარმეტყველი იქნება, ვითარცა თვითონ იყო.

## 71. წინასწარმეტყველი ელისე და მეფე იორამი

ელისე წინასწარმეტყველი ელიაზე ნაკლები არ იყო. იმას მალიან უყვარდა ქვრივ-ობლისათვის და დავრდომილი კაცისათვის შეწევნის მიცემა. ერთხელ ერთი ქვრივი დედაკაცი მოვიდა და უთხრა იმას: —ჩემს ქმარს ემართა ვალები ერთი კაცისა; ქმარი მომიკვდა და ეს კაცი ახლა მოდის და მეუბნება: ან ჩემი ფული მომეციო, თუ არა და შვილებს ყმად წავასხამო. ელისემ ჰკითხა: „არა გეშოვება რა სახლში?“ დედაკაცმა უპასუხა, რომ „ცოტა ოდენი ზეთი მაქვს ქოთანშიო“. მაშინ იმან უბრძანა: „წადი იშოვე მეზობლებში, რამდენიც შეიძლებოდეს ქოთნები და იქიდგან ზეთი იმათში გადაასხიო“. ქვრივი ისე მოიქცა, როგორც უბძანა და იმდენი ზეთი იშოვა, რომ გაყიდა—ვალებიც მოიშორა და ამის

გაყიდვით. თვითონაც დარჩა საცხოვრებელი ფულები. მეორეჯერ კიდევ იმას ძღვნად მოუტანეს ხუთი გამომცხვარი პური. მაშინ შიმშილობა იყო და იმის კარებზე იდგა ასი კაცი. ელისემ უბრძანა ბიჭს,—მაგათ მიეცი ეგ პურებიო. რაში გასწვდებათ ას კაცს ხუთი პურიო, უპასუხა ბიჭმა. მე შენ გიბრძანებ მიეციო: ასე ამბობს უფალი: „სჭამენ და კიდევაც გადარჩებაო“. ეს მართლაც ასრე მოხდა. ელისე მარტო ამ გვარი მოწყალებით არ იყო შესანიშნავი. ის ჰკურნავდა სნეულებს და ქეთრო-ვანებს და საგამრჯელოს არ ართმევდა, მაგრამ ელისეს სამწუხაროდ იმისი სასწაულთ მოქმედებანი უფრო უც-ხო ტომის კაცნი სარგებლობდნენ, ვიდრე თვით ისრა-ელები. ისრაელები არა სწყალობდნენ იმას და ამაზეა სახარებაში ნათქვამი, რომ არა წინასწარმეტყველი არ მიიღების თავის ქვეყანაშიო; „შინაურს ღვდელს შენდო-ბა არა აქვსო“, ამბობს ხალხიცა.

ერთხელ სირიის ჯარის წინამძღოლმა ნეემანმა შეიტყო, რომ ელისე ქეთროვანთა კურნავსო, მოვიდა იმასთან და სთხოვა განკურნება. ელისეს დარიგებით ნეემანი შვიდჯერ გაიბანა იორდანე მდინარეში და განი-კურნა სნეულებისაგან, რომელიც ექიმებისაგან ვერას წამ-ლით ვერ განიკურნა. ნეემანი ძალიან მადლობელი დარ-ჩა და მიართვა ძვირფასი საჩუქრები; მაგრამ ელისემ არ მიიღო. ეს ძალიან ეწყინა იმის ბიჭს გიეზს ამისათვის, როცა ნეემანი გამგზავრდა, გიეზი უკან მიჰყვა ნეემანს და სიცრუვით უთხრა, რომ ელისეს მოუვიდნენ წინას-

წარმეტყველთა მოწაფენი და გთხოვთ ხუთი ათას მა-
ნეთამდე ფული და ორი ხელი ტანისამოსიო. იმან მა-
შინვე მისცა. გაიოზმა წამოიღო ფული და ტანისამოსი,
დამალა და მერმე მივიდა ელისესთან. ელისეს ძალიან ეწყი-
ნა მისთვის ცილის შეწამებით ფულის გამოტყუება ნეე-
მანისთვის და ასე დასწყევლა გაიოზი: „ნეემანის სნეუ-
ლებისა თანავე გადმოვედოს მისი გვართოვანებსაცა.“
მართლაც ის მაშინვე დასნეულდა. ასე დასაჯა ელისემ
სიცრუვე და ასე დაისჯება ვინც სიცრუვით და ანგარე-
ბის მოყვარეობით სხვას ცილს შესწამებს და ამ
ხერხობით რასმეს იშოვის.

მაგრამ ყველაზე უფრო გასაკვირი და ღირს სახ-
სოვარი ის არის, რომ იმას ისე მხურვალედ უყვარდა
ისრაელები, რომ ამათთვის თავს არ ზოგავდა, და თა-
ვის ლოცვა-ვედრებით შემწეობას აძლევდა. მუდამ ამხ-
ნევებდა ხალხს და აღუთქვამდა მტრის დამარცხებას,
როცა ისინი ისრაელებს ეომებოდნენ, მაგალითებრ, რო-
ცა ისრაელები ეომებოდნენ სირიელებს, მაშინ ელისე
ყველაფერს ატყობინებდა თავის მეფეს, იორამს, რაც
კი მტრის ჯართა ბანაკში ირიგებოდა წინააღმდეგ ისრა-
ილებისა, ეს ძალიან სწყინდა სირიის მეფეს და არ კი
იცოდა, თუ ვინ ატყობინებდა იორამს. ერთხელ მოსამ-
სახურეებმა უთხრეს სირიის მეფეს, რომ შენს ამბავს
და განზრახვას ისრაილების მეფეს ელისე ატყო-
ბინებსო. რასაც შენ შენს საწოლ ოთახშიაც კი ლაპა-
რაკობ, ელისემ ისიც იცისო და უამბობს თავის მეფე-

სო. სირიის მეფემ ძლიერ იწყინა და გაგზავნა ჯარი ისრაელების იმ ქალაქში, სადაც ელისე სცხოვრებდა და დაუბარა ახლავე დამიჭირეთ და აქ მოიყვანეთო. მაგრამ ელისე ფრთხილათ მოიქცა. როცა მასთან მივიდნენ, იმან უთხრა: „ეს ის ქალაქი არ არისო, სადაც ელისე ცხოვრებსო; მომყევით მე და მე გიჩვენებთ იმ ქალაქს და ელისესო“. იმათ დაუჯერეს და იმან ისინი სამარიაში მოიყვანა თავის მეფესთან. ისრაელების მეფემ დააპირა მათი დახოცვა, მაგრამ ელისე თანახმა არ გახდა და უთხრა: „შენ შენის ხმლით ხომ არ დაგიჭერია ეს კაცებიო, რომ დახოცვა გსურსო? აჭამე და ასვი და მერე გაუგზავნე თავიანთ მეფესაო“. ელისემ მრავალი ამგვარი სიკეთე უყო ისრაელებს ეს ღვთის მოყვარე კაცი სიკვდილის შემდეგაც კი არ დასცხრა კეთილის ყოფვას. ერთხელ იმის სამარის მახლობლივ დამარხეს ერთი მკვდარი და იმისი გვამი ელისეს ძვლებს რომ შეეხო, მაშინვე გაცოცხლდა.

## 75. წინასწარმეტყველი იონა და იმის თავს გადასავალი

ელისე წინასწარმეტყველის შემდეგ ღმერთმა ისრაელებს მოუვლინა წინასწარმეტყველად იონა. ამის დროს ასირიელები ძალიან ემტერებოდნენ ისრაელებს და უოხრებდნენ იმათ ქვეყანას. ამისაგამო ისრაელები დიდს შე-

წესებში იყვნენ. ეს ასურელები ამ ხანებში ძალიან თავ გასულნი იყვნენ, აღარ ეშინოდათ არც ღვთისა და არც რცხვენოდათ კაცისა. იმათ სატახტო ქალაქში, სადაც იჯდა მეფე, სოდომ-გომორის ცოდვები ტრიალებდნენ. კერპთ თაყვანის მცემლობითი სარწმუნოებამ ნინეველები ისრე გარყვნა, რომ მათი ცოდვები საზიზღარი შეიქმნა უფლისათვის. სახელი უფლისა მათ შორის იგინებოდა, ჭეშმარიტება და სიმართლე ფეხ ქვეშ იქელებოდა. თითქმის ყველანი, დიდიც და პატარაც, მხოლოდ ხორციელ ფუფუნებაზე და გემოვნებაზე ფიქრობდნენ. ღმერთი მეტის მეტად გაწყრა ამაზე და უბძანა იონას წინასწარმეტყველს, მიდი ნინევიაში, უქადაგე ხალხს, შეინანონ ცოდვა თვისიო, თუ არა და ყველას ამოვწყვეტაო.

იონას ეწყინა ეს ბძანება: ეწყინა, რომ უფალი ღმერთი წყალობას უცხადებს ისრაილების მტრებს. გაფრთხილება ნინეველებისა და ქადაგება მათთვის სინანულისა, იონას უფლის წყალობით მიაჩნდა; სწყინდა, რომ უფალი იმათთვის ზრუნავდა. იონას უნდოდა ნინეველების ამოწყვეტა და არა ბედნიერება; იმას უნდოდა, რომ ნინეველები ცოდვებში ყოფილიყვნენ ჩაფლულნი, ღვთისაგან შეჩვენებულნი, დაწყევებულნი და არა სინანული; მათი კეთილ-მსახურება და კეთილ-დღეობა. იმას უნდოდა, რომ მათ ცოდვები არ მოენანათ და უფალს დაესაჯა ისინი. ამ განზრახვით იმან არ გაიგონა უფლის ბძანება და უნდოდა ფინიკიაში გაქცევა. ჩაჯ-

და გემში და მიდიოდა. მაგრამ დაეწია უფლის განჩინება! ზღვაზე ასტყდა მძლიერი ქარი და ღელვა. მეგემეებმა იფიქრეს, რომ ვისმეს ჩვენთაგანს უფალი გარისხებია და ამისთვის ზღვა ღელავსო. ისურვეს წილის ყრით შეტყობა, თუ ვინ იყო იმათში გემზე ცოდვილი. წილი იონას ამოუვიდა. მაშინ ის გადააგდეს ზღვაში, სადაც ის, ვიდრე დაიხრჩობოდა, ცოცხლივ ვეშაპმა ჩაყლაპა, მაგრამ ღმერთმა არ დაღუპა სული მართლისა. იმან მხოლოდ დასაჯა იონა ურჩებისათვის. ის სამი დღე და ღამე ცოცხალი იდვა ვეშაპის მუცელში და ევედრებოდა ღმერთს, მესამე დღეს ის ვეშაპმა აღმოანთხია გვამიდგან ზღვის კიდეზე, ამის შემდეგ იმან ხელმეორედ მიიღო უფლისაგან ნინევიაში წასვლის ბძანება. ის მივიდა, უქადაგა, შეიყვანა ცოდვის სინანულში, მოაქცია და გადაარჩინა ღვთის რისხვისაგან.

ამ გვარის ზრუნვილობით უფალმა დაამტკიცა, რომ ის არის ღმერთი ყოვლისა კაცისა და იმას თვალები არა აქვს, რომ ყოველი სულიერი მისი დაბადებულია და მის განგებისა ქვეშ არის; ის უნათებს მზეს ცოდვილსაც და მართალსაც; ის გაუჩინელად აწვიმებს ყოველს კაცს ზედა; უიმის განგებოდ ქვეყანაზე არა ხდება რა: ის არის ღმერთი ყოველი არსებისა: უტყვისა და მეტყველისა; ის ზრდის, უვლის, აცოცხლებს და ჰკვებავს ყველაფერს და კაცის თავიდგან ერთი თმაც კი არ გარდება უმისნებოდ. ამ დროს ქადაგებდნენ წინასწარმეტყველნი

ამოს და ოსია. ესენი ქადაგებენ ისრაილებს, რომ თუ ისინი არ მოიქცევიან უცხო თემის ხალხები იმათ ტყვეთ წაასხმენ და ისინი დიდს ხანს დარჩებიან უპატრონოდ, უმსხვერპლოდ და უმეფოდ.

## 76. დამხობა ისრაილთა სამეფოსი.

წინასწარმეტყველთა ქადილი ასრულდა. მეფე ასირიისა სალმანასარი მოვიდა დიდის ჯარით, დაქცა ისრაილების სატახტო ქალაქი სამარია და დაიპყრა. ამ დროს მეფობდა ოსია. სამი წლის განმავლობაში სალმანასარის ჯარი გარს ერტყა სამარიის ქალაქს და მერმე როგორც იყო აიღო. ისრაილები იმან ზოგი გადაასახლა ასირიაში, ტიგრის მდინარის მახლობლივ, ზოგი მესოპოტამიაში, ზოგნი მიდიაში. სამარიაში მხოლოდ გლეხები დასტოვა. გადასახლებულების მაგივრად იმან სამარიაში გადმოასახლა თავის სამეფოდგან ასირიელები.

ამ ასირიელებს ეგონათ, რომ ყოველს ქვეყანას და მიწა-წყალს თავისი ღმერთი ჰყავსო და ვისაც უნდა ღვთის წყალობა, იმან უნდა მიიღოს იმ ქვეყნის ღმერთიცა, რომელშიაც ის გადმოსახლდა და იწყო ცხოვრებაო. ამ განზრახვით იმათ მიიღეს მოსეს სჯულიცა და იწყეს მსახურება უფლისათვის და თავიანთ ასირიის ღმერთებისთვისაც. ამისათვის საღმთო წერილში ხალხი იწოდება სამარიტელად და იმათი რჯული სამარის მწვალებლობად".

აგრე აღწერილია ქადება აქიას წინასწარმეტყველისა, რომელმაც უთხრა იეროვოამს, რომ შეარყევს სახლისას არსებობას და დაატყვევებს მას ქვეყანაში ეფრატის მდინარის ნაპირზედ; აღწერილია ქადებანი სხვა წინასწარმეტყველე-ბისაცა, რომელნი არა სცნობდნენ ისრაელების დარა-გებაში და დამუქრებაში, რომ თუ არ მოიქცევით და თაყვანს არა სცემთ უფალს ისრე, როგორც მოსე და-გვიწერსო, იქმნებით უცხო თესლთა ხალხების მონო-ბის ქვეშო.

ისრაელების სამეფომ იარსება 257 წელს და ჰყვანდა 19 მეფე, რომელნიც ეკუთვნოდნენ 9 სხვა და სხვა გვარს—დინასტიას.

## 77. ტობი და მისი შვილი ტობია.

ეს მამა-შვილნი ორივენი სცხოვრებდნენ ასურეთს-ტანში. ისინი იყვნენ წაყვანილნი სალმანასარის დროს. მაგრამ უცხო ქვეყანაშიაც იმათ არ დაივიწყეს თვის ტომი და სამშობლო. მართალია ტყვედ იყვნენ, მაგრამ იქცეოდნენ ისრე, ვითომც თავისუფალნი ყოფილიყვნენ. ნინევის ქა-ლაქში ტობიმ და ტობიამ დიდი სიმდიდრე მოიპოვეს და ეს სიმდიდრე იმათ უბედურს ისრაელებს მოახმარეს. ესენი ხე-დავდნენ, რომ სხვა ისრაელები დიდს სიღარიბეში და წვალე-ბაში იყვნენ, იმათ კი ჰქონდათ საცხოვრებელი. იმათ ნახეს, რომ ასურელები სდევნიდნენ იმათ ტომის ხალხს, ჰხოცდ-

ნენ უმიზეზოდ და სტოვებდნენ დაუსაფლავებლად. ეს საზოგადო უბედურება იმათ უკლავდა გულს. ამ გვარს მდგომარეობაში იმათ გამოიჩინეს ძლიერ დიდი სიყვარული და გულშტკივნეულება ისრაილის ხალხისა. ამ ბედკრულ დროს ისინი იყვნენ ისრაილებისათვის ნუგეშად და ძმად და ხიდად ისინი ფიქრობდნენ, რომ ძმა ძმას გასაჭირის დღეს უნდა გამოადგესო. ძმა რისთვის, მაგი დღისთვისაო — ეს სიტყვები ჰქონდათ იმათ ცხოვრებაში მცნებად.

ტობი უფასოდ აძლევდა ღარიბებს პურს, ტანსაცმელს და მარხავდა თავის ხარჯით, ვისაც ასურელები ჰკლავდნენ. პირველად ამ გვარს მოქმედებას იმას არავინ უშლიდა. მაგრამ როცა სენნაქერიმი გამეფდა, მაშინ ტობის დაუშალეს სიკეთის ყოფა ისრაილებისათვის. იმან დაუწყო ისრაილებს უწყალოდ დევნა და ხოცვა. დახოცილი ისრაილების გვამები უპატრონოდ ეყარნენ ხოლმე ქალაქის ქუჩებში. ტობი საიდუმლოდ ასაფლავებდა მათ. მაგრამ ბოლოს ვიღაც შეუტყვეს და გადუწყვიტეს თავიანთ იმასაც სიკვდილით დასჯა. ამისათვის ის გაიქცა ნინევიიდგან და მისი სახლ-კარი და ქონება ირთლიად აიკლეს. სენნაქერიმის სიკვდილის შემდეგ იმას მიეცა ნება ისევ ნინევიაში დაბრუნებისა. მოაწია მეერგასის უქმემ. ტობმა თავისი ჩვეულება რა დაიშალა, გააწყო დიდი ნადიმობა. როცა სუფრა გაშალეს, იმან გაგზავნა თავისი შვილი ტობია და უბრძანა, რომ მოეწვია სუფრაზე ღარიბი ისრაილები. ტობია წავიდა, მაგრამ

ისევ მალე მობრუნდა და მოუტანა მამას ამბავი, რომ ქალაქის მეიდანზე დახრჩობილი ისრაილი გდია უპატ-რონოდ. ტობი დაუყოვნებლივ წავიდა, აწია მკვდარი და მოათავსა თავის სახლში. მწუხრი რომ დადგა, იმან მკვდარი ასურელებისაგან მალვით დაასაფლავა. შემდეგ დაბრუნდა სახლში; მაგრამ შინ არ შევიდა, ამისათვის, რომ რჯული ნებას არ აძლევდა იმას, ვინც მკვდარს შე-ეხებოდა, გაუბანელად სახლში შესულიყო, რადგან მკვდრის შეხება უწმინდურად ითვლებოდა. თავის ეზოში იმან დაიძინა გალავნის ძირში. იმან არ იცოდა, თუ, მაღლა იმის პირ-და-პირ, კედელზე მერცხლები ბუდობ-დნენ. იმას აქ ეძინა, როგორც ჩვეულება ჰქონდა, თვალ ახელილი. იმის საუბედუროდ მერცხალმა ჩამოასხვინტლა თვალებში და წაუხდინა. იმას თეთრი გაუჩნდა და ვე-ლარ ხედავდა. უბედური ორივე თვალებით დაბრმავდა. ამისათვის ტობის აღარ შეეძლო მუშაობა და იმისი ცოლი თავის ხელ-საქმობით ნაშოვარ ფულით ასაზრდ-ოებდა მთელს ოჯახს; მაგრამ მაინც ძლიერ დაღარიბდე-ნენ და უწინდებული ცხოვრება აღარ ჰქონდათ. ერთ-ხელ ერთმა ღვთისნიერმა კაცმა ანას მატყლის რთვაში მისცა ერთი თიკანი. ანამ ის სახლში დაამწყვდია. თი-კანმა დაიწყო ბღავილი. ტობიმ რომ შეიტყო იმისი ბღავილი, ძლიერ გაუკვირდა. იმან იფიქრა, რომ სწო-რეთ მოპარული იქნებოდა; ცოლმა უთხრა, რომ მდიდარ-მა კაცმა მაჩუქა ხელ-საქმეშიო, მაგრამ ტობიმ არ დაუ-ჯერა, გაუწყრა ცოლს და უბრძანა, რომ თიკანი დაებ-

რუსებისა მატრონასათვის! ცოლმა ძლიერ აწყინა ამ გვარი ამბავი და თავის მხრით იმანაც უსაყვედურა და ნიში უგდო ქმარს. შენ თუ მართალი კაცი ყოფილიყავ შენს თვალებს ეგ უბედურება არ დაემართებოდა.

მაგრამ ღმერთმა არ დაივიწყა ტობი კეთილის საქმისათვის. მიდიაში იმას ერთი ნათესავი ჰყავანდა, სახელად გაბაილა. იმას ჰმართა ტობიას რამდენიმე ათასი მანეთი. მოაგონდა ეს, დაუძახა შვილს ტობიას და უთხრა, რომ წასულიყო იმასთან და მოეტანა ეს ფულები. ტობიამ მოძებნა მგზავრი. იმას შეხვდა ერთი ჭაბუკი, რომელიც ანგელოზი იყო, მაგრამ ტობიას არ უთხრა, თუ ვინ არის ის. ესენი ორივენი წავიდნენ და როცა მოვიდნენ ტიგრის მდინარეზე, აქ ტობიამ მოინდომა ბანაობა. აქ მოეცურა დიდი თევზი და მისი შთანთქმა მოინდომა. ტობია შეშინდა, მაგრამ ამ მგზავრმა უთხრა, რომ წაევლო ხელი და გამოეგდო ნაპირზე. ტობიამ მართლაც თევზი დაიჭირა და გამოაგდო ნაპირს. მერმე ამხანაგისავე თხოვნით, ტობიამ ის თევზი გასჭირა, ამოაცალა გული, ღვიძლი და ნაღველი, თევზი კი შეწვეს და შეჭამეს. გზაზე ტობიამ ჰკითხა ამხანაგს, თუ რისთვის იყო გამოსადეგი გული, ღვიძლი და ნაღველი თევზისა. გამგზავრებულმა კაცმა ღვიძლი და გული თუ აკმიკო ცეცხლზე, მაშინ ეშმაკი იმას ვეღარ აწვალებსო, უთხრა ამხანაგმა; ნაღველი კი არის წამალი დაშავებული თვალების მოსარჩენად; ვისაც თვალში ბინდი აქვს, იმან რომ მოისვას თვალზე, მაშინვე მორჩება.

ამ ლაპარაკში ისინი მიუახლოვდნენ ერთ ისრაელის, სახელად რაგუილის სახლს. მგზავრმა უთხრა ტობიას, რომ ამაღამ რაგუილისას დავრჩეთო, და იმას ერთი ასული ჰყავს, სახელად სარრა, ის შენ ცოლად უნდა შეირთოვო. იმაზე ტობიამ უპასუხა, რომ ის ქალი გიჟი არისო, და შვიდი ქმარი შეურთავს, მაგრამ შვიდივე ეშმაკს პირველს ღამესვე დაუხრჩვიაო. ნუ გეშინიანო, უთხრა ანგელოზმა, შენ და სარრა საწოლს ოთახში რომ შეხვალთ დაუძინებლად, გული და ღვიძლი დაწვი ცეცხლზე და ეშმაკი, როგორც კი იგრძნობს იმის სუნს და კვამლს, მაშინვე განშორდება იმას და აღარასოდეს აღარ მოუბრუნდებაო. ტობია თანახმა გახდა. შეირთო ის ქალი ცოლად და ისე მოიქცა, როგორც დაარიგა ამხანაგმა. ეშმაკი მართლაც განშორდა სარას. სარრას მამას, რაგუილს, ისე გაუხარდა ასულის განკურნება და სიძის უვნებლობა, რომ თოთხმეტი დღის განმავლობაში ქორწილი და ნადიმობა არ შეუწყვეტია.

ამის შემდეგ ტობია დარჩა ცოლეულთას, ამხანაგი კი გაგზავნა გაბაილთან ფულების გამოსართმევად. იმან ფულები გამოართვა და მოვიდა. მერმე წამოვიდნენ ისევ ნინევიაში. ტობიამ, მამამ, რომ შეიტყო შვილი მოვიდაო, ისე გაუხარდა, რომ სისწრაფით მიეგება წინ; მაგრამ რადგან ბრმა იყო, ფეხი წამოჰკრა კარს და წაცქოდა. ამ დროს შვილმა სტაცა ხელი მამას, დაიჭირა, მოუსვა მამას თვალებზე ნაღველი, ტობიას თვალები

დაეწვა, მოისვა ხელი, ბისტი გადმოუცვივდა და აეხილა თვალები.

ამ სახით ღმერთმა, თვის ტობის არ დაივიწყებისა და მისთვის სიკეთის ყოველსათვის განკურნა ტობით თვალების სნეულებისაგან. ტობიას და ტობითას, მამა და შვილს, უნდოდათ დიდათ დასაჩუქრება მგზავრისა, მაგრამ იმან ვერ უთხრა, რომ მე ანგელოზი ვარო და მერმე უეცრად გაჰქრა უსასყიდლოდ.

## 78. იუდითი და მისი ღვაწლი

იმ დროებში, როცა ქათერი იყო დამოკიდებულად სპარსეთისა, სცხოვრებდა მეორე შესანიშნავი დედაკაცი, სახელად იუდითი. ეს ქალი იყო ცოლი მანასესი. ის სცხოვრებდა ბეთილის ქალაქში. ამას ქმარი მალე მოუკვდა. ქმრის სიკვდილის შემდეგ ის აღარ გათხოვდა. ის სცხოვრებდა ქმრისავე სახლში ღვთისნიერად და უმანკოდ. იმას ეცვა შავები და პარასკევ-შაბათობით მუდამ მარხულობდა. თვითონ მეტად ლამაზი და საყვარელი ქალი იყო. ქმარმა იმას დაუტოვა მრავალი ოქრო და ვერცხლი, მოსამსახურეები და მოახლეები, საქონელი და სახნავ-სათესი მიწები. ყველა ამ ქმრის ქონებით ის სარგებლობდა პატიოსნად და კეთილად. ვერავინ ვერ იტყოდა, რომ ცუდი ადამიანია. ცხოვრებაში ის საქები დედაკაცი იყო.

მაგრამ უფრო შესანიშნავი და საქები შეიქმნა ის მაშინ, როცა იმან თავისი სამშობლო გამოიხსნა მტრის აოხრებისაგან. იმან ისეთი მხნეობა, ვაჟკაცობა და სიყვარული გამოიჩინა ებრაელი ხალხისა, რომ მისი სახელი და ცხოვრება საღმრთო წერილში ხალხთათვის სამაგალითოდ არის აწერილი.

სამი წელიწადი და ოთხი თვე რომ გავიდა დაქვრი-ვების შემდეგ, ასირიის ჯარით წინამძღოლმა შეჰყარა 100032 ათასი ჯარი და წამოვიდა ებრაელების დასაპყ-რობად. ამ ჯარს ერქო ოლოფერნი. ის გარს შემოადგა ვეთილის ქალაქს და მცხოვრებლები შიგ მოამწყვდია, რომ იძულებით ხალხი დაიმორჩილოს, იმან დაიჭირა ის წყაროც, რომლიდამაც ხალხი წყალსა სვამდა. სიმწყურ-ვალეში ებრაელები ძალიან შეაწუხა, სასმელად წყალს ზომისად მოუზომდნენ, და უწყლოდ ყოფნაც არ შეეძლე-ბოდა. დიდებიც და პატარებიც ყველანი სწუხდნენ და ტიროდნენ, რომ არა ჰქონდათ სასმელი და სასმარი წყალი. ამისათვის მოიყარა ხალხმა თავი და სთხოვეს ქალაქის მოთავეს, რომ იმას მტრისათვის გაეღო ქალა-ქის კარები და მიეცა ქალაქი. ქალაქის უფროსს ერქო ოზია. იმან ასრე უთხრა თავ-მოყრილ ხალხს: „ძმანო! ნუ იქნე-ბით სულ მოკლე: მოვითმინოთ კიდევ ხუთი დღე; ღმერ-თი მოგვხედავს მოწყალების თვალით; იმედია, რომ ის სრულიად არ გაგვწირავს; და თუ ამ ხუთ დღეში არსაი-დამ შველა არ გვექნება, მაშინ დავემორჩილოთ მტერს“.

ხალხი თანახმა გახდა და ყველანი წავიდნენ თავ-თავიანთ სახლებში.

იუდითმა რომ შეიტყო ხალხის სულმოკლეობა და ოზიასაგან დაპირება მტრისათვის ქალაქის დათმობაზე, ძლიერ ეწყინა. იმან გაგზავნა თავისი მოახლე და დაიბარა, რომ ეთხოვნა ოზიასათვის და სხვა ქალაქის უფროსებისათვის, რომ ისინი მასთან მისულიყვნენ. ისინი მოვიდნენ და იუდითმა ასრე უთხრა: „ქალაქის უფროსნო! გაიგონეთ მე: არ არის თქვენი სიტყვა მართალი, რომელიც თქვენ დღეს წინაშე ხალხისა წარმოსთქვით, და დასდევით წინაშე ღვთისა ფიცი, რომ ქალაქს მისცემთ მტერს, თუ რომ ამ რამდენიმე დღის განმავლობაში ღმერთმა შემწეობა არ მოგვცა. თქვენ ვინა ხართ, რომ დღეს ღმერთს სცდით და ხალხს ღვთის მაგიერად უბნებით, რომ ის გიშველითო? ასლა თქვენ ღმერთსა სცდით, მაგრამ ვერასოდეს ვერას შეიტყობთ ყოვლად შემძლებლისაგან. ამისათვის რომ თქვენ არ შეგიძლიანთ შეიტყოთ, რა არის კაცის გულში და ფიქრში, და აბა როგორღა შეიძლებთ იმის შეტყობას, თუ რა სწადიან ღმერთს, რომელმაც შექმნა კაცი, მისი გული და ფიქრი? არა, ძმანო! ნუ განარისხებთ ღმერთსა. თუ რომ იმას არა სწადიან გვიშველოს ჩვენ ამ ხუთ დღის განმავლობაში, ვინ იცის, იქნება სხვა დღეს გვიშველოს, როცა იმას ესურვება. იმას აქვს უფლება კიდეც დაგვარჩინოს, კიდევაც დაგვხოცოს. ჩვენ ვაჩვენოთ ჩვენს ძმებს, რომ ჩვენზე არის დამოკიდებული მათი სიცოცხლე,

ყოვლის მცველსა, სიწმინდე და შემწყნარებელო. ამაზე ოზიამ უთხრა იუდითს, რომ შენ მართალი სთქვი და არავინ გეწინააღმდეგება მაგ რჩევაში, ამისათვის რომ შენ ხალხი კარგად გიცნობს, რომ გაქვს კეთილი გული, შიში და გსურს მისთვის ბედნიერება; მაგრამ ხალხი შეწუხდა უწყლობით და ძალა დაგვატანა, რომ პირობა მივეცით ხუთი დღის შემდეგ მტრისათვის ქალაქის დათმობაზე, თუ რომ აღარსაიდან შემწეობა აღარ გვექნება.

ამ გვარის ლაპარაკის შემდეგ იუდითმა უთხრა ქალაქის მოთავეებს: მე მსურს მოვასწრო ამ ხუთი დღის განმავლობაში ისეთი საქმე, რომ ღმერთმა მოგვხედოს და დაგვიხსნას მტრის ხელიდგან, თქვენ მტკიცედ დაიცვით ქალაქი, და მე ჩემის მოახლით ნება მომეცით, რომ მტრის ბანაკში წავიდე; მაგრამ ნუ მკითხავთ, თუ რა განზრახვა მაქვს, ამისათვის რომ მე თქვენ არ გეტყვით. ოზიამ და სხვა უფროსებმა ნება მისცეს იუდითს ქალაქიდგან გასვლისა.

იუდითი შევიდა ტაძარში, შევედრა ღმერთს მხურვალე ლოცვით, სთხოვა შემწეობა, მერმე მივიდა სახლში, გაიხადა შავები, განიბანა, ჩაიცვა სხვა ახალი საქორწილო ტანისამოსი, გაილამაზა თავი, იცხო თავ-პირზე სურნელოვანი ზეთი, დაივარცხნა თავი მშვენიერად და დაიხურა, გაიკეთა ხელზე ბეჭდები, საყურეები და სხვა საქალო სამკაული და წავიდა მტრის ბანაკში. ასრე მოიქცა იმ განზრახვით, რომ თავის კეკლუცობით უნდოდა მოეტყუებინა კაცთა თვალი. ამ გვარად შემკობილი იუდი-

თი ისრე ლამაზი იყო, რომ ხალხს უკვირდა იმისი სი-
კეკლუცე და სიმშვენიერე. ის თავის მოახლით გავიდა
ქალაქიდგან და მივიდა ოლოფერნის ბანაკში. ასირიელებს
ძლიერ გაუკვირდათ იმისი იქ მისვლა და გაბადრული
სიმშვენიერე. ჰკითხეს ვინა ხარ და რა გნებავსო. იმან უამბო,
რომ მე ებრაელი ქალი ვარ და ოლოფერნის ნახვა
მსურსო. მე მინდა იმას უთხრა ყველაფერი სიმართლე
და ვასწავლო თუ როგორ უნდა დაიპყროს ქალაქი ებრაე-
ლებისა, ასე რომ ერთი სალდათიც არ მოუკვდესო. ის
მაშინვე მიიყვანეს ოლოფერნთან. იმას ქმინა. ის გაალღვი-
ძეს იუდითი შეიყვანეს კარავში, სადაც იდგა ოლოფერნი.
იმას ძლიერ გაუკვირდა იუდითის სილამაზე და სიკეკლუ-
ცე. როცა იუდითმა დაპირა, მუხლის მოყრით იმისთვის
თაყვანისცემა, ოლოფერნმა, გატაცებულმა იმის სილამა-
ზით, ჯერ აკადრა, უბრძანა მოსამსახურეებს, რომ ის
აეყენებინათ. ოლოფერნმა მაშინ უთხრა იმას, რომ ნუ
გეშინიან, გამხნევდი და მითხარი ყოველივე სი-
მართლე, რა მიზეზით მოსულხარ და რა გწადიანო,
ხომ იცი მე არავისთვის ბოროტი არ მიქნია, მაგრამ
ვინც ურჩი გახდომია ჩვენს მეფეს, მე ის ძლიერ დამის-
ჯიაო. იუდითმა პირმოთნეობით უთხრა, რომ შენ ჭკუიანი
კაცი ხარ და ყველაფერი იციო; მაგრამ თუ გინდა რომ
ბეთილის ქალაქი დაიპყრო, დაუცადე ებრაელებს, რომ
იმათ განარისხონ ღმერთი. მტერი მხოლოდ მაშინ და-
მარცხებს ხოლმე იმათ, როცა ისინი შესცოდავენ ღმერთს.
იმათ ახლა ყველაფერი შემოაკლდათ და ესენი სჭამენ

ყველაფერს, რაც ღვთისაგან არის აღკრძალული. მაგრამ ხუთ დღეს კიდევ მოიცადეთ, რომ იმათ იხმარონ ეკლესიის კუთვნილება: ზეთი, ღვინო, ხორბალი და სხვანი. როგორც კი იხმარებენ ამეებსაც, ისინი მაშინ ღვთისაგან იქნებიან შენთვის მოცემულნი დასასჯელად. ეს ყველაფერი მე ვიცი, ამისათვის რომ ღვთის-მსახური დედაკაცი ვარ. ღმერთმა მე ახლა თქვენთან გამომგზავნა, რომ ყველაფერი გიამბოთ. მე ახლა დავრჩები თქვენთან იმ პირობით, რომ მე ღამ-ღამობით გავიდე ბანაკს გარეთ და ვევედრო ღმერთს; მე ის მეტყვის, როცა ისინი შესცოდავენ. მაშინ მე შენ გეტყვი და შენ თვით ისრე ამოსწყვეტავ, როგორც უმწყემსო ცხვრებს.

ოლოფერნს მოეწონა იუდითის სიტყვები, და იმის სილამაზემ ისრე შეიპყრო მისი გული, რომ მოინდომა მისი ცოლად შერთვა. ამ განზრახვით მეხუთე დღეს გააკეთებინა მშვენიერი ვახშამი, მოიწვია იუდითი და სხვა დიდკაცობა. ვახშამზე იუდითმაც განგებ მოიმხიარულა თავი. ოლოფერნი აღტაცებაში მოვიდა, დაიწყო მხიარულება და იმდენი ღვინო დალია, რომ მალიან დაითვრა და მოინდომა იუდითთან საწოლს ოთახში მარტოდ დარჩენა. ხალხი ყველა წავიდა, იუდითი და ოლოფერნი კი დარჩნენ ერთს ოთახში. სამთვრალისაგამო ოლოფერნმა მაშინვე დაიძინა. მაშინ იუდითმა ჩამოიღო იმისივე ხმალი, ორჯელ დაჰკრა კისერში და მოჰკვეთა თავი, წაავლო მერმე თმაში ხელი, გაიტანა მოსამსახურე გოგოსთან, გაახვია ბოხჩაში, და, ვითომც ჩვეუ-

ლებისა მებრ, სალოცავად წავიდა. ოლოფერნის მოკვლა ვერავინ ვერ შეიტყო. მეორე დღემდის იუდითმა საჩქაროდ გაიარა ბანაკი და მივიდა თავის სამშობლო ქალაქს ვეთილიაში. მეორე დღეს ბიჭმა ნახა ოლოფერნის მხოლოდ ლეში, შეიქნა ერთი ალიაქოთი. მაგრამ რაღა დროს იყო. ასირიელები ძალიან შეშინდნენ და თავს-ზარ-დაცემული ჯარები აირივნენ. ამ დროს იუდითის დარიგებით ოზიამ გადმოჰკიდა ოლოფერნის თავი ქალაქის გალავანზე, მერმე გამოვიდა თავის ჯარებით ქალაქიდგან და დაამარცხა ოლოფერნის მოწინავე ჯარები. შეშინებული მტერი გაიქცა. ებრაელები მისდევნენ უკან და ხოცეს უპატრონო ასირიელები.

ასეთის თავგანწირულებით იუდითმა მოსჭრა ასირიის ჯართა წინამძღოლს, ოლოფერნს, თავი, დაამარცხა მტერი და გამოიხსნა სამშობლო ქვეყანა მტრის ხელიდგან, და ამ ღვაწლისათვის ის სამღვთო წერილში სამაგალითოდ არის მოხსენებული. ამათ მოიგო იმან დიდი სახელი და იცოცხლა 105 წელიწადი. იმან თავისივე სიცოცხლეში ათავისუფლა მონები, გაუყო თავისი ქმრის დედულ მამული ნათესავებს, და როცა მოკვდა, დაასაფლავეს იმის ქმრის, მანასეს მახლობლად, და შვიდი დღეც იგლოვეს.

# ისტორია იუდასტანის სამეფოსი.

## 79. ბედი იუდეველების სამეფოსი.

შემდეგ სოლომონისა, როცა მისი სამეფო ორად განიყო, გამეფდა რობოამი. ამასაც და ურიებსაც ჭეშმარიტი სარწმუნოება ეპყრათ. ამისთვის, როცა ისრაილების სამეფოში კერპობა გაამრავლა იერობოამმა, იქაური მღვდლები და ლევიტელები რობოამის სამეფოში მოვიდნენ. მაგრამ სამის წლის მეფობის შემდეგ მეოთხე წელიწადს, ამანაც შემოიღო კერპთ-თაყვანის მცემლობა ურიებში. ამისა გამო ურიების მდგომარეობა ისრაილების მდგომარეობაზე კარგი არ იყო. ამის შემდეგ ამათში ისე გავრცელდა კერპობა, რომ უარესი ცუდი საქმეები და უწესოება ხდებოდა. ხალხმა ჭეშმარიტი ღმერთი დაივიწყა და კერპს თაყვანს სცემდა. მღვდელ-მთავრები და იმათი მღვდლები სცდილობდნენ ხალხის მოქცევას, მაგრამ არას უგონებდნენ. ხალხი მეფეებს რომ ხედავდა კერპობაში, თვითონაც ამ რჯულს რჩეულობდა. ასე ამ გვარათ თუმცა ურიების სამეფოში იყო სოლომონის ტაძარიცა, მაგრამ აქაც კერპობა იყო გავრცელებული.

ამ კერპთ თაყვანის მცემლობაში იყვნენ ესენი ვიდრე ასას გამეფებამდე.

## 80. მეფე ასა და მისი შვილი იოსაფატი.

მეფე ასა ღვთის-მსახურებაში თავის პაპის პაპას დავითს ჰბაძავდა. ამან დააქცია კერპთა სალოცავები,

დაამხო ასტარტისა და ბაალის საკერპო ტაძრები, აღად-
გინა ჭეშმარიტი ღვთის-მსახურება და განსწმინდა იუდი-
ანელების მიწა-წყალი კერპობის თაყვანის მცემლებისაგან,
უბრძანა ხალხს, რომ ჭეშმარიტს ღმერთს თაყვანი ეცი-
თო და აღასრულებდეთ იმის მცნებასაო. ასამ ერთხელ
თავის დედას უნახა სახლში კერპი, დაამტვრია ის და
დედას ჩამოართვა დედოფლობის ღირსება. ამ გვარის
ღვაწლისათვის ღმერთმა მისცა იმის მეფობას მშვიდობი-
ანობა: ათი წლის განმავალობაში იმის სამეფოს არ
მოჰკარებია მტერი.

მაგრამ ამისი შვილი იოსაფატი უფრო ერთგული
ღვთის მსახური იყო და უფრო მომეტებულად ჰბაძავდა
დავითს. იოსაფატი გამეფდა თუ არა, მაშინვე შემუსრა
დარჩენილი კერპებიცა და დაამკვიდრა ხალხში კეთილ-
მსახურება. როცა სრულიად განსწმინდა თავის საბრძანე-
ბელი კერპ-თაყვანის მცემლობისაგან, იმან თავის მეფო-
ბის მესამე წელს უბძანა მღვდლებს და ლევიტელებს,
რომ დაატარეთ მოსეს რჯულის წიგნებიო ყოველგან ქა-
ლაქებში და სოფლებში—აუხსენით ხალხს და განუმარ-
ტეთო. მღვდლებმა აღასრულეს მეფის ბრძანება და მო-
აქციეს ხალხი ღვთის მსახურებაზე. ამისათვის უფალმა
აკურთხა მისი მეფობა. მტერი იმას აღარ აწუხებდა;
ფილისტიმელები იმას ხარკს აძლევდნენ; არაბებს მოჰყა-
ვდათ მისთვის საჩუქრად ცხვარი; ასე რომ იმას მდიდა-
რი ხაზინა ქონდა და მეზობლად მცხოვრები ხალხები
დიდს პატივსა სცემდნენ. აგრეთვე ამ მეფემ ყოველგან

ქალაქებში და სოფლებში სასამართლოები განაწესა. მო-სამართლენი მღვდლები, ლევიტელები და მოხუცებულე-ბი იყვნენ.

მაგრამ არც ეს დარჩა შეუცოდებლად. თავის მე-ფეობაში ამანაც ერთი ცუდი საქმე ქნა. რადგანაც იუ-დიანელები და ისრაელები მუდამ ერთმანეთის მტრები იყვნენ და ებრძოდნენ. ამისთვის ამან მოინდომა ისრაე-ლების მეფესთან—აქაბთან დამოყვრება. ამ განზრახვით იმან შერთო თავის შვილს, იორამს, აქაბის ქალი გო-თოლია. ამ ქალის დედ-მამა, აქაბი და იეზაბელი, კერ-პის ერთგულნი თაყვანის მცემელნი იყვნენ და ესეც დედ-მამას ჰბაძავდა. თავის მამამთილის სიცოცხლეშივე ამან მოინდომა კერპობის დამკვიდრება იუდიანებში; მაგრამ კეთილ-მსახური მეფე იოსაფატი თანახმა არ გა-უხდა რძალს. როცა იოსაფატი მოკვდა და მისი ქმარი იორამი გახდა მეფედ, მაშინ კი ქმარი უგონებდა ამას და მან შესძლო სამეფოში კერპობის დამკვიდრება. ებ-რაელების საუბედუროდ ამას ქმარი რომ მოუკვდა, მცი-რე წლოვანი შვილის მაგივრად თვითონ გამეფდა. შემდე შვილიც რომ მოუკვდა, მაშინ მეტის-მეტი მძვინვარე გახდა. თუ რომ ღვთის განგებას არ დაეფარა, ეს უბე-დური დედა-კაცი უთუოდ ამოსწყვეტდა დავითის შთამო-მავლობას. მას, რადგან მემკვიდრე არ ესვა, არ ჰსურ-და, რომ იმისი ქმრის ქონება ნათესავებს დარჩენოდათ, მაგრამ ღმერთმა არ ინება დავითის შთამომავლობის ამოწყვეტა. როცა გოთოლიამ ბძანა ამოწყვეტა დავითის

გვარისა, მაშინ ღვთის განგებით იოდაე მღვდელ-მთავარის ცოლმა დამალა ტაძრის ქვეში მყოფს სენაკში თავის გამდედითურთ ერთი ყრმაჲ სახელად იოასი და გადაარჩინა სიკვდილს. ეს ჩვილი აქ ღვდლებმა გაზარდეს და როცა შეიქმნა შვიდის წლისა, იოდაე მღვდელ-მთავარმა გამოიყვანა და დასვა მეფედ. ხალხმა ფიცით აღთქმა მისცა ერთგულ სამსახურზე და გოფოლია ჩააქვავა. იოასი ბავშვობაში კეთილად მეფობდა. ვიდრე მის კეთილის მყოფელი იოდაე მღვდელ-მთავარი ცოცხალი იყო და არიგებდა, ღვთისა და ერის სასიამოვნოდ მეფობდა. ამან გაასწორა იერუსალიმის ტაძრის სასარგებლოდ კომლზე 43 გაზ. და ამით შეაკეთა და გაამშვენიერა ტაძარი. ამ ფულებს ხალხი ყოველ წელიწადს იხდიდა, რადგანაც ეს იყო განწესებული თვით მოსე წინასწარმეტყველისაგან, ამასთანავე იერუსალიმის ტაძრის კარებზე მიკრული იყო გარბანაკი და ვისაც რა სურდა, იმას სწირავდა. ეს წესი იყო იესო ქრისტეს დროსაც.

მაგრამ იოდაე მღვდელ-მთავარი რომ მოკვდა, ყოველივე უწინდებულად კერპ თაყვანის მცემლობის წესზე შეიცვალა. იმის სიკვდილის შემდეგ წარჩინებულებმა სთხოვეს, რომ ნება მოეცა კერპებს თაყვანი ჰსცეთო. იმან ნება მისცა და იერუსალიმის ტაძარი დაუდევრად მიატოვეს. წინასწარმეტყველები არიგებდნენ და ურჩევდნენ მოქცევას; მაგრამ იმათ არ უგონებდნენ. როცა იოდაე მღვდელ-მთავრის შვილმა ზაქარიამ დაიწყო

იოასის მხილება და ქადება, მაშინ იოასმა ის ჩააქოლვებინა იერუსალიმის ტაძარში და იმისი სისხლი შეურია კრავთა სისხლში. ის მოჰკლეს შიგ ტაძარში. ამისათვის უფალმა დასაჯა იოასი: ის მოჰკლეს ღალატით და მეფური დამარხვაც ძლარ აღირსეს.

## 31. მიქია წინასწარმეტყველი.

ეს წინასწარმეტყველი სცხოვრებდა იმ დროს, როდესაც მეფობდა აქაბი და იოსაფატი. ერთხელ აქაბმა და იოსაფატმა დააპირეს სირიის მეფესთან ომი და ამისათვის ჰკითხეს მიქიას, თუ რით გათავდება ომი. მკითხავები ეუბნებოდნენ, რომ აქაბი დასძლევს მტერსო, მაგრამ მიქიამ იგავით სთქვა: მე ვხედავდი ისრაილს მობნეულს მთებში; როგორც ცხოვართ, უმწყემსოდ. და მაშინ უფალმა ასე სთქვა: „მათ არა ჰყავთ უფროსი და დაე ყველანი მშვიდობიანად შინ დაბრუნდნენო“, აქაბს ეგონა, რომ ტყუილს ამბობსო, — დაიჭირა და ჯურღმულში ჩააგდო. ამ დროს იმას ერთი კაი სილაც გაარტყეს. განრისხებულმა მიქიამ უთხრა: „თუ შენ მშვიდობიანად დაბრუნდე, მაშ მე წინასწარმეტყველი არ ვყოფილვარო“. ამანვე სთქვა იესო ქრისტეს დაბადებაზე ბეთლემში.

## 82. ესაია წინასწარმეტყველი

ღმერთი არ აკლებდა დაუდგრომელ იუდიანელებს წინასწარმეტყველსა. აი ახლაც აღუდგინა ღმერთმა უდიდესი წინასწარმეტყველი ესაია, ამის მოწოდება მოხდა საიდუმლო ხილვით. ერთხელ იმან იხილა ზეციერს საყდარზე მჯდომარე უფალი. მას წინ უდგნენ სერაფინნი,—რომელთაგანსაც თვითოეულს ჰქონდა ექვს-ექვსი ფრთა: ორით იფარებდნენ თავის პირის სახეს, ორით ფეხებს და ორით დაფრინავდნენ და ერთმანერთს გალობით ასე შესძახოდნენ: „წმინდა არს, წმინდა არს, წმინდა არს საბაოთ, სავსე არიან ცანი და ქვეყანანი დიდებითა მისითა.“ ზეციური ტაძრის სვეტები იძროდა, როცა ესენი ამ სახით გალობდნენ, და მთელს ტაძარში აკმევდნენ საკმელსა. ესაია ამას რომ უყურებდა, განცვიფრებაში მოვიდა და სთქვა: „საბრალო კაცი ვარ მე! დაღუპვის კვალს ვადგევარ, მეცა მსურს ვადიდო უფალი, მაგრამ ბაგენი ჩემნი უწმინდურნი არიან; და ვცხოვრებ უწმინდურ ბაგიან კაცთა შორის, ხოლო უფალსა და მეუფესა ვხედავ თვალითა ჩემითა“, ამ დროს ერთმა სერაფინთაგანმა აიღო გაზით გავარვარებული ნაკვერცხალი ზეციერი სამსხვერპლოდამ, გადმოფრინდა ზეციდგან, შეახო ცეცხლი იმის ბაგეთა და ასრე სთქვა: „აჰა, ესე შეეხება ბაგეთა შენთა, და უკეთურებანი შენნი აღიხოცვიან და ცოდვა შენი

განიწმინდება". ამის შემდეგ შემოესმა ესაიას ხმა უფალისა:—„ვის გავგზავნი მე? და ვინ წავა ჩვენთვის"?—ესაიამ, აღტაცებულმა ზეციერი საყდრის ცეცხლის შეხებისა გამო წინასწარმეტყველებრივი ზეგარდამო მთავრონებით სთქვა: „მე მზათა ვარ; გამგზავნე მეო". უფალმა კვლავ უბძანა: მიდი და უთხარი ამ ხალხსა—თქვენ ხშირად გაიგონებთ, მაგრამ ვერ შეისმენთ; თქვენ დიდ ხანს უმზერთ, მაგრამ ვერ დაინახავთ, დაჟინებითი მოძღვრებით შენ მხოლოდ გაამწვავებ იმათ; ასე რომ ყურები დაცულნი ექმნებათ, თვალები დახუჭულნი და გულით თვისით დარჩებიან უგრძნობელნი; ისინი არ მოიქცევიან და მეც არ გავკურნავ მათ? ესაიამ ჰკითხა უფალს; „უფალო! რიდ ხანს გაგრძელდება ესე უგრძნობელი მდგომარეობა ხალხისაო"? უფალმა სთქვა: „იმ დრომდე, ვიდრე არ შეიმუსრებიან ქალაქები, არ გაოხრდებიან სახლ-კარნი, და ეს მიწა არ იქცევა უდაბნოდ, მაგრამ როგორათაც მუხის მოჭრის შემდეგ მიწაში რჩება ძირი და ის ისხამს ყლორტებს, ისრე ხალხის აღხოცვის შემდეგ მიწაში რჩება წმინდა ნერგი, რომელისაგანაც წარმოსდგება ახალი თაობაო".

ამ ხილვის შემდეგ ესაიამ დაიწყო ხალხის მხილება და დარიგება. შეინანეთ ცოდვანი თქვენნი, ეუბნებოდა ის ხალხს, და იცანით უფალი ღმერთი თქვენი; აღასრულეთ მცნებანი უფლისანი, რომ მისგან იყოთ კურთხეული და დალოცვილნი; უკეთუ ხარბს და ვირს არ ავიწყდებათ თავისი პატრონი, თქვენ უფრო მათზე

უგულისყურესი არა ხართ? რად უნდა დაივიწყოთ თქვენი დამბადებელი, თუ არ მოიქცევით და არ შეუდგებით უფალსა, ანა-კაიაფასა და ჭირი არ მოგაკლდებათ თქვენ ცხოვრებაშიო. მაგრამ უნუგეშო სიტყვებთან ის სანუ-გეშოდ მართალთა კაცთა ამბობდა, რომ მოვა ქრისტე მაცხოვარი და ის გამოიხსნის ერს ცოდვათაგანო. ამ მაცხოვარს ის უწოდებს მეუფე დიდებისად თავადად მეუფესისად, რომლის მეუფობასაც არ ექნება დასასრული; ის იქნება ღმერთი ძლიერი და მთავარი სასწაულს იქმსო; იმის სიტყვისა მებრ კოჭლნი ივლიან, ბრმანი იხილავენ და მკვდარნი აღსდგებიან; მაგრამ იმას ვერ იც-ნობენ, მოჰკლავენ, როგორც ავაზაკსა, და სისხლი მისი შეიქნება კაცთა ცოდვის განმკურნებელი. ამან ისე ცხად-ღად აღწერა ვნებანი უფლისანი, რომ კაცს ჰგონია, თითქო ის ქრისტე ღმერთის ჯვარცმის დროს იქ ყო-ფილა და უყურებდა, ამისათვის წმინდა მამანი მას უწო-დებენ ძველ აღთქმის წ ი ნ ა წ ა რ მ ე ტ ყ ვ ე ლ მ ა ხ ა-რ ე ბ ე ლ ა დ. მაგრამ ხალხს მაინც და მაინც არ უყვარ-და ის, და, როგორც ბევრნიცა ზემორ-გადმოცემული, ის იუდიანელებმა ხის ხერხით შუაზე გადახერხეს.

ესაიას გარდა იუდიანელებს ჰყავდათ კიდევ სხვა წი-ნასწარმეტყველნიცა, რომელნიც ხალხს უწინასწარმეტყვე-ლებდნენ უბედურებას და ცხოვრებას. ესენი იყვნენ იოი-ლი, აბაკუმი და სოფონია. იოილმა წარმოსთქვა სულის წმინდის გადმოსვლა მოციქულთა ზედა: „მ ე მ ო ვ ა ვ-ლ ე ნ ს უ ლ ს ა ჩ ე მ ს ა ყ ო ვ ე ლ ს ა გ ვ ა მ ს ა ზ ე დ ა

და იქმნებიან წინასწარმეტყველნი შვილ-ნი თქვენნი და ასულნი თქვენნი. გადმოვ-ფენ აგრეთვე მათ დღეთა შინა სულსა ჩემსა მონათა და მხევალთა ზედა, და მა-შინ ვინც კი აღვიარებს სახელსა უფლ-ისისა, ცხონდება“. ამ წინასწარმეტყველებმა დასწერეს თავის წინასწარ-მეტყველობის წიგნები.

## 83. მეფენი აქაზი, ეზეკია და მანასე

მეფე აქაზი ვერ იყო კაი კაცი. ამან დაივიწყა ღვთის ათი მცნება და შემოიღო თავის სამეფოში კერპთ თაყვანისმცემლობა. ამ უკეთურებისათვის უფალმა იმას ბევრი განსაცდელი შეამთხვია. ამის წინააღმდეგ სირიის და ისრაილების მეფეებმა შეჰკრეს პირობა და გა-ნიზრახეს მთელი მისი სახლობის და მეფე დავითის შთამო-მავლობის ამოწყვეტა. მაგრამ ღმერთმა არ ინება, რადგან მამათ-მთავრის იაკობის პირით ხმან სთქვა, რომ იუდას შთამომავლობიდგან ქრისტე ღმერთის ქვეყნიერად მოსვ-ლამდე მეფენი არ მოაკლდებიანო. იუდიანელების მეფენი ამ იუდას გვარიდგან იყვნენ. ამ მიზეზისა გამო ისრაი-ლების და სირიის მეფეებმა ვერ აღასრულეს თავისი განზრახვა. როცა ესენი მოვიდნენ აქაზთან საომრად, მა-შინ მოვიდა ღვთის შთაგონებით ესაია წინასწარმეტყვე-ლი და ასე უთხრა აქაზს: ნუ გეშინიან, გამხნევდი, ვერას დაგაკლებენ მტრები. ეს მეფეები ჰგვანან ორს ამო-

ლებუღის მუგუზრებს, რომელნიც ჩქარა ჩაქრებიან და მათი განზრახვა არ აღსრულდება: უფალი ღმერთი ასრე ამბობს: „აჰა ქალწული მიუდგეს და შვეს ძე და უწოდონ სახელი მისი ემმანუელ, რომელიც ნიშნავს: ჩვენთანა არს ღმერთი“. ეს წინასწარმეტყველება აქაზს არწმუნებდა, რომ ქრისტე ღმერთის დაბადებამდე შეუძლებელი არის დავითის გვარის ამოწყვეტა; მაგრამ აქაზმა, რადგან იყო კაცი ურწმუნო, არ დაიჯერა, გამოიტანა თავის ხაზინიდგან და ტაძრიდგან ძვირფასი ნივთები, გაუგზავნა ასირიის მეფეს ტიგლატ ფელესარს საჩუქრად და დესპანების პირით სთხოვა შემწეობა. ის თანახმა გახდა: შეკრიბა ჯარები და ამით ორივე დაამარცხა ისრაილებისა და სირიის მეფენი.

მაგრამ ამისი შვილი ეზეკია არა გვანდა უბედურს თავის მამას. ამან შემუსრა მამისგან გაკეთებული კერპები და საკერპო სამსხვერპლოები, და ისევ დაამკვიდრა მოსეს რჯული და ღვთის მსახურება. შემუსრა მოსეს სპილენძის გველიცა, რადგან ისრაილებმა დაიწყეს იმის წინაშე კმევა. გააღო მამის დროს დაკეტილი იერუსალიმის კარები და უბძანა ღვდლებს მასში ღვთის ლოცვავედრება. მერმე წარჩინებულად იდღესასწაულა პასექი. ამ დღესასწაულში მოიპატიჟა ისრაელებიცა. ამისთვის ღმერთმა აკურთხა იმის მეფობა. მტერი ვერას აკლებდა, რადგან ღმერთი შველოდა. ერთხელ იმას მოსწერა წერილი ასურასტანის მეფემ სენაქერიმმა და ამ წიგნში გმობდა ღვთის სახელს. ეზეკიამ შეიტანა ეს წერილი

ტაძარში, დასდო ტრაპეზზე და სთხოვა ღმერთს სამართალი და შემწეობა. ამ ღამეს ღმერთმა გამოგზავნა თავისი ანგელოზი და ამან ამოწყვიტა სენნაქერიმის ჯარი (185,000 კაცი), თვითონ სენნაქერიმი წავიდა ნინევიას ქალაქში და იქ საკუთარმა შვილებმა მოჰკლეს.

ღვთის მოყვარეობისა და გულკეთილობისათვის ღმერთმა აკურთხა ეზეკიას ოჯახი და მის ქონებას მისცა ბარაქა: იმისი სასახლეები სავსე იყო ოქროთი, ვერცხლით და სხვა და სხვა ძვირფასი ნივთებითა; იმისი სარდაფები სავსე იყო პურითა, ღვინით და ზეთითა; ცხვარი და ძროხა მის დროს ძალიან გამრავლებული იყო. თავის სიკვდილამდე ეს მეფე მტკიცედ მისდევდა დავითის, თავის წინაპრის მაგალითს, როგორც ურჩია იმას ესაია წინასწარმეტყველმა.

მაგრამ ღმერთმა ისაიას პირად გამოუცხადა, რომ იუდიანელები და მისი შთამომავლობა ერთ დროს იქნებიან ბაბილონში ტყვედ წაყვანილნი თავიანთ უკეთური ცხოვრებისაგამოვო,

ამ ბოლონდელ წინასწარ-მეტყველებამ მალე დაიწყო აღსრულება. ეზეკიას შვილი მანასე მამასავით ღვთის მოყვარე კაცი არ იყო. კერპობა უფრო მოსწონდა და მამის სიკვდილის შემდეგ, როცა გამეფდა, მაშინათვე შემოიღო კერპთთაყვანის მცემლობა. დასდგა კერპები ბაალისა და ასტარტისა და უბძანა ხალხს მათთვის თაყვანის ცემა. წინასწარმეტყველნი ამხილებდნენ, მაგრამ არც ხალხი და არც ის იმათ არას უჯერებდნენ. ამის დროს იუდიანელებში ისეთი საზიზღარი და სასირცხვილო

ცოდვებით გავრცელდა, რომ ღმერთმა ამისთვის მანასე ძლიერ მძიმედ დასაჯა: ასირიელებმა იმისი ჯარი დაამარცხეს, თვითონ შეიპყრეს, შეჰკრეს ორის სპილენძის ჯაჭვით, გაუყარეს ცხვირში მახათი და წაიყვანეს ტყვედ. ტყვეობამ მას აგრძნობინა თავისი ცოდვები. ცოდვილმა, მწარე ცრემლით მოინანია თავის ცოდვა და ღმერთმაც მიხედა მას. ასირიელებმა ის განთავისუფლეს; ის დაბრუნდა, მოვიდა იერუსალიმში და გაამაგრა, აღაშენა მრავალგან სხვა ციხეებიც, დააყენა ერისთავები, აღადგინა ღვთის მსახურება და დაიწყო ისევ მეფობა. ეს მანასეა ის მანასე, რომელიც სათილულო ლოცვებში მოიხსენება.

## 84. წინასწარმეტყველი იერემია

იერემია წინასწარმეტყველი ჯერ არ იყო დაბადებული, რომ ღმერთს ის ჰყვანდა არჩეული წინასწარმეტყველად. როცა ღმერთმა მას უბრძანა ხალხის მოძღვრად და წინასწარმეტყველად ყოფნა, ამან უარი სთქვა იმ მიზეზით, რომ არა ვარ ასაკში მოსული და ლაპარაკი არ ვიცი. მაგრამ ღმერთმა ის გაამხნევა და უთხრა: „აჰა მე ვნერგავ სიტყვათა ჩემთა ბაგეთა შენთა; შენ განდობ დღეს ხალხთა და სახელმწიფოთა ბედს; შენს საწინასწარმეტყველო სიტყვისამებრ ისინი დაემხობიან და აღსდგებიან. შენ უთხარი ხალხებს, რაც გიბძანო; ნუ შეუშინდები იმათ. შენ ისეთი შეურყეველი და

მაგარი იქნები, როგორც მკვიდრი ქალაქი, როგორც რკინის კოშკი იქნები ისრე მაგარი და მკვიდრი, როგორც სპილენძის ზღუდე და წინააღმდეგი ქვეყნისა, მეფეთა, იუდიანელთა წარჩინებულთათვის, მღვდელთა და ერისათვის, ისინი გებრძოლებიან შენ, მაგრამ ვერ გძლევენ, ამისათვის, რომ მე შენთან ვიქნები და დაგიფარავ შენ!“— ამის შემდეგ იერემიამ დაიწყო უშიშრად ქადაგება და წინასწარმეტყველება, მაგრამ უფრო იმას ამბობდა თუ რა ბედი მოელის იუდეანელებს იმისათვის, რომ იმათ უარი ჰყვეს თავისი მამაპაპური რჯული — მოსესი და მიიღეს უცხო თემის რჯულები და ჩვეულებები. იმას უზომოდ უყვარდა თავისი რჯული და ხალხი და ამისთვის ოცდა სამს წელიწადში იმას ქადაგებდა, რომ ნუ დაკარგავთ თქვენს რჯულს, ნუ შეირთავთ უცხო თემის ასულებს ცოლად, ამისათვის რომ რჯულის დაკარგვის შემდეგ ხალხოსნობასაც დაკარგავთო; ხალხი თავის მამაპაპის სარწმუნოებაზე რომ იქნება, ეცდება ის თავის ხალხოსნობას დაიცვას დარღვევისაგანო; თავის სარწმუნოების შეცვლა ხალხს უბედურებას შეამთხვევსო; ამისათვის, რომ სარწმუნოების შეცვლისათანავე იმან თავისი ხალხოსნური ცხოვრების წესიც უნდა შეჰსცვალოსო. თუმცა იერემიას სიტყვები სრულდებოდა, მაგრამ იმას მაინც არას უგონებდნენ, მტრობდნენ, სდევნიდნენ და ლანძღავიდნენ. ამისათვის ის მწუხარებით სავსე გულით ასე ეუბნება დედას: „ვაი ჩემს თავსა, ჩემო დედავ! განა იმისთვის მშობე მე, რომ ხალხნი ყვიროდნენ ჩემზე და

მარცხვენდნენ დედა-მიწის ზურგზე? მე იმათთვის არა-ვითარი მტრობის მიზეზი არ მიმიცია; მაგრამ ისინი ყველანი მე მწყევლიან. მას აქვთ, რაც მე ღმერთმა მომ-მანა ქადაგება და წინასწარმეტყველება, მე აღარ ვყო-ფილვარ მხიარულს ხალხთა კრებაში და ნადიმში; მე ვგრძნობ ჩემზე უფლის მარჯვენას, რომელიც მე მაიძუ-ლებს წინასწარმეტყველებაზე. მე ვზივარ მარტოდ. ნუ-ტავი რათ არის ჩემი მწუხარება ასეთი ხანგრძლივი, და აქამდე მე ვერ ვხედავ, რომ ვინმემ გაამთელოს ჩემი წყლულებანი". ამაზე ღმერთმა ნუგეში სცა იმას და უბ-მანა თქმა იუდიანელთათვის შემდეგი წინასწარმეტყველე-ბისა: „აჰა მე მოვავლენ ყველა ჩრდილოეთის ხალხებს და, მონასა ჩემსა, ნაბუქოდონოსორს, ბაბილონის მეფეს; და მოვიყვან იმათ ამ ქვეყანაზე და ყველა გარემოს ხალხებზე; დავანგრევ იმათ ქვეყანას, და ვაქცევ საუკუ-ნოდ უდაბნოდ, და იქნებიან მონებათ ქვეშე ბაბილონის მეფისასა სამოც და-ათი წელიწადი".

ყველა ეს წინასწარმეტყველება იერემიამ, ღვთის ბრძანებით თავის მწერალს და მოწაფეს, ბარუქს, დააწე-რინა ქართაში, და როცა იმას უკითხავდნენ მეფე იაკი-მეს, — ზამთარი იყო, — წინ ედგა მაყალი და მახლობლივ მოჯდომოდა, — რამდენ ფურცელსაც წაუკითხავდნენ, ია-კიმე აჭრევინებდა იმას და სწვავდა მაყალზე ცეცხლში. თავად-აზნაურნი და წარჩინებულნი უშლიდნენ; მაგრამ ის იმათ არავის უგონებდა და თავის უგუნურ წადილს აღასრულებდა. ამ გვარის ქცევისათვის უფალმა იერემია-

სიტყვა პირით ასე უთხრა იაკიმეს: შთამომავლობა შენი ამიერიდგან აღარ იჯდება მეფის ტახტსაზედა დავითისასა, და გვამი შენი შემდეგ სიკვდილისა ეგდება დღე და ღამე სიცხე პაპანაქებაში და სიცივეში.—ღმერთმა იერემიას ქართა ხელმეორედ დააწერინა.

## 85. ურიების დატყვევება ნაბუქოდონოსორისაგან.

ნაბუქოდონოსორმა დაიპყრა იერუსალიმი, დაადვა იაკიმეს ხარკი და მძევლად წაიყვანა გამოჩენილი თავადიშვილები. ამათში ერია ეზეკია წინასწარმეტყველიცა. იერემიას წინასწარმეტყველება აღსრულდა. მაგრამ იაკიმემ მესამე წელს უარი უთხრა ხარკის მიცემაზე; მაშინ ნაბუქოდონოსორი ხელმეორედ მოვიდა თავისი ჯარით, დაიჭირა იერუსალიმი, დაატყვევა იაკიმე, შეუყარა ფეხებში ბორკილი და წაიყვანა. არა ვინ არ იცის სად მოკვდა ეს მეფე—გზაზე თუ ბაბილონში. ამ დროს ნაბუქოდონოსორმა ტყვედ წაიყვანა 3025 იუდიანელი. იაკიმეს მაგივრად ნაბუქოდონოსორმა დასვა მეფედ შვილი მისი იექონია. ეს მეფე თავის მამაზე კაი კაცი არ იყო და იმეფა მხოლოდ ასი დღე. ამანაც წინააღმდეგობა გაუწია ნაბუქოდონოსორს და ის მესამედ მოადგა იერუსალიმს და დაამარცხა იექონია. დამარცხების შემდეგ იექონია თავის ცოლ-შვილით და სახლით დაჰმორჩილდა

ძლევა-შემოსილს მძლავრს. მეფის ოჯახი, წარჩინებულნი თავად-აზნაურნი, გამოჩენილნი მხედარნი და ხელოსანნი, მძლავრმა ყველანი გადასახლა ბაბილონში; იმან თან გაიყოლა იერუსალიმის ტაძრის სამკაული და მეფის სალარო ნივთებიცა.

ამის მაგივრად მეფედ დასვა იმისი მამის ძმა, ესიგი ბიძა, სედეკია. თუმცა იერემია წინასწარმეტყველი უქადაგებდა ნაბუქოდონოსორისთვის მორჩილებას; მაგრამ ამ მეფემ არამც თუ არ გაუგონა იმას სიტყვა, არამედ ის ჯურღმულშიაც ჩასვა იმისთვის, რომ რათ ამბობ ნაბუქოდონოსორი დაგამარცხებთ და დაგატყვევებთო. სედეკიამ მოიმხრო ეგვიპტის მეფე და გაუდგა ნაბუქოდონოსორს. მაშინ იმან მეორეთ გამოილაშქრა იერუსალიმზე, დაამარცხა სედეკია, დაიჭირა, იმისი შვილები ერთიმანეთს დააკლა იმისავე თვალის წინ და მერმე იმასაც თვალები დასთხარა და ჯაჭვით ხელებ გაკრული წაიყვანა ბაბილონში, სადაც საპყრობილეში მოკვდა. ამ ყამად ამან ტყვედ წაიყვანა ბაბილონში ყველა ებრაელები. იერუსალიმში დასტოვა მხოლოდ მებაღეები, რომელთაც უნდა ეკეთებინათ ვენახები, ყანათ და ეთესათ, იერუსალიმის ქალაქიც ძირიანად დააქცია, ზღუდე დაუნგრია და სოლომონის აღშენებულს იერუსალიმის ტაძარს წაუკიდა ცეცხლი და დასწვა. ის იწოდა სამი დღის განმავლობაში. აგრეთვე დასწვა მეფის სასახლეები და შესანიშნავი ქალაქის შენობანი.

იერემიას საშობლოში დარჩენა არ უნდოდა. ის ყოველ დღეს დილით ადრიანად გამოდიოდა ქალაქის

ნანგრევებზე, ჯდებოდა და ცხარე ცრემლით დასტიროდა თავის უბედურს სამშობლოს. ბოლოს იუდიანელებმა ის წაიყვანეს ეგვიპტეში და იქ ჩააქვავეს. იერემიამ დაგვიტოვა თავისი წინასწარმეტყველობა და თავისი გოდება სამშობლოზე. ამ წიგნში, სწერია რომ იესო ქრისტე ღმერთი იქნება, და მოიტანს ახალ აღთქმასო.

## 86. იუდიანელების მდგომარეობა ბაბილონის ტყვეობაში და წინასწარმეტყველნი დანიელი და ეზეკიელი.

იმ იუდიანელებს, რომელნიც დარჩნენ თავის სამშობლოში, უფრო ცუდი მდგომარეობა ჰქონდათ, ვიდრე იმათ, რომელნიც ბაბილონში ტყვედ გადაასახლეს. ნაბუქოდონოსორმა ბაბილონში იმათ მისცათ ნება თავის სარწმუნოების აღვიარებისა, ყოლა იუდიანელთაგანვე ერისთავებისა, საკუთარი სამართლისა, მამულების შეძენისა, ვაჭრობისა, სამხედრო ჯარში შესვლისა და შკოლაში სწავლისა. მაგრამ იმათ მაინც და მაინც ისრე სწყინდათ უცხო ქვეყანაში ყოფნა, ისრეთი სიყვარული ჰქონდათ თავისი სამშობლოსი, რომ თავიანთ ტყვეობაში იმათ შეადგინეს შესანიშნავი გალობა, რომელიც ასე იწყება: „ბაბილონის მდინარეთა ზედა ვისხედით და, მომგონებელნი სიონისა, ვსტიროდით. მდინარის პირზედ

მყოფ ტირიფებზე გვეკიდა ჩვენნი საგალობელნი. გვიგა-
ლობეთ რამე სიონის გალობათაგანო, გვეუბნებოდნენ
ჩვენნი დამატყვევებელნი; მაგრამ ვითარ ვუგალობებთ
უცხო ქვეყანაში უფალსა? ახ! მარჯვენამცა დამივიწყებია
მე, უკეთუ მე შენ დაგივიწყო იერუსალიმო. დაე გაეკვ-
რას ენა ჩემი სასასა ჩემსა, უკეთუ შენ დაგივიწყო, უძვირ-
ფასესო იერუსალიმო! მოიხსენე, უფალო, შვილნი ედო-
მისნი, რომელნიც იერუსალიმის დაქცევის დროს ამბობ-
დნენ: დააქციეთ, დააქციეთ ეგ საფუძვლამდე. წყეულო,
ასულო ბაბილონისაო! ნეტარია ის, ვინც მოგაგებს
შენ იმ უბედურობათათვის, რომელიც მოგვაყენე
შენ! ნეტარია, ვინც აიყვანს ყრმათა თქვენთა და ქვაზე
დანარცხებით დაამსხვრევს“.

ღმერთმა თუმცა ინება იუდიანელების დატყვევება
ბაბილონის მეფეთაგან; მაგრამ არ ისურვა ებრაელების ხალ-
ხოსნობის დარღვევა, ამისთვის რომ ეს მისი განგების
წინააღმდეგი იქმნებოდა. იმას არ ჰსურდა, რომ ქვეყა-
ნაზე ებრაელთა ხალხოსნობა მოსპობილი ყოფილიყო
უცხო ტომის ხალხთაგან: ამისთვის უფალი ღმერთი იცავ-
და იმის ხალხოსნობას, და დრო გამოშვებით უვლინებ-
და იმისთანა ჭკუიან კაცებს, რომელნიც ებრაელებს ამხ-
ნევებდნენ, აღვიძებდნენ და შთააგონებდნენ თავის ხალ-
ხოსნობის დაცვას. აი ამ განზრახვით ახლაც, როცა
ებრაელები სულით და გონებით იყვნენ დაჩაგრულნი
სამშობლოს აოხრებისაგამო, სასოწარკვეთილებაში იყვ-
ნენ ჩავარდნილნი, იმედი აღარ ჰქონდა ოდესმე თავის

ხალსოსრობის აღდგენაზე, ღმერთი უვლიდებდა იმათ გონიერს, მხნეს, სამშობლოსადმი სიყვარულით გულ სავსე კაცებს. ესენი არიან წინასწარმეტყველნი დანიელი და ეზეკიელი და წარჩინებულნი ანანია და მისაილი.

ამ ღვთის მსახურმა კაცებმა ჯერ ქალდეურს ენაზე მიიღეს ისეთი კარგი განათლება, რომ ნაბუქოდონოსორის სამეფოში სწავლა—მეცნიერებით ყველას აჯობნენ, და მერმე შევიდნენ სახელმწიფო სამსახურში. თავის გონიერებით და მეფის ერთგული სამსახურით დანიელი ისეთი წარჩინებული კაცი შეიქმნა, რომ ნაბუქოდონოსორმა თავის სამეფოში თავის შემდეგ პირველობა მისცა. როცა ის ასრე ამაღლდა, მაშინ იმან არ დაივიწყა თავისი ამხანაგებიცა. იმდენი ეცადა, რომ მისაელისა, ანანიისა და აზარიისათვის მეფეს ერისთაობა მიაცემინა. ერთხელ იმან ნაბუქოდონოსორს სიზმრები აუხსნა და მეფეს ისრე მოეწონა და ესიამოვნა მისი ჭკუიანობა, რომ ის დიდათ დაასაჩუქრა და ბაბილონის ბეგლარ-ბეგად (გუბერნატორათ) დააყენა; მაგრამ იმან სთხოვა მეფეს, რომ ბაბილონის ბეგლარ-ბეგობა მისაელისა, ანანიასა და აზარიასთვის მიეცა. მეფემ აასრულა დანიელის თხოვნა; თვითონ ის კი თავის სამეფო-რჩევაში პირველ კაცად დასვა. დანიელის და მისთა სამთა მეგობართა ამაღლება, რასაკვირველია, ძალიან სასარგებლო იყო ებრაელთათვის. ესენი ყოველთვის ესარჩლებოდნენ ებრაელებს, იცავდნენ და აფრთხილებდნენ,

რომ იმათ თავისი რჯული არ დაეკარგათ. ღვთის შთა-
გონებით ისინი არიგებდნენ ებრაელებს, რომ ისინი არ
გაერთებულიყვნენ ქალდეველებთან და არ დაეკარგათ თა-
ვისი ხალხოსნობა; უბედური, ღვთისაგან შეჩვენებული
და წყეული იქნება ებრაელი ხალხი, უკეთუ თავისი ენა
და სარწმუნოებას დაკარგავს,—არის ნათქვამი დანიელის
საწინასწარმეტყველოში. რომ მტკიცედ დაარწმუნოს
და დაამყაროს ებრაელები თავის ხალხოსნობაზე, დანიე-
ლი ღვთის შთაგონებით ეუბნებოდა, რომ ებრაელებში
დაიბადება მესია, ის მოგვიტანს ახალს აღთქმას, გამო-
გვიხსნის ტყვეობისაგან და აღადგენს ჩვენს ხალხოსნო-
ბასაო. ეს მოხდება 490 წლის შემდეგ, რადგან ამ დროს
განმავალობაში მონანებული იქნებიან ყოველნი ჩვენნი
ცოდვანი და უკეთურებანიო. აი ეს წინასწარმეტყველობა,
რომელიც ღვთის პირით გაბრიელ ანგელოზმა დანიელს
უთხრა: „ხალხსა შენსა და წმინდასა ქალაქსა შენსა აქვს
დადებული სალოდნელად სამოცდა ათი შვიდეული იმ
დრომდე, ვიდრე აღიხოცებოდნენ ცოდვანი და მოევ-
ლინებოდეს საუკუნო სიმართლე, დაიდებოდეს ბეჭედი
აღსრულებისა წინასწარმეტყველთა ხილვათა ზედა, და
იკურთხებოდეს წმიდაა წმიდათა“. ხალხის სანუგეშოდ
დანიილის ამ წინასწარ-მეტყველობას ეზეკიას წინასწარ-
მეტყველმა დაუმატა შემდეგი წინასწარმეტყველება: „მე
ვნახე მინდორი, მოფენილი ძვლებით, და აი უფლის
სიტყვისა მებრ, ეს ძვლები მოვიდნენ მოძრაობაში, ისი-
ნი ძარღვებმა შეაერთეს; იმათზე მოვიდა ხორცი; კანი

გადაეფარა მათ; შევიდა მათში სული, და აღსდგნენ ისინი; და ამ დროს სთქვა ღმერთმა: „ესე ძვლები ნიშვნენ მთელს ისრაილის სახლს. მე განვათავისუფლებ მათ და განვწმენდ, და იქნებიან ჩემნი ხალხნი, ხოლო მე ვიქნები მათი ღმერთი; დავსდებ მათთან აღთქმასა მშვიდობისასა, და კავშირი ჩემი მათთან იქნება საუკუნოდ".

ღვთის მსახურებისა და ებრაელების სიყვარულისა-გამო დანიელი ბედნიერი და დღე გრძელი იყო; იმან ოთხმოცდა ათ წელიწადამდე იცოცხლა. ბაბილონის მეფეს ის ძალიან უყვარდა, რადგან ღონიერი და ღვთივ მინიჭებული კაცი იყო. აგრეთვე უყვარდა დანიელი იმის შვილს ბალთასარსაცა, ეს მეფე მეტის მეტად მდიდრული ცხოვრების მოყვარე კაცი იყო. ერთხელ თავის სასახლეში ნადიმობის დროს, ამ მეფემ თავის გამოსაჩენად მოატანინა სუფრაზე ღვინის სასმელად იმის მამისაგან იერუსალიმის ტაძრიდგან წამოღებული ჭურჭლები და იმით სვამდა ღვინოსა. ამ დროს უეცრად იმან დაინახა ხელი, რომელმაც კედელზე რაღაცა დასწერა და გაქრა. ბალთასარი შეძრწუნდა და შიშით თრთოლა დააწყებინა. ბაბილონის ბრძენთა ეცადნენ, მაგრამ ვერ ახსნეს, თუ რას ნიშნავდნენ ეს სიტყვები. მაშინ დანიელი, რომელიც ამ დროს 80 წლის იყო, დაიბარეს და იმან ახსნა კედელზე ეწერა: „მენე, ფაკე-ლე ფარეს". მენე ნიშნავს: „გამოიანგარიშა ღმერთმა და ჰპოვა, რომ დღენი მისი აღსასრულისა მოწევნულ არიან".

თეკელ ნიშნავს: „აწონილ ხარ სასწორზე, და შეტყობილია, რომ შენ გაკლია ის, რისათვისაც შეიძლება შენი მეფობის განგრძელება“, ფარეს ნიშნავს: „განიყოფება მეფობა შენი, და მიეცემა მიდიელთა და სპარსთა“. ამ ღამესვე სპარსეთის მეფემ კიროსმა დაიჭირა ქალაქი და მოჰკლა ბალტასარი. ასრე აღსრულდა იერემიას წინასწარმეტყველის ნათქვამი, რომ სამოცდა ათი წლის შემდეგ დაემხობა ბაბილონის სამეფოცაო.

---

## დრონი სპარსეთის მფლობელობისა

### 87 იუდიანელების განთავისუფლება ბაბილონის ტყვეობიდგან

ესაია წინასწარმეტყველმა 150 წლის წინად სთქვა, რომ ებრაელებს ტყვეობიდგან სპარსეთის მეფე, სახელად კირი, დაიხსნისო. თუმცა არავინ იცის, კირს წაკითხული ჰქონდა ესაიას წინასწარმეტყველება თუ არა; მაგრამ ის ნამდვილია, რომ ებრაელების სამოცდა ათი წლის ტყვეობაში ყოფნის შემდეგ კირმა გამოსცა უქაზი, რომ ებრაელები, ვისაც სურს, დაბრუნდნენ თავიანთ ქვეყანაში და იერუსალიმში აღაშენონ უფლისათვის ტაძარიო. ამ ბრძანებისაგამო ორმოცდა ორმა ათასმა ებრაელმა გამოაცხადა სურვილი თავის სამშობლოში დაბრუნებისა.

ესენი ყველანი ერთად შეიყარნენ და დააპირეს წასვლა. მაშინ კირმა უბძანა ზორობაბელს და იესო მღვდელ-მთავარს ხალხისთვის წინ გაძღოლა და მიყვანა იერუსა-ლიმში. ზორობაბელი იყო იექონის მეფის შვილის შვი-ლი, დავით წინასწარმეტყველის შთამამავლობიდგან. ამასვე გამოატანა კირმა აგრეთვე იერუსალიმის ტაძრის ჭურ-ჭელი და სხვა სამკაულიცა, რომელიც ნაბუქოდონოსორმა ებრაელების დატყვევების დროს წაიღო ბაბილონში.

ზორობაბელმა და იესო მღვდელ-მთავარმა მიიყვანეს ებრაელები იერუსალიმში და იმ ადგილას, სადაც იყო სოლომო-ნის ტაძარი, გამართეს სამსხვერპლო და შესწირეს ღმერთს სხვერპლი, და მადლობდენ მას, რომ ისინი გამოიხსნა ტყვე-ობიდგან. ამის მეორე წელიწადს ჩააგდეს მეორე ტაძრის საფუძველი, ისევ იმ ადგილას, სადაც უწინ სოლომონის ტაძარი იყო აშენებული. მაგრამ ამის შენობის დროს დიდი დაბრკოლება ნახეს. როცა ტაძრის შენობა დაიწყეს, მივიდნენ სამარიტელნი და სთხოვეს, რომ შემწეობას მოგცემთ ტაძრის აშენების დროს და ჩვენც ვილოცავთ შიგაო; მაგრამ იუდიანელებმა არამც თუ უარი უთხრეს, არამედ კიდევაც აწყენინესთ: იმათ უთხრეს, რომ თქვენ ისრე არა გრწამთ მოსეს რჯული, როგორც ჩვენაო, თქვენი სარწმუნოება შერეულია ცრუ მორწმუნებითაო: იმ დროს, როცა სამარიაში სალმანასარმა ასირიელები დაასახლა ებრაელთა შორისო, მაშინ თქვენ მოსეს რჯუ-ლი გარყვნითო. ამ შეურაცხ-ყოფისათვის მათ შუა ჩამოვარდა ძლიერ დიდი მტრობა. სამარიტელებმა აღარ

და აღარ მოასვენეს იუდიანელები შენობის დროს. ამ დროს იუდიანელების მწყალობელი სპარსეთის მეფე კირიც მოკვდა. მის მაგიერად გამეფდა მისი შვილი კამბიზი. სამარიტელები იმდენს ეცადნენ, რომ კამბიზის კარის კაცები მოისყიდეს, ამათ შთააგონეს კამბიზს, რომ ებრაელები ტაძარს კი არ აშენებენ, არამედ იერუსალიმის ქალაქს ამაგრებენ ზღუდითო. მეფემ მიაქცია ყურადღება, მაგრამ სიკვდილმა უსწრო მის ავს განზრახვას. მეფედ გახდა ც რ უ — ს მ ე რ დ ი ს ი. ამას შთააგონეს სამარიტელებისგან ქრთამით მოსყიდულ კარის კაცებმა, რომ იუდიანელები ერთ დროს ისეთი ძლიერნი და მძლავრნი იყვნენო, რომ გარეშე მეზობელი ხალხები იმათ ხარკს აძლევდნენო. ამგვარმა იუდიანელების ისტორიულმა წარსულმა ცრუ-სმერდისი იძულებული ჰყო გამოეცა ბძანება, რომ ურიებს შეეყენებინათ იერუსალიმის შენება. ზოროპაბელს ეს განკარგულება ძალიან ეწყინა. ორი წლის განმავალობაში ტაძრის შენება გაჩერებული იყო, და ამ დროს განმავალობაში მამულის მოყვარე ანგეა და ზაქარია წინასწარმეტყველთა იმდენი იმხნევეს და იმეცადინეს, რომ სპარსეთის მეფეებმა ხელმეორედ ნება მისცეს არამც თუ ტაძრის აშენებისა, არამედ იერუსალიმის ქალაქის ზღუდით გამაგრებისაცა. 19 წლის განმავლობაში ტაძრის შენებას მორჩნენ, მაგრამ იმ მოხუცებულებს, რომელთაც ენახათ სოლომონის ტაძრის დიდება და სიმშვენიერე, არ მოსწონდათ ახლად აშენებული ტაძარი, მაშინ ისინი ანუგეშებს და გაამხნევებს ანგია

და ზაქარია წინასწარმეტყველებმა. ანგიამ სთქვა: „მოვა სასურველი წინამძღვარი (მაცხოვარი) ყოვლისა ერისათვის და ეს ტაძარი აღივსება მადლითა ღვთისათა; მაშინ ტაძარი ესე იქნება დიდებითა თვისითა უწარჩინებულესი პირველისა: ამ ტაძარში ღმერთი მისცემს ხალხთა მშვიდობიანობას". (ანგ.თ 2,7და7) ხოლო ზაქარიამ ხალხს ასე ახარა: „უმრავლესად გიხაროდეს ასულო იერუსალიმისაო! აჰა მეფე შენი მართალი, მხსნელი და მოწყალე, ზის ვირსა ზედა მის კიცითურთ და გეწვევა შენ (ზაქ.თ 9,9.) როცა სრულიად მორჩნენ ტაძრის აშენებას, ის აკურთხეს, დააყენეს მღვდლები და ლევიტელნი და განაწესეს რიგობით ღვთის მსახურება, ისრე, როგორც იყო დაწესებული მოსე წინასწარმეტყველისაგან.

## 88. მღვდელი ეზდრა და მეღვინეთ ხუცესი ნეემია და მათ მიერ სამოქალაქო და საეკკლესიო წესის აღდგენა

თუმცა ტაძარი იყო აშენებული და ებრაელები დასახლებულნი იყვნენ იერუსალიმის ქალაქში, მაგრამ საეკკლესიო და სამოქალაქო წესი ჯერ არ იყო შემოღებუ-

ლი. ამ დროს მღვდელი ეზდრა ჯერ კიდევ ბაბილონში სცხოვრებდა. ამას ისეთი დიდი სიყვარული ჰქონდა თავისი სამშობლოსი, რომ მეფე არტაქსერქს მუდამ იმის აღდგენაზე ელაპარაკებოდა და სთხოვდა ფულით შემწეობასა; სთხოვდა, რომ ნება მომეცი წავიდე იერუსალიმში და იქ საეკკლესიო და სამოქალაქო წესი შემოვიღოვო. ბოლოს მეფე თანახმა გახდა იმის თხოვნაზე, მისცა 258,000 მანეთი, დარჩენილი იერუსალიმის ტაძრის სამკაულიცა, გაგზავნა და მოსწერა თავის სატრაპებს, რომ შემწეობა მიეცეთ ყოველიფერში, რაც ეზდრამ ითხოვოსო. ეზდრასთან იერუსალიმში წასვლის სურვილი გამოაცხადეს 1700 კაცმა; მოიყარეს ამათ ყველამ თავი და მოვიდნენ იერუსალიმის ქალაქში. ასე ამ გვარად ეზდრა, მამულისა და ერის სიყვარულისაგამო, იმდენი ეცადა, რომ სპარსელები იქამდე გააბრიყვეს, რომ თვითონვე მოაცემინეს შემწეობა ურიების აოხრებული იერუსალიმი ქალაქის აღშენებაზე და ხალხოსნობის აღდგენებაზე. ამას თავისი ბედნიერება და მეფესთან შესულობა არაფრად მიაჩნდა, თავის სამშობლოს და ებრაელებს რომ ხედავდა დაჩაგრულსა.

მოვიდა თუ არა ეზდრა იერუსალიმში, მაშინვე ეკკლესიის ჭურჭლები და შემოწირული ფული შეიტანა ტაძარში, შესწირა ღმერთს სხვერპლი და ჩადგა ღვთის მსახურების რიგში,

ამის შემდეგ თავის მეცადინეობით იმან აღაშენა ყოველს ქალაქში და სოფელში ლოცვა-ვედრების მო-

სასმენად სინაღოღები, დაუყენა ხალხს მოძღვრებად ნასწავლნი მწიგნობარნი, რომელთაც სახელად ერქვათ რაბბინი. ხალხი რაბბინებს პატივსა სცემდა, როგორც მამას და მოძღვარს. შაბათობით ყველა ებრაელები იკრიბებოდნენ სინაღოღებში და იქ ევედრებოდნენ ღმერთს. ვინც სინაღოღაში დაიარებოდა, ის ებრაელად ირიცხებოდა, ვინც არა განიდევნებოდა საზოგადო შესაკრებელიდგან. სინაღოღიდგან განკვეთა ებრაელებს დიდ სასჯელად მიაჩნდათ.

ამ სინაღოღებთან ჰქონდათ გამართული აგრეთვე ბოვშვების სასწავლებელი და საწიგნე (ბიბლიოტეკა). ყოველი ნასწავლი ებრაელი, ვისაცა ჰსურდა, ლოცვის შემდეგ, სინაღოღაში შედიოდა და უხსნიდა ხალხს სამღრთო წერილს.

ამ წესდების შემდეგ იმან შეიტყო, რომ ურიანი ჯვარდაწერილნი არიან უცხო ხალხების ამონიტელების, მოაბიტელების და ეგვიპტელების ასულებზე, და დედანი ავიწყებენ თავიანთ შვილებს ებრაულს ენასა. ეს რომ გაიგო ეზდრამ, ისე ეწყინა, რომ ტანზე მეოფა ტანისამოსი დაიხია, დაიწიწკნა თავზე თმა, დაჯდა წინაშე ტაძრისა და ტიროდა ცხარე ცრემლით, ვიდრე მწუხრამდე. მას გარს შემოეხვივნენ ის ღვთის მოშიში ებრაელნი, რომელნიც თანაუგრძნობდნენ იმის მწუხარებას. მწუხრის დროს ის ჯერ შეევედრა ღმერთსა და მერე სთხოვა იმ ებრაელებს, რომელნიც ჯვარდაწერილნი იყვნენ უცხო ტომის ქალებზე, ქორწინება დაერღვიათ, რადგან უცხო თესლის ასულები ებრაელი ქმრისაგან ნაყოლ შვილებს

თავიანთ სამშობლო ენას ავიწყებენო. ხალხმა გაუგონა და ამ დღეს ას ებრაელზე მეტმა ცოლებს თავი გაანება და დაიწერეს ჯვარი ებრაელთა ასულებზე. მერმე ეზდრამ შეკრიბა მოსეს რჯულისა და ისტორიულნი წიგნები და საწინასწარმეტყველოები და შეადგინა ერთად წიგნების კრება, რომელსაც ამ ჟამად ეზდრას მღვდლის „კ ო დ ე ქ ს ი“ ჰქვიან. ეს რჯულის წიგნები იმან რამდენ-ჯერმე ხალხს წაუკითხა, აუხსნა და დაამკვიდრა ხალხი რჯულზე.

მაგრამ ამ დროს მარტო ეზდრა არ იყო თავის სამშობლო ერის მხურვალედ მოყვარე, ღვთის განგებით ებრაელებში ამისთანა კაცები ძლიერ მრავალნი იყვნენ. ამათში უფრო შესანიშნავი და ღვთის მოყვარე იყო ნე-ემია. ეს კაცი ართაქსერქსის სასახლეში მეღვინეთ უხუცესი იყო, თუმცა ეს თვითონ მეფის სასახლეში იყო და ჰქონ-და ბედნიერი ცხოვრება, მაგრამ მარტო თავისი ბედნიე-რება ამას არ ახარებდა. იმას უნდოდა, რომ ყველა ებ-რაელი იმასავით ბედნიერი ყოფილიყო და მისი სამშობ-ლო აღყვავებული, ამისათვის ის იტანჯებოდა მწუხარე-ბით, რომ მისი სამშობლო დაცემული იყო; და რადგან მეფის კარზე მერიქიფეთ იყო, რაცხდა თავის თავს ღვთის განგებით ისე ამაღლებულს იმისთვის, რომ იმან უშ-ველოს თავის ტომის ხალხს—ებრაელებს. ამ ფიქრები-საგან აღელვებული, ერთხელ, როცა იმან სადილად არ-თაქსერქს მიართვა სუფრაზე ღვინო, მეფემ შეატყო მა-რის სახეზე დაღრეჯილობა და ჰკითხა: „რავად ხომ არა

ხარ, რა დაგემართა? რათა ხარ აგრე დაღრეჯილი?— „თუ მეც არ ვიქნება დაღონებული და მწუხარე, მაშ ვიღა იქნებაო? უპასუხა ნეემიამ. დღეს ჩემი სამშობლო ქალაქი იერუსალიმი, სადაც ასაფლავიან ჩემნი მამა-პაპანი, აოხრებულია, ზღუდე აღარა აქვს გარემემო და მტერი მუდამ აწუხებს შიგ მცხოვრებ ებრაელებს. თუ ინებებთ, მიბძანეთ წავიდე და გავაკეთო ზღუდეო". მეფემ მოწყალებით მიიღო მისი თხოვნა, მისცა ფული, პური, ღვინო და ზეთი, მისწერა ზოგიერთ ქვეყნის ზეგლარ-ხევებს შემწეობა მიეცითო და გამოგზავნა იერუსალიმში. ნეემია მოვიდა და 52 დღის განმავალობაში დიდის მეცადინეობით აღაშენა იერუსალიმი. ქალაქის გარემემო მტერნი ხალხი, სამარიტელები, ძალიან დაბრკოლებას აძლევდნენ; მაგრამ ის არ დაუვარდა იმათ მტერობას. იმან შეასრულა ზღუდის დასრულება და ლევდლებს აკურთხებინა, როცა მორჩა.

ამის შემდეგ იმან გამოიკვლია ხალხის ცხოვრება და შეიტყო, რომ მრავალს ებრაელს კიდევ ჰყვანდათ უცხო თესლის ასულები ცოლად, ესე იგი აზოტელების, მოავიტელების და ამონიტელების ასულები და ამისთვის იმათმა შვილებმა არ იციან ებრაული ლაპარაკი, არ იციან თავისი სამშობლო ენა, და ვინც იცის, ისინიც უცხო სიტყვებს ურევენ ლაპარაკში, დასწყევლა, დასაჯა და დააფიცა ხალხი, რომ ისინი უცხო ტომის ქალზე ჯვარს აღარ დაიწერენ. ამის შემდეგ იერემია ისევ დაბრუნდა სპარსეთში, და მერმე, წლის თავზე, ისევ მოვიდა იერუსალიმში და გახდა ებრაელების მთავარ მმართველად.

ამ დროსვე იყო იერუსალიმში და სხვა ქალაქებში დაწესებული სასამართლოები, რომლებსაც ერქვათ „ს ი-
ნ ე დ რ ი ო ნ ი“. სინედრიონი, რომელიც იერუსალიმში იყო, იმას ერქვა უ მ ა ღ ლ ე ს ი  ს ი ნ ე დ რ ი ო ნ ი და რომელნიც სხვა ქალაქებში იყვნენ, ერქვათ „უ მ დ ა ბ-
ლ ე ს ი  ს ი ნ ე დ რ ი ო ნ ი“. ამათი მოსამართლე მწევრები იყვნენ მღვდლები, ლევიტელნი და მოხუცებულნი. უმდაბლესი სინედრიონები იერუსალიმის უმაღლეს სინედრიონს ემორჩილებოდნენ. ნეემია, ვიდრე მოკვდებოდა, თვითონ იყო იერუსალიმის სინედრიონში თავმჯდომარედ; მის სიკვდილის შემდეგ კი ქვეყნის მთავარ-მმართველად მღვდელ-მთავრები გახდნენ და თავმჯდომარეობაც ამათ დაიჭირეს. ზოგიერთნი მოაზრობენ, რომ ეს მღვდელ-მთავარნი დავითის შთამამავალნი იყვნენო. ეზდრასი და ნეემიას დროსვე ღმერთმა ებრაელებს გასამხნევებლად მოუვლინა აგრეთვე წინასწარმეტყველი მალაქია. ამან ხალხის სანუგეშოდ ღვთის პირით სთქვა: „აჰა მე მოვავლენ ანგელოზსა ჩემსა, რომ იმან მოამზადოს წინაშე ჩემსა გზა ჩემი და მაშინ მოვა ტაძარსა შინა თვისსა უფალი, რომელსაც თქვენ ეძიებთ, და ანგელოზი აღთქმისა, რომელსაც თქვენ მოელით. აჰა მე მოვავლენ თქვენ ელია წინასწარმეტყველსა უწინარეს მის დიდისა და საშინელისა იეჰოვას მოსვლის დღისასა,— (მალ. V, 5. 6.)“

## 39. წინასწარმეტყველები, მათი განზრახვა და მოძღვრება

წინასწარმეტყველები ბევრნი იყვნენ; მაგრამ მათთაგან მხოლოდ თექვსმეტს (16) უწერია საწინასწარმეტყველება. ამათში ყველაზე ბევრი უწერია ესაიას, იერემიას, ეზეკიელს და დანიელს. ამისთვის ამ ოთხს უდიდეს წინასწარმეტყველებად იცნობენ, სხვებს უმცროს წინასწარმეტყველებს ეძახიან. ესენი არიან: ოსია, იოილი, ამოსი, ავდია, იონა, მიქეა, ნაუმი, აბაკუმი, სოფონია, ანგია, ზაქარია და მალაქია.

რადგან ღმერთმა ადამს უთხრა, რომ დედაკაცსა და გველს შორის, რომლის სახითაც იცნობების ეშმაკი, მე დავსდებ მტერობასო, და ერთი დედათა ნაშობთაგანი გაუჭეჭყს გველს თავსაო, ამისთვის მთელი ძველი აღთქმის განზრახვა პ ი რ ვ ე ლ ა დ ის არის, რომ შთაუნერგოს ებრაელებს გულში იმედი იესო ქრისტეს ქვეყნად მოსვლაზე, მ ე ო რ ე დ ისა, რომ ებრაელები, როგორც ღვთის მიერ აღრჩეული ხალხი, დააყენოს ჭეშმარიტს და ღვთის ნიერ ცხოვრების გზაზე. ამ განზრახვის აღსასრულებლად უფლის განგება წინასწარმეტყველთა პირით ებრაელებს მუდამ იმას მოაგონებს, რომ კაცთა ნათესავის მხსნელი მაცხოვარი იმათში დაიბადებაო. ეს თავკიდური საფუძველი ძველი აღთქმისა ერთის მხრით ხალხში დაიცავს სასოებას და ჭეშმარიტს სარ-

წმუნოებას, მეორეს მხრით იცავს ებრაელების ხალხოსნობას და კეთილ ცხოვრებით ამზადებს მისაღებად იმ მაცხოვრისა, რომელიც ებრაელების ხალხოსნობის უდიდეს და უმშვენიერეს ცხოვრების სურათს და სიქადულს შეადგენს. ამ მაცხოვარის ლოდინი და იმედი იცავს იმათ სარწმუნოებას და ხალხოსნობას.—იმის მოვლენის პირობად არის დადებული ებრაელების სხვა ხალხებთან შეუერთებლობა და შეურყევლობა; წმინდა, პატიოსნური და კაცთ მოყვარეობითი და მართალი ცხოვრება. თუ ღვთის ნიერად იცხოვრებთ და ცოლ-ქმრობითი მოყვრობით სხვა ხალხებთან არ აირევითო, მაშინ მე მოვავლენ მაცხოვარს და ის გასდება თქვენ* მაკურთხებელ და გამაბედნიერებელ მეფედ უკუნითი უკუნისამდეო; და თუ წმინდათ არ იცხოვრებთ, მაშინ მე ისრე გავაოხრებ იერუსალიმს, რომ ის უდაბნოდ იქცევა და ებრაელთა ხალხოსნობაც მოისპობაო, ეუბნება ღმერთი წინასწარმეტყველების პირით.

აი ამ გვარის მოძღვრებით ყველა წინასწარმეტყველები იცავდნენ ებრაელების ხალხოსნობას დარღვევისაგან. რომ არ დაირღვეს ებრაელების ხალხოსნობა, ღმერთი ებრაელებს იმაში უფრო აფრთხილებდა, რომ აროდეს არ გაბედოთ უცხო ტომის ასულებზე ჯვარის დაწერაო, რადგან დედათა მალე შეუძლიანთ თავიანთ შვილებს თავისი მამის ენა დაავიწყონ და მიაღებინონ დედათა სამშობლო ენაო, რისა გამო მერმე ადვილად შეიძლება ჭეშმარიტი სარწმუნოების დაკარგვაცაო.

## 90. ესთერი და მარდოქე

ეს ქალი და კაცი იყვნენ ბიძაშვილნი და იყვნენ თავადიშვილური შთამომავლობისა. ესთერი ობოლი დარჩა სიყმაწვილეშივე და მარდოქემ აღზარდა. ეს ისეთი ლამაზი ქალი გაიზარდა, რომ სპარსეთის მეფის ქსერქსის ცოლად გახდა.

ამ დროს ქსერქსს ჰყვანდა ერთი ვეზირი, სახელად ამანი. ეს კაცი ისეთი პატივ-მოყვარე იყო, რომ, რადგან მარდოქე პატივს არა სცემდა, ამისათვის ის თვალით დასანახავად ეჯავრებოდა. ამას ყველანი, სადაც ნახავდნენ, ფეხზე უდგებოდნენ და თავს უკრავდნენ, მაგრამ მარდოქე კი არაოდეს ამას პატივს არა სცემდა. ამანს მალიან სწყინდა მარდოქეს თავ გასულობა და მისი არაფრად ჩაგდება; მაგრამ ვერას აკლებდა. ამ მიზეზისა გამო მისი ჯავრი მთელს ებრაელებზე უნდოდა ამანს ამოეყარა, რადგან იცოდა, რომ მარდოქეს ძალიან უყვარდა თავის ტომი ხალხი—ებრაელები—და მათი უბედურება იმას თავს ზარს დასცემდა. ამ განზრახვით ის ერთხელ მივიდა მეფესთან და ასრე უთხრა ებრაელებზე: „მეფეო! შენ გყავს სამეფოში ისეთი ხალხი, რომელიც ყველა სხვა ხალხებს ერიდება; იმათი რჯული ასეთია, რომ არავის რჯულს არა ჰგავს და თქვენს კანონსაც ისინი პატივს არა სდებენ, და არ იგონებენ: ასე რომ სრულიად არ შეიძლება იმათი ამ სასიზღარ ჩვეულებებში დატოვება. ამისათვის ნუ თუ არ ინებებს მეფე იმათ

ამოწყვეტის ბძანებას? მაშინ მე სახელმწიფო ხაზინას შევმატებ 25,80000 მანეთსო“. მეფემ არ გამოიკითხა ეს ხალხი, რომელი ხალხი იყო, და მაშინვე ბძანება მისცა. ამანს გული მიეცა და 33 არშინის სიმაღლე სახრჩობელა დაადგმევინა. მარდოქეს თავის თავის უბედურება ისრე არ ეწყინა, როგორც მთელი ხალხისა. დაიყარა თავზედ ნაცარი, ჩაიცვა დაკონკილი ტანისამოსი და ტირილით მივიდა ხელმწიფის სასახლესთან, საცა ესთერი იდგა და ასეთი სიტყვები შეჰთვალა: „შენ ღმერთმა იმისთვის აგამაღლა და მოგცა დედოფლობა, რომ შენ იყო შემწე და მხსნელი შენი თვის ტომი ხალხისა: ამანს განუზრახავს მთელი ებრაელი ხალხის ამოწყვეტა და აბა ახლა საჭიროა თქვენი დასარჩლება და შემწეობა“. თუმცა ნება არავის ქონდა ხელმწიფესთან დაუბარებლად შესვლისა და ვინც შევიდოდა, ის სიკვდილით ისჯებოდა, ვინც უნდა ყოფილიყო, მაგრამ ესთერს ისრე უყვარდა თავის ტომი ხალხი, რომ არ დასდია თავის თავის საშიშარს ხაიფათში ჩავდებას და პირ და პირ შევიდა მეფის ოთახში. მეფემ ისრეთის მრისხანებით შეხედა, რომ ესთერს შიშით გული წაუვიდა. მაგრამ მეფეს მალე გული მოუბრუნდა, ადგა ტახტიდგან და თავზე სამეფო სკიპტრა შემოავლო. ეს იყო იმის ნიშანი, რომ მას აპატიებდა დაუძახებლად იმის ოთახში შესვლის გამბედაობას. როცა ესთერი გონზე მოვიდა, მაშინ მეფეს სთხოვა, რომ თქვენც და ამანიც ხვალ სადილად ჩემთან მოდითო. პირველ დღეს სადილად, თუმცა მეფემ ჰკითხა

ესთერს, რა გაქვს სათხოვნელი, — მითხარით, იმან ამ დღეს არა უთხრა რა; მეორე დღეს კი, მეფის კითხვაზე, ასე უთხრა: „მეფეო, თუ შენ გიყვარვარ მე, მე მხოლოდ ამასა გთხოვ, რომ არ მომკლა მე და ჩემი თვისტომი ხალხი კი — ებრაელები — არ ამოსწყვიტო“. — „ვისა აქვს ის ნება და ვის შეუძლიან, რომ შენ მოგკლას და ებრაელები ამოსწყვიტოს, საჩქაროდ ჰკითხა მეფემ“? — „აი ეს უკეთური ამანი არის ამ ბოროტების განმზრახველიო, სთქვა ესთერმა. ამანს შიშისაგან ენა ჩაუვარდა. მეფე მეტის სიბრაზისაგან ოთახში ვეღარ გაჩერდა და ბაღში გავიდა. ამანი დაემხო ესთერის წინ და სთხოვდა შებრალებას. ამ დროს მეფე შემოვიდა და ნახა ამანი, რომ ის ფეხებში კოცნიდა იმის ცოლს. მეფეს ეს უფრო ძლიერ ეწყინა, და მაშინვე ბძანა მარდაქეს მაგიერად ამანის ჩამოხრჩობა იმ საჩრჩობელაზე, რომელიც იმან (ამანმა) მარდოქესთვის აამართვინა. ამასთანავე ებრაელებს ნება მისცა, რომ თუ თქვენს დასახოცავად სპარსელები მოვიდნენ, თქვენც ისინი დახოცეთო. აი ამ გვარის თავ განწირულობით ესთერიმ და მარდაქემ გამოიხსნეს ებრაელები ამოწყვეტისაგან.

## 91. ალექსანდრე მაკედონელი

ალექსანდრე იყო მეფე მაკედონიისა. ამან დაიპყრა მთელი სპარსეთი და ურიასტანი. როცა იმან დააპირა

იერუსალიმში წასვლა, მაშინ ებრაელებს ძლიერ შეეშინ-დათ. მაგრამ ურიებში იყვნენ ისეთნი კაცნი, რომელნიც ხალხის ბედნიერებისა და სიკეთისთვის არ ზოგავდნენ თავის თავს. ამ დროს მათი მღვდელ-მთავარი იყო ადუა. როცა ალექსანდრე მიუახლოვდა იერუსალიმს, მაშინ ადუამ მღვდლები შემოსა ეკკლესიური სამოსლითა, თვი-თანაც მშვენიერად შეიმოსა, ხალხსაც ჩააცვა თეთრი ტა-ნისამოსი და ასრე ამ სახით მიეგება წინ ალექსანდრეს. ალექსანდრე ძლიერ განცვიფრდა, როცა იხილა ებრაელე-ბის ამ სახით მიგებება, და ადუა მღვდელ-მთავარს თა-ყვანი სცა. პარმენიონს ეწყინა მეფისაგან ამ გვარად თა-ვის დამდაბლება წინაშე ურიების მღვდელ-მთავრისა, და ასრე უთხრა: „რას ნიშნავს, მეფეო! შენი ამ გვარად თავის დამდაბლება წინაშე ურიების მღვდელ-მთავრისა? შენ გიყვარს სხვათაგან პატივის მიღება და ახლა კი თვი-თონ შენ იმდაბლებ თავსა? ამაზე ალექსანდრემ უპა-სუხა: „მე მღვდელ-მთავარს კი არ ვსცი თაყვანი, არა-მედ იმ ღმერთს, რომელსაც ის თაყვანსა სცემს. როცა მე ჯერ მაკედონიაში ვიყავი და განვიზრახავდი აზიის დაპყრობასა, მაშინ ვნახე სიზმარში ვინმე კაცი, მსგავსი ამ გვარი ტანსაცმლითა: ის მეუბნებოდა, რომ მე დაუ-ყონებლივ შევსულვიყავ აზიაში, და აღმითქვა სპარსეთის ძლევა. მე ახლა მომაგონდა ეს სიზმარი და დავრწმუნდი, რომ მე ღვთისაგან მოვლინებული ვარ დარიოზე მეფის წინააღმდეგ, და იმედია, რომ დავამხობ სპარსეთის უფლებასა". ალექსანდრემ გაათავა თუ არა ეს საუბარი,

მღვდელ-მთავარს ალუას ჩამოართვა ხელი და მისი და მღვდლების თან ხლებით შევიდა იერუსალიმში. აქ მღვდელ მთავარმა აჩვენა იმას დანიელის წინასწარ-მეტყვე-ლება, რომ მეფე ბერძენთა დაამხობს სპარსეთის სამე-ფოსა. ალექსანდრეს ასრე გაუხარდა წინასწარმეტყვე-ლობა, რომ დიდი შეღავათი მისცა ებრაელებს. ამასთა-ნავე მღვდელ-მთავარმაც სთხოვა ალექსანდრეს, რომ ებრაე-ლებისათვის თავისუფლად სჯულის აღვიარების ნება მიე-ცა. იმან მიიღო მისი თხოვნა და ებრაელებს არამც თუ ნება მისცა თავის სჯულის აღვიარებისა, არამედ განა-თავისუფლა აგრეთვე ხარჯისაგან საშაბათო წელიწადებში, რომელიც შვიდ წელიწადში ერთხელ შეემთხვეოდა სოლმე. აზატი ჰყო აგრეთვე ის ებრაელებიცა, რომელიც მიდია-ში და ბაბილონში სცხოვრობდნენ.

## 92. ებრაელები ეგვიპტის უფლებას ქვეშ.

ალექსანდრე მაკედონელის სიკვდილის შემდეგ მისი ვრცელი სახელმწიფო რამდენიმე სამეფოდ განიყო. მაგ-რამ მათ შორის უმთავრესი სამეფოები იყვნენ: მაკედო-ნიისა, სირიისა და ეგვიპტისა. ეგვიპტეში მეფობდნენ ფტოლომეები და ამათ ხელში იყვნენ ებრაელებიცა. ფტო-ლომე მეორეს ებრაელებმა ჩააგონეს, რომ ებრაელები მისი ერთგულნი არიანო, და ამისათვის სიმართლე მო-ითხოვესო, რომ იმათაც ისეთივე სამოქალაქო უფლება

მისცე, როგორც მაკედონელებს აქვთო. ფტოლომემ აღას-
რულა ებრაელების თხოვნა. მაგრამ ებრაელების წარჩი-
ნებულები ამით კიდევ არ დაკმაყოფილდნენ. იმათ უნ-
დოდათ უფრო მეტი სიკეთე ექნათ თავის ტომის ხალ-
ხისათვის; როცა პტოლომე ფილადელფმა მოინდომა
ალექსანდრიის ბიბლიოთეკისათვის ებრაელების საღმთო
წერილის გადათარგმნა ბერძნულ ენაზე, მაშინ ერთმა
ებრაელმა, სახელად არისთემ, სთხოვა მეფეს, რომ ას-
რეთივე უფლება იყოს მიცემული ებრაელების ხალ-
ხოსნობაზედაც. არისთეს თხოვნა ფტოლომე ფილადელფ-
მა მიიღო. ამ დროს მრავალი ებრაელთაგანი ტყვეთ
იყვნენ გაყიდულნი და იყვნენ მონებაში: ფილადელფმა გა-
მოსცა ბრძანება, რომ ყოველი ებრაელი განთავისუფ-
ლეთ და მათ მაგიერ სახელმწიფო ხაზინიდგან 25 მა-
ნეთი 80 კაპეიკი ფული მიიღეთო. მეფის ბძანება დაუბრ-
კოლებლივ აღსრულდა. ებრაელები განთავისუფლდნენ.

ფტოლომე ფილადელფმა მიუწერა ეს ამბავი წე-
რილით იერუსალიმის მღვდელ-მთავარს, თავისი და მისი
გულითადი სურვილის აღსრულება და სთხოვა, რომ ას-
ლია გამოიგზავნეთ ისეთი სწავლულნი ებრაელნიო, რო-
მელთაც შეეძლოსთ საღმთო წერილის გადათარგმნა
ბერძნულს ენაზედო. ამ დროს მღვდელ-მთავრად იყო
ადუას შვილის შვილი ელიაზარი: ამან ისრაელების თორ-
მეტ თაობიდგან აღმოარჩია სამოცდა ათი მსწავლული
კაცი და გაუგზავნა ეგვიპტეში ფილადელფს. ამათ გაატა-
ნა ოქროს ასოებით დაწერილი საუკეთესო ნამდვილი დე-

დანი სამღვთო წერილისა. ის იყო დაწერილი ეტრატზე ალექსანდრიაში. მთარგმნელები ძალიან დიდის პატივით მიიღეს. ისინი დააყენეს ფაროსის კუნძულზე ერთს სახლ-ში, ცალკ-ცალკე ოთახებში, და იქ დაიწყეს მათ თარგმნა წერილისა. სამოც-და ათ დღემდი იმათ თარგმანი გაა-თავეს და ალექსანდრიის ქალაქის ებრაელების თანადასწ-რებით წაიკითხეს და მოიწონეს. საღმთო წიგნების ეს თარგმანი იწოდება „სამოც-და-ათთა გადმომღებთა თარგ-მანად“.

ამ თარგმანმა ძალიან დიდი სარგებლობა მოუტანა კაცობრიობას. ამის გადათარგმნამდე თითქმის სრულიად არ იცოდნენ იესო ქრისტეს მომავლობაზე. მაგრამ ის რომ გადითარგმნა ბერძნულს ენაზე, რომაელებმა და ბერძნებმა დაიწყეს იმისი კითხვა და შეიტყეს, რომ ქვე-ყანაზე უნდა მოვიდეს ქრისტე ღმერთიო. ამის შემდეგ მრავალმა წარმართმა მიიღო ჭეშმარიტი სარწმუნოება. იმათ, ვინც მიიღო ებრაელების რჯული, კათაკმეველად იწოდებოდნენ.

თუმცა ებრაელების ხალხი კაცობრიობისაგან პატი-ვის ცემის ღირსი იყო ამგვარი საუნჯის შენახვისათვის; მაგრამ ნაცვლად ყურადღებისა იმას ძლიერ სდევნიდნენ. ეგვიპტის მეფემ, ფტოლომე მეოთხემ, ფილოპატორმა გა-მოსცა ბრძანება, რომ იმ ებრაელს, რომელიც თავის ენას არ დაივიწყებს და არ მიიღებს ბერძნულ ენას, იმას ნება არა აქვს მოქალაქედ იწოდებოდესო, და ვინც ამ ბრძანებას უარსა ჰყოფს, იმას ტანზე ბეჭედი უნდა დაი-

რასო, და ვინც არ ისურვებს ამ ბეჭდის მიღებას, ის უნდა მოიკლასო. თუმცა ბძანება ძლიერ სასტიკი იყო, მაგრამ, თავის ენის მოყვარე ებრაელებმა, ეს არ აღასრულეს. ამისათვის ბევრს ებრაელს უდროვოდ მოუსწრაფეს სიკვდილი. ებრაელებს ისრე უყვარდათ თავისი სამშობლო, თავისი ენა და ხალხოსნობა, რომ სიკვდილს ირჩეულობდნენ, ვიდრე თავის ხალხოსნობაზე უარის ყოფას. ამ გვარს სამწუხარო მდგომარეობაში თვით ღმერთიც ამხნევებდა იმათ და აძლევდა თავის შემწეობას.

---

## ებრაელები სირიის მეფეების ხელ-ქვეშ.

### 93. დიდი მწუხარება გამოიარეს ებრაელებმა ანტიოქიის ბერძნების ხელში.

ეპიფანე მეფემ იმათ დიდი ბოროტება მიაყენა. ეს მეფე მეტის-მეტად საძაგელი კაცი იყო. ყოველიფერი, რაც ბერძნული იყო, ამას მოსწონდა, სხვა უცხო ხალხების ენა, ჩვეულება, ზნე და სარწმუნოება კი ჭირივით ეჯავრებოდა. მას თავის სამეფოში მრავალი ხალხები ყვანდა, რომელნიც ერთმანეთიდგან განირჩეოდნენ, ამისათვის მოინდომა ყველა ქვეშევრდომი ხალხების გაერთება ენით, ზნით და სარწმუნოებით. იმას უნდოდა,

რომ ყველა ხალხები ბერძნულ ენაზე ლაპარაკობდნენ და ქონდეთ ბერძნული სარწმუნოება; იმასაც კი ცდილობდა, რომ ყველას ტანისამოსიც კი ბერძნულად ჩაეცვათ. ამისათვის ვინც იმის სურვილს არ აღასრულებდა, იმას მწარის ტანჯვით მოაკვდინებდა.

ამ განზრახვის აღსასრულებლად იმან მიიხმო მრავალი ებრაელები, რომელნიც მდიდრად დააჯილდოვა, ჩააბარა თავის სამეფოში უხუცესობა, ეფერებოდა და პატივს სცემდა იმისთვის, რომ იმათ შემწეობა მისცენ იმის წადილის აღსასრულებლად. ამ გვარის მაცდურებით იმან ებრაელებში იშოვა მრავალი კაცი, რომელნიც, მხოლოდ თავის სარგებლობისათვის, ღალატობდნენ თავის ნათესაობას და ცდილობდნენ, რომ მეფის სასიხარულოდ, ებრაელებს დაევიწყნათ თავისი მშობლიური ენა, ჩვეულება, ზნე და სარწმუნოება. რომ მარჯვედ აღასრულოს თავისი წადილი, იმან ებრაელებისავე ფულით იერუსალიმში გახსნა სასწავლებელი. ამ სასწავლებელში ასწავლიდნენ მხოლოდ ბერძნულს ენას იმ განზრახვით, რომ ებრაელების ახალ თაობას დაავიწყონ თავისი მშობლიური ებრაული ენა და ნაცვლად იმისა შეაყვარონ ბერძნული, და ამ სახით დააკარგვინონ თავისი ხალხოსნობა. უწყალოდ ჰკლავდნენ იმ ურიას, რომელიც თავს ურიად ხდიდა, და არა ბერძნად. ამისა გამო მრავალმა, წარჩინებული პირის შვილებმა, მართლაც დაივიწყეს თავისი მშობლიური ენა. მაგრამ ებრაელების საბედნიეროდ იყვნენ იმათში კიდევ იმისთანა წარჩინებულნი პირნიც, რო-

მქლნიც ამის წინააღმდეგნი გახდნენ. ყველაზე უფრო შესანიშნავნი, მშობლიურის ენისა და მამულის მოყვარე კაცებში, იყვნენ: ღვთისნიერი მოხუცი ელეაზარი, წარჩინებული დედა-კაცი სალომე თავისი შვილებითურთ და მღვდელი მატათე. ელიაზარი იყო ძლიერ მსწავლული მწიგნობარი. ამას ხალხი ძლიერ დიდს პატივსა სცემდა. ამისთვის ბერძნებს სურდათ, რომ იმას პირველად უარი ეთქვა თავის სამშობლო ენაზე და სარწმუნოებაზე და მით მიეცა სხვათათვის მაგალითი უარის ყოფისა. მაგრამ ელიაზარმა აი რა უთხრა იმათ: „განა ჩემი ხნის კაცს ეკადრებადა ორგულობა? როცა ახალგაზდა ყმაწვილები დაინახვენ, რომ ოთხმოც-და-ათი წლის ელეაზარი მიიქცა კერპობაზე და უარი ჰყო თავისი სამშობლო ენაო, განა ისინი უფრო ადვილად არ შეჰსცდებიანო? ამ მოხუცებულებაში მე, მცირედ ყამის სიცოცხლისათვის, ჩემის ორგულობით ჭაბუკთა არ შევაცდენ. მე რომ ახლა თქვენს სატანჯველს გადურჩე: საიქიოს ღვთის განსჯას ხომ ვერსად წაუვალ. მითივე სიმხნით აწ განვეყო ცხოვრებასა, სიბერისა უკვე ღირსად გამოჩნდე, ხოლო ჭაბუკთა სახე სიმხნისა დაუტეო“, სთქვა ელეაზარმა. ამის შემდეგ იმას უ[illegible]ლიშეს თავში მწვალებლებმა და განათხევინეს სიცოცხლე. „ხოლო ამან უკვე ამით სახითა ცხოვრება აღასრულა, არა გარნა ჭაბუკთა, არამედ ყოვად მრავალთა ნათესავთა თვისთა სიკვდილისა სახელსა

შინა განამხნო დახსენებას შინა კე-თილ მოქმედება დაუტევნა“. (მე 2 წ. მაკაბ. 31 მუხ).

მაგრამ ამაზე უფრო გასაკვირის სიყვარული სალომე დედაკაცისა. ეს დედაკაცი თავის შვილებითურთ წარსდგა წინაშე ეპიფანე მეფისა და მეფემ უთხრა: „გარდასდექი შენს სჯულს და მშობლიურ ენას“; მაგრამ მან უარი ჰყო უცხო რჯული და ენა. უარის თქმის შემდეგ მის შვილებს იმასივე თვალის წინ დააჭრეს ხელები, ფეხები, დასთხარეს თვალები, გამოსჭრეს ენა და დანარჩენი სხე-ული გახურვებულ ტაფაში ჩააგდეს და დასწვეს. ამ გვარს წვალების დროს ის თავის შვილებს ამხნევებდა, რომ მათ გაუკაცურად მოეთმინათ ტანჯვა. აი რა სიტყვებით გაამხნევა იმან ერთი თავისი შვილი: „მეო, შემიწ-ყალე მე მტვირთველი შენი მუცელსა შინა ცხრა თვე და რძითა გამომზრდე-ლი შენი წელსა სამსა და გამოგზარდე მე შენ და მოგცვანე ასაკსა შინა ამას და ჭირნი გამოვიცადე ტვირთისა; გაცთა ნათესავისა ღმერთმა ჰქმნა და აწ უმე-თურსა ამას მეფეს სწადიან ნათესავი-სა ჩვენისა გადაგვარებად, არამედ თქვენ ნუ უარს ყოფთ რჯულს და ნათესაობასა მამათა ჩვენთასა.“ როცა ამ მოწამე დედაკაცის შვილები უარსა ყოფდნენ ბერძნულს ენას, მაშინ უკეთუ-რი და უწყალო ეპიფანე იმათ ენას პირში აჭრევინებდა,

რადგან ამ ენით ურიულად ლაპარაკობდნენ და არა ბერძნულად. სალომეს შვილები რომ დახოცეს, მერმე ისიც მოჰკლეს.

ამავე სამწუხარო დროს სცხოვრებდა ერთი მღვდელი, სახელად მატათე. მას ყვანდა ხუთი შვილი. ამან რომ ისილა ებრაელების უწყალოდ ხოცვა, აემსო გული მწუხარებითა და ასრე სთქვა: „ვაი ჩემდა! რად ვიშევ ხილვად სალმობათა ერთა ჩემთა და წარტაცად ქალაქისა წმინდისასა და მტერთა დაჯდომად მუნ: მოწყვედილ არიან მოხუცებულნი მისნი უბანთა ზედა და ჭაბუკნი მისნი დაეცნეს მახვილითა მტერთათა.“ ამან ვეღარ მოითმინა დევნა ეპიფანესიდა, თავის ხუთი შვილით, განუდგა იმის მძლავრობას. მოდინის ქალაქში იმან მოჰკლა ერთი ბერძნების მომხრე ებრაელი და მეფის მიერ გამოგზავნილი მთავარი კაცი და გამოაცხადა თავისი განდგომილება. ეპიფანემ იმას მაშინვე ჯარები დაადევნა; მაგრამ მატათემ იმისი ჯარი რამდენჯერმე დაამარცხა და ბოლოს თვითონაც დ[illegible]ა. ის რომ კვდებოდა, შვილებს უანდერძა, რომ მძლავრს მეფეს ნურაოდეს ნუ შეურიგდებით და ვიდრე ცოცხალ ხართ, ეცადეთ განათავისუფლოთ სამშობლო ქვეყანა და ებრაელები ბერძნების ხელიდგანო.

## 94. ღვაწლი მატათე მღვდლის შვილე-ბისა—მაკაბელთა.

მატათეს ხუთმა შვილმა იოანემ-სიმონმა, იუდამ, იონათანმა და ელიაზარმა აღასრულეს მამის ანდერძი. მამის სიკვდილის შემდეგ სიმონი გახდა ებრაელების მრჩეველი და იუდა ჯარის წინამძღოლი. იუდამ მრავალგზის დაამარცხა ეპიფანე მეფის ჯარები და აღადგინა ებრაელების სარწმუნოება და სალხოსნობა. განსაკვირი სიმამაცე და თავის სარწმუნოებისა, ხალხისა და მამულის სიყვარული ჰქონდათ მატათეს შვილებს. ამ დროს იერუსალიმის ტაძარი აკლებული იყო, სამწმინდო მოოხრებული და სამსხვერპლო შეგინებული. იუდამ გაასწმენდინა და გაასუფთავებინა ტაძარი და უბრძანა მღვდლებს ღვთის მსახურების გამართვა, როგორც რიგი იყო მოსეს სჯულისა მებრ. ამის შემდეგ იუდა მიადგა თავის ჯარით სიონის მთაზე მყოფ ციხეს, რომელშიაც ანტიოქიის მეფეს მცველი ჯარი უყენა. ეს რომ შეიტყო ეპიფანე მეფემ, მაშინვე გამოგზავნა ნიკანორი ჯარით, მაგრამ იუდამ იმას ჯარი დაუმარცხა და თვითონაც მოჰკლა. ნიკანორის თავი და მარჯვენა მკლავი გადმოჰკიდა სიონის ციხის კედელზე, რომ, რა არის, ებრაელებს დაენახოს თავისი გამარჯვება. მაგრამ ამ ომში იმას სპილომ მმა ელიაზარი მოუკლა და ვიდრე მოკვდებოდა თვითონაც სპილო მოჰკლა. მომეტებულმა სიმამაცემ იუდაც მალე დაღუპა.

ეპიფანემ რომ შეიტყო ნიკანორის სიკვდილი და ჯარის დამარცხება, გამოგზავნა სამრად ახალი ჯარი, შემდგარი 20,000 ქვეითოსანი კაცით და 2,000 ცხენოსანით. იუდას ჯარმა რომ ისილა მტრის ჯარის სიმრავლე, ჯერ მოერიდა ომს, მერმე კი უთხრა თავის თანა მოლაშქრეებს: „უკეთუ მოწევნულ არს ჟამი სიკვდილისა, მოვკვდეთ მამაცურად ჩვენთა ძმათათვის და სახელი ჩვენი იყოს განთქმული და ქებული“. ამ ბრძოლაში თუმცა პირველად იუდამ დაამარცხა მტერი, მაგრამ, თავის ჯარის სიმცირისაგამო, ვერა დააკლო რა და თვითონ ისიც მოჰკლეს. იმისმა ძმებმა სიმონმა და იონათანმა აიღეს მისი გვამი და დიდის გლოვით და მწუხარებით დაასაფლავეს მოდინის ქალაქში, სადაც ესაფლავა მისი მამა-მატათე მღვდელი.

იუდას სიკვდილის შემდეგ შეიყარნენ მამულის მოყვარე ურიანი და ასე უთხრეს მის ძმას იონათანს: „რადგან ანტიოქელნი ნათესავთა ჩვენთა მტერ არიან, და გმირი იუდაც მოკვდა, ამისათვის ჩვენ აგვირჩიეთ ჩვენდა წინამძღვრად ჩვენს ნათესავთა მტერთა საომრად“. იონათანმა მიიღო წინამძღოლობა და რამდენჯერმე დაამარცხა მტერი, მაგრამ ბოლოს ესეც მოკვდა მტრის მიერ ღალატობით.

ამის სიკვდილის შემდეგ ურიების მთავრად ახლა იმისი ძმა სიმონი გახდა. სიმონი ჭკვიანი კაცი იყო.

ამან ისე მოახერხა საქმე, რომ ანტიოქიის მეფეს ხელი აეღებინა ურიასტანისანისაგან და გაეყვანინა სიონის ციხიდგან ჯარი. ამ სიკეთისათვის ებრაელებმა იმას მის-ცეს მღვდელ-მთავრობა და ერის მართველობის უფლება საშვილი-შვილოდ. ამისთვის მისს სიკვდილის შემდეგ იმის მემკვიდრედ გახდა მისი შვილი გირკანი. ამის დროს წარმოსდგა ურიათა შორის ფარისევლობა და სადუკეველობა. ესენი მუდამ ერთმანერთს ებაასებოდნენ და სალხში სტეხავდნენ უთანხმოებას. ფარისევლებს სწამდათ მოსეს რჯული, საწინასწარმეტყველობა, მამათა გადმონაცემი, ანგელოზთა ყოფნა და მკვდართა აღდგო-მა; მაგრამ სადუკეველებს მოსეს რჯულის მეტი არაფერი სწამდათ და ამბობდნენ, რომ აღდგომა და ცხონება მკვდართა არ იქნებაო.

ამ უთანხმოებით ისარგებლეს რომაელებმა და ჩა-მოართვეს სიმონის შთამამავლობას საერო უფლება, და დაუტოვეს მხოლოდ მღვდელ-მთავრობა. ამ სახით ებრაელები ახლა რომაელების ხელში ჩავარდნენ.

## 95. რომაელთა უფლების დრონი დ მეფე იროდი

გირკანი მეორე მღვდელ-მთავრის დროს ურიასტან-ში გადიდდა იროდი იდუმელი. ამან ცოლად შეირთო ამ მღვდელ-მთავრის შვილის ასული და თავის ქიშპობით ისე მოახერხა, რომ რომაელებმა ის მეფედ დასვეს. მაგ-

რამ ებრაელებს ის თვალით დასანახავად ეჯავრებოდათ და ამისათვის ის მუდამ შიშობდა, რომ მეფობა არ წაართვანო. ამ შიშმა ის იჭვნეულებას მიაჩვია და ეჭვმა ყოველი ვერაგობა ჩაადენინა. შეუბრალებლად ის ყველას ჰკლავდა, ვისზედაც კი ეჭვს აიღებდა. იმან ერთხელ, ბანაობის დროს, წყალში დაახრჩობინა თავისი ცოლის ძმა, რომელიც მღვდელ-მთავარი იყო, მოჰკლა თავისი სიმამრი და სიდედრი, თავისი სიძე, თავისი ცოლი და ორი შვილი. თავისი სასტიკობით იმან ყველანი გააკვირა. მის მძვინვარე და მხეცურ ხასიათს მშვენიერად გამოგვიხატავს მის ანდერძი, რომელიც იმან დაუტოვა თავის ასულს სალომიას და სიძეს. აი ეს ანდერძი: „მე წინათვე ვხედავ, რომ ჩქარა მომელება ბოლო. სიკვდილი მე არ მაშინებს; მაგრამ აი რა მტანჯავს მე: ხალხს უნდა ჩემი სიკვდილი, და მე მოვკვდები ზედ დაუტირებლად. ფიცს მოგკიდებთ ნათესაობას, რომ შემიმსუბუქებთ მწუხარებას: მოასხდინეთ ის, რომ ჩემს დასაფლავების დროს ერი მწარე ცრემლითა სტიროდეს. როცა მე სიკვდილთან სულთა ბრძოლაში ვიქნები, უბრძანეთ ჩემის სახელით, რომ ურიათ წარჩინებულნი დახოცონ. ამ განზრახვით იმან შეჰყარა ყველა ურიების წარჩინებულნი და დაამწყვდია ერთს სათამაშო სახლში (ცირკში). მაგრამ მისი უგუნური წადილი არ აღასრულეს.

თუმცა ურიების გულის მოსაგებლად იმან მშვენიერად გადააკეთა იერუსალიმის ტაძარი, ამის კარებზე გადმოჰკიდა ოქროს არწივი და ტაძრის კარებზე ვაზი,

რომელიც წმინდა ოქროსაგან იყო გაკეთებული და ზედ ება ყურძნის მტევნები; მაგრამ ხალხს მაინც არ უყვარდა და მოუთმენლად მოელოდა, როდის იქმნება მესია მოვიდეს და გახდეს ჩვენ მეფედო. მშვენიერი სანახავი იყო ეს ტაძარი. საღამოს, მზის დასვლის დროს, ისე მშვენივრად ბრწყინავდა მთელი ტაძარი, რომ კაცი გაკვირვებაში მოდიოდა, როცა მას უყურებდა. ოქროს არწივი და ოქროს ყურძნის მტევნები ძლიერ ელვარებდნენ მზის შუქზე. ეს ტაძარი უწინდელ დროში შეადგენდა ერთ შვიდთა საკვირველებათაგანსა.

## 96. მოლოდინი მაცხოვრის მოსვლაზე.

იროდის სიკვდილის ჟამის თვის წინად ხორციელად დაიბადა მხოლოდშობილი ძე ღვთისა იესო ქრისტე. [illegible]ორედ ამ დროს ელოდნენ მესიას ქვეყანაზე მოსვლას ისრაელნიცა. უეჭველია, რომ მაცხოვრის ქვეყნიერად მოსვლის ლოდინი, იქიდგან გავრცელდა ხალხში, რომ საღმრთო წერილი ბერძნულს ენაზე იყო გადათარგმნილი და ამას ყველანი კითხულობდნენ. ებრაელები დარწმუნებულნი იყვნენ, რომ ახლა უნდა დაბადებულიყო მესია, ამისათვის რომ მამათ მთავრის იაკობის წინასწარმეტყველება ასრულდა. იუდას შთამომავლობისაგან მეფენი შესწყდნენ და ეს იყო ნიშანი ქრისტეს მოსვლისა. შესრულდა აგრეთვე დანიილის შვიდეულიცა და

არსებობდა მეორე ტაძარი. მაგრამ ზოგს ებრაელს ეგონა, რომ მესია ძლიერ მეომარი მეფე იქნებაო, დაიპყრობს მთელს ქვეყნიერებას და ურიებს ქვეყნის ბატონად გახდისო. იყვნენ ისრეთნი ისრაილნიცა, რომელნიც ამბობდნენ, რომ ის იქნება ზეციური მეფე და თავისი ზნეობითი სწავლით და კეთილის ცხოვრებით გამოიხსნის კაცობრიობას ცოდვისაგანაო. აგრეთვე მოელოდნენ მესიას მოსვლას წარმართნიცა. იმათ სრულიად არ აწუხებდა ის ამბავი, რომ ქვეყნის მფლობელი ებრაელთაგან წარმოსდგებოდა. წარმართებს მხოლოდ ის უხაროდათ, რომ როცა მესია მოვა, ქვეყანაზე ომები და ხალხთა შინა განხეთქილება აღარ იქნებაო. იქნება მხოლოდ მშვიდობიანობა და ბედნიერი ცხოვრებაო. მეცნიერნი კიდე ფიქრობდნენ, რომ როცა მესია მოვა, მაშინ ის გვეტყვის ყოველს ციურს საიდუმლოებას და აგვიხსნის ყველაფერს, რაც არ გვესმის, ახდის ზეცას ფარდას და დაგვანახვებს ყველაფერს, რაც აქამდე ჩვენს თვალს [illegible] უხილავსო და გონებისათვის იყო გაუგებარი და [illegible]რიო.

## წელიწადები, როდის რა შესანიშნავი შემთხვევა მომხდარა ძველს აღთქმაში ქრისტეს დაბადებამდე:

დაბადება ხილული ქვეყნისა — — — 5508 წელს.
წარღვნა — — — — — — — — 3247.
ბაბილონის გოდოლის აღშენება — — 2716
მოწოდება აბრაამისა — — — — 2040
იაკობის ეგვიპტეში გადასახლება — — 1825.
გამოსვლა ებრაელებისა ეგვიპტიდგან — 1496.
ებრაელების აღთქმ. ქვეყნ. შესვლა — — 1456.
მსაჯულთა დროება — — — — — 1450—1100.
დრო მეფეებისა — — — — — — 1100— 589.
დავითის გამეფება — — — — — 1060.
გაყოფა ებრაელების სამეფოსი — — 980.
ისრაილების სამეფო — — — — — 980— 7[illegible]
იუდიანელების სამეფო — — — — 980— 589
იერუსალიმის დარღვევა და ებრაელების
ტყვედ წაყვანა ბაბილონში — — — 589.

# უმთავრესი ბეჭვდის შეცდომანი

| გვერ. | სტრიქ. | დაბეჭდ. | უნდა იყოს. |
|---|---|---|---|
| 16 . . . | 6. | დაი ქვს | და ქვას |
| 17 . . . | 18. | საქმ | საქმე. |
| 30 . . . | 1. | რჩეული ხალხების | რჩეული ხალხი. |
| 31 . . . | 10. | მოყრიდა | მოკვდა. |
| 76 . . . | 11. | ფესერში | ფესვებში. |
| 90 . . . | 2. | 32 | 39. |
| 132 . . . | 23. | მუჩროვანისა | მუხროვანისა. |
| 167 . . . | 16. | გარბანავი | განმანავი. |
| 172 . . . | 6. | ქგოვისა | უფლისა. |
| 175 . . . | 11. | საიდუღო | საიდუმლო. |
| 182 . . . | 12. | თივის | თავის |
| — . . . | 17. | ესიანოვნა | ესიამოვნა. |
| 185 . . . | 2. | რისთვისაც შეიძ-ლება. | რისთვის არ შე-იძლება. |
| 187 . . . | 14. | ცრუ-სმურდოსი | ცრუ-სმერდისი. |
| 193 . . . | 23. | ქგოვას | უფალს. |
| 197 . . . | 22. | გამბედაობას. | (ერთი არ უნდა) |
| 199 . . . | 19. | განვიზასხავდი | განვიზრახავდი. |
| 200 . . . | 21. | ფოლიომე | პტოლომე. |
| 204 . . . | 7. | დააჯილდავა | დააჯილდოვა. |
| 206 . . . | 26. | უწყლო | უწყალო. |
| 207 . . . | 19. | დაიჭერა | დაიჭირა. |

აგრეთვე 36 პარაგრაფის შემდეგ ციფრები სათაურებისა ბოლომდის შეშლილია; მაგრამ ამით არა აკლდება რა ისტორიას, ამისათვის რომ იმას იმის მეტი მნიშვნელობა არა აქვს, რომ მხოლოდ აჩვენოს რამდენი მოთხრობაა.

[illegible]

[illegible]

[illegible]



2
5 202